



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა
ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის
გზამკვლევი

საქმის სამართლიანი განხილვის უფლება
(სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტები)

განახლებულია 2022 წლის 31 აგვისტოს

ეს თარგმანი გამოქვეყნდა ევროპის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან შეთანხმებით და წარმოადგენს მხოლოდ ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის პასუხისმგებლობას.

დოკუმენტი მომზადებულია რეესტრის მიერ. სასამართლოს არ ეკისრება რაიმე ვალდებულება მასთან დაკავშირებით.

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

გამომცემლებმა ან ორგანიზაციებმა, რომელთაც სურთ წინამდებარე გზამკვლევის ან მისი ნაწილის თარგმნა ან/და რეპროდუცირება ბეჭდური ან ელექტრონული სახით, უნდა შეავსონ საკონტაქტო ფორმა: [თარგმანის რეპროდუცირების ან ხელახლა გამოცემის მოთხოვნა](#), ნებართვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

თუ გსურთ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რომელ ენებზე მიმდინარეობს ამჟამად პრეცედენტული სამართლის გზამკვლევების თარგმნა, გთხოვთ, იხილოთ [მიმდინარე თარგმანების](#) ჩამონათვალი.

წინამდებარე გზამკვლევის პროექტი თავდაპირველად შეიქმნა ფრანგულ ენაზე. ის რეგულარულად ახლდება, ბოლოს კი განახლდა 2022 წლის 31 აგვისტოს. ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

პრეცედენტული სამართლის გზამკვლევების ჩამოტვირთვა შესაძლებელია მისამართზე: <https://ks.echr.coe.int>. პუბლიკაციების განახლებებისთვის გამოიწერეთ სასამართლოს ტვიტერის ანგარიში https://twitter.com/ECHR_CEDH.

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2022 წელი

სარჩევი:

- შენიშვნა მკითხველისთვის 6
- I. მოქმედების სფერო: „სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების“ ცნება 8
 - A. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენებადობის ზოგადი მოთხოვნები 8
 - 1. „ნამდვილი“ და „სერიოზული“ „დავა“ გადამწყვეტი შედეგით 9
 - 2. სადავო უფლების ან მოვალეობის არსებობა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში 12
 - 3. უფლების ან მოვალეობის „სამოქალაქო“ ხასიათი 17
 - B. სხვა ტიპის დავებზე გავრცელება 19
 - C. მე-6 მუხლის გამოყენება საქმისწარმოების მიმართ, რომელიც ძირითადი არაა 27
 - D. გამონაკლისი საქმეები 30
 - E. ბმულები კონვენციის სხვა დებულებებით 34
 - 1. მუხლი 2 (სიცოცხლის უფლება) 34
 - 2. მუხლი 5 (თავისუფლების უფლება) 35
 - 3. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი (სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი განხილვა) 35
 - 4. მუხლი 6§2 (უდანაშაულობის პრეზუმფცია) 36
 - 5. მუხლი 8 (პირადი და ოჯახური ცხოვრება) 37
 - 6. მუხლი 10 (გამოხატვის თავისუფლება) 37
 - 7. სხვა მუხლები 38
- II. სასამართლოს უფლება 39
 - A. სასამართლოს უფლება და ხელმისაწვდომობა 39
 - 1. უფლება, რომელიც არის პრაქტიკული და ეფექტური 41
 - 2. შეზღუდვები 51
 - B. უარის თქმა 57
 - 1. პრინციპები 57
 - 2. პირობები 58
 - C. იურიდიული დახმარება 59
 - 1. იურიდიული დახმარების მიკუთვნება 59
 - 2. მიკუთვნებული იურიდიული დახმარების ეფექტურობა 61
- III. ინსტიტუციური მოთხოვნები 62
 - A. „სასამართლოს“ ცნება 62
 - 1. ავტონომიური ცნება 62
 - 2. იურისდიქციის დონე 65
 - 3. სრული იურისდიქციის მქონე სასამართლოს მიერ განხილვა 66
 - 4. გადაწყვეტილებების აღსრულება 72
 - a. საბოლოო და სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილების სწრაფი განხორციელების უფლება 72

b.	საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების ექვექცემ არდაყენების უფლება .	76
c.	უცხო ქვეყნის სასამართლოების ან ევროკავშირის სხვა ქვეყნებში გამოტანილი გადაწყვეტილებების ურთიერთცნობა და აღსრულება	78
B.	კანონის საფუძველზე შექმნილი.....	79
1.	პრინციპები.....	79
2.	ამ პრინციპების გამოყენება	81
C.	დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა	82
1.	ზოგადი დებულებები	82
2.	დამოუკიდებელი სასამართლო	85
a.	დამოუკიდებლობა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებით	86
b.	დამოუკიდებლობა პარლამენტთან მიმართებით	87
c.	დამოუკიდებლობა მხარეებთან მიმართებით	87
d.	მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კონკრეტული შემთხვევები მართლმსაჯულების უმაღლეს საბჭოსთან მიმართებით.....	87
e.	კრიტერიუმები დამოუკიდებლობის შესაფასებლად	88
i.	ორგანოს წევრების დანიშვნის წესი	88
ii.	ორგანოს წევრის დანიშვნის ხანგრძლივობა.....	88
iii.	გარანტიები გარე წნეხის წინააღმდეგ.....	88
iv.	გარეგნული დამოუკიდებლობა.....	89
3.	მიუკერძოებელი სასამართლო	89
a.	კრიტერიუმები მიუკერძოებლობის შესაფასებლად	90
i.	სუბიექტური მიდგომა.....	91
ii.	ობიექტური მიდგომა.....	91
b.	სიტუაციები, რომლებშიც შეიძლება წარმოიშვას სასამართლო მიუკერძოებლობის ნაკლებობის საკითხი	93
i.	ფუნქციური ხასიათის მქონე სიტუაცია.....	93
ა.	ერთსა და იმავე საქმეში როგორც საკონსულტაციო, ისე სასამართლო ფუნქციების განხორციელება	93
ბ.	ერთსა და იმავე საქმეში როგორც სასამართლო, ისე არასასამართლო ფუნქციების განხორციელება	94
გ.	სხვადასხვა სასამართლო ფუნქციების განხორციელება.....	94
ii.	პერსონალური ხასიათის მქონე სიტუაცია.....	97

IV. პროცედურული მოთხოვნები 99

A.	სამართლიანობა.....	99
1.	ზოგადი პრინციპები	99
2.	მოქმედების სფერო.....	102
a.	პრინციპები.....	102
b.	მაგალითები.....	106
3.	მეოთხე ინსტანცია	114
a.	ზოგადი პრინციპები.....	114
b.	სასამართლოს ზედამხედველობის მოქმედების სფერო და შეზღუდვები ..	115
c.	შიდასახელმწიფოებრივი პრეცედენტული სამართლის თანმიმდევრულობა	119
4.	შეჯიბრებითი პროცესი.....	121
5.	მხარეთა თანასწორობა	123
6.	მტკიცებულებების ადმინისტრირება	125

- a. მოწმეთა ჩვენებები..... 127
- b. ექსპერტთა დასკვნები..... 127
- c. მტკიცებულებების არგამჟღავნება..... 129
- 7. სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთება 130
- B. საჯარო განხილვა 133
 - 1. განხილვა..... 133
 - 2. გადაწყვეტილების გამოტანა..... 140
- C. საქმისწარმოების ხანგრძლივობა 143
 - 1. სამართალწარმოების ხანგრძლივობის განსაზღვრა..... 143
 - 2. გონივრული ვადის მოთხოვნის შეფასება..... 145
 - a. პრინციპები..... 145
 - b. კრიტერიუმები 146
 - i. საქმის სირთულე 146
 - ii. მომჩივნის ქცევა..... 147
 - iii. ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების ქცევა..... 148
 - iv. რა დევს სასწორზე დავაში..... 150
- ციტირებული საქმეების ჩამონათვალი 152**

შენიშვნა მკითხველისთვის

წინამდებარე გზამკვლევი არის კონვენციის შესახებ გზამკვლევების სერიის ნაწილი, რომელიც გამოაქვეყნა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (შემდგომში „სასამართლო“, „ევროპული სასამართლო“ ან „სტრასბურგის სასამართლო“), რომლის მიზანია იურისტების ინფორმირება სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილი ფუნდამენტური გადაწყვეტილებებისა და განჩინებების შესახებ. ეს კონკრეტული გზამკვლევი ანალიზებს და აჯამებს პრეცედენტულ სამართალს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“ ან „ევროპული კონვენცია“) მე-6 მუხლის (სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტი) შესახებ. მკითხველი აქ იპოვის ძირითად პრინციპებს ამ სფეროში და შესაბამის პრეცედენტებს. მათ მოუწოდებენ, ამ გზამკვლევთან ერთად გაეცნონ [მე-6 მუხლის გზამკვლევს](#), [სისხლისსამართლებრივ ასპექტებს](#).

აქ წარმოდგენილი პრეცედენტული სამართალი ამოკრებილია წამყვანი, მთავარი ან/და ბოლოდროინდელი სასამართლო გადაწყვეტილებებიდან და განჩინებებიდან.*

სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები ემსახურება არა მხოლოდ უშუალოდ სასამართლოში შესული საქმეების გადაწყვეტას, არამედ ზოგადად განმარტავს, იცავს და ავითარებს კონვენციით დადგენილ წესებს, რითაც ხელს უწყობს სახელმწიფოების, როგორც კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას ([Ireland v. the United Kingdom](#), § 154, და უფრო ახალი საქმე [Jeronovičs v. Latvia](#) [GC], § 109).

ამდენად, კონვენციით შექმნილი სისტემის დანიშნულებაა, განსაზღვროს საჯარო პოლიტიკის საკითხები საერთო, და ამით აამაღლოს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები და განავრცოს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული სასამართლო პრაქტიკა კონვენციის წევრ სახელმწიფოთა საზოგადოების მასშტაბით ([Konstantin Markin v. Russia](#) [GC], 2012, § 89).

მართლაც, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში კონვენციას აქვს „ევროპული საზოგადოებრივი წესრიგის კონსტიტუციური დოკუმენტის“ ფუნქცია ([Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland](#) [GC], 2005, no. 45036/98, § 156, ECHR 2005-VI, და უფრო ახალი საქმე [N.D. and N.T. v. Spain](#) [GC], nos. 8675/15 და 8697/15, § 110, 2020 წლის 13 თებერვალი).

ახლახან, კონვენციის N 15 ოქმით მოხდა კონვენციის პრეამბულაში სუბსიდიარობის პრინციპის დამატება. ეს პრინციპი „აწესებს საერთო პასუხისმგებლობას მხარე სახელმწიფოებსა და სასამართლოს შორის“ ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, და ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა და სასამართლოებმა უნდა მოახდინონ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია და გამოიყენება ისე, რომ სრულად ამოქმედდეს კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები ([Grzęda v. Poland](#) [GC], § 324).

წინამდებარე გზამკვლევი შეიცავს მითითებებს საკვანძო სიტყვებზე ციტირებული კონვენციის თითოეული მუხლიდან და დამატებითი ოქმებიდან. თითოეულ შემთხვევაში განხილული სამართლებრივი საკითხები შეჯამებულია [საკვანძო სიტყვების ჩამონათვალში](#), რომლებიც შერჩეულია იმ ტერმინების თეზაურუსიდან, რომლებიც (უმეტეს შემთხვევაში) აღებულია უშუალოდ კონვენციის და მისი ოქმების ტექსტიდან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის [HUDOC-ის მონაცემთა ბაზა](#) იძლევა საკვანძო სიტყვებით ძიების საშუალებას. ამ საკვანძო სიტყვებით ძიება კი იძლევა მსგავსი სამართლებრივი შინაარსის მქონე დოკუმენტების ჯგუფის

მოძიების საშუალებას (სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები თითოეულ შემთხვევაში შეჯამებულია საკვანძო სიტყვების საშუალებით). საკვანძო სიტყვები ცალკეული საქმეებისთვის შეგიძლიათ იხილოთ HUDOC-ის ვებგვერდზე, „საქმის დეტალების ჩვენება“ ღილაკზე დაწკაპუნებით. HUDOC-ის მონაცემთა ბაზისა და საკვანძო სიტყვების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ *HUDOC-ის მომხმარებლის სახელმძღვანელო*.

* ციტირებული პრეცედენტული სამართალი შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოსა და „ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის“ ერთ-ერთ ან ორივე ოფიციალურ ენაზე (ინგლისური და ფრანგული). თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ყველა მითითება ეხება სასამართლოს პალატის გადაწყვეტილებებს საქმის არსებით მხარეზე. აბრევიატურა „(dec.)“ მიუთითებს, რომ ციტირებულია სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო “[GC]” მიუთითებს, რომ საქმე განიხილა დიდმა პალატამ. პალატის გადაწყვეტილებები, რომლებიც არ იყო საბოლოო ამ განახლებული ვერსიის გამოქვეყნების მომენტისთვის, აღნიშნულია ვარსკვლავის ნიშნით (*).

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი – საქმის სამართლიანი განხილვის უფლება

„1. ყოველი ადამიანი, სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დაშვებული დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანის ინტერესები, ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან/და, რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო, ვინაიდან საჯაროობა დააზარალებდა მართლმსაჯულების ინტერესს. ...“

HUDOC-ის საკვანძო სიტყვები

სამოქალაქო ხასიათის უფლებები და მოვალეობები (6-1) – უფლებების გამორკვევა (6-1) – დავა (6-1) – სისხლისსამართლებრივი ბრალდება (6-1) – მოვალეობების გამორკვევა (6-1) – სასამართლოს ხელმისაწვდომობა (6-1) – სამართლიანი განხილვა (6-1) – შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლო განხილვა (6-1) – მხარეთა თანასწორობა (6-1) – იურიდიული დახმარება (6-1) – საქვეყნოდ განხილვა (6-1) – ზეპირი მოსმენა (6-1) – პრესის არდაშვება (6-1) – საზოგადოების არდაშვება (6-1) – აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში (6-1) – მორალის დაცვა (6-1) – საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა (6-1) – ეროვნული უშიშროება (6-1) – არასრულწლოვანთა დაცვა (6-1) – მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა (6-1) – მკაცრად აუცილებელი (6-1) – მართლმსაჯულების ინტერესების დაზიანება (6-1) – გონივრული ვადა (6-1) – დამოუკიდებელი სასამართლო (6-1) – მიუკერძოებელი სასამართლო (6-1) – კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო (6-1) – საჯარო გადაწყვეტილება (6-1)

I. მოქმედების სფერო: „სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების“ ცნება

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი

„1. „ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების გამორკვევისას, აღჭურვილია ... მისი საქმის ... განხილვის უფლებით ... სასამართლოს მიერ...“

A. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენებადობის ზოგადი მოთხოვნები

1. ცნება „სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები“ არ შეიძლება განიმარტოს მხოლოდ მოპასუხე სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მითითებით; ეს არის კონვენციიდან გამომდინარე „ავტონომიური“ ცნება (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 287). 6§1 მუხლი გამოიყენება მხარეთა სტატუსის, „დავის“ მარეგულირებელი კანონის ხასიათისა

(სამოქალაქო, კომერციული, ადმინისტრაციული სამართალი და ა.შ.) და ამ საკითხზე იურისდიქციის მქონე ხელისუფლების ორგანოს ხასიათის მიუხედავად (საერთო სასამართლო, ადმინისტრაციული ორგანო და ა.შ.) (*Bochan v. Ukraine (no. 2)* [GC], 2015, § 43; *Nait-Liman v. Switzerland* [GC], 2018, § 106; *Georgiadis v. Greece*, 1997, § 34).

2. თუმცა, პრინციპი, რომ კონვენციაში მოცემული ავტონომიური ცნებები განმარტებული უნდა იქნეს თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, არ აძლევს სასამართლოს უფლებას, განმარტოს 6§1 მუხლი ისე, თითქოს ზედსართავი სახელი „სამოქალაქო“ (იმ შეზღუდვით, რომელსაც ეს ზედსართავი სახელი აუცილებლად აწესებს „უფლებებისა და მოვალეობების“ კატეგორიაზე, რომელზეც ვრცელდება ეს მუხლი) ტექსტში არ არსებობდეს (*Ferrazzini v. Italy* [GC], 2001, § 30).

3. გადაწყვეტილებამ საქმეზე *Grzęda v. Poland* [GC], 2022, ახლახან შეაჯამა მოქმედი პრეცედენტული სამართლის პრინციპები (§§ 257-259). მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენებადობა სამოქალაქო საქმეებში, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია „დავის“ არსებობაზე (ფრანგულად „*contestation*“). მეორეც, დავა უნდა უკავშირდებოდეს „უფლებას“, რომელზეც შეიძლება ითქვას, სულ მცირე, საკამათო საფუძვლებზე, რომ ის აღიარებული იყოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის დაცული კონვენციით. დავა უნდა იყოს ნამდვილი და სერიოზული; ის შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ უფლების ფაქტობრივ არსებობას, არამედ მის მოქმედების სფეროსა და განხორციელების მეთოდს. დაბოლოს, საქმისწარმოების შედეგი უნდა იყოს პირდაპირ გადამწყვეტი მოცემული „სამოქალაქო“ უფლებისთვის, მხოლოდ სუსტი კავშირები ან შორეული შედეგები საკმარისი არ არის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის ასამოქმედებლად (*Károly Nagy v. Hungary* [GC], 2017, § 60; *Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, § 99; *Nait-Liman v. Switzerland* [GC], 2018, § 106; *Denisov v. Ukraine* [GC], 2018, § 44).

4. კონვენციის მე-6 მუხლის ორი ასპექტი, სამოქალაქოსამართლებრივი და სისხლის სამართლის, სულაც არ არის ურთიერთგამომრიცხავი, ასე რომ, თუ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი გამოიყენება სამოქალაქო ასპექტში, სასამართლომ შეიძლება შეაფასოს, გამოყენებადი არის თუ არა იგივე მუხლი სისხლის სამართლის ასპექტში (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 121 და *Denisov v. Ukraine* [GC], 2018, § 43). სასამართლო მიიჩნევს, რომ მას აქვს იურისდიქცია, საკუთარი ინიციატივით განიხილოს მე-6 მუხლის გამოყენებადობის საკითხი, მაშინაც კი, თუ მოპასუხე მთავრობას არ დაუყენებია ეს საკითხი მის წინაშე (*Selmani and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, 2017, § 27).

1. „ნამდვილი“ და „სერიოზული“ „დავა“ გადამწყვეტი შედეგით

5. სიტყვა „დავას“ უნდა მიენიჭოს არსებითი და არა ფორმალური მნიშვნელობა (*Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, 1981, § 45; *Moreira de Azevedo v. Portugal*, 1990, § 66; *Miessen v. Belgium*, 2016, § 43). აუცილებელია გარეგნობისა და გამოყენებული ენის მიღმა გახედვა და მდგომარეობის რეალობაზე კონცენტრირება, თითოეული კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე (*Gorou v. Greece (no. 2)* [GC], 2009, § 29; *Boulois v. Luxembourg* [GC], 2012, § 92). ამრიგად, საქმისწარმოება, რომელიც შეიცავს სადავო და არასადავო ასპექტების ნაზავს, შეიძლება მოხვდეს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოქმედების სფეროს ფარგლებში (*Omdahl v. Norway*, 2021, § 47, გარდაცვლილი პირის ქონების მემკვიდრეებს შორის გაყოფის შესახებ). თუმცა, მე-6 მუხლი არ ვრცელდება არასადავო და ცალმხრივ პროცედურაზე, რომელშიც არ მონაწილეობენ მოწინააღმდეგე მხარეები და რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებებზე დავის არარსებობის შემთხვევაში (*Alaverdyan v. Armenia* (dec.), 2010, § 35). მე-6 მუხლი ასევე არ ვრცელდება

გამოძიების ანგარიშებზე, რომლებიც მიმართულია ფაქტების დადგენასა და ჩაწერაზე და რომლებიც შემდგომში შეიძლება გამოყენებული იქნეს ხელისუფლების სხვა კომპეტენტური ორგანოების – სასამართლო, მარეგულირებელი, დისციპლინური ან თუნდაც საკანონმდებლო – მოქმედების საფუძვლად (მაშინაც კი, თუ ამ ანგარიშებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს შესაბამისი პირების რეპუტაციას). (*Fayed v. the United Kingdom*, 1994, § 61).

6. „დავა“ უნდა იყოს ნამდვილი და უნდა ატარებდეს სერიოზულ ხასიათს (*Sporrong and Lönnroth v. Sweden*, 1982, § 81; *Cipolletta v. Italy*, 2018, § 31; *Yankov v. Bulgaria* (dec.), 2019, §§ 26-27). ეს პირობა, მაგალითად, გამორიცხავდა ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ სამოქალაქო სამართალწარმოების აღძვრის შესაძლებლობას მხოლოდ აივ-დადებითი პატიმრების ციხეში ყოფნის საფუძველზე (*Skorobogatykh v. Russia* (dec.), 2006). სასამართლომ ასევე ცნო „დავა“ რეალურად საქმეში, რომელიც ეხებოდა პროკურორის მიმართ საჩივრის შეტანას სამართლებრივი ნორმების დარღვევის შესახებ, ვინაიდან ის წარმოადგენდა მთელი საქმისწარმოების განუყოფელ ნაწილს, რომელსაც მომჩივანი შეუერთდა როგორც სამოქალაქო მხარე, კომპენსაციის მიღების მიზნით (*Gorou v. Greece* (no. 2) [GC], 2009, § 35).

7. თუ საქმისწარმოება ეხება მხოლოდ მისაღებობის კრიტერიუმების დაცვის საკითხებს, მაშინ, როგორც წესი, არ არსებობს „დავა“ „სამოქალაქო“ უფლებებსა და მოვალეობებზე (*Nicholas v. Cyprus* (dec.), 2000; *Neshev v. Bulgaria* (dec.), 2003, დამატებითი მითითებით პრეცედენტულ სამართალზე; შდრ. მოსამართლეთა მიერ ჩატარებულ შემოწმებას, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური მოთხოვნებით *Xero Flor w Polsce sp. z o.o. v. Poland*, 2021, §§ 206-209). რიგ საქმეებში, როდესაც ეროვნული სასამართლოების წინაშე საჩივრები არ იქნა უარყოფილი პროცედურული საფუძველებით (რადგან სამართლებრივი დაცვის წინა საშუალება არ იყო გამოყენებული ან საქმე სასამართლოში იყო წარდგენილი იურისდიქციის გარეშე), სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნების მიერ ეროვნულ სასამართლოებში წამოჭრილი „დავა“ არც „ნამდვილი“ იყო და არც „სერიოზული“, რაც ნიშნავს, რომ 6 § 1 მუხლი გამოყენებადი არ იყო. ამ დასკვნის მიღწევისას მან აღნიშნა, რომ სარჩელის უარყოფა იყო განჭვრეტადი და რომ მომჩივნებს არ ჰქონდათ იმ სიტუაციის შეცვლის პერსპექტივა, რომელზეც ისინი ჩიოდნენ (*Astikos Oikodomikos Synetairismos Nea Konstantinoupolis v. Greece* (dec.), 2005; *Arvanitakis and Others v. Greece* (dec.), 2014; *Stavroulakis v. Greece* (dec.), 2014). სიტუაცია განსხვავებულია, როდესაც ეროვნულ სასამართლოებს (რომლებმაც უარყვეს იურისდიქცია) პირველად მოეთხოვათ წამოჭრილი სამართლებრივი საკითხის დადგენა (*Markovic and Others v. Italy* [GC], 2006, §§ 100-01). დასკვნა იმის შესახებ, რომ ეროვნულ სასამართლოს, რომელშიც საჩივარი იქნა შეტანილი, არ აქვს იურისდიქცია, ასევე შეიძლება იყოს მოქმედი კანონმდებლობის დეტალური შესწავლის შედეგი (*Károly Nagy v. Hungary* [GC], 2017, §§ 60, 72 და 75).

8. დავა შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ უფლების ფაქტობრივ არსებობას, არამედ მის მოქმედების სფეროს ან განხორციელების მეთოდს (*Bentham v. the Netherlands*, 1985, § 32; *Cipolletta v. Italy*, 2018, § 31). მაგალითად, ის ფაქტი, რომ მოპასუხე სახელმწიფო ფაქტობრივად არ ედავება წამების მსხვერპლთა კომპენსაციის უფლების არსებობას, არამედ მის ექსტრატერიტორიულ გამოყენებას, არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება იყოს „დავა“ ამ უფლებაზე კონვენციის მიზნებისთვის (*Naït-Liman v. Switzerland* [GC], 2018, § 107). დავა ასევე შეიძლება მოიცავდეს ფაქტობრივ საკითხებს.

9. საქმეში *Cipolletta v. Italy*, 2018, სასამართლომ შეიმუშავა თავისი პრეცედენტული სამართალი კომპანიის ადმინისტრაციული ლიკვიდაციის საქმისწარმოებაში ნამდვილი

და სერიოზული „დავის“ არსებობის შესახებ. მან მიზანშეწონილად მიიჩნია, მიეღო ახალი მიდგომა, რომელიც მოახდენდა მისი პრეცედენტული სამართლის ჰარმონიზაციას კრედიტორებისთვის უზრუნველყოფილ გარანტიებთან მიმართებით, გადახდისუუნარობის პროცედურის კონტექსტში ან სპეციალური ადმინისტრაციული ლიკვიდაციის პროცედურის ფარგლებში (§§ 33-37). ბანკის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, იხილეთ *Capital Bank AD v. Bulgaria*, 2005, §§ 86-88.

10. საქმისწარმოების შედეგი პირდაპირ გადაწყვეტი უნდა იყოს მოცემული უფლებისთვის (იხ., მაგალითად, *Ulyanov v. Ukraine* (dec.), 2010 და *Alminovich v. Russia* (dec.), 2019, §§ 31-32). შესაბამისად, სუსტი კავშირი ან შორეული შედეგები არ არის საკმარისი მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის ამოქმედებისთვის (*Boulois v. Luxembourg* [GC], 2012, § 90). მაგალითად, სასამართლომ დაადგინა, რომ ატომური ელექტროსადგურის ექსპლუატაციის ლიცენზიის განახლების კანონიერების გასაჩივრება არ ხვდებოდა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოქმედების სფეროს ფარგლებში, რადგან კავშირი განახლების გადაწყვეტილებასა და სიცოცხლის დაცვის უფლებას შორის, ფიზიკურ ხელშეუხებლობასა და საკუთრებას შორის, იყო „ზედმეტად სუსტი და შორეული“, რადგან მომჩივნებმა ვერ აჩვენეს, რომ ისინი პირადად იმყოფებოდნენ რისკის ქვეშ, რომელიც იყო არა მხოლოდ კონკრეტული, არამედ, უპირველეს ყოვლისა, გარდაუვალი (*Athanassoglou and Others v. Switzerland* [GC], 2000, §§ 46-55; *Balmer-Schafroth and Others v. Switzerland*, 1997, § 40; იხ. უფრო ახალი საქმე *Sdružení Jihočeské Matky v. the Czech Republic* (dec.), 2006 ; საქმისთვის, ქარხანაში შეზღუდულ ხმაურით დაბინძურების შესახებ (*Zapletal v. the Czech Republic* (dec.), 2010), ან სამთო ნარჩენების გამწმენდი ნაგებობის გარემოზე ჰიპოთეზური ზემოქმედების შესახებ (*Ivan Atanasov v. Bulgaria*, 2010, §§ 90-95; შდრ. *Bursa Barosu Başkanlığı and Others v. Turkey*, 2018, §§ 127-128).

11. დისციპლინური სამართალწარმოება, რომელიც პირდაპირ გავლენას არ ახდენს პროფესიით საქმიანობის გაგრძელების უფლებაზე, რამდენადაც ასეთი შედეგი მოითხოვს ცალკეული საქმისწარმოების აღძვრას, ასევე არ არის „გადამწყვეტი“ მე-6 მუხლის მიზნებისათვის (*Marušić v. Croatia* (dec.), 2017, §§ 74-75; იხილეთ სხვა კონტექსტში, *Morawska v. Poland* (dec.), 2020, § 72). უფრო მეტიც, წიგნის ავტორის წინააღმდეგ აღძრული სამართალწარმოება პლაგიატის ბრალდებით პირდაპირ არ არის გადაწყვეტი მე-6 მუხლის თვალსაზრისით ავტორის სამოქალაქო უფლებისთვის, ჰქონდეს კარგი რეპუტაცია (§§ 72 და 73). თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ დავის შედეგი, რომელიც ეხებოდა სხვა კანდიდატის დანიშვნას თანამდებობაზე, რომელზეც პრეტენდენტი იყო მომჩივანი, გადაწყვეტი იყო კანონიერი და სამართლიანი დაწინაურების პროცედურის უფლებისთვის (*Bara and Kola v. Albania*, 2021, § 58, და ციტირებული პრეცედენტული სამართლის მითითებები).

12. ამის საპირისპიროდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი გამოყენებადია საქმეში, რომელიც ეხება კაშხლის მშენებლობას, რომელიც დატბორავდა მომჩივანთა სოფელს (*Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*, 2004, § 46) და საქმეში, რომელიც ეხება ოქროს მადაროს ექსპლუატაციის ნებართვას, მომჩივანთა სოფლების მახლობლად ციანიდის გამორეცხვის გამოყენებით (*Taşkın and Others v. Turkey*, 2004, § 133; *Zander v. Sweden*, §§ 24-25).

13. გარემოს დაცვის ადგილობრივი ასოციაციის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით, დაგეგმვის ნებართვის სასამართლო განხილვის თაობაზე, სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა საკმარისი კავშირი დავასა და იურიდიული პირის მიერ მოთხოვნილ უფლებას შორის, კერძოდ, ასოციაციისა და მისი დამფუძნებლების სტატუსისა და ფაქტის თვალსაზრისით, რომ მისი მიზანი იყო შეზღუდული სივრცეში და

არსებითად (*L'Érablière A.S.B.L. v. Belgium*, 2009, §§ 28-30). გარდა ამისა, პირის ქმედუნარიანობის აღდგენის პროცესი პირდაპირ გადამწყვეტია მისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობებისათვის (*Stanev v. Bulgaria* [GC], 2012, § 233).

14. საქმეში *Denisov v. Ukraine* [GC], 2018, მომჩივანი გაათავისუფლეს ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან მისი ადმინისტრაციული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების გამო. ის დარჩა იმავე სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ დავა მომჩივნის მიერ ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელზეც ის დაინიშნა ხუთი წლის ვადით, იყო სერიოზული, თუ გავითვალისწინებთ სასამართლოს თავმჯდომარის როლს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით და პოტენციურ პირდაპირ მატერიალურ შედეგებს (§§ 47-49).

2. სადავო უფლების ან მოვალეობის არსებობა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში

15. რაც შეეხება კონვენციიდან გამომდინარე „უფლების“ „ავტონომიური“ ცნების არსებობას, „უნდა არსებობდეს „დავა“ „უფლების“ შესახებ, რომელიც, შეიძლება ითქვას, სულ მცირე, საკამათო საფუძვლებზე, უნდა იყოს აღიარებული შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა ის კონვენციით“ (*Boulois v. Luxembourg* [GC], 2012, § 90; *Denisov v. Ukraine* [GC], 2018, § 44; *Bilgen v. Turkey*, 2021, §§ 56 და 63).

16. ამრიგად, მომჩივნის მიერ მითითებულ მატერიალურ უფლებას ეროვნულ სასამართლოებში ან „ვალდებულებას“ (*Evers v. Germany*, 2020, §§ 67-68), უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი შესაბამის სახელმწიფოში (*Roche v. the United Kingdom* [GC], 2005, § 119; *Boulois v. Luxembourg* [GC], 2012, § 91; *Károly Nagy v. Hungary* [GC], 2017, §§ 60-61). უნდა დადგინდეს ის, იყო თუ არა მომჩივნის არგუმენტები „საკმარისად დამაჯერებელი“, და არა ის, წარმატებული იქნებოდა თუ არა მომჩივანი (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, §§ 268-269, ასევე იხ. § 286).

17. იმისათვის, რომ გადაწყვიტოთ, აქვს თუ არა „უფლებას“ ან „მოვალეობას“ საფუძველი შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დებულებები და მათი განმარტება ეროვნული სასამართლოების მიერ (*Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland* [GC], 2016, § 97; *Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, § 100; *Denisov v. Ukraine* [GC], 2018, § 45; *Evers v. Germany*, 2020, § 66), ხოლო სასამართლომ შეიძლება მიმართოს საერთაშორისო სამართლის წყაროებს ან ევროპის საბჭოს საერთო ღირებულებებს განმარტების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას (*Enea v. Italy* [GC], 2009, § 101; *Boulois v. Luxembourg* [GC], 2012, §§ 101-102; *Nait-Liman v. Switzerland* [GC], 2018, §§ 106 and 108; და უფრო ახალი საქმე *Bilgen v. Turkey*, 2021, §§ 53, §§ 62-64).

18. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განმარტების პრობლემები, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ორგანოების, კერძოდ კი, სასამართლოების პასუხისმგებლობაა. სასამართლოს როლი შემოიფარგლება იმით, რომ შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა ამგვარი განმარტების შედეგები კონვენციას. ამგვარად, გარდა აშკარა თვითნებობის შემთხვევებისა, სასამართლომ ეჭვქვეშ არ უნდა დააყენოს ეროვნული სასამართლოების მიერ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განმარტება (*Nait-Liman v. Switzerland* [GC], 2018, § 116). ამრიგად, თუ ზემდგომმა ეროვნულმა სასამართლოებმა ყოვლისმომცველად და დამაჯერებლად გააანალიზეს სადავო შეზღუდვის ზუსტი ხასიათი კონვენციის

შესაბამისი პრეცედენტული სამართლისა და მისგან გამომდინარე პრინციპების საფუძველზე, სასამართლოს დასჭირდებოდა ძლიერი მიზეზები, რათა განშორებოდა ამ სასამართლოების მიერ მიღწეულ დასკვნას, შეეცვალა ისინი საკუთარი შეხედულებებით შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განმარტების საკითხთან დაკავშირებით და მათი მოსაზრების საწინააღმდეგოდ დაედგინა, რომ არსებობს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით აღიარებული სადავო უფლება (*Károly Nagy v. Hungary* [GC], 2017, §§ 60 და 62; *X and Others v. Russia*, 2020, § 48).

19. საქმეში *Nait-Liman v. Switzerland* [GC], 2018, სასამართლომ ასევე გაითვალისწინა საერთაშორისო სამართლის გარკვეული ასპექტები დასკვნისას, რომ მომჩივანს შეეძლო მოეთხოვა შვეიცარიის კანონმდებლობით აღიარებული უფლება. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციაზე, რომელიც გახდა ეროვნული სამართლებრივი სისტემის განუყოფელი ნაწილი შვეიცარიის მიერ რატიფიცირების შემდეგ, რომელიც ეროვნულ ხელისუფლების ორგანოებს ავალდებულებს მის დაცვას (§ 108; ასევე იხ. *Enea v. Italy* [GC], 2009, § 101; და შდრ. *Boulois v. Luxembourg* [GC], 2012, § 102).

20. უნდა აღინიშნოს, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენებადობის შესაფასებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს მომჩივნის მიერ შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოებისას დამტკიცებული უფლება (*Stichting Mothers of Srebrenica and Others v. the Netherlands* (dec.), 2013, § 120). თუ საქმისწარმოების დასაწყისში იყო ნამდვილი და სერიოზული დავა ასეთი უფლების არსებობასთან დაკავშირებით, ფაქტი, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ ეს უფლება არ არსებობდა, რეტროსპექტიულად არ ართმევს მომჩივნის საჩივარს არგუმენტაციას (*Z and Others v. the United Kingdom* [GC], 2001, §§ 88- 89; აგრეთვე, სადაც ეროვნულ სასამართლოებს მოეთხოვათ პირველად გადაეწყვიტათ მოცემული საკითხი, *Markovic and Others v. Italy* [GC], 2006, §§ 100-02; შდრ. და შეუპირისპირეთ *Károly Nagy v. Hungary* [GC], 2017, §§ 75-77 and *X and Others v. Russia*, 2020, § 47).

რაც შეეხება დროის იმ მომენტს, რომელსაც უნდა ეხებოდეს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში „სადავო“ უფლების არსებობის ან არარსებობის შეფასება, კანონმდებლობის ცვლილების შემთხვევაში, იხილეთ *Baka v. Hungary* [GC], 2016, § 110 და *Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 285, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ კითხვაზე „არსებობდა თუ არა“ უფლება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, არ შეიძლება პასუხი გაცემულიყო ახალი კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მომჩივნების (როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის/მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს წევრის) უფლებამოსილება *ex lege* იქნა შეწყვეტილი, არ შეიძლება ჩაითვალოს იმ „უფლების“ „სადავობის“ რეტროსპექტიულ აღმოფხვრად, რომელიც მათ შეეძლოთ მოეთხოვათ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის ფარგლებში, მათი დანიშვნის დროს მოქმედი წესების შესაბამისად.

21. არსებობს „უფლება“ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში, რომლის თანახმადაც, შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში აღიარებულ მატერიალურ უფლებას ახლავს სასამართლოს მეშვეობით მისი აღსრულების პროცედურული უფლება (*Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, § 99). სარგებლობდნენ თუ არა ხელისუფლების ორგანოები დისკრეციით გადაწყვეტილების მიღებისას, მიეკუთვნებიან თუ არა მომჩივნის მიერ მოთხოვნილი ზომა, შეიძლება იქნეს გათვალისწინებული და გადაწყვეტიც კი (*Boulois v. Luxembourg* [GC], 2012, § 93; *Fodor v. Germany* (dec.), 2006). თუმცა, ის ფაქტი, რომ სამართლებრივი დებულების ფორმულირება უშვებს დისკრეციის ელემენტს, თავისთავად არ გამორიცხავს „უფლების“ არსებობას *Pudas v. Sweden*, 1987, § 34;

Miessen v. Belgium, 2016, § 48). მართლაც, მე-6 მუხლი გამოიყენება მაშინ, როდესაც სამართალწარმოება ეხება დისკრეციულ გადაწყვეტილებას, რომელიც იწვევს ჩარევას მომჩივნის უფლებებში (*Obermeier v. Austria*, 1990, § 69; *Mats Jacobsson v. Sweden*, 1990, § 32).

22. ზოგ შემთხვევაში შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ არ აღიარებს, რომ პირს აქვს სუბიექტური უფლება, იძლევა უფლებას საჩივრის განხილვის პროცედურაზე, მათ შორის, ისეთ საკითხებზე, როგორცაა იყო თუ არა გადაწყვეტილება თვითნებური ან უფლებამოსილებების გადამეტებით ან იყო თუ არა პროცედურული დარღვევები (*Van Marle and Others v. the Netherlands*, 1986, § 35). ეს ეხება გარკვეულ გადაწყვეტილებებს, სადაც ხელისუფლების ორგანოებს აქვთ წმინდად დისკრეციული უფლებამოსილება, მიაკუთვნონ ან უარყონ უპირატესობა ან პრივილეგია; ამავდროულად კანონი აძლევს დაინტერესებულ პირს საშუალებას, მიმართოს სასამართლოს, რომელსაც შეუძლია გააუქმოს გადაწყვეტილება, თუ ის დაადგენს მის უკანონობას. ასეთ შემთხვევაში მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი გამოიყენება იმ პირობით, რომ მიკუთვნებული უპირატესობა ან პრივილეგია წარმოშობს სამოქალაქო სამართალს უფლებას (*Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, § 105). ციტირებულ საქმეში მომჩივანს არ ჰქონდა უფლება, მიეღო უსაფრთხოების დაშვება, რაც დარჩა ხელისუფლების ორგანოების დისკრეციად, მაგრამ მას შემდეგ, რაც მიიღო ასეთი დაშვება თავდაცვის სამინისტროში თავისი მოვალეობების შესასრულებლად, მას უფლება ჰქონდა, გაესაჩივრებინა მისი გაუქმება.

23. საქმეში *Mirovni Inštitut v. Slovenia*, 2018, სასამართლომ გამოიყენა ეს პრინციპები ხელისუფლების ორგანოების მიერ კვლევისთვის გრანტისთვის გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებით (§ 29). მიუხედავად იმისა, რომ მომჩივან ინსტიტუტს არ ჰქონდა უფლება, მიეღო დაფინანსება, ხოლო სხვადასხვა საკონკურსო განცხადების არსებითი განხილვა ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციაში იყო, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივან ინსტიტუტს აშკარად ჰქონდა საკონკურსო განცხადების კანონიერი და სათანადო განხილვის პროცედურული უფლება. თუ მისი საკონკურსო განცხადება დაკმაყოფილდებოდა, ის მიიღებდა სამოქალაქო უფლებას. ამიტომ მე-6 მუხლი გამოიყენება იყო (§§ 28-30). უფრო ზოგადად, სასამართლომ განიხილა თავისი პრეცედენტული სამართალი მე-6 მუხლის სატენდერო პროცედურებთან მიმართებით გამოყენებადობასთან დაკავშირებით.

24. თუმცა, მე-6 მუხლი არ გამოიყენება, თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, უფლების მინიჭების გარეშე, იძლევა გარკვეულ უპირატესობას, რომლის აღიარება შეუძლებელია სასამართლოებში (*Boulois v. Luxembourg* [GC], 2012, §§ 96 და 101). მსგავსი სიტუაცია წარმოიქმნება, როდესაც პირის უფლებები შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით შემოიფარგლება უფლების მიკუთვნების იმედით, ხოლო ამ უფლების ფაქტობრივი მიკუთვნება დამოკიდებულია ხელისუფლების სრულიად დისკრეციულ და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებაზე (*Roche v. the United Kingdom* [GC], 2005, §§ 122-125; *Masson and Van Zon v. the Netherlands*, 1995, §§ 49-51; *Ankarcrona v. Sweden* (dec.), 2000). აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებობს გარკვეული შემწყნარებლობა ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მხრიდან, კანონი ვერ ცნობს კანონით აკრძალული ქმედებების ჩადენის „უფლებას“ (*De Bruin v. the Netherlands* (dec.), 2013, § 58).

25. სასამართლომ მიუთითა, რომ აქვს თუ არა პირს მოქმედი შიდა მოთხოვნა, შეიძლება დამოკიდებული იყოს, სწორედ რომ ვთქვათ, არა მხოლოდ შესაბამისი სამოქალაქო სამართლის შინაარსზე, როგორც ეს განსაზღვრულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობაში, არამედ პროცედურული ბარიერების არსებობაზეც, რომლებიც ხელს უშლის ან ზღუდავს სასამართლოში პოტენციური საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას (*Fayed v. the United Kingdom*, 1994, § 65). ამ შემთხვევაში შიდასახელმწიფოებრივი

კანონმდებლობა აღიარებს, რომ პირს აქვს არსებითი უფლება, მაშინაც კი, თუ რაიმე მიზეზით არ არსებობს სამართლებრივი საშუალებები ამ უფლების სასამართლოში დასამტკიცებლად ან აღსრულებისთვის. ამ ტიპის შემთხვევებში შეიძლება გამოყენებული იქნეს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი (*Al-Adsani v. the United Kingdom* [GC], 2001, § 47; *McElhinney v. Ireland* [GC], 2001, § 25). თუმცა, კონვენციის ინსტიტუტებს არ შეუძლიათ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის განმარტებით შექმნან მატერიალური სამოქალაქო უფლება, რომელსაც არ აქვს სამართლებრივი საფუძველი შესაბამის სახელმწიფოში (*Károly Nagy v. Hungary* [GC], 2017, §§ 60-61; *Roche v. the United Kingdom*, 2005, § 117). საქმეში *Károly Nagy v. Hungary* [GC], 2017, §§ 60-61, სასამართლომ ხაზი გაუსვა პროცედურულ და არსებით ელემენტებს შორის განსხვავების შენარჩუნების მნიშვნელობას: მიუხედავად იმისა, რომ ეს განსხვავება შეიძლება იყოს მცირე ეროვნული სამართლებრივი დებულებების კონკრეტულ ჯგუფში, ის რჩება გადამწყვეტად გამოყენებადობისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, მე-6 მუხლის გარანტიების მოქმედების სფეროსთვის. სასამართლომ დაადასტურა თავისი პრეცედენტული სამართალი, რომ მე-6 მუხლი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით არსებული უფლების არსებით შეზღუდვებთან (*Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, § 100; *Roche v. the United Kingdom*, 2005; *Boulois v. Luxembourg*, 2012).

26. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით, არსებით შეზღუდვებსა და საპროცესო შეზღუდვებს შორის განსხვავების გამოყენებით სასამართლომ, მაგალითად, ცნო, რომ პოლიციის წინააღმდეგ (*Osman v. the United Kingdom*, 1998) ან სხვა ორგანოების წინააღმდეგ შეტანილი საჩივრები სამოქალაქო დაუდევრობის შესახებ ხვდება მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოქმედების ფარგლებში (*Z and Others v. the United Kingdom* [GC], 2001) და განიხილა, არის თუ არა კონკრეტული შეზღუდვა (სამართლებრივი დევნიდან გათავისუფლება ან პასუხისმგებლობის არარსებობა) პროპორციული მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის თვალსაზრისით. იმუნიტეტი აქ უნდა განიხილებოდეს არა როგორც არსებითი უფლების კვალიფიკაცია, არამედ როგორც პროცედურული ბარიერი ეროვნული სასამართლოების უფლებამოსილების განსაზღვრის მიზნით (*Al-Adsani v. the United Kingdom* [GC], 2001, § 48; *Cudak v. Lithuania* [GC], 2010, § 57). მეორე მხრივ, სასამართლომ დაადგინა, რომ კრაუნის გათავისუფლება სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან შეიარაღებული ძალების წევრებთან მიმართებით გამომდინარეობს არსებითი შეზღუდვისგან და რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ ცნობს „უფლებას“ მე-6 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში (*Roche v. the United Kingdom* [GC], 2005, § 124; *Hotter v. Austria* (dec.), 2010; *Andronikashvili v. Georgia* (dec.), 2010) განცხადება, რომლითაც სასამართლო სისტემის ერთ-ერთმა შტომ უარყო იურისდიქცია, რომ განესაზღვრა მომჩივნის კომპენსაციის მოთხოვნა, განხილული იქნა საქმეში *Károly Nagy v. Hungary* [GC], 2017, § 60. სასამართლოში მომჩივნების მიმართვის დროს მოქმედ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე მითითებით სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოების განცხადება, რომ მათ არ გააჩნდათ იურისდიქცია, არც თვითნებური იყო და არც ამკარად დაუსაბუთებელი. ამის გათვალისწინებით, მომჩივანს არავითარ შემთხვევაში არ ჰქონდა „უფლება“, რომელიც შეიძლება ითქვას, სულ მცირე, სადავო საფუძველით, აღიარებული იყო შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით (§§ 75-77). საქმეში *Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], 2007, § 41, სასამართლომ აღიარა კომპენსაციის „სადავო“ უფლების არსებობა.

27. სასამართლომ აღიარა, რომ ასოციაციებს ასევე შეუძლიათ მოითხოვონ დაცვა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, თუ ისინი ცდილობენ თავიანთი წევრების კონკრეტული უფლებებისა და ინტერესების (*Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*, 2004, § 45) ან თუნდაც კონკრეტული უფლებების აღიარებას, რომლებზეც მათ პრეტენზია აქვთ,

როგორც იურიდიულ პირებს (მაგალითად, როგორცაა „საზოგადოების“ უფლება ინფორმაციაზე და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის უფლება (*Collectif national d'information et d'opposition à l'usine Melox – Collectif Stop Melox and Mox v. France* (dec.), 2006), ან როდესაც ასოციაციის ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც *actio popularis* (*L'Érablière A.S.B.L. v. Belgium*, 2009). როგორც აღინიშნა *Association Burestop 55 and Others v. France*, 2021 წელს, ასოციაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, მათ შორის, ინტერესების დაცვაში ეროვნული ხელისუფლების ორგანოების ან სასამართლოების წინაშე, კერძოდ, გარემოს დაცვასთან დაკავშირებით და ეს ნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული კრიტერიუმები მოქნილად უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც ასოციაცია ჩივის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევის შესახებ (§§ 53 და მომდევნო)¹.

28. მიუხედავად იმისა, რომ პრინციპში კონვენციის შესაბამისად არ არსებობს საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება, რომელიც დაკავშირებულია მართლმსაჯულების განხორციელებასთან, ასეთი უფლება შეიძლება არსებობდეს ეროვნულ დონეზე (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 270, მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს ოთხწლიანი ვადით არჩევის შესახებ და §§ 282-286). საქმეში *Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, სასამართლომ გაიმეორა, რომ ეჭვგარეშე იყო უფლების არსებობა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში, როდესაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში აღიარებულ არსებით უფლებას ახლავს სასამართლოს მეშვეობით ამ უფლების აღსრულების პროცედურული უფლება. ის ფაქტი, რომ სამართლებრივი დებულების ფორმულირება უშვებს დისკრეციის ელემენტს, თავისთავად არ გამორიცხავს უფლების არსებობას. მართლაც, მე-6 მუხლი გამოიყენება მაშინ, როდესაც სამართალწარმოება ეხება დისკრეციულ გადაწყვეტილებას, რომელიც იწვევს ჩარევას მომჩივნის უფლებებში (§ 102). სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო სამსახურის დაქირავების კანონიერ და სამართლიან პროცედურაში მონაწილეობის უფლება წარმოადგენს „უფლებას“ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში (*Frezadou v. Greece*, 2018, § 30). შესაბამისად, დაქირავების ან დაწინაურების კანონიერი და სამართლიანი პროცედურის უფლება შეიძლება აღიარებული იყოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, როგორც სასამართლომ დაადგინა, მაგალითად, უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე საჯარო მოსამსახურის დანიშვნის შესახებ დავასთან დაკავშირებით (*Bara and Kola v. Albania*, 2021, §§ 55-56).

29. თუ კანონმდებლობა ადგენს პროფესიაში ან სპეციალობაში მიღების პირობებს, კანდიდატს, რომელიც აკმაყოფილებს მათ, უფლება აქვს ჩაერთოს პროფესიაში ან სპეციალობაში (*De Moor v. Belgium*, 1994, § 43). მაგალითად, თუ მომჩივანს აქვს არგუმენტირებული მტკიცებულება, რომ ის აკმაყოფილებს ექიმად რეგისტრაციისთვის კანონიერ მოთხოვნებს, გამოიყენება მე-6 მუხლი (*Chevrol v. France*, 2003, § 55; იხ., საპირისპიროდ, *Bouilloc v. France* (dec.), 2006). ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც სამოქალაქო უფლების პროცედურის კანონიერება შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს მომჩივნის მიერ გამოყენებული სამართლებრივი დაცვის საშუალებით, უნდა დავასკვნათ, რომ ადგილი ჰქონდა „დავას“ „სამოქალაქო უფლებასთან“ დაკავშირებით, თუნდაც საბოლოოდ დადგინდეს, რომ მომჩივანი არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს (უფლება, განაგრძოს სამედიცინო სპეციალობა, რომელიც მომჩივანმა მიიღო საზღვარგარეთ): *Kök v. Turkey*, 2006, § 37, ან საჩივარი სასამართლო ექსპერტის წოდების შესახებ, *Cimperšek v. Slovenia*, 2020, §§ 35-36).

¹ იხ. [გზამკვლევი გარემოს დაცვის შესახებ](#).

30. დაკომპლექტება, დასაქმების ხელმისაწვდომობის კონტექსტში, პრინციპში არის პრივილეგია, რომელიც შეიძლება მინიჭებული იქნეს შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს შეხედულებისამებრ და არ შეიძლება აღსრულდეს კანონით. მე-6 მუხლის მიზნებისათვის ეს საკითხი უნდა განვსახვათ შრომითი ურთიერთობის გაგრძელებისგან ან იმ პირობებისგან, რომლებშიც ის ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებასა და შესრულებულ ფუნქციებზე ხელმისაწვდომობა, პრინციპში, შეიძლება იყოს პრივილეგია, რომელიც არ ექვემდებარება კანონით აღსრულებას, ეს არ ეხება შრომითი ურთიერთობის გაგრძელებას ან მისი განხორციელების პირობებს (*Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, § 117). საქმეში *Baka v. Hungary* [GC], 2016, მაგალითად, სასამართლომ აღიარა უნგრეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლება, სრულად მოეხადა ექვსწლიანი ვადა უნგრეთის კანონმდებლობის შესაბამისად (§§ 107-111); ხოლო საქმეში *Grzęda v. Poland* [GC], 2022, სასამართლო მსგავს დასკვნამდე მივიდა მოსამართლეთა ეროვნულ საბჭოში არჩეულ მოსამართლესთან დაკავშირებით (§ 282; ასევე იხილეთ *Żurek v. Poland*, 2022, § 131, მოსამართლის შესახებ, რომელიც ასევე ასრულებდა მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს პრესსპიკერის მოვალეობას) და მიუთითა საერთაშორისო წყაროებზე (§ 284). გარდა ამისა, კერძო სექტორში შრომის კანონმდებლობა, როგორც წესი, აძლევს თანამშრომლებს უფლებას, განახორციელონ სამართლებრივი ზომები, რათა გაასაჩივრონ მათი სამსახურიდან გათავისუფლება, თუ მიაჩნიათ, რომ ისინი უსამართლოდ გაათავისუფლეს ან ცალმხრივი არსებითი ცვლილებები განხორციელდა მათ შრომით ხელშეკრულებაში. იგივე ეხება საჯარო სექტორის თანამშრომლებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოიყენება საქმეში *Vilho Eskelinen and Others v. Finland*, 2007, გათვალისწინებული გამონაკლისი (*Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, § 117; და *Kövesi v. Romania*, 2020, § 115, პროკურორთან დაკავშირებით).

31. საქმეში *Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელმა გაასაჩივრა მისი უსაფრთხოების დაშვების გაუქმება, რამაც ხელი შეუშალა მას, შეესრულებინა პირველი ვიცე-მინისტრის მოადგილის მოვალეობა. უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხოების დაშვება არ არის ავტონომიური უფლება. თუმცა, ეს იყო მომჩივნისთვის ფუნდამენტური პირობა თავისი ვალდებულებების შესასრულებლად. მისმა გაუქმებამ გადამწყვეტი გავლენა იქონია მის პირად და პროფესიულ მდგომარეობაზე, რამაც ხელი შეუშალა მას სამინისტროში გარკვეული მოვალეობების შესრულებაში და დააზიანა სახელმწიფო ორგანოებში ახალი თანამდებობის დაკავების პერსპექტივა. ეს ფაქტორები საკმარისად იქნა მიჩნეული იმისთვის, რომ მომჩივანს შეიძლებოდა მოეთხოვა „უფლება“ მე-6 მუხლის მიზნებისათვის მისი უსაფრთხოების დაშვების გაუქმების გასაჩივრებისას (§ 119; ასევე იხილეთ პრეცედენტული სამართლის მითითებები § 109-ში საქმეზე *Ternovskis v. Latvia*, 2014, §§ 9-10, და § 112-ში საქმეზე *Mirvana Petrova v. Bulgaria*, 2016, §§ 30-35).

3. უფლების ან მოვალეობის „სამოქალაქო“ ხასიათი

32. უნდა ჩაითვალოს თუ არა უფლება ან მოვალეობა (*Evers v. Germany*, 2020, § 65), სამოქალაქოდ კონვენციის ჭრილში, უნდა განისაზღვროს მისი არსებითი შინაარსისა და შედეგების საფუძველზე – და არა მისი სამართლებრივი კლასიფიკაციის საფუძველზე – შესაბამისი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად. საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებისას სასამართლომ ასევე უნდა გაითვალისწინოს კონვენციის ობიექტი და მიზანი და სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნული სამართლებრივი სისტემები (*König v. Germany*, 1978, § 89).

33. პრინციპში, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენებადობა კერძო პირებს შორის დავების მიმართ, რომლებიც სამოქალაქოდ არის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით კლასიფიცირებული, არ არის სადავო სასამართლოში (სასამართლოს დაყოფის შესახებ იხ. *Airey v. Ireland*, 1979, § 21). სასამართლომ გამოიყენა მე-6 მუხლი (სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტი) დავების მიმართ, რომლებიც წარდგენილი იქნა არბიტრაჟში (იხილეთ, *Mutu and Pechstein v. Switzerland*, 2018, §§ 56-59 და, მაგალითად, *Xavier Lucas v. France*, 2022, §§ 30-32).

34. სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის ფარგლებში შედის საქმისწარმოება, რომელიც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში მოიხსენიება როგორც „საჯარო სამართალი“ და რომლის შედეგი გადამწყვეტია კერძო უფლებებისა და მოვალეობების ან „არსებითი უფლებების“ დასაცავად (იხილეთ უკანასკნელი მიმოხილვა საქმეში *Bilgen v. Turkey*, 2021, § 65). ასეთი საქმისწარმოება, მათ შორის, შეიძლება ეხებოდეს მიწის გაყიდვას (*Ringeisen v. Austria*, 1971, § 94), კერძო კლინიკის მართვას (*König v. Germany*, 1978, §§ 94-95), სამშენებლო ნებართვას (იხილეთ, მათ შორის, *Sporrong and Lönnroth v. Sweden*, 1982, § 79), საკუთრების უფლების დადგენას, მათ შორის, ურთიერთობას თაყვანისცემის ადგილთან (*Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, §§ 71-73), ადმინისტრაციულ ნებართვას საქმიანობის გაგრძელების მოთხოვნასთან დაკავშირებით (*Bentham v. the Netherlands*, 1985, § 36), ალკოჰოლური სასმელებს მომსახურების ლიცენზიას (*Tre Traktörer Aktiebolag v. Sweden*, 1989, § 43) ან დავას სამსახურთან დაკავშირებული ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევისთვის კომპენსაციის გადახდას (*Chaudet v. France*, 2009, § 30). საჩივარი კონკურენტ კომპანიაზე გაცემული ლიცენზიების კანონიერების განხილვის თაობაზე მეზობელ რაიონში მსგავსი საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციისთვის, რამდენადაც ეს დაკავშირებულია კლიენტურის დაკარგვასთან კონკურენტის მიზეზით, ეხება „მატერიალურ ინტერესს“ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის ფარგლებში (*Sine Tsagarakis A.E.E. v. Greece*, 2019, §§ 38-43).

35. საქმეში, რომელიც ეხებოდა ადმინისტრაციული ორგანოების უარს საბოლოო გადაწყვეტილებების შესრულებაზე ქარხნის მშენებლობის ნებართვის გაუქმების შესახებ, კერძოდ, გარემოსდაცვითი საფუძვლებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიერ დამტკიცებული ინტერესების ზოგადი ხასიათის მიუხედავად, მე-6 მუხლი გამოყენებადი იყო. როგორც ახლომდებარე სახლების მაცხოვრებლები, ისინი უჩიოდნენ ეროვნულ სასამართლოებს, რომ ქარხნის საქმიანობა მავნე ზემოქმედებას ახდენდა გარემოზე და სასამართლომ დაასკვნა, რომ მათ შეეძლოთ მოეთხოვათ სამოქალაქო უფლების ქონა. სასამართლომ გაითვალისწინა, თუ რა იყო სამართალწარმოების საგანი, გასაჩივრებული ზომების ხასიათი და მომჩივნების პოზიცია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად (*Bursa Barosu Başkanlığı and Others v. Turkey*, 2018, §§ 127-128; ასევე იხილეთ *Stichting Landgoed Steenberg and Others v. the Netherlands*, 2021, § 30).

36. მე-6 მუხლი გამოიყენება სახელმწიფოს წინააღმდეგ დაუდევრობის სარჩელის მიმართ (*X v. France*, 1992), სარჩელის მიმართ, მომჩივნის უფლებების დამრღვევი ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ (*De Geouffre de la Pradelle v. France*, 1992), ადმინისტრაციული წარმოების მიმართ, რომელიც ეხება მომჩივნის წყლებში თევზჭერის აკრძალვას (*Alatulkkila and Others v. Finland*, 2005, § 49) და საქმისწარმოების მიმართ, რომელიც ეხება ტენდერის მიკუთვნების შესახებ დავას, რომელშიც სამოქალაქო უფლება - როგორცაა რელიგიური საფუძვლით ან პოლიტიკური შეხედულების გამო არადისკრიმინაციის უფლება საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულების კონტრაქტის ტენდერში მონაწილეობისას – დევს სასწორზე (*Tinnelly & Sons Ltd and Others and McElduff and Others v. the United Kingdom*, 1998, § 61; შეუპირისპირეთ

I.T.C. Ltd v. Malta (dec.), 2007). მე-6 მუხლი ასევე გამოიყენება ცეცხლსასროლი იარაღის ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ პროცედურებთან, როდესაც მომჩივნები შედიოდნენ მონაცემთა ბაზაში, რომელიც შეიცავს ინფორმაციას საზოგადოებისთვის პოტენციური საფრთხის შემცველი პირების შესახებ (*Pocius v. Lithuania*, 2010, §§ 38-46; *Užukauskas v. Lithuania*, 2010, §§ 34-39). მომჩივნები მიმართეს სამართალწარმოებას პოლიციის დოსიეში მათი შეყვანის გასაჩივრებით და მოითხოვეს მათი სახელების ბაზიდან ამოღება. სასამართლომ დაასკვნა, რომ მე-6 მუხლი გამოიყენება იყო იმ მოტივით, რომ მომჩივნების სახელების მონაცემთა ბაზაში შეტანა გავლენას ახდენდა მათ რეპუტაციაზე, პირად ცხოვრებასა და დასაქმების პერსპექტივაზე.

37. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ასევე გამოიყენება სამოქალაქო სარჩელთან მიმართებით, რომელიც მოითხოვს კომპენსაციას სახელმწიფო აგენტების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი არასათანადო მოპყრობისთვის (*Aksoy v. Turkey*, 1996, § 92), საჯარო ხელისუფლების წინააღმდეგ სარჩელის მიმართ, არამატერიალური ზიანისა და ხარჯებისთვის (*Rotaru v. Romania* [GC], 2000, § 78) ან უსაფრთხოების დაშვების გაუქმების მიმართ, რომელიც მიენიჭა მომჩივანს, რათა მას შესძლებოდა თავდაცვის ვიცე-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შესრულება (*Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, §§ 113-127).

B. სხვა ტიპის დავებზე გავრცელება

38. მე-6 მუხლში მოცემული ცნების – „სამოქალაქო“ – მოქმედების სფერო არ შემოიფარგლება დავის უშუალო საგნით. ნაცვლად ამისა, სასამართლომ შეიმუშავა უფრო ფართო მიდგომა, რომლის მიხედვითაც „სამოქალაქოსამართლებრივი“ ასპექტი მოიცავს საქმეებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, შეიძლება არ ჰგავდეს, რომ ეხება სამოქალაქო უფლებას, მაგრამ რომელსაც შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი და მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები კერძო არსებითი ან არამატერიალური უფლებისთვის, რომელსაც ფლობს ფიზიკური პირი. ამ მიდგომის წყალობით, მე-6 მუხლის სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტი გამოიყენებოდა სხვადასხვა დავის მიმართ, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში შეიძლება მიეკუთვნებოდეს საჯარო სამართლის დავებს (*Denisov v. Ukraine* [GC], 2018, § 51).

39. მე-6 მუხლი გამოიყენება დისციპლინური სამართალწარმოების მიმართ პროფესიული ორგანოების წინაშე, სადაც სასწორზე დევს პროფესიის განხორციელების უფლება (*Reczkowicz v. Poland*, 2021, §§ 183-185 და მითითებები პრეცედენტულ სამართალზე, რომელიც ციტირებულია მოსამართლეებთან და პრაქტიკოს ადვოკატებთან მიმართებით; *Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium* (ექიმები); *Philis v. Greece (no. 2)*, 1981, § 45 (ინჟინერი); *Peleki v. Greece*, 2020, § 39, ნოტარიუსთან დაკავშირებით; შეადარეთ და შეუპირისპირეთ *Ali Riza and Others v. Turkey*, 2020, §§ 155 and 159-160, სპორტულ დავებთან დაკავშირებით). მე-6 მუხლის გამოყენებადობა დისციპლინური სამართალწარმოების მიმართ განისაზღვრება იმ სანქციების საფუძველზე, რომლებიც პირს ემუქრება სავარაუდო დანაშაულის შედეგად (*Marušić v. Croatia* (dec.), 2017, §§ 72-73 – მე-6 მუხლი არ გამოიყენება). საქმის განხილვის კონკრეტული შედეგი არ არის გადამწყვეტი მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენებადობის შესაფასებლად; შესაბამის შემთხვევებში შეიძლება საკმარისი იყოს, რომ პროფესიის განხორციელების უფლებას საფრთხე დაემუქროს, უბრალოდ იმიტომ, რომ პროფესიის განხორციელების შეჩერება არის იმ ზომებს შორის, რომლებიც შესაძლოა განხორციელდეს მომჩივნის წინააღმდეგ (*Peleki v. Greece*, 2020, § 39). პრეცედენტული სამართალი მე-6 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, საჯარო მოსამსახურეების წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების მიმართ, ეხება ვილჰო ესკელინენის ტესტს (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 120 და

ციტირებული პრეცედენტული სამართლის მითითებები და § 196; *Eminağaoğlu v. Turkey*, 2021, § 66, მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით; *Grace Gatt v. Malta*, 2019, §§ 60-63, პოლიციელის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით). მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ასევე გამოიყენება დისციპლინური სანქციების მიმართ სპორტის სფეროში (*Sedat Doğan v. Turkey*, 2021, §§ 20-21 და *Naki and AMED Sportif Faaliyetler Kulübü Derneği v. Turkey*, 2021, § 20).

40. სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი გამოიყენება *სოციალურ საკითხებთან* დაკავშირებულ დავებთან, მათ შორის, კერძო ფირმის მიერ თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით (*Buchholz v. Germany*, 1981), სოციალური უზრუნველყოფის შეღავათებთან დაკავშირებული პროცედურების მიმართ (*Feldbrugge v. the Netherlands*, 1986), თუნდაც შენატანის გარეშე (*Salesi v. Italy*, 1993), სოციალური დახმარება და საცხოვრებელი (*Fazia Ali v. the United Kingdom*, 2015 §§ 58-59) ასევე პროცედურების მიმართ, სოციალური უზრუნველყოფის სავალდებულო შენატანებთან დაკავშირებით (*Schouten and Meldrum v. the Netherlands*, 1994). (დამსაქმებლის მიერ დასკვნის სადავოდ გახდის შესახებ, რომ დასაქმებულის ავადმყოფობა დაკავშირებულია პროფესიულ საქმიანობასთან, იხ *Eternit v. France* (dec.), 2012, § 32). ამ საქმეებში სასამართლომ მიიჩნია, რომ კერძო სამართლის ასპექტები ჭარბობს საჯარო სამართლის ასპექტებს. გარდა ამისა, მან დაადგინა, რომ არსებობდა მსგავსება კერძო სამართლის ფონდიდან სოციალური შეღავათების მიღების უფლებასა და ნაციტური დევნისთვის კომპენსაციის მიღების უფლებას შორის (*Woś v. Poland*, 2006, § 76).

41. *საჯარო მოსამსახურებთან* დაკავშირებული დავა, პრინციპში, ხვდება მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოქმედების სფეროს ფარგლებში. თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], 2007, (§§ 50-62) სასამართლომ განმარტა ტერმინის – „სამოქალაქო“ – მოქმედების სფერო და შეიძუშვა ახალი კრიტერიუმები მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოსაყენებლად საჯარო მოსამსახურებთან დაკავშირებული შრომითი დავების მიმართ (ასევე იხილეთ *Baka v. Hungary* [GC], 2016, § 103; *Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, § 107). ამრიგად, პრინციპში, არ შეიძლება გამართლებული იყოს მე-6 მუხლის გარანტიებიდან გამორიცხვა ჩვეულებრივი შრომითი დავებისა, როგორცაა ხელფასთან, შემწეობებთან ან მსგავს შეღავათებთან დაკავშირებული დავები, კონკრეტულ საჯარო მოსამსახურესა და შესაბამის სახელმწიფოს შორის ურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათის საფუძველზე (შერეული სისტემების კონკრეტული შემთხვევისთვის, რომელიც აერთიანებს შრომის კანონმდებლობას, რომელიც გამოიყენება კერძო სექტორში და ზოგიერთ კონკრეტულ წესთან, რომელიც გამოიყენება საჯარო სამსახურში, იხილეთ *Pişkin v. Turkey*, 2020, § 98, საჯარო ინსტიტუტის თანამშრომლის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით). პრინციპში, ახლა არსებობს მე-6 მუხლის გამოყენებადობის პრეზუმფცია, ხოლო მოპასუხე მთავრობამ უნდა დაამტკიცოს, პირველ რიგში, რომ მომჩივან საჯარო მოსამსახურეს არ აქვს სასამართლოზე წვდომის უფლება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით და, მეორეც, რომ საჯარო მოსამსახურებისთვის უფლებების გამორიცხვა მე-6 მუხლის შესაბამისად გამართლებულია (*Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], 2007, § 62).

42. შესაბამისად, სახელმწიფო არ შეიძლება დაეყრდნოს მომჩივნის, როგორც საჯარო მოსამსახურის სტატუსს, რათა გამოირიცხოს ის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დაცვისგან, თუ არ არის დაკმაყოფილებული ორი პირობა. პირველი, შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ უნდა გამორიცხოს სასამართლოზე წვდომა განსახილველი თანამდებობის ან კატეგორიის პერსონალისთვის პირდაპირ – ან ირიბად, როგორც ეს იყო განმარტებული საქმეში *Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 292). მეორე,

გამორიცხვა უნდა იყოს გამართლებული „სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ობიექტური მიზეზებით“ (*Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], 2007, § 62 და განმარტებები მოცემულია *Grzęda v. Poland* [GC], 2022, §§ 299-300; see section on “Excluded matters” below).

იმისთვის, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დაცვა კანონიერად გამოირიცხოს, უნდა დაკმაყოფილდეს *ვილჰო ესკელინენის* ტესტის ორი პირობა (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 291; *Baka v. Hungary* [GC], 2016, § 118 – ასევე იხილეთ *Kövesi v. Romania*, 2020, § 124, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ პირველი პირობა არ დაკმაყოფილდა, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია მეორე პირობის განხილვა საქმის გარემოებებში). შესაბამისად, სასამართლომ შეძლო ღიად დაეტოვებინა საკითხი, შესრულდა თუ არა პირველი პირობა, როცა მეორე პირობა არ შესრულებულა (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, §§ 294 და 328).

43. გადაწყვეტილებამ საქმეზე *Grzęda v. Poland* [GC], 2022, „დააზუსტა“ *ვილჰო ესკელინენის* ტესტის პირველი პირობა. ამდენად, „პირველი პირობა შეიძლება დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს, თუ ამის შესახებ მკაფიო დებულების გარეშე კი ნათლად ჩანს, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა გამორიცხავს სასამართლოზე წვდომას შესაბამისი დავის ტიპისთვის“. მოკლედ, ეს პირობა დაკმაყოფილებულია, პირველ რიგში, „როდესაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა შეიცავს სასამართლოზე წვდომის გამორიცხვას“. მეორეც, იგივე პირობა შეიძლება ასევე იქნეს დაკმაყოფილებული, როდესაც განსახილველი გამორიცხვა არის ნაგულისხმევი ხასიათის, კერძოდ, როდესაც ის გამომდინარეობს მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს სისტემური განმარტებიდან ან სამართლებრივი რეგულირების მთელი ერთობიდან (§§ 288- 292).

44. თუ მომჩივანს ჰქონდა წვდომა სასამართლოზე შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოიყენება მე-6 მუხლი (თუნდაც ჯარის მოქმედი ოფიცრებისა და მათი საჩივრების მიმართ სამხედრო სასამართლოებში: *Pridatchenko and Others v. Russia*, 2007, § 47). *ვილჰო ესკელინენის*, 2007, ტესტის გამოყენების მიზნისთვის, არაფერი უშლის სასამართლოს ხელს, დაახასიათოს კონკრეტული ეროვნული ორგანო სასამართლო სისტემის გარეთ, როგორც „სასამართლო“ (*Xhoxhaj v. Albania*, 2021, §§ 284-288). ამრიგად, ამ კონტექსტში, კანონით დადგენილი გარდამავალი ზომების სახით შექმნილი ადმინისტრაციული ან საპარლამენტო ორგანო (*იქვე*, § 288) შეიძლება ჩაითვალოს „სასამართლოდ“, რაც მე-6 მუხლს გამოყენებადს ხდის ამ ორგანოს წინაშე წარდგენილი საჯარო მოსამსახურეთა დავების მიმართ (*Oleksandr Volkov v. Ukraine*, 2013, § 88; *Grace Gatt v. Malta*, 2019, §§ 61-62 და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები).

45. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მე-6 მუხლის გამოყენების ნებისმიერი გამორიცხვა უნდა შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობას. ამისათვის ის უნდა ეფუძნებოდეს ზოგადი გამოყენების ინსტრუმენტებს და არა კონკრეტული პირის წინააღმდეგ მიმართულ დებულებას (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 296, §§ 299-300 და *Baka v. Hungary* [GC], 2016, § 117).

46. მეორე კრიტერიუმთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მიერ არ არის საკმარისი იმის დადგენა, რომ აღნიშნული საჯარო მოსამსახურე მონაწილეობს სახელმწიფო უფლებამოსილების განხორციელებაში ან რომ არსებობს ნდობისა და ლოიალობის განსაკუთრებული კავშირები საჯარო მოსამსახურესა და სახელმწიფოს, როგორც დამსაქმებელს შორის. სახელმწიფომ ასევე უნდა დაამტკიცოს, რომ დავის საგანი ეხება სახელმწიფო უფლებამოსილების განხორციელებას ან კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საჯარო მოსამსახურესა და სახელმწიფოს შორის ნდობისა და ლოიალობის განსაკუთრებულ

კავშირებს (*Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], 2007, § 62). ამრიგად, პრინციპში, არ შეიძლება იყოს გამართლებული მე-6 მუხლის გარანტიებიდან გამორიცხვა ჩვეულებრივი შრომითი დავებისა, როგორცაა ხელფასთან, შემწეობასთან ან მსგავს შეღავათებთან დაკავშირებული დავები, კონკრეტულ საჯარო მოსამსახურესა და შესაბამის სახელმწიფოს შორის ურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათის საფუძველზე (იხილეთ, მაგალითად, დავა, რომელიც ეხება პოლიციის თანამშრომლების უფლებას, მიიღონ სპეციალური შემწეობა, საქმეში *Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], 2007 – ასევე იხილეთ *Zalli v. Albania* (dec.), 2011; *Ohneberg v. Austria*, 2012).). გადაწყვეტილებამ საქმეზე *Grzęda v. Poland* [GC], 2022, რომ თუ საქმის საგანი მჭიდრო კავშირშია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხთან, მაშინ ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ვილჰო ესკელინენის ტექსტის მეორე პირობის განხილვისას (იხილეთ §§ 299-300 და ქვემოთ, მოსამართლეებთან დაკავშირებით).

47. სასამართლომ ცნო მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი, როგორც გამოყენებადი საელჩოს თანამშრომლების მიერ თანამდებობიდან უსამართლო გათავისუფლების შესახებ სამართალწარმოებისას (მდივანი და კომპუტატორის ოპერატორი: *Cudak v. Lithuania* [GC], 2010, §§ 44-47; მთავარი ბულალტერი: *Sabeh El Leil v. France* [GC], 2011, § 39; კულტურისა და ინფორმაციის ოფიცერი: *Naku v. Lithuania and Sweden*, 2016, § 95), შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირი (*Fazliyski v. Bulgaria*, 2013, § 55), პოლიციის უფროსი ოფიცერი (*Šikić v. Croatia*, 2010, §§ 18-20) ან ჯარის ოფიცერი სამხედრო სასამართლოში (*Vasilchenko v. Russia*, 2010, §§ 34-36), სამართალწარმოების მიმართ, რომელიც უკავშირდება საპარლამენტო ასისტენტის თანამდებობის დაკავების უფლებას (*Savino and Others v. Italy*, 2009) და რიგითი ჯარისკაცი (*R.S. v. Germany* (dec.), 2017, § 34), ასევე პროცედურების მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია საბაჟო ოფიცრის პროფესიულ კარიერასთან (შიდა დაწინაურებაზე განაცხადის შეტანის უფლება: *Fiume v. Italy*, 2009, §§ 33-36).

48. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე *Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], 2007, განაცხადა, რომ მისი მსჯელობა შემოიფარგლებოდა საჯარო მოსამსახურეების მდგომარეობით, მან დაადგინა, რომ *სასამართლო სისტემა* არის ტიპური საჯარო სამსახურის ნაწილი, თუნდაც ის არ არის ჩვეულებრივი საჯარო სამსახურის ნაწილი (*Baka v. Hungary* [GC], 2016, § 104). შესაბამისად, მოსამართლეები არ შეიძლება გამოირიცხონ მე-6 მუხლის დაცვიდან მხოლოდ მათი სტატუსის საფუძველზე; უფრო მეტიც, სასამართლომ მხედველობაში მიიღო მოსამართლეები არა მხოლოდ მათ სასამართლო როლში, არამედ სხვა ოფიციალური ფუნქციების კონტექსტშიც, რომელთა შესრულებაც მათ სასამართლო სისტემასთან მჭიდრო კავშირში შეიძლება მოეთხოვოთ (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 303).

გარდა ამისა, მოსამართლეთა შრომითი ურთიერთობა სახელმწიფოსთან უნდა იქნეს გაგებული მოსამართლეთა დამოუკიდებლობისთვის აუცილებელი კონკრეტული გარანტიების გათვალისწინებით. ამრიგად, როდესაც საუბარია „განსაკუთრებულ ნდობასა და ლოიალობაზე“, რომელიც მათ უნდა დაიცვან, საუბარია ლოიალობაზე კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის მიმართ და არა სახელმწიფო უფლებამოსილების მფლობელის მიმართ. მოსამართლესა და სახელმწიფოს შორის შრომითი ურთიერთობის ეს რთული ასპექტი აუცილებელს ხდის, რომ სასამართლო ხელისუფლების წევრები საკმარისად დისტანცირებული იყვნენ ხელისუფლების სხვა შტოებისგან თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, რათა მათ შეეძლოთ *a fortiori* გადაწყვეტილებების მიღება კანონისა და მართლმსაჯულების მოთხოვნების საფუძველზე, შიშისა და მიკერძოების გარეშე (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 264).

მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენება მომჩივნის მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს წევრის მანდატის ვადამდე შეწყვეტის თაობაზე, სანამ ის მოქმედი მოსამართლე იყო, განხილული იქნა საქმეში *Grzęda v. Poland* [GC], 2022 (§§ 265 and 288). სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოს წვდომაზე უარი მოსამართლისთვის, რომელიც იყო მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს წევრი და რომელიც ვადაზე ადრე იქნა გათავისუფლებული საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ, არ იყო გამართლებული სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ობიექტური მიზეზებით (§§ 325-326).

მან დაადგინა, რომ სასამართლო ხელისუფლების ყველა წევრი დაცული უნდა იყოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებური ქმედებებისგან და რომ მხოლოდ დამოუკიდებელ სასამართლო ხელისუფლების მიერ შემზღუდავი ზომის (როგორცაა თანამდებობიდან გათავისუფლება) კანონიერების ზედამხედველობას შეუძლია ეს დაცვა ეფექტური გახადოს (§ 327).

49. გადაწყვეტილება საქმეზე *Denisov v. Ukraine* [GC], 2018 დეტალურად ასახავს პრეცედენტულ სამართალსა და შესაბამის პრინციპებს, რომლებიც ეხება მე-6 მუხლის გამოყენებას ჩვეულებრივი შრომითი დავების მიმართ, რომლებშიც მონაწილეობენ მოსამართლეები (იხილეთ §§ 46-49 და შესაბამისი პრეცედენტები, §§ 52-55 – ასევე იხილეთ *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 120 და *Eminağaoğlu v. Turkey*, 2021, §§ 62-63); გასათვალისწინებელია, რომ დისციპლინური სამართალწარმოება ასევე დაკავშირებულია (იხილეთ, მაგალითად, *Eminağaoğlu v. Turkey*, 2021, § 65 და მომდევნო და იხილეთ ზემოთ). გადაწყვეტილება საქმეზე *Bilgen v. Turkey*, 2021, განმარტავს, რომ ეს მოიცავდა დავას იმ ზომასთან დაკავშირებით, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მოსამართლის პროფესიულ ცხოვრებასა და კარიერაზე, თუნდაც, მატერიალური თვალსაზრისით, რაიმე პირდაპირი ზემოქმედების გარეშე, ან პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე (§§ 68-69). საქმე *Dolińska-Ficek and Ozimek v. Poland*, 2021, ეხებოდა ორ მოსამართლეს, რომლებმაც განაცხადი შეიტანეს სხვა თანამდებობაზე ზემდგომ სასამართლოში (§ 231, და იხილეთ პრეცედენტული სამართლის შეჯამება მოსამართლეებთან დაკავშირებით §§ 227-228).

50. საქმეში *Bilgen v. Turkey*, 2021, სასამართლომ განმარტა მე-6 მუხლის (სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტი) გამოყენებადობის პირობები მოსამართლეთა საჩივრებთან დაკავშირებით სასამართლოზე წვდომის ნაკლებობის შესახებ (იხილეთ *ვილჰო ესკელინენის* ტესტის პირველი პირობა) ცალმხრივი გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად, რომელიც გავლენას ახდენდა მათ პროფესიულ ცხოვრებაზე (გადაყვანა). სასამართლომ გაითვალისწინა სასამართლო ხელისუფლების ავტონომიისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების მნიშვნელობა კანონის უზენაესობის შესანარჩუნებლად. შესაბამისად, ამ სახის დავებში მას უნდა დაედგინა, უზრუნველყოფდა თუ არა ეროვნული სასამართლო სისტემა მოსამართლეების დაცვას პოტენციურად თვითნებური გადაწყვეტილებისგან, რომელიც გავლენას ახდენს მათ კარიერაზე ან პროფესიულ სტატუსზე (ამ შემთხვევაში, გადაყვანა ქვედა ინსტანციის სასამართლოში – იხილეთ §§ 57-59, §. § 61 -63). ამდენად, დავა ეხებოდა მათ „უფლებას“ კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში (საერთაშორისო წყაროებიდან შთაგონებული), იყვნენ დაცული თვითნებური გადაყვანისგან ან დანიშვნისგან (§ 64).

51. თუ გადაწყვეტილება მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ მიღებული იქნა თავმჯდომარის მიერ იუსტიციის სამინისტროს წინადადების მიღების შემდეგ, გადაწყვეტილების კანონიერების სასამართლო ზედამხედველობის არარსებობა არ შეიძლება იყოს „სახელმწიფოს ინტერესებში“ ესკელინენის ზემოხსენებული მეორე კრიტერიუმის მიზნებისთვის. სასამართლო ხელისუფლების უფროსი წევრები, ისევე

როგორც სხვა მოქალაქეები, დაცული უნდა იყვნენ აღმასრულებელი ორგანოების თვითნებობისაგან და მხოლოდ დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების კანონიერების ზედამხედველობა შეიძლება იძლეოდეს ასეთი უფლების ეფექტურობის გარანტიას (*Kövesi v. Romania*, 2020, § 124; and see *Eminağaoğlu v. Turkey*, 2021, § 76 *in fine*).

52. სასამართლო იყენებს ვილჰო ესკელინენის კრიტერიუმებს მოსამართლეებთან დაკავშირებული ყველა სახის დავის მიმართ, მათ შორის, დავებთან, რომლებიც დაკავშირებულია დაქირავებასა თუ დანიშვნასთან (*Juričić v. Croatia*, 2011), კარიერასა თუ დაწინაურებასთან (*Dzhidzheva-Trendafilova v. Bulgaria* (dec.), 2012 და *Tsanova-Gecheva v. Bulgaria*, 2015, §§ 85-87), გადაყვანასთან (*Tosti v. Italy* (dec.), 2009 და *Bilgen v. Turkey*, 2021, § 79), უფლებამოსილების შეჩერებასთან (*Paluda v. Slovakia*, 2017, §§ 33-34 და *Camelia Bogdan v. Romania*, 2020, § 70), დისციპლინურ წარმოებასთან (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 120; *Di Giovanni v. Italy*, 2013, §§ 36-37; და *Eminağaoğlu v. Turkey*, 2021, § 80), ასევე თანამდებობიდან გათავისუფლებასთან (*Oleksandr Volkov v. Ukraine*, 2013, §§ 91 და 96; *Kulykov and Others v. Ukraine*, 2017, §§ 118 და 132; *Sturua v. Georgia*, 2017, § 27; *Kamenos v. Cyprus*, 2017, §§ 82-88; და *Olujić v. Croatia*, 2009, §§ 31-43), მძიმე დისციპლინური გადაცდომის გამო მსჯავრდადების შემდეგ ხელფასის შემცირებასთან (*Harabin v. Slovakia*, 2012, §§ 118-123), თანამდებობიდან გადაყენებასთან (მაგალითად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ან რაიონული სასამართლოს ვიცე-თავმჯდომარის), როცა მოსამართლეებად რჩებიან (*Baka v. Hungary* [GC], 2016, §§ 34 და 107-111; *Denisov v. Ukraine* [GC], 2018, § 54; და *Broda and Bojara v. Poland*, 2021, §§ 121-123) ან მოსამართლეებისთვის თავიანთი ფუნქციების განხორციელების აკრძალვასთან დაკავშირებით (*Gumenyuk and Others v. Ukraine*, 2021, §§ 61 და 65-67). მან ასევე გამოიყენა ვილჰო ესკელინენის კრიტერიუმები მთავარი პროკურატურის ვადამდე გათავისუფლების შესახებ დავის მიმართ (*Kövesi v. Romania*, 2020, §§ 124-125), პროკურორის საჩივრის მიმართ, მისი გადაყვანის შესახებ თავმჯდომარის ბრძანების წინააღმდეგ (*Zalli v. Albania* (dec.), 2011, და პრეცედენტული სამართლის ზემოთ ციტირებული მითითებები) და პროკურორის დაქვეითების მიმართ (*Čivinskaitė v. Lithuania*, 2020, § 95).

53. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მე-6 მუხლი გამოყენებადი იყო საქმეში, რომელიც ეხებოდა სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის სასამართლო განხილვას (*Tsanova-Gecheva v. Bulgaria*, 2015, §§ 84-85). მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლი არ იძლევა დაწინაურების ან საჯარო სამსახურში დასაქმების უფლების გარანტიას, სასამართლომ მაინც აღნიშნა, რომ დაკომპლექტების კანონიერი და სამართლიანი პროცედურის უფლება დასაქმების ან დაწინაურებისთვის ან თანაბარი ხელმისაწვდომობა დასაქმებაზე შეიძლება ჩაითვალოს უფლებებად, რომელიც აღიარებულია შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, რამდენადაც ეროვნულმა სასამართლოებმა აღიარეს მათი არსებობა და განიხილეს შესაბამისი პირების მიერ ამ კუთხით წარმოდგენილი საფუძვლები (ასევე იხილეთ *Fiume v. Italy*, 2009, § 35; *Majski v. Croatia* (no. 2), 2011, § 50).

54. მოკლედ, ვილჰო ესკელინენის ტესტი გამოიყენება საჯარო მოსამსახურეებთან დაკავშირებული მრავალი სახის დავის მიმართ, მათ შორის, რომლებიც უკავშირდება დაქირავებას ან დანიშვნას (*Juričić v. Croatia*, 2011, §§ 54-58), კარიერას ან დაწინაურებას (*Dzhidzheva-Trendafilova v. Bulgaria* (dec.), 2012, § 50; *Bara and Kola v. Albania*, 2021, § 57), გადაყვანას (*Ohneberg v. Austria*, 2012, § 24), სამსახურიდან გათავისუფლებას (*Olujić v. Croatia*, 2009; *Nazsız v. Turkey* (dec.), 2009) და დისციპლინურ წარმოებას (*Kamenos v. Cyprus*, 2017, §§ 73-81). უფრო მკაფიოდ, სასამართლომ დაადგინა საქმეში *Bayer*

v. Germany (§ 38), 2009, რომელიც ეხებოდა დისციპლინური წარმოების შემდეგ სასამართლოს მანდატურის თანამდებობიდან გათავისუფლებას, რომ დავები „ხელფასის, შემწეობების ან მსგავსი შეღავათების“ შესახებ არის მხოლოდ არასრული მაგალითი. „ჩვეულებრივი შრომითი დავებისა“, რომლებთანაც, პრინციპში, გამოყენებული უნდა იქნეს მე-6 მუხლი *ვილჰო ესკელინენის* ტესტის შესაბამისად. საქმეში *Olujić v. Croatia*, 2009, § 34, მან დაადგინა, რომ *ვილჰო ესკელინენის* საქმეზე გადაწყვეტილებაში მე-6 მუხლის გამოყენებადობის პრეზუმფცია ასევე ვრცელდება სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევებზე (*Baka v. Hungary* [GC], 2016, § 105).

55. დაბოლოს, *ვილჰო ესკელინენის* ტესტი მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენებადობის შესახებ თანაბრად ვრცელდება სასამართლოზე წვდომის უფლებასთან დაკავშირებულ საქმეებზე (იხილეთ, მაგალითად, *Nedelcho Popov v. Bulgaria*, 2007; *Suküt v. Turkey* (dec.), 2007) და საქმეებზე, რომლებიც მოიცავს მე-6 მუხლით დადგენილ სხვა გარანტიებს (*Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], 2007, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის უფლებას და გონივრულ ვადაში გადაწყვეტილების გამოტანის უფლებას).

56. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ასევე ვრცელდება სამოქალაქო მხარის საჩივარზე სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში (*Perez v. France* [GC], 2004, §§ 70-71), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამოქალაქო საჩივრი არ არის აღძრული წმინდად პირადი შურისძიებისთვის ან სადამსჯელო მიზნებისთვის (*Sigalas v. Greece*, 2005, § 29; *Mihova v. Italy* (dec.), 2010). მართლაც, კონვენცია, როგორც ასეთი, არ ანიჭებს რაიმე უფლებას სისხლისსამართლებრივი დანაშაულისთვის მესამე პირების სისხლისსამართლებრივი დევნისთვის ან გასამართლებისთვის (ასევე იხილეთ *Mustafa Tunç and Fecire Tunç v. Turkey* [GC], 2015, § 218). კონვენციის მოქმედების სფეროში მოსახვედრად ასეთი უფლება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში განუყოფელი უნდა იყოს მსხვერპლის მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყების უფლების განხორციელებისგან (*Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [GC], 2019, §§ 188 და 194), მაშინაც კი, თუ ის მხოლოდ სიმბოლური ანაზღაურების უზრუნველყოფას ან ისეთი სამოქალაქო უფლების დაცვას ისახავს მიზნად, როგორცაა „კარგი რეპუტაციის“ უფლება (*Perez v. France* [GC], 2004, § 70; ასევე იხილეთ, სიმბოლურ ჯილდოსთან დაკავშირებით *Gorou v. Greece (no. 2)* [GC], 2009, § 24). ამრიგად, მე-6 მუხლი ვრცელდება საქმისწარმოებაზე, რომელიც მოიცავს სამოქალაქო მხარის საჩივრებს, იმ მომენტიდან, როდესაც მომჩივანი შეუერთდება როგორც სამოქალაქო მხარე, მათ შორის, დამოუკიდებლად ჩატარებული წინასწარი გამოძიების ეტაპზე (*Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [GC], 2019, § 207), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას პირდაპირ არ უთქვამს უარი ანაზღაურების უფლებაზე (*Arnoldi v. Italy*, 2017, § 43) და რამდენადაც სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში გადამწყვეტია ანაზღაურების სამოქალაქო უფლებისთვის (*Alexandrescu and Others v. Romania*, 2015, § 22, რომელიც ეხება მსხვერპლთა უფლებას, იცოდნენ სიმართლე ძირითადი უფლებების მასობრივი დარღვევების შესახებ). შესაბამისად, აუცილებელია თითოეული ინდივიდუალური შემთხვევის შესწავლა, რათა დადგინდეს, აღიარებს თუ არა ეროვნული სამართლებრივი სისტემა, რომ მომჩივანს აქვს სამოქალაქო ხასიათის ინტერესები, რომელთა დაცვაც შესაძლებელია სისხლის სამართლის სამართლის საქმის წარმოებაში (*Arnoldi v. Italy*, 2017, §§ 36-40). უნდა დადგინდეს, რომ მომჩივანი ცდილობს, უზრუნველყოს სამოქალაქო უფლების დაცვა და დაინტერესებულია მოითხოვოს კომპენსაცია, თუნდაც გვიან ეტაპზე, ამ უფლების დარღვევისთვის. შემდგომ ამ საქმისწარმოების შედეგი უნდა იყოს გადამწყვეტი მიყენებული ზიანის ანაზღაურების მისაღებად (*Arnoldi v. Italy*, 2017, §§ 25-40). სასამართლომ დააკონკრეტა, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენებადობის საკითხი არ შეიძლება დამოკიდებული იყოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში „მხარის“ ფორმალური სტატუსის აღიარებაზე. მე-6 მუხლის გამოსაყენებლად, კომპენსაციის მოთხოვნის წარდგენის თარიღი არ არის

გადამწყვეტი, რადგან სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც სარჩელი ჯერ არ არის წარდგენილი ან საერთოდ არ არის წარდგენილი, თუნდაც ასეთი შესაძლებლობა არსებობდა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად (§ 29 და § 37-40). ის ფაქტი, რომ შესაბამისმა პირმა უკვე მიიღო კომპენსაცია სხვა ორგანოებისგან, მაგალითად, ოჯახის წევრის ფატალური უბედური შემთხვევის შემდეგ, თავისთავად არ გამორიცხავს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენებას (*Gracia Gonzalez v. Spain*, §§ 50-55).

57. სასამართლომ დაადგინა – *თავისუფლების აღკვეთის კონტექსტში* – რომ პატიმართა უფლებების გარკვეული შეზღუდვები და ასეთი შეზღუდვების შესაძლო შედეგები ხვდება „სამოქალაქო უფლებების“ სფეროში (იხილეთ ამ თემაზე პრეცედენტული სამართლის შეჯამება საქმეში *De Tommaso v. Italy* [GC], 2017, §§ 147-50). ამრიგად, მე-6 მუხლი ვრცელდება პატიმრების პატიმრობის პირობებზე (მაგალითად, დავები იმ შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომლებსაც პატიმრები ექვემდებარებიან მაღალი უსაფრთხოების განყოფილებაში (*Enea v. Italy* [GC], 2009, §§ 97-107) ან მაღალი უსაფრთხოების საკანში (*Stegarescu and Bahrin v. Portugal*, 2010) მოთავსების შედეგად ან ან დისციპლინურ სამართალწარმოებაზე, რომელსაც შედეგად მოსდევს ციხეში ნათესავების მონახულების შეზღუდვა (*Gülmez v. Turkey*, 2008, § 30); ან პატიმართა უფლებების სხვა სახის შეზღუდვებზე (*Ganci v. Italy*, 2003, § 25). მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ასევე გამოყენებული იქნა ციხის ადმინისტრაციის მიერ დაწყებული საქმისწარმოების მიმართ, რომელიც მოითხოვდა ციხის ოფიცრის დასწრებას პატიმარსა და მის ადვოკატს შორის შეხვედრებზე, მაშინაც კი, თუ ეს ზომა უპირველეს ყოვლისა ციხეში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას ისახავდა მიზნად. დაადგინა რა, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის პირისპირ საუბრები ხვდებოდა „პირადი ცხოვრების“ ცნების ფარგლებში კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, სასამართლომ დაასკვნა, რომ დავა ძირითადად პირადი და ინდივიდუალური ხასიათის იყო (*Altay v. Turkey (no. 2)*, 2019, §§ 61, 67-69). საპირისპიროდ, მე-6 მუხლი არ ვრცელდება სამართალწარმოებებზე, რომლებიც ეხება ამნისტიის კანონმდებლობის გამოყენებადობის პირობებს (*Montcornet de Caumont v. France* (dec.), 2003) და არ იძლევა რაიმე უფლების გარანტიას აღსრულების ან პირობით გათავისუფლების კონკრეტულ ფორმაზე (*Ballıktaş Bingöllü v. Turkey*, 2021, § 48).

58. მე-6 მუხლი ასევე ვრცელდება *სპეციალურ ზედამხედველობის ზომებზე სავალდებულო ბინადრობის ბრძანების* კონტექსტში, რომელიც იწვევს, კერძოდ, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას (*De Tommaso v. Italy* [GC], 2017, §§ 151-55). ციტირებულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ზოგი შეზღუდვა – როგორცაა ღამით გარეთ გასვლის აკრძალვა, საცხოვრებელი ადგილის დატოვების აკრძალვა, საჯარო შეხვედრებზე დასწრების ან მობილური ტელეფონების ან რადიოკავშირის მოწყობილობების გამოყენების აკრძალვა – ხვდებოდა პირადი უფლებების სფეროში და შესაბამისად „სამოქალაქო“ ხასიათისა იყო.

59. მე-6 მუხლის ასევე მოიცავს კარგი რეპუტაციის უფლებას (*Helmert v. Sweden*, 1991, § 27, და, შესაბამისად, ცილისწამების შესახებ საქმისწარმოება – *Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom*, 1995, § 58); ადმინისტრაციული დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უფლებას (*Loiseau v. France* (dec.), 2003) ან გამოძიებისას მტკიცებულებებზე წვდომის უფლებას (*Savitsky v. Ukraine*, 2012, §§ 143-145); მოიცავს დავებს, რომლებიც ეხება ნასამართლობის შესახებ ჩანაწერიდან მსჯავრდადების არგამორიცხვას (*Alexandre v. Portugal*, 2012, §§ 54-55) ან ნასამართლობის შესახებ ჩანაწერიდან ჩანაწერის წაშლის შესახებ (*Ballıktaş Bingöllü v. Turkey*, 2021, § 50), პოლიციის ფაილებში არსებული ჩანაწერის გასაჩივრებას, რომელიც ზეგავლენას ახდენს რეპუტაციის უფლებაზე, საკუთრების დაცვის უფლებასა და

დასაქმების პოვნის შესაძლებლობას და საარსებო წყაროს პოვნას (*Pocius v. Lithuania*, 2010, §§ 38-46; *Užkauskas v. Lithuania*, 2010, §§ 32-40); საქმისწარმოებას, რომელიც ეხება არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებას (*De Tommaso v. Italy* [GC], 2017, § 151), სისხლისსამართლებრივი ჩანაწერის ამოწურვის შემდეგ გარკვეული უფლებების აღდგენის პროცედურებს (დასაქმების გარკვეული ტიპების ხელმისაწვდომობა) (*Ballıktaş Bingöllü v. Turkey*, 2021, § 50), ასოციაციის წევრობის უფლებას (*Sakellaropoulos v. Greece* (dec.), 2011; *Lovrić v. Croatia*, 2017, §§ 55-56) – ანალოგიურად, სამართალწარმოება ასოციაციის კანონიერ არსებობასთან დაკავშირებით გავლენას ახდენს ასოციაციის სამოქალაქო უფლებებზე, მაშინაც კი, თუ, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, გაერთიანების თავისუფლების საკითხი საჯარო სამართლის სფეროს განეკუთვნება (*APEH Üldözötteinek Szövetsége and Others v. Hungary*, 2000, §§ 34-35) – დაბოლოს, უმაღლესი განათლების მიღების გაგრძელების უფლებას (*Emine Araç v. Turkey*, 2008, §§ 18-25), დებულება, რომელიც თანაბრად მსგავსად ვრცელდება დაწყებით განათლებაზე (*Oršuš and Others v. Croatia* [GC], 2010, § 104).

60. მე-6 მუხლი ასევე გამოიყენება *სხვა საკითხების* მიმართ, როგორცაა გარემოსდაცვითი საკითხები, სადაც შეიძლება წარმოიშვას დავები სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ჯანსაღი გარემოს უფლებასთან დაკავშირებით (*Taşkın and Others v. Turkey*, 2004); ბავშვთა აღზრდა (*McMichael v. the United Kingdom*, 1995); ბავშვების სასკოლო ღონისძიებები (*Ellès and Others v. Switzerland*, 2010, §§ 21-23); მამობის დადგენის უფლება (*Alaverdyan v. Armenia* (dec.), 2010, § 33); თავისუფლების უფლება (*Aerts v. Belgium*, 1998, § 59; *Laidin v. France (no. 2)*, 2003); და ლუსტრაციის წარმოება (იხილეთ, მაგალითად, *Polyakh and Others v. Ukraine*, § 153 და ციტირებული პრეცედენტული სამართლის მითითებები).

61. გამოხატვის თავისუფლების უფლება (*Kenedi v. Hungary*, 2009, § 33; და საჩივრისთვის დისციპლინურ კონტექსტში, *Sedat Doğan v. Turkey*, 2021, §§ 20) და ჟურნალისტების უფლება, მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია პრესის მეშვეობით, რათა გააგრძელონ თავიანთი პროფესიის განხორციელება (*Shapovalov v. Ukraine*, 2012, § 49; *Selmani and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, 2017, § 47), ასევე განიხილება, როგორც „სამოქალაქო“ ხასიათის.

62. ამიტომ, პრეცედენტულ სამართალში შეინიშნება შესამჩნევი ცვლილება მე-6 მუხლის სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტის გამოყენების მიმართ იმ საქმეებში, რომლებიც, ერთი შეხედვით, შეიძლება არ ეხებოდეს სამოქალაქო უფლებას, მაგრამ რომელსაც შეიძლება ჰქონდეს „პირდაპირი და მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები ფიზიკური პირის პირად უფლებაზე“ (*De Tommaso v. Italy* [GC], 2017, § 151; *Alexandre v. Portugal*, 2012, §§ 51 და 54), თუნდაც პროფესიულ კონტექსტში (*Pocius v. Lithuania*, 2010, § 43; *Selmani and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, 2017, § 47; *Mirovni Inštitut v. Slovenia*, 2018, § 29), მათ შორის, საჯარო სამსახურის ჩათვლით (for example, *Denisov v. Ukraine* [GC], 2018, §§ 52-53 და ციტირებული პრეცედენტული სამართლის მითითებები; *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018).

C. მე-6 მუხლის გამოყენება საქმისწარმოების მიმართ, რომელიც ძირითადი არაა

63. წინასწარი სამართალწარმოება, ისევე როგორც ისინი, რომლებიც მოიცავს გადაწყვეტილებებს დროებითი ზომების მიღების თაობაზე, როგორცაა აკრძალვის ღონისძიება, ზოგადად არ განიხილება როგორც სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების „განმსაზღვრელი“. თუმცა, 2009 წელს სასამართლომ თავი დააღწია წინა

პრეცედენტულ სამართალს და მიიღო ახალი მიდგომა. საქმეში *Micallef v. Malta* [GC], 2009, §§ 80-86, სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლის გამოყენებადობა დროებითი ზომების მიმართ დამოკიდებული იქნებოდა გარკვეული პირობების შესრულებაზე. პირველი, სადავო უფლება როგორც მთავარ, ისე აკრძალვის ღონისძიების საქმისწარმოებაში უნდა იყოს „სამოქალაქო“ კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში. მეორე, დროებითი ღონისძიების ხასიათი, მისი მიზანი და დანიშნულება, ასევე მისი გავლენა განსახილველ უფლებაზე უნდა იქნეს ყურადღებით შესწავლილი. ყველა შემთხვევაში, როდესაც დროებითი ღონისძიება შეიძლება ჩაითვალოს ქმედითად განსახილველი სამოქალაქო უფლების ან მოვალეობის განსასაზღვრად, განურჩევლად მისი ხანგრძლივობისა, გამოიყენება მე-6 მუხლი (აგრეთვე, მოსამართლის დროებითი შეჩერების შესახებ დისციპლინური სამართალწარმოების კონტექსტში იხილეთ *Camelia Bogdan v. Romania*, 2020, § 70, ხოლო დროებითი შეჩერების სახით აღკვეთის ადმინისტრაციული ზომისთვის, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, იხილეთ *Loquifer v. Belgium*, 2021, §§ 34-35).

64. შუალედური გადაწყვეტილება შეიძლება გაიგივდეს დროებით ან უზრუნველყოფის ზომებთან და პროცედურებთან და, ამდენად, იგივე კრიტერიუმებია შესაბამისი განსასაზღვრად, გამოყენებადია თუ არა მე-6 მუხლი მისი სამოქალაქო ნაწილის შესაბამისად (*Mercieca and Others v. Malta*, 2011, § 35).

65. კვლავ, საქმეში *Micallef v. Malta* [GC], 2009, დადგენილ პრინციპებზე მითითებით, მე-6 მუხლი შეიძლება გამოყენებული იქნეს სააღსრულებო წარმოების შეჩერების მიმართ, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად (*Central Mediterranean Development Corporation Limited v. Malta (no. 2)*, 2011, §§ 21-23).

66. მე-6 მუხლი გამოიყენება დროებითი საქმისწარმოების მიმართ, რომელსაც აქვს იგივე მიზანი, როგორც მთავარ სამართალწარმოებას, თუ აკრძალვის ღონისძიება დაუყოვნებლივ აღსრულებადია და იწვევს გადაწყვეტილებას იმავე უფლების შესახებ (*RTBF v. Belgium*, 2011, §§ 64-65).

67. აპელაციის უფლება: საქმის *Hansen v. Norway*, 2014, § 55, თანახმად, გაბატონებული მიდგომა არის, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ვრცელდება ასეთ სამართალწარმოებებზე (ციტირება *Martinie v. France* [GC], 2006, §§ 11; *Monnell and Morris v. the United Kingdom*, 1987, § 54; და 53-55; ასევე იხილეთ *Pasquini v. San Marino*, 2019, § 89). მე-6 მუხლის გამოყენება დამოკიდებულია შესაბამისი სამართალწარმოების სპეციფიკაზე, ეროვნული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში წარმოების მთელი ხასიათისა და ამ სამართალწარმოებაში სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს როლის გათვალისწინებით (*იქვე*; ასევე იხილეთ *Monnell and Morris v. the United Kingdom*, 1987, § 56).

68. თანმიმდევრული სისხლისა და სამოქალაქო სამართალწარმოება: თუ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართალწარმოებას, რომელიც შედგება ორი ეტაპისგან – პირველი, რომელშიც სასამართლო წყვეტს, არის თუ არა უფლება ზიანის ანაზღაურებაზე და მეორე, რომელშიც ის ადგენს თანხას – მაშინ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიზნებისთვის მიზანშეწონილია, სამოქალაქო უფლება მიჩნეული იქნეს როგორც „განუსაზღვრელი“ მანამ, სანამ ზუსტი ოდენობა არ გადაწყდება: უფლების განსაზღვრა გულისხმობს არა მხოლოდ უფლების არსებობის, არამედ მისი მოქმედების სფეროს ან მისი განხორციელების გზის გადაწყვეტას, რაც, რა თქმა უნდა, მოიცავს ზიანის შეფასებას (*Torri v. Italy*, 1997, § 19).

69. საკონსტიტუციო დავები ასევე შეიძლება დაექვემდებაროს მე-6 მუხლს, თუ მათი შედეგი გადაწყვეტია სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობებისთვის (*Süßmann*

v. Germany, 1996, § 41; *Xero Flor w Polsce sp. z o.o. v. Poland*, 2021, §§ 203 და მომდევნო, კერძოდ § 206; *Ruiz-Mateos v. Spain*, 1993). ეს არ ეხება დავებს, რომლებიც უკავშირდება პრეზიდენტის ბრძანებას, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეობის მინიჭებას რომელიმე პირისთვის, როგორც გამონაკლის ღონისძიებას, ან იმის დადგენას, დაარღვია თუ არა პრეზიდენტმა კონსტიტუციური ფიცი (*Paksas v. Lithuania* [GC], 2011, §§ 65-66). ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე არსებული საქმისწარმოება ეხება წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად საკითხის გადაცემას თუ კონსტიტუციურ საჩივარს სასამართლო გადაწყვეტილებების წინააღმდეგ (*Xero Flor w Polsce sp. z o.o. v. Poland*, 2021, §§ 188-191 და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები). პრინციპში, მე-6 მუხლი ასევე გამოიყენება, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საჩივარს, რომელიც პირდაპირ აპროტესტებს კანონს, თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართლებრივი დაცვის ასეთ საშუალებას (*Voggenreiter v. Germany*, 2004, §§ 31-33 და 36 და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები). გადაწყვეტილება საქმეზე *Xero Flor w Polsce sp. z o.o. v. Poland*, 2021, დეტალურად აღწერს სასამართლოს პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით მოპასუხე მთავრობის არგუმენტის პასუხად, რომელიც ხაზს უსვამს ეროვნული კონსტიტუციური მოდელის სპეციფიკას (იხილეთ §§ 192 და მომდევნო, მათ შორის, არგუმენტები კონსტიტუციური საჩივრის ეფექტურობასთან დაკავშირებით კონვენციის 35-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მიზნებისთვის და მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენებადობასთან დაკავშირებით, § 201). გარდა ამისა, კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენებადობას დროებითი ზომის მიმართ, ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოზე (*Kübler v. Germany*, 2011, §§ 47-48).

70. *სასამართლოს გადაწყვეტილებების არაღსრულება*: მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ვრცელდება სამართალწარმოების ყველა ეტაპზე „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების გამორკვევის“ მიზნით და არ გამორიცხავს საქმის არსებითად გადაწყვეტის შემდგომ ეტაპებს. ამრიგად, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება მე-6 მუხლის მიზნებისათვის უნდა ჩაითვალოს „პროცესის“ შემადგენელ ნაწილად. (*Hornsby v. Greece*, 1997, § 40; *Romańczyk v. France*, 2010, § 53, გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე, რომელიც იძლევა სარემონტო ვალების ამოღების უფლებას). მიუხედავად იმისა, გამოიყენება თუ არა მე-6 მუხლი თავდაპირველ სამართალწარმოებაზე, სამოქალაქო უფლებების სააღსრულებო ფურცელი არ უნდა იყოს იმ საქმის შედეგი, რომლის მიმართაც გამოიყენება მე-6 მუხლი (*Buj v. Croatia*, 2006, § 19).

71. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ასევე ვრცელდება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებების აღსრულებაზე, რომლებიც საბოლოოა (*ევ ზეკვატურა* - იხილეთ *Avotiņš v. Latvia* [GC], 2016, § 96 და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები). უცხო ქვეყნის სასამართლოს კონფისკაციის შესახებ ბრძანების *ევ ზეკვატურა* ხვდება მე-6 მუხლის ფარგლებში, მხოლოდ მისი სამოქალაქო ნაწილის შესაბამისად (*Saccoccia v. Austria* (dec.), 2007).

72. *საჩივრები საქმისწარმოების განახლების/რიგგარეშე სააპელაციო წარმოების შესახებ*: საქმემ *Bochan v. Ukraine (no. 2)* [GC], 2015 განმარტა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მე-6 მუხლის გამოყენებადობასთან დაკავშირებით, გადაუდებელი საჩივრების მიმართ სამოქალაქო სამართალწარმოებაში. კონვენცია, პრინციპში, არ იძლევა შეწყვეტილი საქმის ხელახლა გახსნის უფლების გარანტიას, ხოლო მე-6 მუხლი არ ვრცელდება სამოქალაქო სამართალწარმოების ხელახლა გახსნის შესახებ საჩივარზე, რომელიც შეწყვეტილი იქნა საბოლოო გადაწყვეტილებით (*Sablon v. Belgium*, 2001, § 86). მსჯელობის ეს ხაზი ასევე ვრცელდება საქმის განახლების მოთხოვნაზე მას შემდეგ, რაც სასამართლომ

დაადგინა კონვენციის დარღვევა (*Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland (no. 2)*, 2007, § 24). ამიტომ ითვლება, რომ მე-6 მუხლი მათ მიმართ არ გამოიყენება. ეს იმიტომ, რომ რამდენადაც ეს საკითხი ივარება ეროვნულ სამართალწარმოებაში საბოლოო გადაწყვეტილების *res judicata* პრინციპით, პრინციპში, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ შემდგომი საგანგებო საჩივარი ან აპელაცია, რომელიც მოითხოვს ამ გადაწყვეტილების გადახედვას, იწვევს საკამათო მოთხოვნას ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული უფლების არსებობის შესახებ, ან რომ სასამართლო პროცესის შედეგი, რომელიც ეხება იმავე საქმის გადახედვის შესახებ გადაწყვეტილებას, გადამწყვეტია „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების გამოსარკვევად“ (*Bochan v. Ukraine (no. 2)* [GC], 2015, §§ 44-45).

73. თუმცა, თუ გადაუდებელი გასაჩივრება ავტომატურად ან პრაქტიკაში იწვევს საქმის ხელახლა განხილვას, მე-6 მუხლი გამოიყენება ჩვეულებრივ „ხელახლა განხილვის“ საქმისწარმოების მიმართ (*იქვე*, § 46). მე-6 მუხლი ასევე გამოიყენება ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც სამართალწარმოება, მიუხედავად იმისა, რომ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ხასიათდება როგორც „რიგგარეშე“ ან „გამონაკლისი“, განიხილება, როგორც ჩვეულებრივი სააპელაციო წარმოების მსგავსი ხასიათისა და ფარგლების მქონე, ხოლო იმავდროულად საქმისწარმოების ეროვნული ხასიათი მიჩნეულია, რომ გადამწყვეტი არ არის გამოყენებადობის საკითხისთვის (*San Leonard Band Club v. Malta*, 2004, §§ 41-48). დასკვნის სახით, სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ჩვეულებრივ არ ვრცელდება გადაუდებელ საჩივრებზე, რომლებიც მოითხოვს შეწყვეტილი საქმის ხელახლა გახსნას, ასეთი სამართალწარმოების ხასიათი, ფარგლები და მახასიათებლები შესაბამის სამართლებრივ სისტემაში შეიძლება იყოს ისეთი, რომ მოხვდეს ისინი მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტისა და სამართლიანი სასამართლოს გარანტიების მოქმედების ფარგლებში, რომლებსაც ის აწვდის დავის მხარეებს. შესაბამისად, სასამართლომ უნდა შეისწავლოს მიმდინარე გადაუდებელი საჩივრის ხასიათი, ფარგლები და სპეციფიკური მახასიათებლები (*Bochan v. Ukraine (no. 2)* [GC], 2015, § 50). ციტირებულ საქმეში ეს კრიტერიუმები გამოყენებული იყო „გამონაკლისი საჩივრის“ მიმართ, რომელშიც მომჩივანმა, ეყრდნობოდა რა გადაწყვეტილებას, რომელშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა, მიმართა თავისი ქვეყნის უზენაეს სასამართლოს მოთხოვნით, გააუქმოს ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ამ საქმეში დაადგინა, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი გამოიყენებოდა განსახილველი საქმისწარმოების ტიპზე (§§ 51-58), ეს ასე არ იყო საქმეში *Munteanu v. Romania* (dec.), 2020, §§ 38-44.

74. მე-6 მუხლი ასევე გამოცხადდა გამოსაყენებლად *მესამე მხარის სააპელაციო საჩივართან მიმართებით*, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენდა მომჩივანთა სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებზე (*Kakamoukas and Others v. Greece* [GC], 2008, § 32) და *ხარჯებთან დაკავშირებული საქმისწარმოების მიმართ*, რომელიც ტარდება არსებითი „სამოქალაქო“ საქმისწარმოებისგან განცალკევებით (*Robins v. the United Kingdom*, 1997, § 29).

D. გამონაკლისი საქმეები

75. უბრალო მტკიცებულება იმისა, რომ დავა არის „ქონებრივი“ ხასიათის, თავისთავად არ არის საკმარისი მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოსაყენებლად მისი სამოქალაქო ნაწილის შესაბამისად (*Ferrazzini v. Italy* [GC], 2001, § 25).

76. საკითხები, რომლებიც არ ხვდება მე-6 მუხლის მოქმედების სფეროში, მოიცავს *საგადასახადო სამართალწარმოებას*: საგადასახადო საკითხები რჩება საჯარო ხელისუფლების ორგანოების პრეროგატივების ბირთვში, ხოლო გადასახადის გადამხდელსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის საჯარო ხასიათი კვლავ დომინანტურია (*იქვე*, § 29). ანალოგიურადაა გამორიცხული საბაჟო გადასახადებთან ან გადასახდელებთან დაკავშირებული აკრძალვის ღონისძიების შესახებ საქმისწარმოება (*Emesa Sugar N.V. v. the Netherlands* (dec.), 2005).

77. იგივე ეხება *იმიგრაციის* სფეროს – უცხოელთა შესვლას, ბინადრობას და გაძევებას, პოლიტიკური თავშესაფრის ან დეპორტაციის პროცედურებთან დაკავშირებით (პეტიცია დეპორტაციის ბრძანების გაუქმების შესახებ: იხილეთ *Maaouia v. France* [GC], 2000, § 38; ექსტრადიციას: იხილეთ *Peñafiel Salgado v. Spain* (dec.), 2002; *Mamatkulov and Askarov v. Turkey* [GC], 2005, §§ 81-83; და თავშესაფრის მაძიებლის მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, თავშესაფარზე უარის თქმის გამო: იხილეთ *Panjeheighalehei v. Denmark* (dec.), 2009), პირად ან ოჯახურ ცხოვრებაზე ან დასაქმების პერსპექტივაზე შესაძლო სერიოზული შედეგების მიუხედავად. ეს გამოუყენებლობა ვრცელდება შენგენის საინფორმაციო სისტემაში უცხოელის ჩართვაზეც (*Dalea v. France* (dec.), 2010). პასპორტის ფლობის უფლება და მოქალაქეობის უფლება არ არის სამოქალაქო უფლებები მე-6 მუხლის მიზნებისათვის (*Smirnov v. Russia* (dec.), 2006). თუმცა, უცხოელის უფლება, მიმართოს სამუშაო ნებართვისთვის, შეიძლება მოხვდეს მე-6 მუხლის ფარგლებში დამსაქმებლისთვისაც და დასაქმებულისთვისაც, მაშინაც კი, თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დასაქმებულს არ აქვს უფლება, მოითხოვოს ნებართვა, იმ პირობით, რომ ეს არის უბრალოდ პროცედურული დაბრკოლება, რომელიც არ ეხება კანონის არსს (*Jurisc and Collegium Mehrerau v. Austria*, 2006, §§ 54-62).

78. საქმის *Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], 2007, თანახმად, *დავები, რომლებიც ეხება საჯარო მოსამსახურეებს* არ ხვდება მე-6 მუხლის მოქმედების სფეროში, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი ორი კრიტერიუმი: სახელმწიფოს თავის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, პირდაპირ ან ირიბად, როგორც განმარტებულია საქმეში *Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 292) – გამორიცხული უნდა ჰქონდეს წვდომა „სასამართლოზე“ შესაბამისი თანამდებობის ან დასაქმებულთა კატეგორიისთვის, ხოლო გამონაკლისი უნდა იყოს გამართლებული „ობიექტური მიზეზებით, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე“ (*Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], 2007, § 62, განმარტებებით, რომელიც მოცემულია საქმეში *Grzęda v. Poland* [GC], 2022, §§ 261 და 299-300; ასევე იხილეთ *Baka v. Hungary* [GC], 2016, § 103; *Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, § 107). ვილჰო ესკელინენის საქმეში მიღებული მიდგომის თანახმად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მომჩივანი მუშაობს სექტორში ან დეპარტამენტში, რომელიც მონაწილეობს საჯარო სამართლით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებაში, არ არის გადამწყვეტი. გარდა ამისა, მე-6 მუხლის გამოყენების ნებისმიერი გამორიცხვა უნდა შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობას. ამისათვის, ის უნდა ეფუძნებოდეს ზოგადი გამოყენების ინსტრუმენტს (*Baka v. Hungary* [GC], 2016, § 117) და არა დებულებას, რომელიც მიმართულია კონკრეტული პირის წინააღმდეგ, რადგან კანონები, რომლებიც მიმართულია კონკრეტული პირების წინააღმდეგ, ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობას (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 296, § 299). გადაწყვეტილება საქმეზე *Grzęda v. Poland* დასძენს, რომ თუ საგანი მჭიდროდ არის დაკავშირებული სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასთან, ეს გავლენას მოახდენს ვილჰო ესკელინენის ტესტის მეორე პირობის შემოწმებაზე (§ 300). ძალიან ცოტა საქმემ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ვილჰო ესკელინენის ტესტის ორივე პირობა დაკმაყოფილებული იყო.

79. რამდენიმე საქმეში, საქმედე *Grzęda v. Poland* [GC], 2022, რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ ვიღაც *ესკელინენის* ტესტის პირველი პირობა დაკმაყოფილებული იყო (შეჯამებისთვის, მოსამართლეებთან დაკავშირებით, იხილეთ *Bilgen v. Turkey*, 2021, §§ 70 და 75), სასამართლოს ხელმისაწვდომობის გამორიცხვა განსახილველი თანამდებობისთვის იყო ნათელი და „გამოხატული“ (იხილეთ, მაგალითად, *Suküt v. Turkey* (dec.), 2007; *Nedelcho Popov v. Bulgaria*, 2007, § 38; *Apay v. Turkey* (dec.), 2007; და *Nazsız v. Turkey* (dec.), 2009 (განხილული უნდა იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილების კრილში, საქმეში *Eminağaoğlu v. Turkey*, 2021, §§ 74-76); და შდრ. *Kövesi v. Romania*, 2020, §§ 119-121). უნდა აღინიშნოს, რომ ის ფაქტი, რომ სადავო გადაწყვეტილების გადახედვა შეუძლებელია, თავისთავად არ ნიშნავს, რომ სასამართლოზე წვდომა გამორიცხულია პირველი პირობის მიზნებისთვის (*Kamenos v. Cyprus*, 2017, §§ 75 და 84; ასევე იხილეთ *Kövesi v. Romania*, 2020, §§ 122-123). საქმეში *Kamenos v. Cyprus*, 2017, მომჩივანმა მიიღო დისციპლინური სახდელი ერთი ორგანოსგან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოო იყო (§ 84). თუმცა, საბჭო წარმოადგენდა „სასამართლოს“ მე-6 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, ხოლო დათხოვნილ საჯარო მოსამსახურეს სასამართლოზე წვდომა ჰქონდა ვიღაც *ესკელინენის* ტესტის პირველი პირობის მიზნებისთვის.

80. სასამართლომ განაცხადა, რომ არაფერი უშლის მას, დაახასიათოს კონკრეტული ეროვნული ორგანო ეროვნული სასამართლო სისტემის მიღმა, როგორც „სასამართლო“ ვიღაც *ესკელინენის* ტესტის მიზნებისთვის (პრინციპისთვის იხილეთ *Bilgen v. Turkey*, 2021, § 71). ამრიგად, ადმინისტრაციული ან საპარლამენტო ორგანო შეიძლება ჩაითვალოს „სასამართლოდ“, რაც მე-6 მუხლის გამოყენებას შესაძლებელს ხდის ამ ორგანოს მიერ საჯარო მოსამსახურეთა დავების განხილვისას (*Oleksandr Volkov v. Ukraine*, 2013, § 88); ეს შეიძლება იყოს დისციპლინური ორგანოს შემთხვევაშიც (*Kamenos v. Cyprus*, 2017, §§ 82-88), ან არა (*Bilgen v. Turkey*, 2021, §§ 74-75). ასევე შეიძლება არსებობდეს განსაკუთრებული გარემოებები, როდესაც სასამართლომ უნდა დაადგინოს, იყო თუ არა სასამართლოზე წვდომა გამორიცხული შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, მომჩივნის მიმართ სადავო ღონისძიების მიღებამდე და არა მიღებისას (*Baka v. Hungary* [GC], 2016, §§ 115-16).

81. რაც შეეხება ვიღაც *ესკელინენის* ტესტის მეორე პირობას, სასამართლომ დაამატა, რომ ზემოაღნიშნული გამონაკლისის დასაბუთებისთვის საკმარისი არ არის, სახელმწიფომ დაადგინოს, რომ აღნიშნული საჯარო მოსამსახურე მონაწილეობს საჯარო უფლებამოსილების განხორციელებაში (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 296) ან რომ არსებობს, როგორც სასამართლომ ჩამოაყალიბა საქმეში *Pellegrin v. France* [GC], 1999, „ნდობისა და ლოიალობის სპეციალური კავშირები“ საჯარო მოსამსახურესა და სახელმწიფოს, როგორც დამსაქმებელს შორის. სახელმწიფომ ასევე უნდა დაამტკიცოს, რომ დავის საგანი დაკავშირებულია საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან ან ექვექვემ აყენებს სპეციალურ კავშირებს. პრინციპში, არ შეიძლება იყოს გამართლებული მე-6 მუხლის გარანტიებიდან გამორიცხვა ჩვეულებრივი შრომითი დავებისა, როგორცაა ხელფასთან, შემწეობასთან ან მსგავს შეღავათებთან დაკავშირებული დავები, კონკრეტულ საჯარო მოსამსახურესა და შესაბამის სახელმწიფოს შორის ურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათის საფუძველზე (*Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], 2007, § 62 და მიმოხილვისთვის: *Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 261). სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლი არ გამოიყენებოდა ჯარიდან დისციპლინის დარღვევის გამო დათხოვნილი ჯარისკაცის შემთხვევაში, რომელიც ვერ აპროტესტებდა მის დათხოვნას სასამართლოში და რომლის „ნდობისა და ლოიალობის განსაკუთრებული კავშირები“ სახელმწიფოსთან ექვექვემ დადგა (*Suküt v. Turkey* (dec.), 2007).² ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა ის

2. იხილეთ განყოფილება „სხვა ტიპის დავებზე გავრცელება“.

ხელისუფლების ზოგიერთ მაღალჩინოსანთან დაკავშირებით, რომლებიც მგრძობიარე სფეროებში არიან (*Spūlis and Vaškevičs v. Latvia* (dec.), 2014). თუმცა, საქმეში *Bilgen v. Turkey*, 2021, §§ 79-81 და საქმეში *Eminağaoğlu v. Turkey*, 2021, §§ 76-80, რომელიც ეხებოდა მოსამართლეებს, სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი მსჯელობა არ შეიძლება გადაეცეს სასამართლო ხელისუფლების წევრებს, განსაკუთრებით, მათი დამოუკიდებლობის გარანტიების გათვალისწინებით. შედეგად, გადაწყვეტილებამ საქმეზე *Grzęda v. Poland* [GC], 2022, განმარტა მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოსაზრებების აქტუალობა საქმეებში, რომლებიც ეხება არა მხოლოდ მოსამართლის ძირითად პროფესიულ საქმიანობას (გადაწყვეტილების მიღებას), არამედ სხვა ოფიციალურ ფუნქციებსაც (როგორცაა წევრობა სასამართლო საბჭოში; მაგალითად, § 303). საქმე ეხებოდა მოქმედ მოსამართლეს, რომელიც არჩეული იქნა ორგანოს მოსამართლე წევრად, რომელსაც აქვს კონსტიტუციური პასუხისმგებლობა სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად (მოსამართლეთა ეროვნული საბჭო). ის ვადამდე გაათავისუფლეს ამ თანამდებობიდან კანონის შესაბამისად, ამ ღონისძიების კანონიერების სასამართლო განხილვის არარსებობის გამო (რჩებოდა რა იმავე სასამართლოში თანამდებობაზე). სასამართლომ დაადგინა, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიების ზედამხედველობის ნაკლებობა არ შეიძლება ჩაითვალოს კანონის უზენაესობის ინტერესებში და რომ ვილჰო ესკელინენის ტესტის მეორე პირობა არ იყო დაკმაყოფილებული; მან აღნიშნა, რომ „სასამართლო ხელისუფლების წევრები უნდა სარგებლობდნენ – ისევე როგორც სხვა მოქალაქეები – დაცვით საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ თვითნებური ქმედებებისგან და მხოლოდ დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების მიერ ისეთი ღონისძიების კანონიერების ზედამხედველობას, როგორცაა თანამდებობიდან გადაყენება, შეუძლია ასეთი დაცვა გახადოს ეფექტური (§§ 295-327).

82. პოლიტიკური უფლებები, როგორცაა არჩევნებში მონაწილეობისა და ადგილის შენარჩუნების უფლება (არჩევნებთან დაკავშირებული დავა: იხილეთ *Pierre-Bloch v. France*, 1997, § 50), ყოფილი პარლამენტის წევრის პენსიის უფლება (*Papon v. France* (dec.), 2005) ან პოლიტიკური პარტიის უფლება, განახორციელოს თავისი პოლიტიკური საქმიანობა (პარტიის დაშლის საქმეზე იხილეთ *Refah Partisi (The Welfare Party) and Others v. Turkey* (dec.), 2000), არ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო უფლებებად მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში. პოლიტიკური პარტიის ან ასოციაციის წევრობა და გარიცხვა ასევე არ ხდება მე-6 მუხლის ფარგლებში (*Lovrić v. Croatia*, 2017, § 55). ანალოგიურად, სამართალწარმოება, რომლის დროსაც არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც აკვირდებოდა საპარლამენტო არჩევნებს, აეკრძალა წვდომა დოკუმენტებზე, რომლებიც არ შეიცავს ინფორმაციას თავად ორგანიზაციასთან დაკავშირებით, არ ხდება მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოქმედების სფეროში (*Geraguyn Khorhurd Patgamavorakan Akumb v. Armenia* (dec.), 2009). სასამართლომ დაადასტურა, რომ პოლიტიკური თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, ინტერესთა კონფლიქტში არმოქცევის მოვალეობა, არის პოლიტიკური და არა სამოქალაქო (*Cătăniciu v. Romania* (dec.), 2018, § 35).

83. გარდა ამისა, კონვენცია, როგორც ასეთი, არ ანიჭებს არანაირ უფლებას სისხლისსამართლებრივი დანაშაულისთვის მესამე პირების სისხლისსამართლებრივი დევნის ან გასამართლების შესახებ (*Perez v. France* [GC], 2004, § 70; *Mustafa Tunç and Fecire Tunç v. Turkey* [GC], 2015, § 218, სხვა პირის სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით), არც რაიმე უფლებას, გასაჩივრებული იქნეს სამოქალაქო საკითხები (*Durisotto v. Italy* (dec.), 2014, § 53 და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები). გარდა ამისა, მე-6 მუხლი არ ვრცელდება

სამართალწარმოებებზე, რომლებიც ეხება ამნისტიის კანონმდებლობის გამოყენებადობის პირობებს (*Montcornet de Caumont v. France* (dec.), 2003) და არ იძლევა რაიმე უფლების გარანტიას აღსრულების ან პირობით გათავისუფლების კონკრეტულ ფორმაზე (*Balliktaş Bingöllü v. Turkey*, 2021, § 48). მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ასევე არ მოითხოვს ეროვნული სასამართლოს არსებობას, რომელიც უფლებამოსილია გააუქმოს ან ბათილად ცნოს მოქმედი კანონი (*James and Others v. the United Kingdom*, 1986, § 81).

84. ღია სასამართლოში წამოჭრილ საკითხებზე მოხსენების უფლება არ არის „სამოქალაქო“ უფლება კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში (*Mackay and BBC Scotland v. the United Kingdom*, 2010, §§ 20-22).

85. დასკვნა: როდესაც არსებობს „დავა“ „სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან“ დაკავშირებით, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოაღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი აძლევს შესაბამის პირს უფლებას, სასამართლოს ან ტრიბუნალს წარუდგინოს ნებისმიერი სარჩელი მის სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებით. ამრიგად, ეს მუხლი განასახიერებს „უფლებას სასამართლოზე“, რომლის ერთ-ერთი ასპექტია წვდომის უფლება, ანუ სამოქალაქო სასამართლოებში საქმის აღძვრის უფლება. ამას ემატება მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები, როგორც სასამართლოს ორგანიზაციასა და შემადგენლობასთან, ასევე საქმისწარმოების წარმართვასთან დაკავშირებით. მთლიანობაში, ეს ყველაფერი წარმოადგენს „საქმის სამართლიანი განხილვის“ უფლებას (*Golder v. the United Kingdom*, 1975, § 36).

E. ბმულები კონვენციის სხვა დებულებებით³

86. კონვენცია წაკითხული უნდა იქნეს მთლიანობაში და განიმარტოს ისე, რომ ხელი შეუწყოს შიდა თანმიმდევრულობას და ჰარმონიას მის სხვადასხვა დებულებას შორის (ამ პრინციპისთვის იხილეთ, მაგალითად, *Mihalache v. Romania* [GC], 2019, § 92).

1. მუხლი 2 (სიცოცხლის უფლება)

87. საქმეში *Fernandes de Oliveira v. Portugal* [GC], 2019, მომჩივნის ვაჟმა, რომელიც მოთავსებული იყო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, გაიქცა და თავი მოიკლა. მე-2 მუხლზე დაყრდნობით, მომჩივანი ჩიოდა, რომ ხელისუფლებამ ვერ დაიცვა მისი შვილის სიცოცხლის უფლება. ის ასევე ჩიოდა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, კომპენსაციის შესახებ საქმისწარმოების ხანგრძლივობის გამო, რომელიც მან წამოიწყო საავადმყოფოს წინააღმდეგ. დიდმა პალატამ გადაწყვიტა, განეხილა ყველა საჩივარი მხოლოდ კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად (§§ 80-81).

88. მე-6 მუხლი ადგენს დამოუკიდებლობის მოთხოვნას, ხოლო სიცოცხლის უფლების პროცედურული დაცვა, რომელიც თან ახლავს კონვენციის მე-2 მუხლს, გულისხმობს, რომ გამოძიება საკმარისად დამოუკიდებელი უნდა იყოს. საქმეში *Mustafa Tunç and Fecire Tunç v. Turkey* [GC], 2015, დიდმა პალატამ წარმოადგინა გარკვეული განმარტება იმის თაობაზე, მათ შორის, უნდა აკმაყოფილებდნენ თუ არა საგამოძიებო ორგანოები იმავე

3. ასევე იხილეთ პრეცედენტული სამართლის გზამკვლევები შემდეგი მუხლების შესახებ: *მუხლი 2* (სიცოცხლის უფლება), *მუხლი 6* (სისხლისსამართლებრივი ასპექტი) (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება), *მუხლი 8* (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), *მუხლი 13* (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) და *1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლი* (საკუთრების დაცვა).

დამოუკიდებლობის კრიტერიუმებს მე-2 მუხლის შესაბამისად, როგორც მე-6 მუხლის შესაბამისად (§§ 217 და მომდევნო).

89. საქმეში *Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [GC], 2019, დიდმა პალატამ ხაზი გაუსვა განსხვავებას კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად ეფექტური გამოძიების უფლებასა და მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად სასამართლოზე წვდომის უფლებას შორის, რომელიც ეხება დაზარალებულის უფლებას, მოითხოვოს ანაზღაურება მიყენებული ზიანისთვის (§ 193).

2. მუხლი 5 (თავისუფლების უფლება)⁴

90. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არის *lex specialis* მე-6 მუხლთან მიმართებით (სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტი) და არსებობს მჭიდრო კავშირი კონვენციის ორ დებულებას შორის, თუმცა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, პროცედურას ყოველთვის არ უნდა ახლდეს იგივე გარანტიები, რომლებსაც მოითხოვს მე-6 მუხლი სამოქალაქო ან სისხლის სამართლის დავასთან მიმართებით (*Manzano Diaz v. Belgium*, § 38).

91. თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიები შეიძლება იყოს უფრო მკაცრი, ვიდრე სამოქალაქო საქმეებში (*Corneschi v. Romania*, 2022, § 106).

3. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი (სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი განხილვა)⁵

92. სასამართლო მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ან მსჯავრდადებული პირების უფლებები მოითხოვს უფრო მეტ დაცვას, ვიდრე მხარეთა უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოებაში. ამიტომ, პრინციპები და სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, უნდა იყოს ჩამოყალიბებული განსაკუთრებული სიცხადით და სიზუსტით (*Moreira Ferreira v. Portugal (no. 2)* [GC], 2017, § 67). „საქმის სამართლიანი განხილვის“ მოთხოვნები სულაც არ არის მსგავსი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების დადგენასთან მიმართებით: „ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ მეტი დისკრეცია სამოქალაქო საქმეებში სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებით, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეებში“ (*Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 1993, § 32; *Levages Prestations Services v. France*, 1996, § 46; და ასევე იხილეთ ქვემოთ). სამოქალაქო მხარე არ არის იმავე მდგომარეობაში, როგორც სხვა მხარეები სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, სადაც ორი დაპირისპირებული მხარე არიან ბრალდებული, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს ბრალდების უსაფუძვლობა და პროკურორი, რომელიც წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს. პირი, რომელიც ერევა საქმისწარმოებაში როგორც სამოქალაქო მხარე, მიუხედავად იმისა, რომ ის ცდილობს მხარი დაუჭიროს პროკურატურას, პირველ რიგში, ითხოვს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ამრიგად, სამოქალაქო მხარე მონაწილეობს არა სისხლის სამართლის ასპექტში, არამედ სამართალწარმოების სამოქალაქო ასპექტში. შესაბამისად, სამოქალაქო მხარის უფლებები მხარეთა თანასწორობისა და კონკურენტუნარიანობის პრინციპებთან მიმართებით არ ემთხვევა ბრალდებულის უფლებებს პროკურორთან მიმართებით (*Gorou v. Greece (no. 4)*, 2007, §§ 26-27, სხდომის გადადებაზე უართან დაკავშირებით და § 22, საჩივართან დაკავშირებით, სამართლებრივი ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით; შდრ. *Andrejeva v. Latvia* [GC], 2009, §§ 100-102,

4. იხ. მე-5 მუხლის გზამკვლევი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება).

5. იხ. მე-6 მუხლის გზამკვლევი (სისხლისსამართლებრივი ასპექტი).

პროკურორის/პროკურატურის როლის შესახებ სამოქალაქო სამართალწარმოების მხარესთან მიმართებით).

93. თავის პრეცედენტულ სამართალში, როდესაც სასამართლო განიხილავს მე-6 მუხლის სამოქალაქო ასპექტთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას, მას შეიძლება დასჭირდეს შთაგონება სისხლის სამართლის საკითხებთან დაკავშირებით მისი მიდგომიდან (*Mihail Mihăilescu v. Romania*, 2021, § 75, და *სამართლიანობისთვის: ზოგადი პრინციპები* ქვემოთ, და პირიქით, *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, §§ 209 და 250; ასევე იხილეთ *Peleki v. Greece*, 2020, §§ 55-56).

94. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის წარმოებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს „სამოქალაქო“ დავის გადაწყვეტის სამართლიანობაზე (იხილეთ, კერძოდ, სამოქალაქო მხარის კონკრეტული კითხვა ან სამოქალაქო უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის გამოძიების პროცედურასთან *Mihail Mihăilescu v. Romania*, 2021, §§ 74-89, მათ შორის, საკითხი *res judicata*-ის შესახებ; *Victor Laurențiu Marin v. Romania*, 2021, §§ 144-150; და *Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [GC], 2019, §§ 192-201).

95. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის ინსტიტუციურ მოთხოვნებთან დაკავშირებით, როგორცაა „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს“ დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა და კონვენციის ფუნდამენტური პრინციპები, სასამართლო დაეყრდნო თავის პრეცედენტებს როგორც სამოქალაქო ისე „სისხლის სამართლის“ საქმეებში საკუთარი პრეცედენტული სამართლის შემუშავებისას (იხილეთ, მაგალითად, *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 211 და მომდევნო; *Morice v. France* [GC], 2015).

96. დაბოლოს, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენებადობა მის სამოქალაქო ასპექტში არ უშლის ხელს სასამართლოს, განიხილოს, გამოყენებადია თუ არა ეს მუხლი მის სისხლის სამართლის ნაწილშიც (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 121 და *Denisov v. Ukraine* [GC], 2018, § 43). უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს დიდი ხნის პოზიციას, რომ დისკრიპლინური სამართალწარმოება, როგორც ასეთი, არ არის „სისხლისსამართლებრივი“ ხასიათის (*Peleki v. Greece*, 2020, §§ 35-36).

4. მუხლი 6§2 (უდანაშაულობის პრეზუმფცია)

97. გამამართლებელი განაჩენის ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ სამოქალაქო საქმეები, როგორც წესი, განიხილება კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. სასამართლომ განიხილა საქმე, რომელშიც მომჩივანი ჩიოდა, რომ მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მისი არასრულწლოვანი შვილის ქმედებებისთვის დადგინდა სისხლის სამართლის საქმის წარმოების საფუძველზე, რომელშიც მისი შვილი მხოლოდ მოწმე იყო და თავად მას არ გააჩნდა რაიმე პროცედურული სტატუსი. არც სისხლის სამართლის და არც სამოქალაქო სამართალწარმოებაში ის არ ამტკიცებდა, რომ მომჩივანმა თავად ჩაიდინა რაიმე უკანონო ქმედება. ამრიგად, საქმე არ ეხებოდა მის უფლებას უდანაშაულობის პრეზუმფციაზე, რომელიც გარანტირებულია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ დებულების შესახებ მის პრეცედენტულ სამართალში შემუშავებული პრინციპები შეესაბამება მდგომარეობას მის წინაშე არსებულ განსახილველ საქმეში, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად (*Kožemiakina v. Lithuania*, 2018, § 51).

5. მუხლი 8 (პირადი და ოჯახური ცხოვრება)

98. თუ დავის მატერიალური ელემენტი მიჩნეულია მნიშვნელოვნად მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის სამოქალაქო ნაწილის შესაბამისად გამოსაყენებლად, მე-8 მუხლი ავტომატურად არ გახდება გამოყენებადი „პირადი ცხოვრების“ პატივისცემის უფლების თვალსაზრისით (*Denisov v. Ukraine* [GC], 2018, §§ 54 და 122; ასევე იხილეთ *Ballıktaş Bingöllü v. Turkey*, 2021, §§ 60-61, მე-6 და მე-8 მუხლების გამოყენებასთან დაკავშირებით განსხვავებული დასკვნით). მეორე მხრივ, კონვენციის მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში „პირადი ცხოვრების“ ცნება არის ელემენტი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენებადობის შესახებ დასკვნისას (იხილეთ *Altay v. Turkey (no. 2)*, 2019, § 68).

99. სასამართლომ ხაზი გაუსვა საოჯახო სამართალწარმოების განსაკუთრებულ ხასიათს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის თვალსაზრისით (*Plazzi v. Switzerland*, 2022, §§ 58-59 and 77), საქმეში, რომელიც მან ცალკე არ განიხილა მე-8 მუხლის შესაბამისად. მან აღიარა, რომ შეიძლება იყოს გამონაკლისი სიტუაციები, სათანადოდ გამართლებული ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, როდესაც განსაკუთრებული გადაუდებელი აუცილებლობა მოითხოვს, რომ მშობელმა შეძლოს ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, საქმის არსებითად საბოლოო გადაწყვეტილების მოლოდინის გარეშე. თუმცა, მან განმარტა, რომ ასეთ ვითარებაში, შესაბამისი მშობელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას შეუძლია, მიმართოს სასამართლოს შემაჩერებელი ეფექტის გაუქმების ძალაში შესვლამდე და უნდა იცოდეს, თუ რა პროცედურას უნდა მიჰყვეს (ასევე იხილეთ *Roth v. Switzerland*, 2022, §§ 67 და 84).

100. საქმეში *López Ribalda and Others v. Spain* [GC], 2019, სასამართლომ განიხილა საკითხი იმის შესახებ, დაარღვია თუ არა საქმისწარმოების სამართლიანობა მთლიანობაში, სათვალთვალ ვიდეოკამერებიდან სამოქალაქო სამართალწარმოებისთვის (მუხლი 8) ფარულად, მტკიცებულებების სახით ამოღებულმა გამოსახულებებმა (§§ 154-158, ხოლო სატელეფონო კომუნიკაციების გადაჭერისთვის იხილეთ *Adomaitis v. Lithuania*, 2022, §§ 68-74). საქმეში *Evers v. Germany*, 2020, სასამართლომ დაადგინა, რომ მიმდინარე საქმისწარმოების კონტექსტში, მე-8 მუხლის მიზნებისთვის დაცული იყო ფსიქიკური აშლილობის მქონე მოწყვლადი პირების უფლება თვითგამორკვევასა და ღირსებაზე (§§ 82-84). საქმეში *M.L. v. Slovakia*, 2021, სასამართლომ გაავლო პარალელი მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პროცედურულ დაცვასა და მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებულ აშკარა დაცვას შორის (§ 57; *Paparrigopoulos v. Greece*, 2022, § 49).

6. მუხლი 10 (გამოხატვის თავისუფლება)

101. სასამართლომ განიხილა საქმეები, რომლებშიც მომჩივნები გაასამართლეს სასამართლოს უპატივცემულობისთვის სასამართლო დარბაზში გაკეთებული კომენტარების ან მოსამართლეებისადმი მიმართული კომენტარების გამო. სასამართლომ თავდაპირველად ცალ-ცალკე განიხილა საჩივრები კონვენციის მე-6 და მე-10 მუხლების შესაბამისად და აღნიშნა, რომ მისი ნაპოვარი პროცედურული უსამართლობის შესახებ შემაჯამებელ სამართალწარმოებაში მხოლოდ ამძაფრებდა პროპორციულობის ნაკლებობას (*Kyprianou v. Cyprus* [GC], 2005, § 181). ახლახან მან დაადგინა, რომ ამ სამართალწარმოების ხარვეზების ფონზე (მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევის დადგენა), მომჩივნის გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვას არ ახლდა ქმედითი და „საკმარისი გარანტიები“ ძალადობის წინააღმდეგ და ამიტომ არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, რითაც ირღვეოდა მე-10 მუხლი (*Słomka v. Poland*, 2018, §§ 69-70).

7. სხვა მუხლები

102. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არის *lex specialis* მე-13 მუხლთან მიმართებით: მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნები, რომლებიც გულისხმობს სასამართლო პროცედურის სისრულეს, უფრო მკაცრია, ვიდრე მე-13 მუხლის მოთხოვნები და შთანთქმავს მათ (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 352, და *Kudła v. Poland* [GC], 2000, § 146).

103. საქმეში *Černius and Rinkevičius v. Lithuania*, 2020, § 49, სასამართლომ განიხილა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად მომჩივნების საჩივარი, წარმატებული განხილვის შემდეგ ეროვნული სასამართლოების მიერ მათთვის სამართლებრივი ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ როცა მომჩივნები ჩიოდნენ N1 ოქმის 1-ელი მუხლის საფუძველზე, წაკითხული კონვენციის მე-13 მუხლთან ერთობლიობაში (შდრ. *Taratukhin v. Russia* (dec.), 2020, § 27, ხოლო გადასახდელი თანხების ანაზღაურებისთვის იხილეთ *Gogić v. Croatia*, 2020, § 45). საქმეში *Cindrić and Bešlić v. Croatia*, 2016, §§ 119-123, რომელიც ეხებოდა დავის ხარჯების გადახდას, რომელიც შედგებოდა საჯარო მოსამსახურეების მოსაკრებლებისგან, სასამართლომ განიხილა საჩივარი ორივე მუხლის მიხედვით (§§ 110 და 119-123; შდრ. *Bursać and Others v. Croatia*, 2022, §§ 107-108). ასევე იხილეთ *Zustović v. Croatia*, 2021, §§ 98-100, and *Čolić v. Croatia*, 2021, §§ 39-48, პრეცედენტული სამართლის შეჯამებისთვის

104. ასევე შეიძლება არსებობდეს კავშირი 35-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მიზნებისთვის კონსტიტუციური დაცვის საშუალების ეფექტურობის საკითხსა და მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენებადობის საკითხს შორის იმავე საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოებისას (*Xero Flor w Polsce sp. z o.o. v. Poland*, 2021, §§ 201-209).

II. სასამართლოს უფლება

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი

„1. „ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ... გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ...“

A. სასამართლოს უფლება და ხელმისაწვდომობა

105. სასამართლოზე წვდომის უფლება მე-6 მუხლის მიზნებისთვის განისაზღვრა საქმეში *Goldier v. the United Kingdom*, 1975, §§ 28-36 (იხილეთ, უკანასკნელი წყაროს სახით, *Grzęda v. Poland* [GC], 2022, §§ 342-343). კანონის უზენაესობისა და უფლებამოსილების თვითნებური გამოყენების დაუშვებლობის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც საფუძვლად უდევს კონვენციას, სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოზე წვდომის უფლება მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების განუყოფელი ასპექტია (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 298; *Zubac v. Croatia* [GC], 2018, §§ 76 et seq.). სადაც არ არის წვდომა დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე, ყოველთვის იქნება კანონის უზენაესობის დაცვის საკითხი (*ოქვო*, § 343). ამრიგად, იმისათვის, რომ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, რომელიც გამორიცხავს სასამართლოზე წვდომას, რაიმე ეფექტი ჰქონდეს კონკრეტულ საქმეში მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, ის უნდა შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობას (*ოქვო*, § 299, *ვილჰო ესკელინენის* ტესტის მეორე პირობის შემოწმების კონტექსტში).

106. სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც გარანტირებულია მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით, მოითხოვს, რომ მხარეებს ჰქონდეთ სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, განამტკიცონ თავიანთი სამოქალაქო უფლებები (*Nait-Liman v. Switzerland* [GC], 2018, § 112; *Běleš and Others v. the Czech Republic*, 2002, § 49).

107. ყველა ადამიანს აქვს უფლება, სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე წარადგინოს ნებისმიერი სარჩელი მის „სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან“ დაკავშირებით. ამრიგად, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი განასახიერებს „სასამართლოს უფლებას“, რომლის ერთ-ერთი ასპექტია წვდომის უფლება, ანუ სამოქალაქო სასამართლოებში სამართალწარმოების დაწყების უფლება (*Nait-Liman v. Switzerland* [GC], 2018, § 113; *Goldier v. the United Kingdom*, 1975, § 36; და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები). ამიტომ, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა, ვინც თვლის, რომ ჩარევა მისი ერთ-ერთი სამოქალაქო უფლების განხორციელებაში უკანონოა და ჩივის, რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, შეეტანა ეს სარჩელი სასამართლოში, რომელიც აკმაყოფილებს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნებს. თუ არსებობს სერიოზული და ჭეშმარიტი დავა ასეთი ჩარევის კანონიერებასთან დაკავშირებით, ეხება ეს თავად სამოქალაქო უფლების არსებობას თუ მოთხოვნილი სამოქალაქო უფლების მოქმედების სფეროს, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი უფლებას აძლევს შესაბამის პირს, რომ „შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ეს საკითხი გადაწყვიტოს სასამართლომ“ (*Z and Others v. the United Kingdom* [GC], 2001, § 92; *Markovic and Others v. Italy* [GC], 2006, § 98). სასამართლოს უარი, განიხილოს ფიზიკური პირების პრეტენზიები, რომელიც ეხება კონკრეტული პროცედურის შესაბამისობას სამართლიანი

სასამართლოს ძირითად პროცედურულ გარანტიებთან, ზღუდავს მათ წვდომას სასამართლოზე (*Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland* [GC], 2016, § 131).

108. „სასამართლოს უფლება“ და წვდომის უფლება აბსოლუტური არ არის. მათ შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს, მაგრამ მათ არ უნდა შეზღუდონ ან შეამცირონ ფიზიკური პირის წვდომა ისე ან იმდენად, რომ დაირღვეს უფლების არსი (*Stanev v. Bulgaria* [GC], 2012, § 229; *Baka v. Hungary* [GC], 2016, § 120; *Nait-Liman v. Switzerland* [GC], 2018, § 113; *Philis v. Greece (no. 1)*, 1991, § 59; *De Geouffre de la Pradelle v. France*, 1992, § 28).⁶ გარდა ამისა, შეზღუდვა არ იქნება თავსებადი მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან, თუ ის არ მისდევს ლეგიტიმურ მიზანს და თუ არ არსებობს თანაზომიერების გონივრული ბალანსი გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის (*Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, § 89; *Nait-Liman v. Switzerland* [GC], 2018, § 115).

109. მე-6 მუხლი არ იძლევა სასამართლოზე წვდომის უფლების გარანტიას, რომელსაც აქვს უფლებამოსილება, გააუქმოს ან ბათილად ცნოს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული კანონი. მიუხედავად ამისა, თუ ბრძანება (კანონის საფუძველზე გამოცემული), გადაწყვეტილება ან სხვა ზომა, თუმცა ფორმალურად არ არის მიმართული რომელიმე ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის მიმართ, არსებითად ზემოქმედებს ამ პირის ან პირთა ჯგუფის „სამოქალაქო უფლებებზე“ ან „მოვალეობებზე“ მსგავს სიტუაციაში, იქნება ეს მათთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლების ან ფაქტობრივი სიტუაციის გამო, რომელიც განასხვავებს მათ ყველა სხვა პირისგან, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი შეიძლება მოითხოვდეს, რომ შესაძლებელი იყოს მოცემული გადაწყვეტილების ან ზომის არსის გასაჩივრება ამ პირის ან ჯგუფის მიერ „სასამართლოში“, რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულების მოთხოვნებს (*Posti and Rahko v. Finland*, 2002, §§ 53-54). ეს *a fortiori* ეხება ზომებს, რომლებიც გამოიყენება შესაბამის კანონმდებლობაში კონკრეტული საქმის მიმართ (*Project-Trade d.o.o. v. Croatia*, 2020, §§ 67-68).

110. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს წინაშე სამოქალაქო სარჩელის აღძვრის უფლება არის ერთ-ერთი „სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ფუნდამენტური პრინციპი“, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ეს გარანტიები არის *jus cogens* საერთაშორისო სამართლის ამჟამინდელ მდგომარეობაში (*Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland* [GC], 2016, § 136).

111. საქმეში *Baka v. Hungary* [GC], 2016, სასამართლომ აღნიშნა მზარდი მნიშვნელობა, რომელსაც საერთაშორისო და ევროპის საბჭოს ინსტრუმენტები, საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტული სამართალი და სხვა საერთაშორისო ორგანოების პრაქტიკა ანიჭებენ პროცედურულ სამართლიანობას მოსამართლეთა გადაყენების ან გათავისუფლების საქმეებში, მათ შორის, დამოუკიდებელი ორგანოს ჩარევის ჩათვლით, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად, ყველა გადაწყვეტილებასთან მიმართებით, რომელიც გავლენას ახდენს მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტაზე (§ 121 – და იხილეთ *Grzęda v. Poland* [GC], 2022, §§ 327 და 345). საქმეში *Kövesi v. Romania*, 2020, იგივე მოსაზრებები იქნა გამოყენებული პროკურორების მიმართაც (§ 156). დისციპლინურ საკითხებთან დაკავშირებით ასევე იხილეთ, *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 176-186 და *Eminağaoğlu v. Turkey*, 2021, §§ 99-104; ხოლო სავალდებულო გადაყენისთვის, *Bilgen v. Turkey*, 2021, § 63.

საქმეში *Grzęda v. Poland* [GC], 2022, მომჩივანი ვადამდე გაათავისუფლეს მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს წევრის თანამდებობიდან კანონის მოქმედების შესაბამისად,

6. ასევე იხილეთ განყოფილება „სამართლიანობა“.

ყოველგვარი სასამართლო განხილვის შესაძლებლობის გარეშე (§§ 345-348). სასამართლომ დაადგინა, რომ მსგავსი პროცედურული გარანტიები, რაც უნდა არსებობდეს მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების ან გადაყენების შემთხვევაში, ასევე უნდა არსებობდეს, როდესაც ამ პოზიციიდან გადაყენებულია მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს წევრი (ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე) (§ 345). ასეთ გარემოებებში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „ძლიერი საზოგადოებრივი ინტერესი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და კანონის უზენაესობის შენარჩუნებისთვის“, ასევე, თუ მთავრობა ახორციელებდა სასამართლო სისტემის რეფორმებს, ზოგადი კონტექსტი, რომელშიც ისინი განხორციელდა (§§ 346 და 348-349).

112. თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Lovrić v. Croatia*, 2017, რომელიც ეხება ასოციაციის წევრის გარიცხვას, სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოზე წვდომის უფლების შეზღუდვა ასეთი ღონისძიების გასასაჩივრებლად ასოციაციების ორგანიზაციული ავტონომიის შენარჩუნების „ლეგიტიმურ მიზანს“ ემსახურება (კონვენციის მე-11 მუხლის მითითებით). ასეთი ზომის სასამართლო განხილვის ფარგლები შეიძლება იყოს შეზღუდული, თუნდაც დიდწილად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაბამის პირს არ უნდა ჩამოერთვას სასამართლოზე წვდომის უფლება (§§ 71-73).

1. უფლება, რომელიც არის პრაქტიკული და ეფექტური

113. სასამართლოზე წვდომა უფლება უნდა იყოს „პრაქტიკული და ეფექტური“ (*Zubac v. Croatia* [GC], 2018, §§ 76-79; *Bellet v. France*, 1995, § 38), იმ გამორჩეული ადგილის გათვალისწინებით, რომელიც საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას უჭირავს დემოკრატიულ საზოგადოებაში (*Prince Hans-Adam II of Liechtenstein v. Germany* [GC], 2001, § 45). იმისათვის, რომ წვდომის უფლება ეფექტური იყოს, ფიზიკურ პირს უნდა ჰქონდეს „მკაფიო, პრაქტიკული შესაძლებლობა, გაასაჩივროს ის ქმედება, რომელიც მის უფლებებში ჩარევას წარმოადგენს“ (*Bellet v. France*, 1995, § 36; *Nunes Dias v. Portugal* (dec.), 2003, სასამართლოში გამოცხადების შესახებ მარეგულირებელ წესებთან დაკავშირებით; *Fazliyski v. Bulgaria*, 2013, ექსპერტის დასკვნის სასამართლო განხილვის არარსებობის შესახებ, რომელიც გადამწყვეტი იყო ეროვნული უშიშროების საკითხებთან დაკავშირებული შრომითი დავის გადაწყვეტისთვის; და ავტომატურ შეჩერებასთან დაკავშირებით, მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება დისციპლინური გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გამოყენების გამო, *Camelia Bogdan v. Romania*, 2020, §§ 75-77) ან კომპენსაციის მოთხოვნის მკაფიო, პრაქტიკული შესაძლებლობა (*Georgel and Georgeta Stoicescu v. Romania*, 2011, § 74). ეს უფლება უნდა განვასხვაოთ კონვენციის მე-13 მუხლით გარანტირებული უფლებისგან ⁷ (*X and Others v. Russia*, 2020, § 50).

114. წესები, რომლებიც არეგულირებს გადასადგმელი ფორმალური ნაბიჯებისა და ვადების დაცვას საჩივრის ან სასამართლო განხილვის შესახებ საჩივრის წარდგენისას, მიზნად ისახავს მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებისა და შესაბამისობის, კერძოდ, სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპთან, უზრუნველყოფას (*Cañete de Goñi v. Spain*, 2020, § 36). თუმცა, განსახილველი წესები ან მათი გამოყენება არ უნდა აბრკოლებდეს მხარეებს, გამოიყენონ სამართლებრივი დაცვის არსებული საშუალებები (*Miragall Escolano and Others v. Spain*, 2000, § 36; *Zvolský and Zvolská v. the Czech Republic*, 2002, § 51). კერძოდ, თითოეული საქმე უნდა შეფასდეს შესაბამისი საქმისწარმოების თავისებურებების გათვალისწინებით (*Kurşun v. Turkey*, 2018, §§ 103-104). საპროცესო

⁷ იხილეთ *კონვენციის მე-13 მუხლის გზამკვლევი – სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება*.

წესების გამოყენებისას სასამართლოებმა თავი უნდა აარიდონ როგორც გადაჭარბებულ ფორმალიზმს, რამაც შეიძლება შეარყიოს სამართალწარმოების სამართლიანობა, ასევე გადაჭარბებულ მოქნილობას, რამაც შეიძლება გააუქმოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურული მოთხოვნები (*Hasan Tunç and Others v. Turkey*, 2017, §§ 32-33).

115. მოკლედ, სამოქალაქო სამართალწარმოების ფორმალიზებული წესების დაცვა, რომლებითაც მხარეები დავის გადაწყვეტას ცდილობენ, ღირებული და მნიშვნელოვანია, რადგან მას შეუძლია დისკრეციის შეზღუდვა, მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა, თვითნებობის თავიდან აცილება, დავის ეფექტური გადაწყვეტის უზრუნველყოფა და გადაწყვეტილების გონივრულ ვადაში გამოტანა, ასევე სასამართლოს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და პატივისცემის უზრუნველყოფა (*Zubac v. Croatia* [GC], 2018, § 96). თუმცა, სასამართლოზე წვდომის უფლება ირღვევა, როდესაც წესები წყვეტს „სამართლებრივი განსაზღვრულობისა“ და „მართლმსაჯულების სათანადო განხორციელების“ მიზნების მსახურებას და ქმნის ერთგვარ ბარიერს, რომელიც ხელს უშლის დავის მონაწილე მხარეს, რომ მისი საქმე არსებითად განიხილოს კომპეტენტურმა სასამართლომ (*Zubac v. Croatia* [GC], 2018, § 98). როდესაც ხელისუფლების მიერ არის მოწოდებული არაზუსტი ან არასრული ინფორმაცია ვადების შესახებ, ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისად უნდა გაითვალისწინონ საქმის კონკრეტული გარემოებები და არ გამოიყენონ შესაბამისი წესები და პრეცედენტული სამართალი ძალიან მკაცრად (შდრ. *Gajtani v. Switzerland*, 2014 და *Clavien v. Switzerland* (dec.), 2017).

116. სარჩელის შეტანის ან გასაჩივრების უფლება უნდა წარმოიშვას იმ მომენტიდან, როდესაც მხარეებს შეუძლიათ გონივრულად გაიგონ კანონიერი გადაწყვეტილება, რომელიც აკისრებს მათ ვალდებულებას ან პოტენციურად აზიანებს მათ კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. სხვა მხრივ, სასამართლოებმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეამცირონ საჩივრის შეტანის დრო ან თუნდაც შეუძლებელი გახადონ გასაჩივრება გადაწყვეტილების გადაცემის დაყოვნების გზით. როგორც მართლმსაჯულების ორგანოსა და მხარეებს შორის კომუნიკაციის საშუალება, გადაწყვეტილების გადაცემა მხარეებს აცნობს სასამართლოს გადაწყვეტილებას და მისი გამოტანის მიზეზებს, რაც საშუალებას აძლევს მათ, გაასაჩივრონ ის, თუ ისინი მიზანშეწონილად თვლიან (*Miragall Escolano and Others v. Spain*, 2000, § 37) ან უფლებას აძლევს დაინტერესებულ მესამე მხარეს, ჩაერიოს საქმეში (*Cañete de Goñi v. Spain*, 2002, § 40, მომჩივანთან დაკავშირებით, რომელიც არ იყო გამოძახებული ჩვენების მისაცემად, როგორც დაინტერესებული მხარე სასამართლო პროცესზე, რომლის შედეგიც საზიანო იყო მისთვის).

117. უფრო ფართოდ, სწორედ ეროვნული ორგანოების პასუხისმგებლობაა, იმოქმედონ საჭირო გულმოდგინებით, რათა უზრუნველყონ მოსარჩელე მხარეების ინფორმირება მათთან დაკავშირებული სამართალწარმოების შესახებ, რათა მათ შეძლონ სასამართლოში გამოცხადება და საკუთარი თავის დაცვა; საქმისწარმოების შესახებ შეტყობინება არ შეიძლება მთლიანად მოწინააღმდეგე მხარის შეხედულებისამებრ იყოს (პრეცედენტული სამართლის შეჯამებისთვის, იხილეთ *Schmidt v Latvia*, 2017, §§ 86-90, 92 და 94-95, როდესაც მომჩივანი არ იყო ინფორმირებული განქორწინების საქმისწარმოების შესახებ და სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, თუ რა იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ, ხელისუფლებისგან განსაკუთრებული მონდომება იყო საჭირო სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად).

118. სადაც ადმინისტრაციულმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს მესამე მხარეზე, უნდა არსებობდეს თანმიმდევრული შეტყობინების სისტემა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამის მონაცემებზე წვდომა შესაბამის ვადებში ნებისმიერი პოტენციურად დაინტერესებული მხარისთვის (*Stichting Landgoed Steenberg and Others*

v. the Netherlands, 2021, § 47, ექსკლუზიური ონლაინ შეტყობინების/კომუნიკაციის სისტემასთან დაკავშირებით, §§ 50-53). ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების საყოველთაო გამოქვეყნების სისტემა, რომელიც ამყარებს სამართლიან ბალანსს ხელისუფლების ორგანოებისა და შესაბამისი პირების ინტერესებს შორის, კერძოდ, ამ უკანასკნელთათვის გადაწყვეტილების გასაჩივრების მკაფიო, პრაქტიკული და ეფექტური შესაძლებლობით, არ წარმოადგენს სასამართლოზე წვდომის უფლებაში არაპროპორციულ ჩარევას (*Geffre v. France* (dec.), 2003).

საქმე *Zavodnik v. Slovenia*, 2015, ეხებოდა შეტყობინებას გაკოტრების საქმისწარმოების პროცესის მსვლელობისას. სასამართლომ დაადგინა, რომ მეთოდი, რომლითაც გადაიცა შეტყობინება სასამართლო მოსმენის შესახებ (განცხადება გამოკრული იყო სასამართლოს განცხადებების დაფაზე და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში), იყო არაადეკვატური და ხელი შეუშალა მომჩივანს, გაესაჩივრებინა ქონების განაწილების საკითხი (*Zavodnik v. Slovenia*, 2015, §§ 78-81).

119. სასამართლოზე წვდომის გარანტიები თანაბარი ძალით ვრცელდება როგორც კერძო დავებზე, ისე სამართალწარმოებაზე, რომელიც მოიცავს საჯარო ხელისუფლების ორგანოებს, თუმცა ამ ფაქტორებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს სადავო ღონისძიების თანაზომიერების შეფასებაზე (*Čolić v. Croatia*, 2021, § 53).

120. საქმის კონკრეტულ გარემოებებში შეიძლება დაირღვეს სასამართლოზე წვდომის უფლების პრაქტიკული და ეფექტური ხასიათი, მაგალითად:

- საქმისწარმოების გადაჭარბებულად მაღალი ხარჯების გამო, პირის ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით:
 - გადაჭარბებული ოდენობის საარბიტრაჟო ხარჯების უზრუნველყოფა სისხლის სამართლის საქმის წარმოების სამოქალაქო მხარის სტატუსით შეერთების შესახებ განცხადების კონტექსტში (*Ait-Mouhoub v. France*, 1998, §§ 57-58; *García Manibardo v. Spain*, 2000, §§ 38-45);
 - გადაჭარბებული სასამართლო მოსაკრებელი (*Kreuz v. Poland*, 2001, §§ 60-67; *Podbielski and PPU Polpure v. Poland*, 2005, §§ 65-66; *Weissman and Others v. Romania*, 2006, § 42; *Georgel and Georgeta Stoicescu v. Romania*, 2011, §§ 69-70, და პირიქით, *Reuther v. Germany* (dec.), 2003). ამ საქმეებში სასამართლომ განიხილა სასამართლო მოსაკრებლების საკითხი, რომლებიც შემოღებული იყო სამოქალაქო სამართალწარმოების აღძვრამდე და აფერხებდა მომჩივნების წვდომას პირველი ინსტანციის სასამართლოზე ან პროცესის შემდგომ ეტაპზე, რომლებსაც არ შეეძლოთ გადახდა (შეუპირისპირეთ *Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom*, 1995, §§ 62-67, საჩივრის შეტანის წინაპირობად უზრუნველყოფის გადახდასთან დაკავშირებით). სასამართლომ მიუთითა, რომ თუ მომჩივნის ფინანსური მდგომარეობის შეფასების შემდეგ სასამართლოში მიმართვისას არსებობს სახელმწიფო საზღაურისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა, ხელისუფლების ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება (*Laçi v. Albania*, 2021, §§ 53-60), და ასევე მოსალოდნელია გულმოდგინება მომჩივნისგან (*Elcomp sp. z o.o. v. Poland*, 2021, § 41).

თუ სახელმწიფოს აქვს სასამართლო მოსაკრებლების გამოთვლის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია დავის ღირებულებასთან, მაშინ მე-6 მუხლის შესასრულებლად, ეს სისტემა უნდა იყოს საკმარისად მოქნილი, რათა უზრუნველყოს გადასახდელი თანხისგან სრულად ან ნაწილობრივ

გათავისუფლების ან მისი შემცირების შესაძლებლობა (იხილეთ *Nalbant and Others v. Turkey*, 2022, §§ 39 და 40, და იხილეთ §§ 41-45, სადაც მომჩივანი კომპანია იძულებული გახდა, მიეტოვებინა სააპელაციო საჩივარი, რადგან მას არ შეეძლო მისთვის დაკისრებული საფასურის გადახდა).

საქმეში *Stankov v. Bulgaria*, 2007, § 53, სასამართლომ დაადგინა, რომ საქმისწარმოების დასასრულს დაკისრებული მნიშვნელოვანი სასამართლო მოსაკრებელი ასევე შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოზე წვდომის უფლების შეზღუდვას (იხილეთ, უფრო კონკრეტულად, საქმეები, რომლებიც ეხება საქმისწარმოების გადაჭარბებულ ხანგრძლივობას, გამამართლებელ განაჩენს ან გაუმართლებელ წინასწარ პატიმრობას, §§ 59 და 62, და თავდასხმისთვის კომპენსაციის მოთხოვნა, *Čolić v. Croatia*, 2021, §§ 58-59); ასევე იხილეთ სამართლებრივი ხარჯების ანაზღაურებაზე უართან დაკავშირებით, *Černius and Rinkevičius v. Lithuania*, 2020, §§ 68-69 და § 74; და შეადარეთ საქმისწარმოების პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია გადასახდელ ხარჯებთან სასამართლო დავის შემდეგ, *Tarutukhin v. Russia* (dec.), 2020, §§ 36 და მომდევნო. პრეცედენტული სამართლის უკანასკნელი შეჯამებისთვის იხილეთ *Benghezal v. France*, 2022, §§ 43-45.

სასამართლო მოსაკრებლებთან დაკავშირებულ საქმეებში გასათვალისწინებელია ასევე დავის მონაწილე მხარის ქცევა (*Zubac v. Croatia* [GC], 2018, § 120) ან სარჩელის წარმატების აშკარა პერსპექტივის ნაკლებობა (*Marić v. Croatia* (dec.), 2020, §§ 58 და 60, სახელმწიფოს წარმომადგენლობის ყველა ხარჯის გაწევის ვალდებულებასთან დაკავშირებით და § 52, დამარცხებული მხარის მიერ დავის ხარჯების გადახდის ვალდებულებასთან დაკავშირებით (წესი „დამარცხებული იხდის“)); ასევე იხილეთ *Stankiewicz v. Poland*, 2006, §§ 62 და მომდევნო; *Klauz v. Croatia*, 2013, §§ 77 და მომდევნო; და *Cindrić and Bešlić v. Croatia*, 2016, §§ 119-123). დავის ხარჯებისთვის, რომელსაც რომელსაც არ მოჰყოლია გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, იხილეთ *Karahasanoglu v. Turkey*, 2021, §§ 136-137. დაბოლოს, სასამართლომ გააპროტესტა წესი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაფაროს საკუთარი ხარჯები, განურჩევლად საქმისწარმოების შედეგისა (*Zustović v. Croatia*, 2021, §§ 102-106, და ასევე იხილეთ §§ 99-100 სახელმწიფოს მოვალეობისთვის, გადაიხადოს ხარჯები მისი შეცდომებისთვის ამ კონტექსტში); მან *Dragan Kovačević v. Croatia* 2022 წელს ასევე განიხილა წესი, რომ თითოეულმა მხარემ, გამონაკლისის გარეშე, უნდა გადაიხადოს საკუთარი ხარჯები, §§ 67-85, და ხაზი გაუსვა უპირატესი მხარის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიზეზების მოყვანის მნიშვნელობას (§ 83).

კომერციული კომპანიისთვის გადაჭარბებული სასამართლო მოსაკრებლების დაკისრების შესახებ იხილეთ *Nalbant and Others v. Turkey*, 2022, § 39.

- სასამართლოებში საქმეების დაგროვების თავიდან ასაცილებლად და მართლმსაჯულების სათანადო განხორციელების უზრუნველსაყოფად ჯარიმების დაწესება, როგორც ასეთი, არ არის შეუთავსებელი სასამართლოზე წვდომის უფლებასთან. თუმცა, ასეთი ჯარიმების ოდენობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს (*Sace Elektrik Ticaret ve Sanayi A.Ş. v. Turkey*, 2013, §§ 26 და მომდევნო, სავალდებულო 10%-იან ჯარიმასთან დაკავშირებით საჯარო აუქციონზე წარუმატებელი მცდელობისთვის).

- ვადებთან დაკავშირებული საკითხების გამო:
 - საჩივრის განხილვაზე დახარჯული დრო, რამაც გამოიწვია მისი მიუღებლობა (*Miragall Escolano and Others v. Spain*, 2000, § 38; *Melnyk v. Ukraine*, 2006, § 26). თუმცა, დავის მონაწილე მხარეები ვალდებული არიან, იმოქმედონ სათანადო გულმოდგინებით (*Kamenova v. Bulgaria*, 2018, §§ 52-55).
 - სასამართლომ საქმეში *Ivanova and Ivashova v. Russia*, 2017, დაადგინა, რომ რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ უნდა განმარტონ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა მოუქნელი გზით და დააკისრონ ვალდებულებები, რომლებსაც დავის მონაწილე მხარეები ვერ შეასრულებენ. კანცელარიის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების სრული ასლის შედგენის დღიდან ერთი თვის განმავლობაში - და არა იმ დღიდან, როდესაც მომჩივანმა ფაქტობრივად შეიტყო გადაწყვეტილება - გასაჩივრების მოთხოვნა უდრის იმას, რომ შესაბამისი ვადის ამოწურვა სრულად იყოს დამოკიდებული მომჩივნის კონტროლს მიღმა არსებულ ფაქტორზე. სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრების უფლება ძალაში უნდა შესულიყო იმ მომენტიდან, როდესაც მომჩივანს შეეძლო, ეფექტურად გასცნობოდა გადაწყვეტილების სრულ ტექსტს.
 - სარჩელის შეტანის ხანდაზმულობის ვადა (იხილეთ, ფიზიკური ხელშეუხებლობის დაზიანებასთან დაკავშირებით, პრეცედენტული სამართლის მითითებები, რომლებიც ციტირებულია პარაგრაფებში 53-55 საქმისა *Sanofi Pasteur v. France*, 2020, მათ შორის, *Howald Moor and Others v. Switzerland*, 2014, §§ 79-80; *Yagtzilar and Others v. Greece*, 2001, § 27). მაგალითად, სასამართლომ დაადგინა სასამართლოზე წვდომის უფლების დარღვევა რიგ საქმეებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტა და, შედეგად, სამოქალაქო სარჩელის განხილვის წარუმატებლობა გამოწვეული იყო ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მხრიდან გულმოდგინების ნაკლებობით (*Atanasova v. Bulgaria*, 2008, §§ 35-47). სარჩელის განხილვის გადაჭარბებულმა დაგვიანებამ ასევე შეიძლება უაზრო გახადოს სასამართლოზე წვდომის უფლება (*Kristiansen and Tyvik AS v. Norway*, 2013).
 - ვადის მიღმა აპელაციის უფლების მინიჭებამ და, შედეგად, მნიშვნელოვანი დროის მონაკვეთის შემდეგ შეტანილი ჩვეულებრივი საჩივრის მიღებამ ისეთი მიზეზების გამო, რომლებიც არ ჩანს განსაკუთრებით დამაჯერებელი, შეიძლება დაარღვიოს სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი და სასამართლოზე წვდომის უფლება (*Magomedov and Others v. Russia*, 2017, §§ 87-89, როდესაც ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოებისთვის სასარგებლო დაგვიანებული საჩივრები მიიღება საჩივრის წარდგენის ვადის დაუსაბუთებელი გაგრძელების შემდეგ).
 - წინასწარი გამოძიების ხანგრძლივობა, რომელიც მიეკუთვნება ხელისუფლების ორგანოებს, რომელიც ხელს უშლის მომჩივანს, შეუერთდეს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას როგორც სამოქალაქო პირი, რომელიც ითხოვს ზარალის ანაზღაურებას ან სამოქალაქო სარჩელს აღძრავს ზიანის ანაზღაურების თაობაზე (*Petrella v. Italy*, 2021, §§ 51-53 და ციტირებული მითითებები).
 - ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ მომჩივნის საჩივრის განხილვის შეფერხება (რომელიც აპროტესტებს თანამდებობაზე შერჩევის

პროცედურებს, რომელზედაც მან შეიტანა განაცხადი), რის შედეგადაც პროცესი შეწყდა იმ მოტივით, რომ არ არსებობდა სამართლებრივი ინტერესი საჩივრის განხილვის გაგრძელებასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნულ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებას ვადა გაუვიდა (*Frezadou v. Greece*, 2018, § 47 – შეადარეთ და შეუპირისპირეთ *Sailing Club of Chalkidiki "I Kelyfos" v. Greece*, 2019, § 72). უფრო ზოგადად, გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც საქმისწარმოება გადაჭარბებულად ჭიანჭურდება, ამან შეიძლება დაარღვიოს სასამართლოზე წვდომის უფლება (*Kristiansen and Tyvik AS v. Norway*, 2013, § 57). საქმის განმხილველი სასამართლოს მხრიდან განსაკუთრებით დიდი ხნის განმავლობაში გადაწყვეტილების გამოტანის დაუსაბუთებელი წარუმატებლობა შეიძლება ჩაითვალოს მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმად; ამდენად, მომჩივნის მიერ გამოყენებულმა საშუალებამ შეიძლება დაკარგოს ეფექტურობა, თუ შესაბამისი სასამართლო ვერ გადაწყვეტს დავას დროულად, როგორც ამას მოითხოვს საქმის გარემოებები და ის, რაც დევს სასწორზე (*Sailing Club of Chalkidiki "I Kelyfos" v. Greece*, 2019, § 60).

- იურისდიქციასთან დაკავშირებული საკითხების გამო (იხილეთ, მაგალითად, *Arlewin v. Sweden*, 2016, ევროკავშირის სხვა ქვეყნიდან მათუწყებლობასთან დაკავშირებით) ან ასოციაციის გაცხადებული მიზნის გადაჭარბებულად შემზღუდველი განმარტების გამო, რაც ართმევს მას სასამართლოზე წვდომის უფლებას (*Association Burestop 55 and Others v. France*, 2021, § 71). გარდა ამისა, თუ მის წინააღმდეგ მიმართულია ზიანის ანაზღაურების სარჩელი, სახელმწიფოს აქვს დადებითი ვალდებულება, ხელი შეუწყოს მოპასუხე ორგანოს განსაზღვრას (*Georgel and Georgeta Stoicescu v. Romania*, 2011, §§ 69-71).
- მტკიცებულებების საკითხების გამო, სადაც მტკიცების ტვირთის მოთხოვნები გადაჭარბებულად მკაცრია (*Tence v. Slovenia*, 2016, §§ 35-38); მტკიცებულებების წარმოდგენისას ფორმალიზმთან დაკავშირებით იხილეთ *Efstratiou and Others v. Greece*, 2020, §§ 44 et seq.
- პროცედურული ბარიერების არსებობის გამო, რომლებიც ხელს უშლის ან ზღუდავს სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას:
 - ეროვნული სასამართლოების მიერ პროცედურული წესის განსაკუთრებით მკაცრმა განმარტებამ (გადაჭარბებული ფორმალიზმი) შეიძლება ჩამოართვას მომჩივნებს სასამართლოზე წვდომის უფლება (*Zubac v. Croatia* [GC], 2018, § 97; *Pérez de Rada Cavanilles v. Spain*, 1998, § 49; *Miragall Escolano and Others v. Spain*, 2000, § 38; *Sotiris and Nikos Koutras ATTEE v. Greece*, 2000, § 20; *Běleš and Others v. the Czech Republic*, 2002, § 50; *RTBF v. Belgium*, 2011, §§ 71-72 და 74; *Miessen v. Belgium*, 2016, §§ 72-74; *Gil Sanjuan v. Spain*, 2020, § 34; და საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, *Dos Santos Calado and Others v. Portugal*, 2020, §§ 118-130), იმის გათვალისწინებით, რომ პროცედურული მოთხოვნის დაუსაბუთებელი განმარტება არღვევს ეფექტური სასამართლო დაცვის უფლებას (*Miragall Escolano and Others v. Spain*, 2000, § 37). რაც შეეხება საჩივრის შეტანის შემდეგ მისაღებობის ახალი კრიტერიუმის რეტროაქტიურ გამოყენებას, ეს აჩენს სამართლებრივი განსაზღვრულობის საკითხს (*Gil Sanjuan v. Spain*, 2020, §§ 35-45);
 - დავის საგნის ღირებულების გათვალისწინება (*ratione valoris* მისაღებობის ზღვარი) ზემდგომი სასამართლოს იურისდიქციის განსასაზღვრად (*Zubac v. Croatia* [GC], § 73, §§ 85-86);

- ადრინდელი გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულმა მოთხოვნებმა შეიძლება ხელი შეუშალოს სასამართლოზე წვდომის უფლებას, მაგალითად, როდესაც მომჩივნის ფულადი სახსრების ნაკლებობა ხელს უშლის მას ადრინდელი გადაწყვეტილების აღსრულებაშიც კი (*Annoni di Gussola and Others v. France*, 2000, § 56; compare with *Arvanitakis v. France* (dec.), 2000);
- პროცედურული წესები, რომლებიც უკრძალავს სამართლის გარკვეულ სუბიექტებს სასამართლო წარმოებაში მონაწილეობას (*The Holy Monasteries v. Greece*, 1994, § 83; *Philis v. Greece (no. 1)*, 1991, § 65; *Lupaş and Others v. Romania*, 2006, §§ 64-67; და ზრდასრულ ქმედუნარო პირებთან დაკავშირებით, *Stanev v. Bulgaria* [GC], 2012, §§ 241-45; *Nataliya Mikhaylenko v. Ukraine*, 2013, § 40; *Nikolyan v. Armenia*, 2019; და შდრ. *R.P. and Others v. the United Kingdom*, 2012);
- ხელმისაწვდომი სასამართლო განხილვის შეზღუდვების გამო, მაგალითად, როდესაც პრეზიდენტის ბრძანების წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სასამართლოებში შეტანილმა სარჩელმა შეიძლება გამოიწვიოს გარე ფორმალობებთან შესაბამისობის განხილვა მხოლოდ განკარგულების მიღებისას, მაშინ, როცა მომჩივნის საჩივარი მოითხოვდა ბრძანების არსებითად შემოწმებას და მისი შიდა კანონიერების შემოწმებას (*Kövesi v. Romania*, 2020, §§ 153-154, პროკურორის ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებით) და *a fortiori* სასამართლო განხილვის ხელმიუწვდომლობის გამო (იხილეთ *Camelia Bogdan v. Romania*, 2020, §§ 76-77, მოსამართლის დროებით ავტომატურ შეჩერებასთან დაკავშირებით, მისი თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის განხილვამდე). საოჯახო სამართლის კონტექსტში, საქმეში *Plazzi v. Switzerland* (§§ 44-67) და *Roth v. Switzerland*, 2022, (§ 77), მამების საჩივრების შემაჩერებელი ეფექტის სასამართლო განხილვის გარეშე გაუქმებასთან დაკავშირებით, რამაც მათ შვილებს საშუალება მისცა, დაეტოვებინათ ქვეყანა დედებთან ერთად და ეროვნულ სასამართლოებს ჩამოართვა იურისდიქცია, სასამართლომ დაადგინა დარღვევა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მითითებული გადაუდებელი აუცილებლობა არ არის საკმარისად სერიოზული, რათა გამართლებულიყო მამების მიერ სასამართლოსთვის მანამ მიმართვის აკრძალვა, სანამ შეჩერების ეფექტის შეწყვეტა არ იქნებოდა გამოყენებული (იხილეთ *Plazzi v. Switzerland*, 2022, §§ 58-59, და სამართალწარმოების განსაკუთრებული ხასიათი, საოჯახო სამართლის შესაბამისად).
- საქმეში *Xavier Lucas v. France*, 2022, წესისთვის უპირატესობის მინიჭებით, რომლის თანახმადაც სააპელაციო სასამართლოში განცხადებები წარდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად (ელექტრონული მართლმსაჯულება), იმ პრაქტიკული სირთულეების გათვალისწინების გარეშე, რაც მომჩივანს შეექმნა ამაში, საკასაციო სასამართლომ მიიღო ფორმალისტური მიდგომა, რომელიც არ იყო აუცილებელი სამართლებრივი დარწმუნებულობის ან მართლმსაჯულების სათანადო განხორციელების უზრუნველსაყოფად და, შესაბამისად, იყო „გადაჭარბებული“ (§ 57).

121. თუმცა, ისევ ფორმალისტური თვალსაზრისით, სამართლებრივი ნორმების შესახებ საჩივრის მისაღებობის პირობები შეიძლება იყოს ლეგიტიმურად უფრო მკაცრი, ვიდრე ჩვეულებრივი გასაჩივრებისთვის (*Tourisme d'affaires v. France*, 2012, § 27 *in fine*). საკასაციო სასამართლოს როლის განსაკუთრებული ხასიათის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიერ გატარებული პროცედურა შეიძლება იყოს უფრო ფორმალური,

განსაკუთრებით, თუ მისი წარმოება მოსდევს სასამართლო განხილვას პირველი ინსტანციის სასამართლოში, შემდეგ კი სააპელაციო სასამართლოში, რომელთაგან თითოეული აქვს სრული იურისდიქცია (*Levages Prestations Services v. France*, 1996, §§ 44-48; *Brualla Gómez de la Torre v. Spain*, 1997, §§ 34-39), მაგრამ ეროვნული ხელისუფლების ორგანოები არ სარგებლობენ შეუზღუდავი დისკრეციით ამ მხრივ (*Zubac v. Croatia* [GC], 2018, §§ 108-109). ამ კონტექსტში სასამართლომ მიუთითა სუბსიდიარობის პრინციპზე და მის პრეცედენტულ სამართალზე უზენაეს სასამართლოებში სამართლებრივი დაცვის საშუალებების ფილტრაციის სისტემების შესახებ (*Succi and Others v. Italy*, 2021, § 85).

სასამართლომ ასევე გაითვალისწინა უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს განსაკუთრებული როლი და მისაღებად მიიჩნია, რომ შეიძლება არსებობდეს მის წინაშე არსებული საქმისწარმოებისთვის მისაღებობის უფრო მკაცრი კრიტერიუმები (*Papaioannou v. Greece*, 2016, §§ 42-49). სასამართლოსთვის მიმართვის ახალი პირობების შესახებ მომჩივნის საჩივრის განხილვისას სასამართლომ დაადგინა, რომ მისი ამოცანა არ იყო გამოეთქვა აზრი ეროვნული სასამართლოების პრეცედენტული სამართლის პოლიტიკის არჩევანის ან საკანონმდებლო პოლიტიკის არჩევანის მიზანშეწონილობის შესახებ, არამედ მხოლოდ განხილვა იმისა, თუ არა ამ არჩევანის შედეგები კონვენციის შესაბამისი (*ოქვ*, § 43; ასევე იხილეთ *Ronald Vermeulen v. Belgium*, 2018, § 53). გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ბოლო ინსტანციის სასამართლოს, განსაკუთრებულ როლს ძირითადი უფლებების დაცვაში, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მის წინაშე არსებული სამართალწარმოება შეიძლება იყოს უფრო ფორმალური (*Arribas Antón v. Spain*, 2015, § 50 და ქვემოთ).

122. უფრო ზოგადად, გადაწყვეტილებამ საქმეზე *Zubac v. Croatia* [GC], 2018, გაიმეორა ზემდგომ სასამართლოზე წვდომის ზოგადი პრინციპები (§§ 80-82 და § 84) და პრეცედენტული სამართალი ფორმალიზმის შესახებ (§§ 96-99). კერძოდ, „სამართლებრივი განსაზღვრულობისა“ და „მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების“ საკითხები არის ორი ცენტრალური ელემენტი გადაჭარბებულ ფორმალიზმსა და პროცედურული ფორმალობების მისაღებ გამოყენებას შორის განსასხვავებლად (§ 98). ეს პრინციპი ასევე გამოიყენება საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე არსებული საქმისწარმოების მიმართ (*Frailé Iturralde v. Spain* (dec.), 2019, §§ 36-37; *Dos Santos Calado and Others v. Portugal*, 2020, §§ 111-112).

123. სასამართლოს როლი არ არის, რომ გადაჭრას დავები შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განმარტებასთან დაკავშირებით, რომელიც არეგულირებს სასამართლოს ხელმისაწვდომობას, არამედ განსაზღვროს, შეესაბამება თუ არა ასეთი განმარტების შედეგები კონვენციას (*Zubac v. Croatia* [GC], 2018, § 81). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო განიხილავს, შეიძლება თუ არა, რომ დავის მონაწილე მხარის თვალსაზრისით „განჭვრეტადად“ ჩაითვალოს პროცედურა, რომელიც დაცული უნდა იქნეს განსახილველი სამართლებრივი დაცვის საშუალების მისაღებად. თანმიმდევრული ეროვნული სასამართლო პრაქტიკა და ამ პრაქტიკის თანმიმდევრული გამოყენება, ჩვეულებრივ, აკმაყოფილებს განჭვრეტადობის კრიტერიუმს ზემდგომ სასამართლოში წვდომის შეზღუდვასთან დაკავშირებით (*ოქვ*, § 88; *C.N. v. Luxembourg*, 2021, § 44, და საკასაციო სასამართლოს მიერ სხვადასხვა ნორმატიული დებულების პირველად ერთობლივი გამოყენების განჭვრეტადობასთან დაკავშირებით იხილეთ §§ 45 და მომდევნო და *Xavier Lucas v. France*, 2022, § 50). მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა სასამართლომ მიუთითოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის გამოყენების მიზეზები, რადგან ეს შესაძლებელს ხდის შემოწმებას, მიღწეული იქნა თუ არა „სამართლიანი ბალანსი“ კანონიერ სურვილს, ადასრულოს სამართლებრივი ნორმების

შესახებ საჩივრის შეტანის პროცედურული მოთხოვნები, ერთი მხრივ, და სასამართლოზე წვდომის უფლებას შორის, მეორე მხრივ (*Ghrenassia v. Luxembourg*, §§ 34-37).

124. საქმის *Zubac v. Croatia* [GC], 2018, თანახმად, უმაღლეს სასამართლოებზე წვდომის კანონიერი შეზღუდვების პროპორციულობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამი ფაქტორი: (i) გასაჩივრების პროცედურა უნდა იყოს განჭვრეტადი, დავის მონაწილე მხარის თვალსაზრისით (ასევე იხილეთ, საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით, *Arrozpide Sarasola and Others v. Spain*, 2018, § 106); (ii) საქმისწარმოების დროს პროცედურული შეცდომების განსაზღვრის შემდეგ, რომლებმაც საბოლოოდ ხელი შეუშალა მომჩივანს სასამართლოზე წვდომაში, უნდა დადგინდეს, დააწვა თუ არა მომჩივანს ზედმეტი ტვირთი ასეთი შეცდომების შედეგად. თუ განსახილველი პროცედურული შეცდომა დაფიქსირდა მხოლოდ ერთ მხარეს, მომჩივნის ან ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების, კერძოდ, სასამართლო(ებ)ის, მხარეს, გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო, როგორც წესი, მიდრეკილი იქნება იმ მხარეს დააკისროს ტვირთი, რომელმაც დაუშვა შეცდომა (*Zubac v. Croatia* [GC], 2018, § 90 და ციტირებული მაგალითები); და (iii) მოიცავს თუ არა განსახილველი შეზღუდვები „გადაჭარბებულ ფორმალისტს“ (§ 97; ასევე იხილეთ, საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით, *Dos Santos Calado and Others v. Portugal*, 2020, §§ 116-117, და ციტირებული მაგალითები).

125. საქმეში *Gil Sanjuan v. Spain*, 2020, სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევა საჩივრის შეტანის შემდეგ უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების მისაღებობის ახალი კრიტერიუმის რეტროაქტიური გამოყენების გამო (§ 45). სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპზე მითითებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ახალი კრიტერიუმის გაჩენა არ იყო განჭვრეტადი მომჩივნისთვის (§§ 38-39) და რომ მას არ შეეძლო გამოესწორებინა ახალი კრიტერიუმის გამოყენების რაიმე პოტენციური შედეგი § 40-43).

126. საქმეში *Trevisanato v. Italy*, 2016, სასამართლომ ვერ დაადგინა რაიმე ხარვეზი სპეციალისტი ადვოკატების მიმართ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რათა შეავსონ საკასაციო სასამართლოში გასაჩივრების თითოეული საფუძველი აბზაცით, რომელიც აჯამებს დასაბუთებას და ნათლად ასახავს სამართლებრივ პრინციპს, რომელიც სავარაუდოდ დაირღვა (§§ 42-45). საქმეში *Succi and Others v. Italy*, 2021, სასამართლომ ხაზი გაუსვა სპეციალისტ ადვოკატთა ცოდნის დონეს, რომელიც მოსალოდნელია სამართლებრივი ნორმების შესახებ საჩივრების შედგენისას (§ 113), ხოლო საქმეში *Ghrenassia v. Luxembourg*, 2021, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სპეციალისტ ადვოკატთა სისტემის არარსებობაზე საკასაციო სასამართლოების წინაშე არსებული სამართალწარმოებისთვის (§ 36).

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოსაზრებები, რომლებიც უკავშირდება საკასაციო სასამართლოს მიერ საქმისწარმოების დაჩქარებასა და გამარტივებას, ლეგიტიმური იყო (*Miessen v. Belgium*, 2016, § 71).

127. პრინციპში, უზენაეს სასამართლოზე წვდომისთვის გარკვეული ზღვრის დაწესებას (*ratione valoris* მისაღებობის კრიტერიუმი) აქვს ლეგიტიმური მიზანი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს სასამართლო განიხილავს მხოლოდ ისეთი მნიშვნელობის საკითხებს, რომლებიც შეესაბამება მის როლს (*Zubac v. Croatia* [GC], 2018, § 73, § 83 and § 105). თუმცა, ასეთი შეზღუდვის თანაზომიერება უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში (§§ 106-107), ხოლო სასამართლომ დაადგინა ზუსტი კრიტერიუმები იმის შესაფასებლად, გადააჭარბეს თუ არა ეროვნულმა ხელისუფლების ორგანოებმა შეფასების ზღვარს მოცემულ შემთხვევაში (§§ 108-109).

128. გარდა ამისა, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი უზრუნველყოფს არა მხოლოდ სამართალწარმოების უფლებას, არამედ სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტის უფლებასაც (*Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, § 86; *Kutić v. Croatia*, 2002, §§ 25 და 32, საქმისწარმოების შეჩერებასთან დაკავშირებით; *Acimović v. Croatia*, 2003, § 41; *Beneficio Cappella Paolini v. San Marino*, 2004, § 29 მართლმსაჯულების განხორციელებაზე უართან დაკავშირებით; *Marini v. Albania*, 2007, §§ 118-123, მომჩივნის კონსტიტუციურ საჩივარზე ხმების თანაბარი შედეგით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, და *Gogić v. Croatia*, 2020, §§ 40-41, სასამართლო ხელისუფლების შეცდომების შედეგებთან დაკავშირებით).

129. იმ საქმეებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტა ხელს უშლის მომჩივნების მიერ წარდგენილი სამოქალაქო საჩივრების განხილვას ამ პროცესის კონტექსტში, სასამართლო განიხილავს, შეეძლოთ თუ არა მომჩივნებს სხვა არხების გამოყენება მათი სამოქალაქო უფლებების დასამტკიცებლად. საქმეებში, როდესაც მან დაადგინა, რომ არსებობს სამართლებრივი დაცვის სხვა ხელმისაწვდომი და ქმედითი საშუალებები, მას არ დაუდგენია სასამართლოზე წვდომის უფლების დარღვევა (*Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [GC], 2019, § 198). უფრო ზოგადად, სამოქალაქო მხარის საჩივრის არსებითი განხილვა არ წარმოადგენს *ipso facto* სასამართლოზე წვდომის უფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვას (*Petrella v. Italy*, 2021, §§ 49-53 და ციტირებული მითითებები).

130. სასამართლოს უფლება ასევე შეიძლება დაირღვეს, თუ სასამართლო ვერ დაიცავს კანონით დადგენილ ვადას შეზღუდული ხანგრძლივობის რამდენიმე გადაწყვეტილების მიმართ საჩივრის განხილვისას (*Musumeci v. Italy*, 2005, §§ 41-43) ან გადაწყვეტილების არარსებობის შემთხვევაში (*Ganci v. Italy*, 2003, § 31). „სასამართლოს უფლება“ ასევე მოიცავს გადაწყვეტილების აღსრულებას.⁸

131. სამოქალაქო სასამართლოზე წვდომის შეზღუდვის თანაზომიერების საკითხის განხილვისას, სასამართლო ითვალისწინებს საქმისწარმოების დროს დაშვებულ პროცედურულ შეცდომებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ მომჩივანს, ესარგებლა ასეთი ხელმისაწვდომობით და ადგენს, დაეკისრა თუ არა მომჩივანს გადაჭარბებული ტვირთი შეცდომების გამო. მაგალითად, საქმეში *Xavier Lucas v. France*, 2022, სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მომჩივნის ადვოკატი არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მოცემულ პროცედურულ შეცდომაზე, რომელიც ასახავს განცხადების შეტანას ქალაქში და არა ელექტრონული სახით (§§ 54-56). დადგინდა კრიტერიუმები იმის შესაფასებლად, თუ ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი შეცდომების შედეგებზე – მომჩივანი თუ კომპეტენტური ორგანოები (*Zubac v. Croatia* [GC], 2018, §§ 90-95, § 119). როდესაც ქვედა ინსტანციის სასამართლოებში დაშვებულია შეცდომები, სასამართლო აფასებს უზენაესი სასამართლოს შემდგომ როლს (§§ 122-124).

132. გარდა ამისა, როდესაც პირი ითხოვს სასამართლოზე წვდომის უფლებას, ეს კონვენციური უფლება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მეორე მხარის უფლებას სამართლებრივ განსაზღვრულობაზე, რომელიც ასევე დაცულია კონვენციით. ასეთი სიტუაცია მოითხოვს დაბალანსებას კონფლიქტურ ინტერესებს შორის, ხოლო სასამართლო ანიჭებს სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლებს (*Sanofi Pasteur v. France*, 2020, §§ 56-58).

133. სასამართლომ დაადგინა, რომ ციფრულ ტექნოლოგიებს (e-bar/e-justice) შეუძლია მართლმსაჯულების განხორციელების გაუმჯობესების ხელშეწყობა და რომ ისინი გამოყენებული იქნეს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გარანტირებული უფლებების

8. ასევე იხილეთ განყოფილება „მართლმსაჯულების აღსრულების“ შესახებ.

ხელშესაწყობად, ამავდროულად, „ლეგიტიმური მიზნისკენ“ სწრაფვა (*Xavier Lucas v. France*, 2022, § 46). სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ადვოკატის სავალდებულო წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საჩივრების ელექტრონულად/ციფრულად წარდგენის მოთხოვნა თავსებადია მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან (§51). თუმცა, საჩივრის ელექტრონულად წარდგენის მოთხოვნამ შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები სასამართლოზე წვდომასთან დაკავშირებით, როდესაც ის გამოიყენება პრაქტიკაში, მაგალითად, როდესაც ელექტრონული წარდგენა გულისხმობს მომჩივნის ადვოკატის მიერ ფორმის შევსებას არასათანადო სამართლებრივი ცნებების გამოყენებით (§§ 52-57, დარღვევა).

2. შეზღუდვები

134. სასამართლოზე წვდომის უფლება არ არის აბსოლუტური. სასამართლომ, სადაც შეტანილია საჩივარი, შეიძლება უარყოს იურისდიქცია დამაჯერებელი და დასაბუთებული საფუძვლებით (*Ali Riza v. Switzerland*, 2021, §§ 94-96) და არსებობს შეზღუდვების შესაძლებლობა, რომელიც ნებადართულია ირიბად (*Stanev v. Bulgaria* [GC], 2012, § 230; *Zubac v. Croatia* [GC], 2018, § 78; *Golder v. the United Kingdom*, 1975, § 38). ეს, კერძოდ, ეხება საჩივრის მისაღებობის პირობებს, რადგან თავიანთი ხასიათით ისინი მოითხოვს რეგულირებას სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც ამ მხრივ სარგებლობს შეფასების თავისუფლების გარკვეული ფარგლებით (*Zubac v. Croatia* [GC], 2018, §§ 107-109; *Luordo v. Italy*, 2003, § 85), ან როდესაც საქმე ეხება მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებას და ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებების ეფექტურობას (*Ali Riza v. Switzerland*, 2021, § 97).

135. თუმცა, გამოყენებული შეზღუდვები არ უნდა ზღუდავდეს ან შემცირდეს ფიზიკური პირის წვდომა ისე ან იმდენად, რომ დაირღვეს უფლების არსი. გარდა ამისა, შეზღუდვა არ იქნება თავსებადი მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან, თუ ის არ მისდევს „ლეგიტიმურ მიზანს“ (*Oorzhak v. Russia*, 2021, §§ 20-22) და თუ არ არსებობს „თანაზომიერების გონივრული ბალანსი გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის“ (*Markovic and Others v. Italy* [GC], 2006, § 99; *Nait-Liman v. Switzerland* [GC], 2018, §§ 114-115; *Ashingdane v. the United Kingdom*, 1985, § 57; *Fayed v. the United Kingdom*, 1994, § 65).

136. გარკვეულ გარემოებებში, სარჩელის შეტანის უფლება ასევე შეიძლება დაექვემდებაროს ლეგიტიმურ შეზღუდვებს, როგორცაა, მაგალითად, ხანდაზმულობა (*Sanofi Pasteur v. France*, 2020, §§ 50-55, ბრალდებულთან და დაზარალებულთან დაკავშირებით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით; *Stubbings and Others v. the United Kingdom*, 1996, §§ 51-52), საარბიტრაჟო ხარჯების უზრუნველყოფის ბრძანებები (*Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom*, 1995, §§ 62-67), იურიდიული წარმომადგენლობის ხარჯები (*R.P. and Others v. the United Kingdom*, 2012, §§ 63-67), სახელმწიფოს წინააღმდეგ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენამდე მეგობრული მოგვარების პროცედურის მცდელობის მოთხოვნა (*Momčilović v. Croatia*, 2015, §§ 55-57), ან სამართლებრივი ნორმების შესახებ სააპელაციო წარმოების მხარეთათვის საჩივრის გადაცემის წესების დაცვა (*C.N. v. Luxembourg*, 2021, § 55). იგივე ეხება საკასაციო სასამართლოში სპეციალისტი ადვოკატის მიერ წარდგენის მოთხოვნას (*Bąkowska v. Poland*, 2010, §§ 45-46, 48). გარდა ამისა, იურიდიული დახმარების მიმწოდებელი ადვოკატის უარი სამართლებრივი ნორმების შესახებ საჩივრის წარდგენაზე, წარმატების პერსპექტივის არარსებობის გამო, თავისთავად არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს (§47).

137. გარდა ამისა, სასამართლო განხილვაზე წვდომის შეზღუდვა შეიძლება მიღებული იქნეს ასოციაციის ან პროფესიული ორგანოს ორგანიზაციული ავტონომიის პატივისცემის

მიზნით, შიდა საკითხების გადაწყვეტისას, როგორცაა მისი წევრების ქცევის წესები დისციპლინური კონტექსტის მიღმა (*Bilan v. Croatia* (dec.), 2020, §§ 27-31, სახელმწიფო ნოტარიუსისადმი გაცემულ წერილობით გაფრთხილებასთან დაკავშირებით; განასხვავეთ საქმისგან *Lovrić v. Croatia*, 2017, § 73). სასამართლოზე წვდომის შეზღუდვა შეიძლება იყოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგი, რომ დროში შეზღუდოს კანონის არაკონსტიტუციურად გამოცხადების შედეგები. ეს არ არღვევს მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს გამონაკლის გარემოებებში, თუ ეს გამართლებულია საჯარო ინტერესის გათვალისწინებით. მართლაც, შესაძლოა საჭირო გახდეს არაკონსტიტუციურობის ასეთი გამოცხადების რაიმე აშკარად გადაჭარბებული შედეგების თავიდან აცილება ისეთ მგრძობიარე სფეროში, როგორცაა, მაგალითად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა მძიმე ეკონომიკური კრიზისის დროს (*Frantzeskaki v. Greece* (dec.), 2019, §§ 38-40 და ციტირებული მითითებები).

138. როდესაც სასამართლოზე წვდომა შეზღუდულია კანონით ან პრაქტიკაში, სასამართლო განიხილავს, ახდენს თუ არა შეზღუდვა გავლენას უფლების შინაარსზე და, კერძოდ, ემსახურება თუ არა ის „ლეგიტიმურ მიზანს“ (რაც უნდა მიუთითოს მოპასუხე მთავრობამ): *Oorzhak v. Russia*, 2021, §§ 20-22) და არსებობს თუ არა თანაზომიერების გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის: *Ashingdane v. the United Kingdom*, 1985, § 57. შეზღუდვის თანაზომიერებასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების ფარგლები შეიძლება დამოკიდებული იყოს, მათ შორის, ამ სფეროში არსებულ შესაბამის საერთაშორისო სამართალზე (*Nait-Liman v. Switzerland* [GC], 2018, §§ 173-174). საქმეებში, რომლებიც ეხება წევრ სახელმწიფოებში მუდმივ განვითარებას, შეფასების თავისუფლების ფარგლები შეიძლება ასევე იყოს დამოკიდებული „ევროპული კონსენსუსის“ არსებობაზე ან მინიმუმ გარკვეულ ტენდენციაზე წევრ სახელმწიფოებს შორის (იქვე, § 175). მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევა არ შეიძლება დადგინდეს, თუ შეზღუდვა შეესაბამება სასამართლოს მიერ დადგენილ პრინციპებს.

139. აქვს თუ არა პირს მოქმედი შიდა მოთხოვნა, შეიძლება დამოკიდებული იყოს, სწორედ რომ ვთქვათ, არა მხოლოდ შესაბამისი სამოქალაქო სამართლის არსებით შინაარსზე, როგორც ეს განსაზღვრულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, არამედ პროცედურული ბარიერების არსებობაზეც, რომლებიც ხელს უშლის ან ზღუდავს სასამართლოში პოტენციური საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას (*McElhinney v. Ireland* [GC], 2001, § 24). მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ იძლევა სამოქალაქო „უფლებების“ შინაარსის რაიმე გარანტიას ხელშემკვრელი სახელმწიფოების მატერიალურ სამართალში: სასამართლოს არ შეუძლია, შექმნას მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის განმარტებით, არსებითი უფლება, რომელსაც არ აქვს სამართლებრივი საფუძველი შესაბამის სახელმწიფოში (*Z and Others v. the United Kingdom* [GC], 2001, §§ 87 and 98). საქმეში *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, სასამართლომ დაადგინა, რომ სირთულეები, რომლებსაც წააწყდნენ მომჩივნები ეკლესიის შენობის დაბრუნების მცდელობისას, წარმოიშვა მოქმედი მატერიალური სამართლიდან და არ უკავშირდებოდა სასამართლოზე წვდომის უფლების შეზღუდვას. ამიტომ, მან დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევას (§§ 99 and 106).

140. გარდა ამისა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ სარჩელი მიუღებლად ცხადდება ლეგიტიმური ინტერესის არარსებობის გამო, არ ნიშნავს სასამართლოზე წვდომის უარყოფას, იმ პირობით, რომ მოსარჩელის არგუმენტები სათანადოდ იქნება განხილული (*Obermeier v. Austria*, 1990, § 68, და საერთაშორისო სასამართლოსთვის, *Konkurrenten.no AS v. Norway* (dec.), 2019, §§ 46-48).

141. საზღვარგარეთ ჩადენილ ქმედებებთან დაკავშირებით ეროვნული სასამართლოების იურისდიქციის შეზღუდვები: ასეთი შეზღუდვები შეიძლება მისდევდეს ლეგიტიმურ მიზნებს, რომლებიც დაკავშირებულია მართლმსაჯულების სათანადო განხორციელების პრინციპებთან და ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებების ეფექტურობის შენარჩუნებასთან (*Nait-Liman v. Switzerland* [GC], 2018, § 122; *Hussein and Others v. Belgium*, 2021, §§ 59-73).

142. საერთაშორისო ორგანიზაციების იმუნიტეტი ეროვნული იურისდიქციისგან (იხილეთ, კერძოდ, *Stichting Mothers of Srebrenica and Others v. the Netherlands* (dec.), 2013, § 139): საერთაშორისო ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ეს წესი – რომელიც ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს (*Waite and Kennedy v. Germany* [GC], 1999, § 63) – მისაღებია მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის თვალსაზრისით მხოლოდ მაშინ, თუ მისგან გამომდინარე შეზღუდვა არ არის არაპროპორციული. შესაბამისად, ის შესაბამისი იქნება მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტისა, თუ შესაბამის პირებს ხელთ აქვთ გონივრული ალტერნატიული საშუალებები კონვენციით გათვალისწინებული მათი უფლებების ეფექტური დასაცავად (იხილეთ, §§ 68-74; *Prince Hans-Adam II of Liechtenstein v. Germany* [GC], 2001, § 48; *Chapman v. Belgium* (dec.), 2013, §§ 51-56; და *Klausecker v. Germany* (dec.), 2015, §§ 69-77, საარბიტრაჟო პროცედურის ალტერნატივასთან დაკავშირებით). თუმცა, აქედან არ გამომდინარეობს, რომ სამართლებრივი დაცვის ალტერნატიული საშუალების არარსებობის შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციის იმუნიტეტის აღიარება *ipso facto* წარმოადგენს სასამართლოზე წვდომის უფლების დარღვევას (*Stichting Mothers of Srebrenica and Others v. the Netherlands* (dec.), 2013, § 164).

143. გადაწყვეტილება საქმეზე *Stichting Mothers of Srebrenica and Others v. the Netherlands* (dec.), 2013, ეხებოდა გაეროსთვის იმუნიტეტის მინიჭებას ეროვნულ სასამართლოებში. სასამართლომ დაადგინა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით დადგენილი ოპერაციები, გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად, არის ფუნდამენტური გაეროს მისიისთვის, დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება. შესაბამისად, კონვენცია არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ გაეროს შესაბამისი გადაწყვეტილების არარსებობის შემთხვევაში უშიშროების საბჭოს ქმედებები ან უმოქმედობები მოხვდეს ეროვნული იურისდიქციის ქვეშ. ასეთი ოპერაციების ჩართვა ეროვნული იურისდიქციის მოქმედების სფეროში ტოლფასი იქნება იმისა, რომ ნებისმიერ ცალკეულ სახელმწიფოს მიეცეს უფლება, თავისი სასამართლოების მეშვეობით, ჩაერიოს გაეროს ძირითადი მისიის შესრულებაში ამ სფეროში, მათ შორის, მისი ოპერაციების ეფექტურად წარმართვაში (§ 154). სასამართლომ დაამატა, რომ საერთაშორისო სამართალი მხარს არ უჭერს პოზიციას, რომ სამოქალაქო სარჩელი უნდა აიძულებდეს ეროვნულ სასამართლოებს, გააუქმონ გაეროს იმუნიტეტი მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სარჩელი ეფუძნება საერთაშორისო სამართლის ნორმების განსაკუთრებით მძიმე დარღვევის ბრალდებას, თუნდაც *jus cogens* ნორმისა (§ 158).

144. სახელმწიფო იმუნიტეტი: უცხო სახელმწიფოების იმუნიტეტის დოქტრინა საყოველთაოდ არის აღიარებული საერთაშორისო თანამეგობრობაში (*Stichting Mothers of Srebrenica and Others v. the Netherlands*, 2013, (dec.), § 158). წევრი სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები, რომლებიც ასახავს სახელმწიფოთა იმუნიტეტის შესახებ საერთაშორისო საჯარო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ წესებს, ავტომატურად არ წარმოადგენს სასამართლოზე წვდომის უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას (*Fogarty v. the United Kingdom* [GC], 2001, § 36; *McElhinney v. Ireland* [GC], 2001, § 37; *Sabeh El Leil v. France* [GC], 2011, § 49).

145. უცხო სახელმწიფოების იურისდიქციული იმუნიტეტი: იმუნიტეტის მინიჭება არ უნდა განიხილებოდეს როგორც არსებითი უფლების კვალიფიკაცია, არამედ როგორც ეროვნული სასამართლოების უფლებამოსილების პროცედურული ბარიერი, რომ განსაზღვრონ მიზანი (*J.C. and Others v. Belgium*, 2021, §§ 58-59). უცხო სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას იმუნიტეტის უფლებაზე სხვა სახელმწიფოს სასამართლოებში მკაფიო და ცალსახა თანხმობის მიცემით (*Ndayegamiye-Mporamazina v. Switzerland*, 2019, §§ 57 და 59). როდესაც იურისდიქციისგან სახელმწიფოს იმუნიტეტის პრინციპის გამოყენება ზღუდავს სასამართლოზე წვდომის უფლების განხორციელებას, უნდა დადგინდეს, ამართლებს თუ არა საქმის გარემოებები ასეთ შეზღუდვას (მაგალითად, *Prince Hans-Adam II of Liechtenstein v. Germany* [GC], 2001, §§ 51-70). შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და იყოს ამ მიზნის თანაზომიერი (*Cudak v. Lithuania* [GC], 2010, § 59; *Sabeh El Leil v. France* [GC], 2011, §§ 51-54). სახელმწიფოსთვის სუვერენული იმუნიტეტის მინიჭება სამოქალაქო სამართალწარმოებაში ემსახურება საერთაშორისო სამართლის შესაბამისობის „ლეგიტიმურ მიზანს“, რათა ხელი შეუწყოს სახელმწიფოებს შორის კეთილსინდისიერებასა და კარგ ურთიერთობას (*Fogarty v. the United Kingdom* [GC], 2001, § 34; *Al-Adsani v. the United Kingdom* [GC], 2001, § 54; *Treska v. Albania and Italy* (dec.), 2006; *J.C. and Others v. Belgium*, 2021, § 60). არის თუ არა მიღებული ზომა თანაზომიერი (იხილეთ პრინციპების შეჯამება საქმეში *J.C. and Others v. Belgium*, 2021, §§ 61 და 63), ამან შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში შელახოს პიროვნების სასამართლოზე წვდომის უფლების არსი (*Cudak v. Lithuania* [GC], 2010, § 74; *Sabeh El Leil v. France* [GC], 2011, § 49; *Naku v. Lithuania and Sweden*, 2016, § 95), თუმცა, სხვა შემთხვევაში, შეიძლება არ შელახოს (*Al-Adsani v. the United Kingdom* [GC], 2001, § 67; *Fogarty v. the United Kingdom* [GC], 2001, § 39; *McElhinney v. Ireland* [GC], 2001, § 38; და უკანასკნელი საქმე *J.C. and Others v. Belgium*, 2021, § 75, როდესაც სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლომ არ გადაუხვია სახელმწიფოს იმუნიტეტის შესახებ საერთაშორისო სამართლის ზოგადად მიღებული ნორმებიდან). სამართლებრივი დაცვის ალტერნატიული საშუალების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოზე წვდომის უფლების *ipso facto* დარღვევა არ არის (*Stichting Mothers of Srebrenica and Others v. the Netherlands* (dec.), 2013), თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ ალტერნატივის არსებობა სასურველი იქნებოდა საქმის კონკრეტულ გარემოებებში *J.C. and Others v. Belgium*, 2021 (§ 71).

- იურისდიქციისგან სახელმწიფოს იმუნიტეტი შეზღუდული იყო საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ცვლილებებით.
- ამრიგად, სასამართლომ აღნიშნა საერთაშორისო და შედარებითი სამართლის ტენდენცია, რომ შეზღუდოს სახელმწიფოს იმუნიტეტი დასაქმებასთან დაკავშირებულ დავებთან მიმართებით, გარდა საელჩოს თანამშრომლების დასაქმებასთან მიმართებით (*Cudak v. Lithuania* [GC], 2010, §§ 63 და მომდევნო; *Sabeh El Leil v. France* [GC], 2011, §§ 53-54 და 57-58; *Naku v. Lithuania and Sweden*, 2016, § 89, საელჩოს თანამშრომლების თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით; ასევე იხილეთ *Wallishausser v. Austria*, 2012, შრომის ანაზღაურების ვადაგადაცილებასთან დაკავშირებით, უცხო ქვეყნის წინააღმდეგ სამართალწარმოების შესახებ). რაც შეეხება საელჩოებსა თუ მუდმივ წარმომადგენლობებსა და მათ დამხმარე პერსონალს შორის დადებულ შრომით ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავებს, სასამართლო ყოველთვის იცავდა როგორც ფორუმის სახელმწიფოს (სახელმწიფო, სადაც სამუშაო სრულდება), ისე იქ მცხოვრებ არამოქალაქეებს (*Ndayegamiye-Mporamazina v. Switzerland*, 2019, §§ 49 და 61 და ციტირებული მითითებები). ეს თანმიმდევრული მიდგომა შეესაბამება კოდიფიცირებულ საერთაშორისო

ჩვეულებას: პრინციპში, უცხო სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს იურისდიქციიდან იმუნიტეტს ფორუმის სახელმწიფოს ტერიტორიაზე დადებულ შრომითი ხელშეკრულების შესახებ დავის კონტექსტში. თუმცა, არსებობს გამონაკლისები ამ პრინციპიდან, კერძოდ, როდესაც „თანამშრომელი არის დამსაქმებელი სახელმწიფოს მოქალაქე საქმის განხილვის მომენტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ პირს აქვს მუდმივი ბინადრობა ფორუმის სახელმწიფოში“ (იქვე, წგ 61-63). ციტირებულ საქმეში, წინა საქმეებისგან განსხვავებით, მომჩივანი იყო დამსაქმებელი სახელმწიფოს (ბურუნდის) მოქალაქე შვეიცარიის სასამართლოებში მიმართვის დროს და არ იყო მუდმივი ბინადარი ფორუმის სახელმწიფოში (შვეიცარია), სადაც მუშაობდა ბურუნდის რესპუბლიკის გაეროს მუდმივ მისიაში. შვეიცარიის მიერ ბურუნდის რესპუბლიკის იმუნიტეტის დაცვა იურისდიქციისგან მომჩივნის საჩივართან მიმართებით, რომელიც ეხება თანამდებობიდან უსამართლოს გათავისუფლებას, შეესაბამებოდა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებულ წესებს სახელმწიფოს იმუნიტეტის შესახებ (§ 66).

- იმუნიტეტის მიმართ შემზღუდავი მიდგომა შეიძლება ასევე გავრცელდეს სახელმწიფოსა და უცხოელ კერძო პირებს შორის არსებულ კომერციულ გარიგებებზე (*Oleynikov v. Russia*, 2013, წგ 61 and 66).
- მეორე მხრივ, სასამართლომ 2001 წელს აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო და შედარებით სამართალში არსებობს ტენდენცია, შეზღუდოს სახელმწიფოს იმუნიტეტი ფორუმ სახელმწიფოში მოქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული სხეულის დაზიანების მიმართ, ეს პრაქტიკა არანაირად არ არის უნივერსალური (*McElhinney v. Ireland* [GC], 2001, § 38).
- საქმეში *J.C. and Others v. Belgium*, 2021, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნების არგუმენტი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს იმუნიტეტი იურისდიქციისგან არ შეიძლებოდა შენარჩუნებულიყო არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში (იხ. წგ 64 და მომდევნო, მათ შორის, პრეცედენტების შეჯამება, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა სამართლის, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართლის ან *jus cogens* ნორმების სხვა სერიოზულ დარღვევებთან). გარდა ამისა, 2014 წელს სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული ახალი მხარდაჭერა სპეციალური წესის ან გამონაკლისის მიმართ საერთაშორისო საჯარო სამართალში იმ საქმეებში, რომლებიც ეხება წამების შესახებ სამოქალაქო საჩივრებს, რომლებიც შეტანილია უცხო სახელმწიფოს ოფიციალური პირების წინააღმდეგ, უფლებამოსილების ძირითადი ნაწილი მდგომარეობს იმაში, რომ იმუნიტეტზე სახელმწიფოს უფლებას არ შეიძლება გვერდი აევლოს მისი მოსამსახურეების ან აგენტების წინააღმდეგ საჩივრის წარდგენით (*Jones and Others v. the United Kingdom*, 2014, წგ 213-15, მომჩივანთა სამოქალაქო სარჩელის უარყოფასთან დაკავშირებით სახელმწიფოს და მისი თანამდებობის პირების მიერ იმუნიტეტის საფუძველზე წამების ბრალდებებთან დაკავშირებით).
- სასჯელის აღსრულებისგან სახელმწიფოს იმუნიტეტი თავისთავად არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტს. 2005 წელს სასამართლომ აღნიშნა, რომ ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოს იმუნიტეტს, ადგენს ზოგად პრინციპს, რომ გარკვეული მკაცრად შეზღუდული გამონაკლისების გარდა, უცხო სახელმწიფოები სარგებლობენ იმუნიტეტით აღსრულების მიმართ ფორუმის სახელმწიფოს ტერიტორიაზე (*Manoilescu and Dobrescu v. Romania and Russia* (dec.),

2005, § 73). მაგალითად, სასამართლომ 2002 წელს დაადგინა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის სასამართლოებმა დაავალეს გერმანიის სახელმწიფოს მომჩივნებისთვის ზარალის ანაზღაურება, ეს სულაც არ ავალდებულებს საბერძნეთის სახელმწიფოს, უზრუნველყოს, რომ მომჩივნებს შეეძლოთ თავიანთი ვალის ამოღება საბერძნეთში სააღსრულებო წარმოების გზით“ (*Kalogeropoulos and Others v. Greece and Germany* (dec.), 2002). ეს გადაწყვეტილებები მოქმედებს საერთაშორისო სამართლის მდგომარეობასთან მიმართებით შესაბამის მომენტში და არ გამორიცხავს ამ კანონის მომავალ განვითარებას.

146. საპარლამენტო იმუნიტეტი: ზოგადად სახელმწიფოების ხანგრძლივი პრაქტიკაა პარლამენტარებისთვის სხვადასხვა ხარისხის იმუნიტეტის მინიჭება, ხალხის წარმომადგენლებისთვის სიტყვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად და პარლამენტის ფუნქციებში მიკერძოებული საჩივრების თავიდან ასაცილებლად (*C.G.I.L. and Cofferati v. Italy (no. 2)*, 2010, § 44). ამრიგად, პარლამენტის იმუნიტეტი შეიძლება შეესაბამებოდეს მე-6 მუხლს, თუ ის:

- ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს: პარლამენტში სიტყვის თავისუფლების დაცვა და საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებათა გამიჯვნის შენარჩუნება (*A. v. the United Kingdom*, 2002, §§ 75-77 and 79);
- არ არის მისაღწევი მიზნის არაპროპორციული (თუ შესაბამის პირს აქვს გონივრული ალტერნატიული საშუალებები მისი უფლებების ეფექტურად დასაცავად (*ოქვ*, § 86) ხოლო იმუნიტეტი მხოლოდ საპარლამენტო ფუნქციების განხორციელებას უკავშირდება (*ოქვ*, § 84; *Zollmann v. the United Kingdom* (dec.), 2010). საპარლამენტო საქმიანობასთან მკაფიო კავშირის არარსებობა მოითხოვს მიზანსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის თანაზომიერების ცნების ვიწრო განმარტებას (*Cordova v. Italy (no. 2)*, 2003, § 64; *Syngelidis v. Greece*, 2010, § 44). პირთა უფლება, ჰქონდეთ სასამართლოზე წვდომა, არ შეიძლება შეიზღუდოს მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან შეუსაბამოდ, თუ სადავო შენიშვნები გაკეთებულია პარლამენტის წევრის მიერ (*Cordova v. Italy (no. 1)*, 2003, § 63; *C.G.I.L. and Cofferati v. Italy (no. 2)*, 2010, §§ 46-50, სადაც, გარდა ამისა, მსხვერპლს არ გააჩნდა რაიმე გონივრული ალტერნატიული საშუალება საკუთარი უფლებების დასაცავად).

147. იურისდიქციისგან მოსამართლეთა გათავისუფლება ასევე არ არის შეუთავსებელი მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან, თუ ის მისდევს ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებას (*Ernst and Others v. Belgium*, 2003, § 50) და იცავს თანაზომიერების პრინციპს იმ გაგებით, რომ მომჩივნებს აქვთ გონივრული ალტერნატიული საშუალებები, რათა ეფექტურად დაიცვან თავიანთი უფლებები კონვენციის შესაბამისად (*ოქვ*, 2003, § 53-55).

148. იმუნიტეტები, რომლებითაც სარგებლობენ საჯარო მოსამსახურეები: პირთა შესაძლებლობის შეზღუდვა, განახორციელონ სამართალწარმოება საჯარო მოსამსახურეების განცხადებებისა და მოსაზრებების გასაჩივრების მიზნით, რომლებიც აზიანებს მათ რეპუტაციას, შეიძლება ემსახურებოდეს საჯარო ინტერესების ლეგიტიმურ მიზანს (*Fayed v. the United Kingdom*, 1994, § 70); თუმცა, უნდა არსებობდეს თანაზომიერება გამოყენებულ საშუალებებსა და ამ ლეგიტიმურ მიზანს შორის (*ოქვ*, §§ 75-82). საქმე *Jones and Others v. the United Kingdom* (§§ 213-15) ეხებოდა წამების ბრალდებების შესახებ მომჩივანთა სამოქალაქო სარჩელის უარყოფას იმუნიტეტის საფუძველზე, რომელიც გამოიყენეს ამ სახელმწიფომ და მისმა თანამდებობის პირებმა. სასამართლო დაკმაყოფილდა იმით, რომ ამ კონკრეტულ საქმეში სახელმწიფო თანამდებობის პირებისთვის იმუნიტეტის მინიჭება ასახავდა საერთაშორისო საჯარო სამართლის

საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს და აცხადებდა, რომ საქირო იყო ამ სფეროში განვითარებული მოვლენების თვალყურის დევნება.

149. სახელმწიფოს მეთაურის იმუნიტეტი: სახელმწიფოს მეთაურების მიერ შესრულებული ფუნქციების გათვალისწინებით, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია მათთვის ფუნქციონალური იმუნიტეტის მინიჭება, გამოხატვის თავისუფლების დასაცავად და სახელმწიფოში უფლებამოსილებათა გამიჯვნის მიზნით. ასეთი იმუნიტეტის პარამეტრები უნდა დარეგულირდეს. განუსაზღვრელი და აბსოლუტური იმუნიტეტი, რომელიც ვერასოდეს მოიხსნება, წარმოადგენს სასამართლოზე წვდომის უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას (*Urechean and Pavlicenco v. Republic of Moldova*, 2014, §§ 47-55).

150. იმუნიტეტის შეზღუდვები: შეუსაბამობა იქნებოდა დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობასთან ან მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძვლად არსებულ ძირითად პრინციპთან – კერძოდ, რომ სამოქალაქო სარჩელი უნდა შეტანილი იქნეს მოსამართლესთან გადაწყვეტილების მისაღებად – თუ სახელმწიფო შეძლებდა, კონვენციის აღმასრულებელი ორგანოების მხარეთა შეკავების ან კონტროლის გარეშე, სასამართლოების იურისდიქციისგან მოეხსნა მთელი რიგი სამოქალაქო საჩივრები ან სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან მიენიჭებინა იმუნიტეტი დიდი ჯგუფების ან პირთა კატეგორიებისთვის (*McElhinney v. Ireland* [GC], 2001, §§ 23-26; *Sabeh El Leil v. France* [GC], 2011, § 50).

151. გადაწყვეტილება საქმეზე *Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland* [GC], 2016, ეხებოდა აქტივების კონფისკაციას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 1483 (2003) შესაბამისად. გადაწყვეტილება ადგენს პრინციპებს, რომლებიც ეხება ეროვნული სასამართლოების მიერ ეროვნულ დონეზე მიღებული ზომების სათანადო სასამართლო განხილვის არსებობას, გაეროს სანქციების სისტემის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად. ამ კონკრეტულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ რეზოლუციაში 1483 (2003) არ იყო არაფერი, რაც პირდაპირ აბრკოლებდა ეროვნულ სასამართლოებს, განეხილათ ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან ეროვნულ დონეზე მიღებული ზომები ამ რეზოლუციის შესაბამისად. თუ რეზოლუცია ცალსახად არ გამორიცხავს სასამართლო განხილვის შესაძლებლობას, ის ყოველთვის უნდა იქნეს გაგებული, როგორც სახელმწიფოების ნებართვა, განახორციელონ საკმარისი კონტროლი მის განხორციელებაში თვითნებობის თავიდან აცილების მიზნით, რათა დაამყარონ სამართლიანი ბალანსი კონკურენტ ინტერესებს შორის. უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ნებისმიერი განხორციელება სასამართლო განხილვის შესაძლებლობის გარეშე, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ არ არსებობდეს თვითნებობა, იწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად.

B. უარის თქმა

1. პრინციპები

152. არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ პირმა უფლებაზე უარი თქვა, თუ მან არ იცოდა უფლების არსებობის ან შესაბამისი სამართალწარმოების შესახებ (*Schmidt v. Latvia*, 2017, § 96 და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები).

153. ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში პირის უარის თქმა მისი საქმის სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ განხილვის უფლებაზე ხშირად გვხვდება სამოქალაქო საქმეებში, კერძოდ, ხელშეკრულებებში საარბიტრაჟო

დებულებების სახით. უფლებაზე უარის თქმა, რომელსაც აქვს უდავო უპირატესობები, როგორც შესაბამისი პირისთვის, ასევე მართლმსაჯულების აღსრულებისთვის, პრინციპში, არ ეწინააღმდეგება კონვენციას (*Deweere v. Belgium*, 1980, § 49; *Pastore v. Italy* (dec.), 1999). ამრიგად, მე-6 მუხლი ხელს არ უშლის საარბიტრაჟო სასამართლოების შექმნას გარკვეული დავების გადასაწყვეტად (*Transado - Transportes Fluviais Do Sado, S.A. v. Portugal* (dec.), 2003). საქმის მხარეებმა შეიძლება გადაწყვიტონ, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლოები არ იყვნენ ვალდებული, განიხილონ ხელშეკრულების შესრულებისას პოტენციურად წარმოშობილი გარკვეული დავები. საარბიტრაჟო დებულების მიღებით, მხარეები ნებაყოფლობით უარს აცხადებენ კონვენციით გათვალისწინებულ ზოგიერთ უფლებაზე (*Eiffage S.A. and Others v. Switzerland* (dec.), 2009; *Tabbane v. Switzerland* (dec.), 2016, § 27). შეიძლება არსებობდეს არბიტრაჟზე ინდივიდუალური წვდომის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზეზი (*Lithgow and Others v. the United Kingdom*, 1986, § 197).

2. პირობები

154. პირებს შეუძლიათ უარი თქვან სასამართლოს უფლებაზე არბიტრაჟის სასარგებლოდ, იმ პირობით, რომ ასეთი უარი დასაშვებია და თავისუფლად და ცალსახად არის დადგენილი (*Suda v. the Czech Republic*, 2010, §§ 48-49 და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები; *Tabbane v. Switzerland* (dec.), 2016, §§ 26-27 and 30). დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლო პროცესის უფლებას ზედმეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმისათვის, რომ ის მხოლოდ იმიტომ იქნეს ჩამორთმეული, რომ პირი არის მორიგების მხარე, რომელიც მიღწეული იქნა სასამართლო პროცესის შესაბამისი პროცედურის მსვლელობისას (*Suda v. the Czech Republic*, 2010, § 48). უარს უნდა ახლდეს მისი მნიშვნელობის თანაზომიერი მინიმალური გარანტიები (*Eiffage S.A. and Others v. Switzerland* (dec.), 2009; *Tabbane v. Switzerland* (dec.), 2016, § 31).

155. პრეცედენტულ სამართალში განასხვავებენ ნებაყოფლობით და სავალდებულო არბიტრაჟს. პრინციპში, არ წამოიჭრება საკითხი მე-6 მუხლის შესაბამისად, ნებაყოფლობითი არბიტრაჟის შემთხვევაში, რადგან ის ნებაყოფლობით ხორციელდება (თუმცა, იხილეთ კომერციულ არბიტრაჟთან დაკავშირებით, *Beg S.p.a. v. Italy*, 2021, §§ 135 და მომდევნო). თუმცა, იძულებითი არბიტრაჟის შემთხვევაში – ანუ იქ, სადაც არბიტრაჟი კანონით არის მოთხოვნილი – მხარეებს არ აქვთ შესაძლებლობა, გააუქმონ თავიანთი დავა საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციისგან, რომელიც, შესაბამისად, უნდა უზრუნველყოფდეს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებულ გარანტიებს (*Tabbane v. Switzerland* (dec.), 2016, §§ 26-27 და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები). ციტირებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ უარყოფის დებულება და შესაბამისი ნორმატიული დებულება მისდევდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, ხელი შეეწყო შვეიცარიის მდგომარეობისთვის, როგორც არბიტრაჟის ადგილისთვის, მოქნილი და დაჩქარებული პროცედურების მეშვეობით, ამავდროულად, მომჩივნის სახელშეკრულებო თავისუფლების დაცვით (§ 36).

156. სასამართლომ ხაზი გაუსვა კომერციული დავების გადაწყვეტისას არბიტრაჟის უპირატესობებს სასამართლო დავასთან მიმართებით. პროფესიონალი ფეხბურთელისა და ციგურებით ჩქაროსნული მოსრიალის მიერ აღძრულ საქმეში მან დაადასტურა ამ სფეროში მოქმედი პრინციპები (*Mutu and Pechstein v. Switzerland*, 2018, §§ 94-96) და დაადასტურა, რომ ეს დასკვნა თანაბრად ეხება პროფესიული სპორტის სფეროსაც. იმის განსაზღვრისას, თქვეს თუ არა მომჩივნებმა უარი მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებულ გარანტიებზე მთლიანად ან ნაწილობრივ, ფუნდამენტური კითხვა იყო, იყო თუ არა საარბიტრაჟო პროცედურა მათთვის სავალდებულო (§ 103). სასამართლომ აღნიშნა, რომ

მეორე მომჩივანს სხვა არჩევანი არ ჰქონდა გარდა იმისა, რომ მიემართა სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოსთვის (CAS), რადგანაც სრიალის საერთაშორისო კავშირის წესები ნათლად აღწერს, რომ ყველა დავა უნდა წარედგინოს სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს, რისი შეუსრულებლობაც გულისხმობს საერთაშორისო კონკურსებიდან გამორიცხვის რისკს (§§ 113-115). საპირისპიროდ, სასამართლომ დაადგინა, რომ პირველ მომჩივანს არ მოეთხოვებოდა სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციის მიღება, ვინაიდან შესაბამისი საერთაშორისო წესები ფეხბურთელებს აძლევდა არჩევანის უფლებას ასეთ საკითხებში. თუმცა, სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ პირველი მომჩივანი პირდაპირ დაეთანხმა, მიემართა სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოსთვის, რომელსაც აკლდა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. სასამართლოს აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო ის, რომ სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე არსებული პროცედურის მარეგულირებელი წესების გამოყენებით, პირველი მომჩივანი ფაქტობრივად ითხოვდა კოლეგიის ერთ-ერთი არბიტრის გადადგომას. შესაბამისად, როგორც პირველი, ისე მეორე მომჩივნის შემთხვევაში, საარბიტრაჟო პროცედურას უნდა უზრუნველყოფდეს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები (§§ 121-123). ასევე იხილეთ, საარბიტრაჟო კომიტეტთან დაკავშირებით, რომელსაც აქვს ექსკლუზიური და სავალდებულო იურისდიქცია ფეხბურთის დავების მოსმენაზე *Ali Riza and Others v. Turkey*, 2020, §§ 175-181 და *Ali Riza v. Switzerland*, 2021, § 82).

C. იურიდიული დახმარება

1. იურიდიული დახმარების მიკუთვნება

157. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ გულისხმობს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უფასო იურიდიული დახმარება „სამოქალაქო უფლებასთან“ დაკავშირებულ ყველა დავაში (*Airey v. Ireland*, 1979, § 26). არსებობს მკაფიო განსხვავება მე-6 მუხლის მე-3(c) პუნქტსა, რომელიც უზრუნველყოფს უფასო იურიდიული დახმარების უფლებას სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში გარკვეული პირობების გათვალისწინებით, და მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს შორის, სადაც არ არის ნახსენები იურიდიული დახმარება (*Essaadi v. France*, 2002, § 30).

158. თუმცა, კონვენცია მიზნად ისახავს, დაიცვას უფლებები, რომლებიც პრაქტიკული და ეფექტურია, კერძოდ, სასამართლოზე წვდომის უფლება. ამრიგად, მე-6 მუხლის 1-ელმა პუნქტმა შეიძლება ზოგჯერ აიძულოს სახელმწიფო, უზრუნველყოს ადვოკატის დახმარება, როდესაც ასეთი დახმარება აუცილებელია სასამართლოზე ეფექტური წვდომისთვის (*Airey v. Ireland*, 1979, § 26).

159. კითხვა იმის თაობაზე, მოითხოვს თუ არა მე-6 მუხლი ინდივიდუალური სარჩელის წარმდგენი პირისთვის იურიდიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფას, დამოკიდებული იქნება საქმის კონკრეტულ გარემოებებზე (*ოქვ; McVicar v. the United Kingdom*, 2002, § 48, ხელისუფლების ორგანოების მიერ დაწყებულ სამართალწარმოებაში ბრალდებულთან დაკავშირებით და იხილეთ § 50; *Steel and Morris v. the United Kingdom*, 2005, § 61). უნდა დადგინდეს, ართმევს თუ არა იურიდიული დახმარების არარსებობა, ყველა გარემოების გათვალისწინებით, საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას დავის მონაწილე მხარეს (*McVicar v. the United Kingdom*, 2002, § 51), მაგალითად, მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით აშკარად არახელსაყრელ მდგომარეობაში მისი ჩაყენებით (*Timofeyev and Postupkin v. Russia*, 2021, §§ 101-107).

160. ითვალისწინებს თუ არა მე-6 მუხლი იურიდიული დახმარების მოთხოვნას, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებული იქნება შემდეგზე:

- მნიშვნელობა იმისა, თუ რა არის სასწორზე მომჩივნისთვის (*P., C. and S. v. the United Kingdom*, 2002, § 100; *Steel and Morris v. the United Kingdom*, 2005, § 61), მათ შორის, საკითხის ჩათვლით, დაირღვა თუ არა კონვენციით დაცული უფლება ეროვნულ სამართალწარმოებაში (მაგალითად, მე-8 ან მე-10 მუხლი, ან კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლი): *Timofeyev and Postupkin v. Russia*, 2021, § 102);
- შესაბამისი კანონის ან პროცედურის სირთულე (*Airey v. Ireland*, 1979, § 24), მაგალითად, მხარეთა მიერ არგუმენტების წარდგენის სპეციალურ წესთან დაკავშირებით (*Gnahoré v. France*, 2000, § 40) ან მტკიცებულებათა წარდგენაზე (*McVicar v. the United Kingdom*, 2002, § 54);
- მომჩივნის შესაძლებლობა, წარმოადგინოს საკუთარი თავი ეფექტურად (*McVicar v. the United Kingdom*, 2002, §§ 48-62; *Steel and Morris v. the United Kingdom*, 2005, § 61), რომელიც შეიძლება ეხებოდეს კითხვას, იყო თუ არა მოწინააღმდეგე მხარის დახმარება უზრუნველყოფილი პროცესის განმავლობაში და სირთულეები, რომლებსაც აწყდებოდა მომჩივანი თავისი დაცვის მომზადებაში (*Timofeyev and Postupkin v. Russia*, 2021, §§ 104-107);
- კანონიერი მოთხოვნის არსებობა, იურიდიული წარმომადგენლობის შესახებ (*Airey v. Ireland*, 1979, § 26; *Gnahoré v. France*, 2000, § 41 *in fine*).

161. თუმცა, ეს უფლება არ არის აბსოლუტური (*Steel and Morris v. the United Kingdom*, 2005, §§ 59-60) და, შესაბამისად, დასაშვებია იურიდიული დახმარების გაწევის პირობების დაწესება, კერძოდ, წინა პუნქტში მოცემულის გარდა, შემდეგი მოსაზრებებიდან გამომდინარე:

- დავის მონაწილე მხარის ფინანსური მდგომარეობა (*Steel and Morris v. the United Kingdom*, 2005, § 62);
- საქმისწარმოებაში მისი წარმატების პერსპექტივები (*იქვე*).

ამრიგად, შეიძლება არსებობდეს იურიდიული დახმარების სისტემა, რომელიც ირჩევს შესაბამის საქმეებს და უზრუნველყოფს, რომ საკასაციო სამართალწარმოებისას იურიდიული დახმარების სახელმწიფო ფულადი სახსრები მიეცეს მხოლოდ მათ, ვის საჩივრებსაც წარმატების გონივრული პერსპექტივა აქვს (*Del Sol v. France*, 2002, § 23). თუმცა, კანონმდებლის მიერ შექმნილმა სისტემამ ფიზიკურ პირებს უნდა შესთავაზოს არსებითი გარანტიები, რომლებიც დაიცავს მათ თვითნებობისგან (*Gnahoré v. France*, 2002, § 41; *Essaadi v. France*, 2002, § 36; *Del Sol v. France*, 2002, § 26; *Bakan v. Turkey*, 2007, §§ 75-76 გადაწყვეტილებაზე მითითებით, საქმეში *Aerts v. Belgium*, 1998, სასამართლოზე უფლების თავად არსის დარღვევასთან დაკავშირებით). ამიტომ მნიშვნელოვანია, სათანადო ყურადღება მიექცეს სახელმწიფოში იურიდიული დახმარების სისტემის ხარისხს (*Essaadi v. France*, 2002, § 35) და შემოწმდეს, შეესაბამება თუ არა ხელისუფლების ორგანოების მიერ არჩეული მეთოდი კონვენციას (*Santambrogio v. Italy*, 2004, § 52; *Bakan v. Turkey*, 2007, §§ 74-78; *Pedro Ramos v. Switzerland*, 2010, §§ 41-45). სახელმწიფო არ არის ვალდებული, იბრძოლოს სახელმწიფო სახსრებით, რათა უზრუნველყოს მხარეთა სრული თანასწორობა დახმარების მიმღებ პირსა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის, თუ თითოეულ მხარეს ეძლევა გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს თავისი საქმე იმ პირობებში, რაც მას არ აყენებს მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით (*Steel and Morris v. the United Kingdom*, 2005, § 62).

162. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ დაასახელოს იურიდიულ დახმარებაზე უარის თქმის მიზეზები და სათანადო გულმოდგინებით განიხილოს იურიდიული დახმარების მოთხოვნები (*Tabor v. Poland*, 2006, §§ 45-46; *Saoud v. France*, 2007, §§ 133-36).

163. გადაწყვეტილება საქმეზე *Dragan Kovačević v. Croatia*, 2022, განიხილავდა საკითხს იურიდიული დახმარების თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოში არსებულ სამართალწარმოებაში და უფლებაუნარიანობას მოკლებული მოძიების მოწყვლადობაზე (§§ 35-36, 79 და 81).

164. ამასთან, უცხო ქვეყნის იურიდიული პირებისთვის იურიდიული დახმარების გაწევაზე უარი არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლს (*Granos Organicos Nacionales S.A. v. Germany*, 2012, §§ 48-53). ზოგადად, კომერციულ კომპანიებთან დაკავშირებით, იხილეთ *Nalbant and Others v. Turkey*, 2022 (§§ 37-38).

2. მიკუთვნებული იურიდიული დახმარების ეფექტურობა

165. სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი ოფიციალურად დანიშნული ადვოკატის ქმედებებზე. იურიდიული პროფესიის სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობიდან გამომდინარეობს (*Staroszczyk v. Poland*, 2007, § 133), რომ დაცვის წარმოება, არსებითად, ბრალდებულსა და მის ადვოკატს შორის საკითხია, იქნება ეს ადვოკატი დანიშნული იურიდიული დახმარების პროგრამით თუ კერძოდ დაფინანსებული. დაცვის, როგორც ასეთის ქცევა, არ შეიძლება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, იწვევდეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას კონვენციით (*Tuziński v. Poland* (dec.), 1999).

166. თუმცა, მხარის წარმომადგენლად ადვოკატის დანიშვნა თავისთავად არ იძლევა ეფექტური დახმარების გარანტიას (*Siatkowska v. Poland*, 2007, §§ 110 and 116). იურიდიული დახმარების გაწევის მიზნით დანიშნულ ადვოკატს შეიძლება დიდი ხნით აეკრძალოს მოქმედება ან მან შეიძლება თავი აარიდოს თავის მოვალეობას. თუ მათ ეცნობება სიტუაციის შესახებ, კომპეტენტურმა ეროვნულმა ორგანოებმა უნდა შეცვალონ ის; თუ ისინი ამას ვერ გააკეთებენ, დავის მონაწილე მხარე პრაქტიკაში მოკლებული იქნება ეფექტურ დახმარებას, მიუხედავად უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფისა (*Bertuzzi v. France*, 2003, § 30).

167. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო პასუხისმგებელია, უზრუნველყოს აუცილებელი ბალანსი, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ეფექტურ განხორციელებასა და მეორე მხრივ, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობას შორის. სასამართლომ მკაფიოდ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადვოკატის ნებისმიერი უარი იურიდიული დახმარების გაწევაზე უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხის გარკვეულ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული, თუ იურიდიული დახმარების სისტემის ხარვეზები ართმევენ პირებს „პრაქტიკულ და ეფექტურ“ წვდომას სასამართლოზე, რომელზეც მათ უფლება აქვთ (*Staroszczyk v. Poland*, 2007, § 135; *Siatkowska v. Poland*, 2007, § 114 - დარღვევა).

168. შეჯამების სახით, სახელმწიფო არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი იურიდიული დახმარების ადვოკატის ყველა ქმედება/უმოქმედობის ან ხარვეზის გამო, ხოლო დავის მონაწილე მხარეს ასევე აქვს გარკვეული პასუხისმგებლობა ამ სფეროში (*Bąkowska v. Poland*, 2010, §§ 45-54, and, *mutatis mutandis*, *Feilazoo v. Malta*, 2021, §§ 125-126 and 131).

III. ინსტიტუციური მოთხოვნები

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი

„1. „ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ... გამორკვევისას, აღჭურვილია ... მისი საქმის ... განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ...“

169. მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის ინსტიტუციური მოთხოვნები ემსახურება კონკრეტულ მიზნებს, როგორც სამართლიანი სასამართლოს ცალკე გარანტიებს, ისინი ყველა ხელმძღვანელობს კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპების და ხელისუფლების გამიჯვნის შენარჩუნებისა მიზნით. თითოეულ ამ მოთხოვნას საფუძვლად უდევს სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნება და მისი სხვა ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 233).

170. ხაზს უსვამს რა სუბსიდიარობის პრინციპის მნიშვნელობას – რომელსაც კონვენციის მე-15 ოქმი ითვალისწინებს კონვენციის პრეამბულაში – და მხარე სახელმწიფოებსა და სასამართლოს შორის ადამიანის უფლებების დასაცავად „საერთო პასუხისმგებლობის“ პრინციპს და რომ კონვენციის სისტემა ვერ იფუნქციონირებს გამართულად დამოუკიდებელი მოსამართლეების გარეშე, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოების როლი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 324).

A. „სასამართლოს“ ცნება

1. ავტონომიური ცნება⁹

171. გადაწყვეტილებამ საქმეზე *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, განმარტა პრეცედენტული სამართლის შესაბამისი პრინციპები (იხილეთ, კერძოდ, §§ 219-222; ასევე იხილეთ *Eminağaoğlu v. Turkey*, 2021, §§ 90-91 და 94), რომლებიც შეიძლება დაიყოს სამ კუმულატიურ მოთხოვნად (შესაბამისი შეჯამება იხილეთ საქმეში *Dolińska-Ficek and Ozimek v. Poland*, §§ 272-280).

172. პირველი, „ტრიბუნალი“ ხასიათდება ტერმინის მატერიალური გაგებით, მისი სასამართლო ფუნქციით (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020 §§ 219 და მომდევნო, შესაბამისი პრინციპებისთვის), ანუ მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების განსაზღვრა სამართლის ნორმების საფუძველზე და სათანადოდ ჩატარებული საქმისწარმოების შემდეგ (*Cyprus v. Turkey* [GC], 2001, § 233; *Xero Flor w Polsce sp. z o.o. v. Poland*, 2021, § 194, საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით).

173. გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება თანდაყოლილია თავად „სასამართლოს“ ცნებისა. სამართალწარმოებამ უნდა უზრუნველყოს „სასამართლოს მიერ სადავო საკითხების გადაწყვეტა“, როგორც ამას მოითხოვს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი (*Bentham v. the Netherlands*, 1985, § 40).

9. ასევე იხილეთ განყოფილება „კანონის საფუძველზე შექმნილის“ შესახებ.

174. ამიტომ, არასავალდებულო საკონსულტაციო დასკვნის მხოლოდ გამოცემის უფლებამოსილება არ არის საკმარისი, მაშინაც კი, თუ ეს დასკვნები გათვალისწინებულია საქმეთა დიდ უმრავლესობაში (*იქვე*).

175. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიზნებისთვის, „სასამართლო“ აუცილებელი არაა, რომ იყოს საერთო სამართლის ნორმების მიხედვით მოქმედი სასამართლო, რომელიც ინტეგრირებულია შესაბამისი ქვეყნის სტანდარტულ სასამართლო სისტემაში (*Xhoxhaj v. Albania*, 2021, § 284, მოსამართლეთა და პროკურორთა ფუნქციების შესრულების შესაძლებლობის გადასახედად შექმნილი ორგანოს შესახებ; *Ali Riza and Others v. Turkey*, 2020, §§ 194-195 და 202-204, და *Mutu and Pechstein v. Switzerland*, 2018, § 139, არბიტრაჟთან დაკავშირებით). ის შეიძლება შეიქმნას კონკრეტული საკითხის მოსაგვარებლად, რომელიც შეიძლება სათანადოდ მოგვარდეს ჩვეულებრივი სასამართლო სისტემის გარეთ. ადგილზე არსებული მატერიალური და პროცედურული გარანტიები აუცილებელია მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020; *Rolf Gustafson v. Sweden*, 1997, § 45). ამრიგად, ორგანო, რომელიც არ იცავს მე-6 მუხლით გათვალისწინებულ საპროცესო გარანტიებს, არ შეიძლება ჩაითვალოს კანონის საფუძველზე შექმნილ „სასამართლოდ“ (*Eminagaoglu v. Turkey*, 2021, §§ 99-105, მოსამართლეების დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით).

176. ამრიგად, „სასამართლო“ შეიძლება იყოს ორგანო, რომელიც შექმნილია შეზღუდული რაოდენობის კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ ის უზრუნველყოფს შესაბამის გარანტიებს (*Lithgow and Others v. the United Kingdom*, 1986, § 201, საარბიტრაჟო სასამართლოს კონტექსტში). უფრო მეტიც, ორგანო, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც სახელმწიფოს სასამართლო, შეიძლება მაინც, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიზნებისათვის, მოხვდეს „სასამართლოს“ ცნებაში, ამ ტერმინის მატერიალური გაგებით (*Sramek v. Austria*, 1984, § 36).

177. ის ფაქტი, რომ ის ასრულებს მრავალ ფუნქციას (ადმინისტრაციული, მარეგულირებელი, სასამართლო, საკონსულტაციო და დისციპლინური), თავისთავად ვერ შეუძლის ხელს ინსტიტუტს, რომ იყოს „სასამართლო“ (*H. v. Belgium*, 1987, § 50).

178. სავალდებულო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს არასასამართლო ორგანოს მიერ ცალკეული მხარის საზიანოდ, თანდაყოლილია თავად „სასამართლოს“ ცნებისა (*Van de Hurk v. the Netherlands*, 1994, § 45). კანონის უზენაესობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტია სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, რომელიც, მათ შორის, მოითხოვს, რომ სასამართლოების მიერ რაიმე საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მათი გადაწყვეტილება ეჭვქვეშ არ დადგეს (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 238, ციტირება *Brumărescu v. Romania* [GC], 1999, § 61).¹⁰ გარდა ამისა, მხოლოდ სრული იურისდიქციის მქონე ინსტიტუტი იმსახურებს აღნიშვნას „სასამართლო“, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიზნებისათვის (*Mutu and Pechstein v. Switzerland*, 2018, § 139).

179. მეორე, „სასამართლო“ უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ დამატებით მოთხოვნებს – დამოუკიდებლობა, კერძოდ, აღმასრულებელი ხელისუფლებისგან; მიუკერძოებლობა; მისი წევრების უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობა; მისი პროცედურით გათვალისწინებული გარანტიები – რომელთაგან ზოგიერთი მოცემულია მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის ტექსტში (*Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, 1981, § 55; *Cyprus v. Turkey* [GC], 2001, § 233). მართლაც, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა არის

10. ასევე იხილეთ განყოფილება „გადაწყვეტილებების აღსრულება“ შესახებ.

„სასამართლოს“ ცნების ძირითადი კომპონენტები,¹¹ როგორც განმარტებულია საქმეში *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, §§ 231 და მომდევნო). მოკლედ, მართლმსაჯულების ორგანო, რომელიც არ აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის – კერძოდ, აღმასრულებელი ხელისუფლებისგან – და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს, არ შეიძლება კვალიფიცირებული იქნეს როგორც „სასამართლო“ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიზნებისთვის (§ 232).

180. დაბოლოს, გადაწყვეტილებამ საქმეზე *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, დაამატა, რომ თავად „სასამართლოს“ ცნება გულისხმობს, რომ ის უნდა შედგებოდეს მოსამართლეებისგან, რომლებიც შერჩეული არიან დამსახურების საფუძველზე – ანუ მოსამართლეები, რომლებიც აკმაყოფილებენ ტექნიკური კომპეტენციისა და მორალური კეთილსინდისიერების მოთხოვნებს, რათა შეასრულონ მათგან მოთხოვნილი სასამართლო ფუნქციები კანონის უზენაესობის საფუძველზე მართულ სახელმწიფოში (§§ 220-221). რიგითი მოსამართლეების დანიშვნის მკაცრი პროცესი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა იმისთვის, რომ ორივე კუთხით ყველაზე კვალიფიციური კანდიდატები დაინიშნონ სასამართლო თანამდებობებზე. რაც უფრო მაღალია „სასამართლო“ სასამართლო იერარქიაში, მით უფრო მოთხოვნილია შერჩევის კრიტერიუმების გამოყენებადობა. გარდა ამისა, შერჩევის სხვა კრიტერიუმები შეიძლება გავრცელდეს არაპროფესიონალ მოსამართლეებზე - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება საჭირო ტექნიკურ კომპეტენციებს. დამსახურებების მიხედვით შერჩევა არა მხოლოდ უზრუნველყოფს სასამართლოს ტექნიკურ შესაძლებლობებს, განახორციელოს მართლმსაჯულება როგორც „ტრიბუნალმა“, არამედ გადამწყვეტია სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის თვალსაზრისით და წარმოადგენს მოსამართლეთა პირადი დამოუკიდებლობის დამატებით გარანტიას (§ 222).

181. გადაწყვეტილებამ საქმეზე *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, განსაზღვრა სამსაფეხურიანი პროცედურა, რომლითაც ხელმძღვანელობს სასამართლო და ეროვნული სასამართლოები შეფასებისას, იყო თუ არა დარღვევები მოსამართლეთა დანიშვნის კონკრეტულ პროცედურაში „ისე სერიოზული, რომ არღვევდა კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს უფლებას“ და თუ არა, დადგინდა თუ არა ბალანსი საქმის კონკრეტულ გარემოებებში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ სამართლიანად და თანაზომიერად ჩამოყალიბებულ კონკურენტ პრინციპებს შორის (§§ 243-252) (და იხილეთ განყოფილება B. ქვემოთ). საქმეში *Xero Flor w Polsce sp. z o.o. v. Poland*, 2021, ეს მიდგომა გამოყენებული იქნა საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლის არჩევის მართებულობის საკითხთან დაკავშირებით (§§ 255 და მომდევნო).

182. „სასამართლოს“ სტატუსის მქონე ორგანოების მაგალითები კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში მოიცავს:

- უძრავი ქონების გარიგებების რეგიონული ორგანო (*Sramek v. Austria*, 1984, § 36);
- სისხლისსამართლებრივი დანაშაულის შედეგად მიყენებული ზარალის კომპენსაციის საბჭო (*Rolf Gustafson v. Sweden*, 1997, § 48);
- სატყეო დავების განმხილველი კომიტეტი (*Argyrou and Others v. Greece*, 2009, § 27);
- სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო (*Mutu and Pechstein v. Switzerland*, 2018, § 149), და ფეხბურთის საარბიტრაჟო კომიტეტი (*Ali Rıza and Others v. Turkey*, 2020, §§ 202-204), და კომერციულ სფეროში, იხილეთ *Beg S.p.a. v. Italy*, 2021;

11. ასევე იხილეთ განყოფილება „დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა“.

- ორგანოები, რომლებიც შექმნილია ქვეყნის მოსამართლეებისა და პროკურორების ფუნქციების შესრულების შესაძლებლობის გადასაფასებლად (*Xhoxhaj v. Albania*, 2021, § 283 და მომდევნო – ასევე იხილეთ *Loquifer v. Belgium*, 2021, § 55).

2. იურისდიქციის დონე

183. მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, შექმნან სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოები, სახელმწიფო, რომელიც ქმნის ასეთ სასამართლოებს, ვალდებულია უზრუნველყოს, რომ კანონის დაქვემდებარებაში მყოფმა პირებმა ისარგებლონ ამ სასამართლოებში მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი გარანტიებით (*Zubac v. Croatia* [GC], 2018, § 80; *Platakou v. Greece*, 2001, § 38):

- შეფასება *in concreto*: თუმცა, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენება სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოების მიმართ დამოკიდებული იქნება მოცემული საქმისწარმოების სპეციფიკაზე. სამართლებრივი ნორმების შესახებ საჩივრის დასაშვებობის პირობები შეიძლება იყოს უფრო მკაცრი, ვიდრე ჩვეულებრივი გასაჩივრებისთვის (*Zubac v. Croatia* [GC], 2018, § 82; *Levages Prestations Services v. France*, 1996, § 45).
- შეფასება *in globo*: აუცილებელია შიდასახელმწიფოებრივი მართლწესრიგის ფარგლებში განხორციელებული საქმისწარმოების მთლიანობის გათვალისწინება (*Zubac v. Croatia* [GC], 2018, § 82; *Levages Prestations Services v. France*, 1996, § 45). შესაბამისად, ზემდგომმა ან უმაღლესმა სასამართლომ შეიძლება, ზოგიერთ შემთხვევაში, დაადგინოს ზიანის ანაზღაურება კონვენციის ერთ-ერთი დებულების თავდაპირველი დარღვევისთვის (*De Haan v. the Netherlands*, 1997, § 54; *mutatis mutandis*, *Zubac v. Croatia* [GC], 2018, § 123).

184. მოქნილობისა და ეფექტურობის მოთხოვნებმა, რომლებიც სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებათა დაცვას, შეიძლება გაამართლოს ადმინისტრაციული ან პროფესიული ორგანოების და, *a fortiori*, სასამართლო ორგანოების წინასწარი ჩარევა, რომლებიც ყველა თვალსაზრისით არ აკმაყოფილებს მე-6 მუხლის მოთხოვნებს (*Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, 1981, § 51). კონვენციის დარღვევა ვერ დადგინდება, თუ სამართალწარმოება ამ ორგანოების წინაშე „ექვემდებარება შემდგომ განხილვას სრული იურისდიქციის მქონე სასამართლო ორგანოს მიერ“ და უზრუნველყოფს მე-6 მუხლის გარანტიებს (*Denisov v. Ukraine* [GC], 2018, § 65; *Zumtobel v. Austria*, 1993, §§ 29-32; *Bryan v. the United Kingdom*, 1995, § 40).

185. ანალოგიურად, ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიღების მოვალეობა ეკისრება პროფესიულ დისციპლინურ ორგანოებს, თავისთავად არ არღვევს კონვენციას. თუმცა, ასეთ გარემოებებში კონვენცია მოითხოვს ორიდან, სულ მცირე, ერთ სისტემას: ან თავად პროფესიული დისციპლინური ორგანოები ასრულებენ ამ მუხლის მოთხოვნებს, ან ისინი არ შეესაბამებიან, მაგრამ ექვემდებარებიან შემდგომ განხილვას „სრული იურისდიქციის მქონე სასამართლო ორგანოს“ მიერ და უზრუნველყოფენ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გარანტიების (*Albert and Le Compte v. Belgium*, 1983, § 29; *Gautrin and Others v. France*, 1998, § 57; *Fazia Ali v. the United Kingdom*, 2015, § 75).

186. შესაბამისად, სასამართლო მუდმივად იმეორებს, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, აუცილებელია, რომ ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებები, რომლებიც თავად არ აკმაყოფილებენ ამ მუხლის მოთხოვნებს, შემდგომ განხილვას

ექვემდებარება „სრული იურისდიქციის მქონე სასამართლო ორგანოს“ მიერ (*Ortenberg v. Austria*, 1994, § 31).¹²

3. სრული იურისდიქციის მქონე სასამართლოს მიერ განხილვა

187. მხოლოდ სრული იურისდიქციის მქონე ინსტიტუტი იმსახურებს აღნიშვნას „სასამართლო“, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიზნებისათვის (*Beaumartin v. France*, 1994, § 38). მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი სასამართლოებისგან მოითხოვს ეფექტური სასამართლო კონტროლის განხორციელებას (*Obermeier v. Austria*, 1990, § 70). „სრული იურისდიქციის“ ცნება აუცილებელი არ არის, დამოკიდებული იყოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის სამართლებრივ დახასიათებაზე. სასამართლო განხილვის სფეროსთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის პრინციპები ჩამოყალიბებულია საქმეში *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 176-186, რომელიც ხაზს უსვამს „მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების განსაკუთრებულ კონტექსტს“ (თანამდებობიდან გათავისუფლების სფეროში ამ პრინციპების გამოყენებისთვის, იხილეთ *Pişkin v. Turkey*, 2020, §§ 131-136).

188. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიზნებისათვის, „სასამართლოს“ უნდა ჰქონდეს „იურისდიქცია, რომ განიხილოს ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მის წინაშე არსებულ დავასთან“ (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 176-177). შესაბამისმა ორგანომ უნდა განახორციელოს „საკმარისი იურისდიქცია“ ან უზრუნველყოს „საკმარისი კონტროლი“ მის წინაშე მიმდინარე სამართალწარმოებაზე (*Sigma Radio Television Ltd v. Cyprus*, 2011, § 152, და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები). პრინციპი, რომ სასამართლომ უნდა განახორციელოს სრული იურისდიქცია, მოითხოვს, რომ მან არ უკუაგდოს სასამართლო ფუნქციის რომელიმე ელემენტი (*Chevol v. France*, 2003, § 63). თუ ეროვნულ სასამართლოებს თეორიულად აქვთ სრული იურისდიქცია დავის გადასაწყვეტად, მათი უარი, განიხილოს ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხი, რომელიც ეხება მათ წინაშე არსებულ დავას, იწვევს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევას (*Pişkin v. Turkey*, 2020, §§ 137-151).

189. თუ ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც განიხილავს დავებს „სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან“ დაკავშირებით, არ აკმაყოფილებს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის ყველა მოთხოვნას, კონვენციის დარღვევა არ შეიძლება დადგინდეს, თუ ამ ორგანოს წინაშე არსებული სამართალწარმოება „ექვემდებარება სრული იურისდიქციის მქონე სასამართლო ორგანოს მიერ შემდგომ განხილვას და უზრუნველყოფს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გარანტიების, ანუ, თუ ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე არსებული სამართალწარმოებისას აღმოჩენილი ნებისმიერი სტრუქტურული ან პროცედურული ხარვეზი გამოსწორდება სრული იურისდიქციის მქონე სასამართლო ორგანოს მიერ შემდგომი განხილვისას“ (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 132; *Peleki v. Greece*, 2020, §§ 58-60).

190. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი პრინციპში მოითხოვს, რომ სასამართლოს ან ტრიბუნალს ჰქონდეს იურისდიქცია, განიხილოს ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მის წინაშე არსებულ დავასთან (*Terra Woningen B.V. v. the Netherlands*, 1996, § 52; *Sigma Radio Television Ltd v. Cyprus*, 2011, §§ 151-157). ეს, კერძოდ, ნიშნავს, რომ სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლება, არსებითად განიხილოს მოსარჩელის თითოეული არგუმენტი, რომელიმე მათგანის განხილვაზე უარის თქმის გარეშე და

12. ასევე იხილეთ განყოფილება „სამართლიანობის“ შესახებ.

ნათლად უნდა დაასაბუთოს მათი უარყოფის მიზეზები. რაც შეეხება ფაქტებს, სასამართლოს უნდა შეემდლოს ხელახლა განიხილოს ისინი, რომლებიც მნიშვნელოვანია დავის მონაწილე მხარის საქმისთვის (*Bryan v. the United Kingdom*, 1995, §§ 44-45). ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოს არ აქვს სრული იურისდიქცია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, როგორც ასეთის, მნიშვნელობით, მაგრამ განიხილავს მომჩივნების არგუმენტებს პუნქტების მიხედვით, მათზე პასუხის გაცემისას ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაკეთებული ფაქტობრივი ან სამართლებრივი დასკვნების შემოწმებისას იურისდიქციის უარყოფის გარეშე. ასეთ შემთხვევებში შეფასება უნდა ეხებოდეს იმ ინტენსივობას, რომლითაც სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციული ორგანოების დისკრეციულ უფლებამოსილებებს (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 183 და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები).

191. გარდა ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს აქვს სრული იურისდიქცია, თუ მას არ აქვს უფლება, შეაფასოს, იყო თუ არა სასჯელი შესაბამისი გადაცდომის თანაზომიერი (*Diennet v. France*, 1995, § 34, *Mérigaud v. France*, 2009, § 69).

192. სრული იურისდიქციის პრინციპი რიგ საქმეებში კვალიფიცირებულია სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, რომელიც ხშირად მოქნილად განმარტავს მას, განსაკუთრებით ადმინისტრაციული სამართლის საქმეებში, სადაც სააპელაციო სასამართლოს იურისდიქცია შეზღუდულია სასამართლოს ტექნიკური ხასიათის გამო (*Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland* [GC], 2016, § 130; *Chaudet v. France*, 2009, § 37).

193. მართლაც, სხვადასხვა წევრი სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემებში არსებობს სამართლის სპეციალიზებული სფეროები (მაგალითად, ურბანული და სოფლის დაგეგმარების სფეროში), სადაც სასამართლოებს აქვთ შეზღუდული იურისდიქცია ფაქტებზე, მაგრამ შეუძლიათ შეცვალონ ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილება, თუ ის ეყრდნობა ფაქტების დასკვნას, რომელიც არის მანკიერი ან ირაციონალური. კონვენციის მე-6 მუხლი არ მოითხოვს იურისდიქციის ისეთ დონეს, რომელსაც შეუძლია საკუთარი მოსაზრების ჩანაცვლება ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრებით (იხილეთ, მაგალითად, სოფლის დაგეგმარებასთან დაკავშირებით *Zumtobel v. Austria*, 1993, §§ 31-32, და ქალაქის დაგეგმარებასთან დაკავშირებით, *Bryan v. the United Kingdom*, 1995, §§ 44-47; გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, *Alatulkkila and Others v. Finland*, 2005, § 52; თამაშის რეგულირებასთან დაკავშირებით, *Kingsley v. the United Kingdom* [GC], 2002, § 32; და პრეცედენტული სამართლის შეჯამებისთვის, *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 178 და *Fazia Ali v. the United Kingdom*, 2015, §§ 75-78).

194. ზემოაღნიშნული სიტუაციები ეხება იმ გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლს, რომელიც მიღებულია ადმინისტრაციული დისკრეციის განხორციელების წესით *სამართლის სპეციალიზებულ სფეროში* (დაგეგმვა, სოციალური უზრუნველყოფა და ა.შ.), რომელიც სასამართლომ განასხვავა *დისკიპლინური დავისგან* საქმეში *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 196 და 203. ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლი შესაბამისი უნდა იყოს დავის საგნისა (§ 196).

195. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მათი დისკრეციული უფლებამოსილების ნორმალურად გამოყენების კონტექსტში *სამართლის სპეციალიზებულ სფეროებში*, რომლებიც *საჭიროებს სპეციალურ პროფესიულ გამოცდილებას ან ცოდნას* (შდრ. *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 195), პრეცედენტულმა სამართალმა დაადგინა გარკვეული კრიტერიუმები იმის შესაფასებლად, განხორციელდა თუ არა განხილვა კონვენციის მიზნებისთვის „სრული იურისდიქციის“ მქონე ორგანოს მიერ (*Sigma Radio*

Television Ltd v. Cyprus, 2011, §§ 151-57). ამრიგად, იმისათვის, რომ დადგინდეს, მოახდინა თუ არა მოცემულმა სასამართლომ საკმარისი განხილვა, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი სამი კრიტერიუმი ერთად (ასევე იხილეთ *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 179-181):

- გასაჩივრებული გადაწყვეტილების საგანი:
 - თუ ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ეხება უბრალო ფაქტს, მაშინ სასამართლოს შემოწმება უფრო საფუძვლიანი უნდა იყოს, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ის ეხება სპეციალიზებულ სფეროს, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ტექნიკურ ცოდნას;
 - ევროპაში არსებული სისტემები, ჩვეულებრივ, ზღუდავს სასამართლოების უფლებამოსილებას ფაქტობრივი საკითხების განსახილველად, თუმცა არ უშლის ხელს გადაწყვეტილების გაუქმებას სხვადასხვა საფუძვლებით. ამას პრეცედენტული სამართალი კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს.
- როგორ იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება: რა პროცედურული გარანტიები არსებობდა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში?
 - თუ წინა ადმინისტრაციულ წარმოებაში მომჩივანი სარგებლობდა პროცედურული გარანტიებით, რომლებიც აკმაყოფილებს მე-6 მუხლის ბევრ მოთხოვნას, ამან შეიძლება გაამართლოს შემდგომი სასამართლო განხილვის უფრო მარტივი ფორმა (*Bryan v. the United Kingdom*, 1995, §§ 46-47; *Holdings and Barnes PLC v. the United Kingdom* (dec.), 2002).
- დავის შინაარსი, გასაჩივრების სასურველი და რეალური საფუძვლების ჩათვლით (*Bryan v. the United Kingdom*, 1995, § 45):
 - გადაწყვეტილებას უნდა შეეძლოს, განიხილოს მომჩივნის ყველა არგუმენტი არსებითად, პუნქტების მიხედვით, რომელიმე მათგანის განხილვაზე უარის თქმის გარეშე და წარმოადგინოს მათზე უარის თქმის მკაფიო საფუძველი. რაც შეეხება ფაქტებს, სასამართლოს უნდა შეეძლოს ხელახლა განიხილოს ისინი, რომლებიც მნიშვნელოვანია მომჩივნის საქმისთვის. ამრიგად, თუ მომჩივანი წარადგენს მხოლოდ პროცედურულ არგუმენტებს, მას არ შეუძლია შემდგომში გააკრიტიკოს სასამართლო, ფაქტებზე გადაწყვეტილების არგამოტანის გამო (*Potocka and Others v. Poland*, 2001, § 57).

196. მაგალითად, სასამართლოს უარმა, მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება გარკვეული ფაქტების საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია მის წინაშე არსებული დავის გადასაწყვეტად, შეიძლება გამოიწვიოს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევა (*Terra Woningen B.V. v. the Netherlands*, 1996, §§ 53-55). იგივე ეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც სასამართლოს არ აქვს დავის ცენტრალური საკითხის დადგენის იურისდიქცია (*Tsfayo v. the United Kingdom*, 2006, § 48). ასეთ შემთხვევებში, საქმის შედეგისთვის გადაწყვეტი საკითხი არ ექვემდებარება დამოუკიდებელ სასამართლო შემოწმებას (შესაბამისი პრეცედენტების შეჯამებისთვის იხილეთ *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 181-183).

197. შეჯამებისთვის, ადმინისტრაციულ ორგანოებთან დაკავშირებულ დავაში, როდესაც სასამართლოები უარს ამბობენ, განიხილონ საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია დავის შედეგისთვის, იმ მოტივით, რომ ისინი უკვე გადაწყვეტილია ხელისუფლების ორგანოების მიერ, სასამართლოსთვის სავალდებულო ეფექტით, დარღვეულია მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი (*Tinnelly & Sons Ltd and Others and McElduff and Others v. the United Kingdom*, 1998,

§§ 76-79, დასაქმებაზე წვდომასთან დაკავშირებით; *Aleksandar Sabev v. Bulgaria*, 2018, §§ 55-58, თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით).

198. თუ საჩივარი დაკმაყოფილდება, საქმის განხილველ სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლება, გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ან დამოუკიდებლად მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, ან საქმე გადასცეს იმავე ან სხვა ორგანოს (*Kingsley v. the United Kingdom* [GC], 2002, §§ 32 და 34, და *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 184). ყველა შემთხვევაში, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა ჩაატარონ მომჩივნის არგუმენტების სიღრმისეული, საფუძვლიანი გამოკვლევა და დაასახელონ ამ უკანასკნელის საჩივრების უარყოფის მიზეზები (*Pişkin v. Turkey*, 2020, §§ 146-151).

199. თუ ფაქტები უკვე დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კვაზისამართლებრივ პროცედურაში, რომელიც აკმაყოფილებს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის ბევრ მოთხოვნას, თუ არ არსებობს დავა დადგენილ ფაქტებთან ან მათგან გამოტანილ დასკვნებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და, თუ სასამართლო პუნქტების მიხედვით განიხილავს მოსარჩელის სხვა არგუმენტებს, სააპელაციო სასამართლოს მიერ ჩატარებული გამოკვლევის ფარგლები საკმარისად ჩაითვლება მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესასრულებლად (*Bryan v. the United Kingdom*, 1995, §§ 44-47).

200. კიდევ ერთხელ მიუთითა რა სასამართლომ სასამართლო კონტროლის მოცულობაზე, მან დასძინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა „სათანადოდ უნდა დაასახელონ ის მიზეზები, რომლებზეც დაფუძნებულია მათი გადაწყვეტილებები“ (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 185). მიუხედავად იმისა, რომ არ მოითხოვს დეტალურ პასუხს მომჩივნის მიერ წამოყენებულ ყველა არგუმენტზე, ეს ვალდებულება მაინც გულისხმობს, რომ სასამართლო საქმისწარმოების მხარე შეიძლება მოელოდეს კონკრეტულ და მკაფიო პასუხს იმ არგუმენტებზე, რომლებიც გადაწყვეტია საქმისწარმოების შედეგისთვის (*იქვე*).

201. ზემოაღნიშნული კრიტერიუმები და პრინციპები, გამეორებული საქმეში *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 173-186), ადაპტირებული იყო დიდი პალატის მიერ მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სანქციების სპეციფიკურ კონტექსტში, ხაზგასმით აღნიშნავდა რა, რომ განხორციელებული სასამართლო კონტროლი უნდა იყოს შესაბამისი დავის საგნისა. მან ხაზი გაუსვა ამგვარი სანქციების და სასამართლო სისტემის როლის მნიშვნელობას დემოკრატიულ სახელმწიფოში და ამ მხრივ გაითვალისწინა სადამსჯელო ასპექტი. დისციპლინური სასჯელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების გადახედვა განსხვავდება ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გადახედვისგან, რომელიც არ შეიცავს ასეთ სადამსჯელო ელემენტს (§ 196). მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაბამისი კრიტერიუმები ვრცელდება როგორც პირველი ინსტანციის დისციპლინურ სამართალწარმოებაზე, ისე სააპელაციო სამართალწარმოებაზე. უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს, რომ დისციპლინური ორგანოს წინაშე სამართალწარმოება უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ პროცედურულ გარანტიებს (§ 197), არამედ, თუ მომჩივანი იყო დამნაშავე, რომ მასზე ძალიან მკაცრი სასჯელი დაეკისრებინათ, შესაბამისი ფაქტების დადგენის ღონისძიებებს (დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ გადაწყვეტილების 198-ე პარაგრაფი). გარდა ამისა, სასამართლო ორგანოს წინაშე არსებულ სააპელაციო წარმოებასთან დაკავშირებით, დიდმა პალატამ განიხილა შემდეგი საკითხები (გადაწყვეტილების §§ 199 და მომდევნო):

- სასამართლო კონტროლისთვის წარდგენილი საკითხები (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პროფესიული მოვალეობის დარღვევის დადგენა, რომელიც მომჩივანმა გაასაჩივრა როგორც ფაქტებთან, ისე სასჯელებთან დაკავშირებით:

იხილეთ § 201-03). უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების კონკრეტულ კონტექსტში ფაქტობრივი საკითხები ისეთივე გადაწყვეტა დავის შედეგისთვის, როგორც სამართლებრივი საკითხები. ფაქტების დადგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სამართალწარმოებებში, რომლებიც ითვალისწინებს სასჯელის დაკისრებას, კერძოდ, დისციპლინურ სასჯელს მოსამართლეების მიმართ, რადგან მათ უნდა ჰქონდეთ თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო პატივისცემა, რათა უზრუნველყონ საზოგადოების ნდობა სასამართლოს ფუნქციონირებისა და დამოუკიდებლობის მიმართ (§ 203).

- სასამართლო კონტროლის მეთოდი, განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებები და ამ ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება (§ 204-213). უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების კონტექსტში საჯარო განხილვაზე უარის თქმა უნდა იყოს გამონაკლისი ზომა და სათანადოდ უნდა იყოს გამართლებული კონვენციის ინსტიტუტების პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით (§ 210).

202. სასამართლო ორგანოების მაგალითები, რომლებიც არ ითვლებოდა „სრული იურისდიქციის“ მქონედ:

- ადმინისტრაციულ სასამართლოს, რომელსაც უფლება ჰქონდა, მხოლოდ განესაზღვრა, გამოიყენებოდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოების დისკრეციას კანონის საგნისა და მიზნის შესაბამისად (*Obermeier v. Austria*, 1990, § 70);
- სასამართლო, რომელმაც განიხილა საჩივრები სამართლებრივი ნორმების დარღვევის შესახებ, პროფესიული ასოციაციების დისციპლინური განყოფილებების გადაწყვეტილების წინააღმდეგ, უფლებამოსილების გარეშე, რომ შეეფასებინა, იყო თუ არა სასჯელი გადაცდომის თანაზომიერი (*Diennet v. France*, 1995, § 34, სამედიცინო ასოციაციის კონტექსტში; *Mérigaud v. France*, 2009, § 69, ამზომველთა ასოციაციის კონტექსტში);
- საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც შეეძლო სადავო საქმის განხილვა მხოლოდ კონსტიტუციასთან მისი შესაბამისობის თვალსაზრისით, რაც არ მისცემდა ყველა შესაბამისი ფაქტის განხილვის საშუალებას (*Zumtobel v. Austria*, 1993, §§ 29-30)¹³;
- *სახელმწიფო საბჭო*, რომელიც, საკუთარი პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, ვალდებული იყო, ხელშეკრულებების გამოყენებადობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ეხელმძღვანელა მინისტრის მოსაზრებით – გარე ორგანო, რომელიც ასევე იყო აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი – ამ მოსაზრების კრიტიკისთვის ან მხარეთა განხილვისთვის დაქვემდებარების გარეშე. მინისტრის მონაწილეობა, რაც გადაწყვეტი იყო სამართალწარმოების შედეგისთვის, ვერ გაპროტესტდებოდა მომჩივნის მიერ, რომელსაც, გარდა ამისა, არ მიეცა შესაძლებლობა, შეესწავლა მინისტრისთვის გაცემული საკუთარი პასუხის საფუძველი (*Chevol v. France*, 2003, §§ 81-82);
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიმართ დისციპლინური წარმოების კონკრეტულ კონტექსტში (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 214).

13. ასევე იხილეთ *Malhous v. the Czech Republic* [GC], 2001, § 62, და მითითებები ქვემოთ, „სრული იურისდიქციის“ მქონე სასამართლოს მიერ განხილვის შესახებ.

203. ამის საპირისპიროდ, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნები დაკმაყოფილდა შემდეგ საქმეებში:

- საქმე *Fazia Ali v. the United Kingdom*, 2015, ეხებოდა სოციალური კეთილდღეობის სფეროში ადმინისტრაციული გადაწყვეტილების შეზღუდულ სასამართლო კონტროლს, უსახლკარო ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ამ საქმეში განსახილველი სქემა შექმნილი იყო უსახლკარო ადამიანების საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად; ის მოიცავდა ბევრ წვრილმან საქმეს და მიზნად ისახავდა, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მოეტანა გაჭირვებული ადამიანებისთვის ეკონომიურად და სამართლიანად. სასამართლოს აზრით, როდესაც ფაქტების საფუძვლიანი გამოძიება უკვე ჩატარდა ადმინისტრაციულ დონეზე, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ შეიძლება განიმარტოს როგორც, რომ მოითხოვდეს, რომ საქმის ეროვნული სასამართლოების მიერ განხილვა აუცილებლად მოიცავდეს საქმის ხელახლა სრულად გახსნას, მოწმეების ხელახალი გამოძახებით.
- საქმე *Chaudet v. France*, 2009: *სახელმწიფო საბჭომ* სასამართლო კონტროლის შესახებ საჩივარი განიხილა როგორც პირველი და ბოლო ინსტანციის სასამართლო. წინამდებარე საქმეში *სახელმწიფო საბჭოს* არ გააჩნდა „სრული იურისდიქცია“, რაც გამოიწვევდა მისი გადაწყვეტილების ჩანაცვლებას სამოქალაქო ავიაციის სამედიცინო საბჭოს გადაწყვეტილებით. თუმცა, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მან მაინც განიხილა მომჩივნის ყველა წარდგინება ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე და შეაფასა სამედიცინო ისტორიაში არსებული ყველა მტკიცებულება, ყველა სამედიცინო დასკვნის გათვალისწინებით, რომელიც მის წინაშე განიხილეს მხარეებმა. ამიტომ სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის საქმე განხილული იყო მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (§§ 37-38).
- საქმე *Zumtobel v. Austria*, 1993: სასამართლომ დაადგინა, რომ ავსტრიის ადმინისტრაციულმა სასამართლომ შეასრულა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების დისკრეციის ფარგლებში და რომ მან განიხილა წარდგინებები არსებითად, პუნქტების მიხედვით, მათზე პასუხის გაცემისას ან სხვადასხვა ფაქტის დადგენისას იურისდიქციის უარყოფის გარეშე (§§ 31-32 – ასევე იხილეთ *Ortenberg v. Austria*, 1994, §§ 33-34; *Fischer v. Austria*, 1995, § 34).
- საქმე *McMichael v. the United Kingdom*, 1995: ამ საქმეში შერიფის სასამართლოს ბრძანება ბავშვის შვილად აყვანის თაობაზე გასაჩივრებას ექვემდებარებოდა სამოქალაქო საქმეების უმაღლეს სასამართლოში. ამ უკანასკნელს ამ მხრივ სრული იურისდიქცია აქვს; ის ჩვეულებრივ მოქმედებს შერიფის ფაქტობრივი დასკვნების საფუძველზე, მაგრამ არ არის ვალდებული, გააკეთოს ეს. საჭიროების შემთხვევაში, მას შეუძლია თავად მიიღოს მტკიცებულებები ან გადასცეს საქმე შერიფს ინსტრუქციებით იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს (§ 66). გარდა ამისა, შერიფის სასამართლოს ასევე აქვს სრული იურისდიქცია ბავშვებთან მიმართებით მოსმენების გადაწყვეტილების გასაჩივრების განსახილველად, აქვს რა უფლება, განიხილოს საქმე როგორც არსებითად, ასევე სავარაუდო პროცედურული დარღვევები (§ 82).
- საქმე *Potocka and Others v. Poland*, 2001: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრული უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს იურისდიქციის მოქმედების სფერო შემოიფარგლებოდა სადავო ადმინისტრაციული

გადაწყვეტილებების კანონიერების შეფასებით. ამასთან, სასამართლოს ასევე უფლება ჰქონდა, გაეუქმებინა გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ დადგინდებოდა, რომ სამართლიანობის პროცედურული მოთხოვნები არ იქნა დაცული საქმისწარმოებისას, რამაც გამოიწვია მისი მიღება. უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს დასაბუთება აჩვენებს, რომ, ფაქტობრივად, მან განიხილა მიზანშეწონილობის ასპექტი მოცემულ საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს შეემლო თავისი ანალიზი შეეზღუდა დასკვნით, რომ სადავო გადაწყვეტილებები უნდა დარჩენილიყო ძალაში მომჩივნის პროცედურული და არსებითი ხარვეზების გათვალისწინებით, მან განიხილა ყველა მათი წარდგინება არსებითად, პუნქტების მიხედვით, მათზე პასუხის გაცემისას ან შესაბამისი ფაქტების დადგენისას იურისდიქციის უარყოფის გარეშე. მან გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც საგულდაგულოდ იყო დასაბუთებული, ხოლო მომჩივნის არგუმენტები, რომლებიც დაკავშირებული იყო საქმის შედეგთან, გულდასმით იქნა განხილული. შესაბამისად, უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს განხილვის ფარგლები საკმარისი იყო მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დასაკმაყოფილებლად (§§ 56-59).

4. გადაწყვეტილებების აღსრულება

a. საბოლოო და სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილების სწრაფი განხორციელების უფლება

204. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი იცავს საბოლოო, სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილებების განხორციელებას (განსხვავებით იმ გადაწყვეტილებების განხორციელებისგან, რომლებიც შეიძლება ექვემდებარებოდეს ზემდგომი სასამართლოს მიერ განხილვას) (*Ouzounis and Others v. Greece*, 2002, § 21).

205. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი ასეთი გადაწყვეტილების აღსრულების უფლება წარმოადგენს „სასამართლოზე უფლების“ განუყოფელ ნაწილს (*Scordino v. Italy (no. 1)* [GC], 2006, § 196; *Hornsby v. Greece*, 1997, § 40). წინააღმდეგ შემთხვევაში, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დებულებები მოკლებული იქნება რაიმე სასარგებლო ეფექტს (*Burdov v. Russia*, 2002, §§ 34 და 37). ამიტომ, სავალდებულო გადაწყვეტილების აღსრულების უსაფუძვლოდ ხანგრძლივმა დაგვიანებამ შეიძლება დაარღვიოს კონვენცია (*Burdov v. Russia (no. 2)*, 2009, § 66).

206. „სასამართლოზე უფლება“ ასევე იცავს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მიღებული დროებითი ზომების განხორციელებას (*Sharxhi and Others v. Albania*, 2018, § 92). ამრიგად, საცხოვრებელი ნაგებობის დანგრევა, მიუხედავად ეროვნული სასამართლოების მიერ გამოცემული დროებითი ბრძანებისა, წარმოადგენდა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევას (§§ 94-97).

207. სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების უფლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული წარმოების კონტექსტში (*Sharxhi and Others v. Albania*, 2018, § 92). სახელმწიფოს უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში სასამართლო კონტროლის შესახებ საჩივრის წარდგენით, დავის მონაწილე მხარე ითხოვს არა მხოლოდ სადავო გადაწყვეტილების გაუქმებას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მისი შედეგების აღმოფხვრას (გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ *Bursa Barosu Başkanlığı and Others v. Turkey*, 2018, § 144).

208. ამიტომ, დავის მონაწილე მხარის ეფექტური დაცვა და კანონიერების აღდგენა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებას გულისხმობს (*Hornsby v. Greece*, 1997, § 41; *Kyrtatos v. Greece*, 2003, §§ 31-32; და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით იხილეთ, *mutatis mutandis*, *Xero Flor w Polsce sp. z o.o. v. Poland*, 2021, §§ 282-283).

209. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების გარკვეული შეფერხება შეიძლება გამართლებული იყოს გარკვეულ გარემოებებში, ეს დაყოვნება არ შეიძლება იყოს ისეთი, რომ შელახოს დავის მონაწილე მხარის უფლება, აღასრულოს გადაწყვეტილება (*Burdov v. Russia*, 2002, §§ 35-37).

210. ამ გაგებით, აღსრულება უნდა იყოს სრული და ამომწურავი და არა მხოლოდ ნაწილობრივი (*Sabin Popescu v. Romania*, 2004, §§ 68-76; *Matheus v. France*, 2005, § 58) და არ შეიძლება იყოს აღკვეთილი, გაუქმებული ან გაუმართლებლად დაგვიანებული (*Immobiliare Saffi v. Italy* [GC], 1999, § 74).

211. ხელისუფლების ორგანოს უარი ზემდგომი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებაზე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს იმავე სამართალწარმოების კონტექსტში მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომლებიც განმეორებით აუქმებს გადაწყვეტილებებს, ასევე ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტს (*Turczanik v. Poland*, 2005, §§ 49-51; *Miracle Europe Kft v. Hungary*, 2016, § 65).

212. სავალდებულო გადაწყვეტილების აღსრულების უსაფუძვლოდ ხანგრძლივმა დაგვიანებამ შეიძლება დაარღვიოს კონვენცია. უნდა განისაზღვროს ასეთი დაყოვნების მიზანშეწონილობა, კერძოდ, სააღსრულებო წარმოების სირთულის, თავად მოძიებისა და კომპეტენტური ორგანოების ქცევის, ასევე სასამართლო გადაწყვეტილების ოდენობისა და ხასიათის გათვალისწინებით (*Raylyan v. Russia*, 2007, § 31).

213. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა, რომ ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში თავის შეკავებით, მიეღო აუცილებელი ზომები საბოლოო, აღსრულებადი სასამართლო გადაწყვეტილების შესასრულებლად, ეროვნულმა ხელისუფლების ორგანოებმა ჩამოართვა მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს რაიმე სასარგებლო მოქმედება (*Hornsby v. Greece*, 1997, § 45).

214. სხვა საქმეში, ხელისუფლების ორგანოების მიერ გადაწყვეტილების აღსასრულებლად დახარჯული ცხრა თვე იყო უმართებულო მოცემული გარემოებების გათვალისწინებით (*Moroko v. Russia*, 2008, §§ 43-45).

215. სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით სასამართლოს მიერ განხილვის უფლება დაირღვა იმის გამო, რომ ხელისუფლებამ დაახლოებით ოთხი წლის განმავლობაში უარი თქვა პოლიციის დახმარებით მოიჯარის წინააღმდეგ მფლობელობის შესახებ ბრძანების აღსრულებაზე (*Lunari v. Italy*, 2001, §§ 38-42), ასევე აღსრულების შეჩერების გამო – ექვს წელზე მეტი ხნის განმავლობაში – საკანონმდებლო ორგანოს ჩარევის შედეგად, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა სასამართლო ბრძანებას მოიჯარის გამოსახლების შესახებ, რაც, შესაბამისად, მოკლებული იყო რაიმე სასარგებლო ეფექტს სადავო საკანონმდებლო დებულებების გამო (*Immobiliare Saffi v. Italy* [GC], 1999, §§ 70 and 74).

216. რაც შეეხება საჯარო ხელისუფლების ორგანოს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით მიკუთვნებული ფულადი თანხის გადახდას, ერთ წელზე ნაკლები დაყოვნება, პრინციპში, შეესაბამება კონვენციას, ხოლო უფრო ხანგრძლივი დაყოვნება *prima facie* უმართებულოა. თუმცა, ეს ვარაუდი შეიძლება გაუქმდეს, გარემოებიდან გამომდინარე, გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე (*Gerasimov and Others v. Russia*, 2014, §§ 167-174, ხოლო კომპლექსური ლიკვიდაციის პროცედურისთვის, რომელიც

გრძელდება ერთი წელი და ათი თვე, სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებით, *Kuzhelev and Others v. Russia*, 2019, §§ 110 და 137, ან გრძელდება დაახლოებით ცამეტი თვე, *Titan Total Group S.R.L. v. the Republic of Moldova*, 2021, §§ 81-84; ასევე იხილეთ *Cocchiarella v. Italy* [GC], 2006, § 89: ზედმეტად ხანგრძლივი სასამართლო დავის შედეგების გამოსასწორებლად, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დადგენილი კომპენსაციის გადახდის განსახორციელებლად საჭირო დრო, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს, კომპენსაციის მიკუთვნების ძალაში შესვლიდან).

217. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სათანადოდ ითვალისწინებს სააღსრულებო წარმოების შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დადგენილ ვადებს, მათი შეუსრულებლობა არ წარმოადგენს კონვენციის ავტომატურ დარღვევას. გარკვეული შეფერხება შეიძლება გამართლებული იყოს კონკრეტულ გარემოებებში, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არ შეიძლება იყოს ისეთი, რომ შელახოს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით დაცული უფლების არსი. საქმეში *Burdov v. Russia (no. 2)*, 2009, სასამართლომ დაადგინა, რომ გადაწყვეტილების ექვს თვეში აღუსრულებლობა თავისთავად არ არის უმართებულო (§ 85), ხოლო საქმეში *Moroko v. Russia*, 2008, რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ ცხრა თვით გადაწყვეტილების აღსრულების საერთო დაგვიანება არ არის, *prima facie*, უმართებულო კონვენციის შესაბამისად (§ 43). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოსაზრებები არ გამორიცხავს პროცესის მთლიანობაში შეფასების აუცილებლობას ზემოაღნიშნული კრიტერიუმებისა და სხვა შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით (*Burdov v. Russia (no. 2)*, 2009, § 67).

218. კერძოდ, საქმეში *Gerasimov and Others v. Russia*, 2014, §§ 168-74, სასამართლომ დაადგინა, რომ თუკი აღსასრულებელი გადაწყვეტილება საჯარო ხელისუფლების ორგანოებისგან მოითხოვს მომჩივნისთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული ქმედებების განხორციელებას (მაგალითად, იმის გამო, რომ მომჩივნის ყოველდღიური საყოფაცხოვრებო პირობები დაზიანდება), მაშინ ექვს თვეზე მეტი ხნით აღსრულების დაყოვნება ეწინააღმდეგება განსაკუთრებული გულმოდგინების მოთხოვნას კონვენციის შესაბამისად (§ 170). რაც შეეხება საცხოვრებლის გამოყოფას, სასამართლომ მოითხოვა, რომ დაგვიანება ყოფილიყო ორ წელზე ნაკლები, თუ განსაკუთრებული გულმოდგინება არ არის საჭირო (§ 171).

219. პირი, რომელმაც სამართალწარმოების ბოლოს მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფოს წინააღმდეგ, არ შეიძლება მოელოდეს ცალკე სააღსრულებო წარმოების დაწყებას (*Burdov v. Russia (no. 2)*, 2009, § 68; *Sharxhi and Others v. Albania*, 2018, § 93). სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების ტვირთი ეკისრება საჯარო ხელისუფლების ორგანოებს იმ დღიდან (*Yavorivskaya v. Russia*, 2005, § 25), როდესაც გადაწყვეტილება გახდება სავალდებულო და აღსასრულებელი (*Burdov v. Russia (no. 2)*, 2009, § 69). აქედან გამომდინარეობს, რომ სააღსრულებო წარმოების შემდეგ, მომჩივნის კუთვნილი თანხების დაგვიანებით გადახდა ვერ გამოასწორებს ეროვნული ორგანოების მიერ გადაწყვეტილების დიდი ხნის განმავლობაში აღუსრულებლობას და არ უზრუნველყოფს სათანადო ანაზღაურებას (*Scordino v. Italy (no. 1)* [GC], 2006, § 198).

220. დავის მონაწილე წარმატებულ მხარეს შეიძლება მოეთხოვოს გარკვეული პროცედურული ნაბიჯების გადადგმა, რათა დაუშვას ან დააჩქაროს გადაწყვეტილების აღსრულება. თუმცა, კრედიტორის თანამშრომლობის მოთხოვნა არ უნდა სცდებოდეს მკაცრად აუცილებელს და არ ათავისუფლებს ხელისუფლების ორგანოებს თავიანთი ვალდებულებებისაგან (*Burdov v. Russia (no. 2)*, 2009, § 69).

221. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ხელისუფლების ორგანოების პოზიცია იმის შესახებ, რომ მომჩივანს პასუხისმგებლობა დაეკისრა მის სასარგებლოდ გამოტანილი

აღსრულებადი გადაწყვეტილების აღსრულების დაწყების გამო, მისი ფინანსური მდგომარეობის უგულვებელყოფასთან ერთად, წარმოადგენდა გადაჭარბებულ ტვირთს და ზღუდავდა მის სასამართლოზე წვდომის უფლებას, რაც არღვევს ამ უფლების არსს (*Apostol v. Georgia*, 2006, § 65).

222. დავის მონაწილე მხარეს არ შეიძლება ჩამოერთვას შესაძლებლობა, გონივრულ ვადაში ისარგებლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, ზიანის ანაზღაურების მინიჭების თაობაზე (*Burdov v. Russia*, 2002, § 35) ან საცხოვრებლის თაობაზე (*Teteriny v. Russia*, 2005, §§ 41-42), მიუხედავად შიდასახელმწიფოებრივი სააღსრულებო პროცედურის ან სახელმწიფო ბიუჯეტის სისტემის სირთულისა. საჯარო ხელისუფლების ორგანოებს არ შეუძლიათ, გამოიყენონ სახსრების ან სხვა რესურსების ნაკლებობა კანონიერი დავალიანების შეუსრულებლობის საბაზად (*Scordino v. Italy (no. 1)* [GC], 2006, § 199; *Burdov v. Russia*, 2002, § 35; *Amat-G Ltd and Mebaghishvili v. Georgia*, 2005, § 47). მათ ასევე არ შეუძლიათ, გამოიყენონ ალტერნატიული საცხოვრებლის არარსებობა გადაწყვეტილების შეუსრულებლობის საბაზად (*Prodan v. Moldova*, 2004, § 53; *Tchokontio Happi v. France*, 2015, § 50; *Burdov v. Russia (no. 2)*, 2009, § 70)).

223. დრო, რომელსაც ხელისუფლება იღებს ფულადი სახსრების გადახდის შესახებ გადაწყვეტილების აღსასრულებლად, უნდა გამოითვალოს იმ დღიდან, როდესაც გადაწყვეტილება გახდა საბოლოო და აღსრულებადია ძალაში შესული მიკუთვნებიდან თანხის გადახდის თარიღამდე. სასამართლო გადაწყვეტილებით მიკუთვნებული თანხის გადახდის დაგვიანება ორი წლითა და ერთი თვით თავისთავად შეუთავსებელია კონვენციის მოთხოვნებთან, თუ არ არსებობს ამის გამამართლებელი გარემოებები (*Burdov v. Russia (no. 2)*, 2009, §§ 73-76 and 83).

224. გარდა ამისა, არგუმენტი იმის შესახებ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები სარგებლობენ ავტონომიით შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ბათილია კონვენციით გათვალისწინებული სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობის პრინციპის გათვალისწინებით (*Société de gestion du port de Campoloro and Société fermière de Campoloro v. France*, 2006, § 62).

225. გასათვალისწინებელია, რომ გამონაკლის სიტუაციებში ადმინისტრაციული აქტების უკანონოდ და ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების *restitutio in integrum* შესრულება შეიძლება ობიექტურად შეუძლებელი იყოს, გადაულახავი ფაქტობრივი თუ სამართლებრივი დაბრკოლებების გამო. თუმცა, ასეთ სიტუაციებში, სასამართლოზე წვდომის უფლების მოთხოვნების შესაბამისად, წევრმა სახელმწიფომ კეთილსინდისიერად და საკუთარი ინიციატივით უნდა გამოიკვლიოს სხვა გადაწყვეტილებები, რომლებსაც შეუძლიათ მისი უკანონო ქმედებების მავნე შედეგების გამოსწორება, როგორცაა, მაგალითად, კომპენსაციის მინიჭება (*Cingilli Holding A.Ş. and Cingillioglu v. Turkey*, 2015, § 41, ხოლო პირებს შორის დავის კონტექსტში საჩივრისთვის, *Nikoloudakis v. Greece*, 2020, § 50).

226. ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ *სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ვალი* (*Burdov v. Russia (no. 2)*, 2009, §§ 68-69, 72 et seq.) და *ფიზიკური პირების ვალი*, ვინაიდან სახელმწიფოს ვალდებულებების ფარგლები კონვენციის შესაბამისად, განსხვავდება მოვალის სტატუსის მიხედვით.

227. პირს, რომელმაც მოიპოვა გადაწყვეტილება *საჯარო ხელისუფლების ორგანოს* წინააღმდეგ, ჩვეულებრივ, არ მოეთხოვება ცალკე სააღსრულებო წარმოების დაწყება. სასამართლომ დაადგინა, რომ უკანონო იყო იმ პირისგან, რომელმაც სამართალწარმოების დროს მოიპოვა გადაწყვეტილება სახელმწიფოს წინააღმდეგ, დაეწყო შემდეგ

სააღსრულებო წარმოება, დაკმაყოფილების მისაღებად (*Metaxas v. Greece*, 2004, § 19; *Kukalo v. Russia*, 2005, § 49). საკმარისია, პირმა სათანადო წესით აცნობოს შესაბამის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს (*Akashv v. Russia*, 2008, § 21) ან შეასრულოს ფორმალური ხასიათის გარკვეული საპროცესო მოქმედებები (*Kosmidis and Kosmidou v. Greece*, 2007, § 24).

228. თუ მოვალე კერძო პირია, „კერძო“ მოვალის გადახდისუუნარობის შედეგად, აღსაღსრულებელი დავალიანების გადაუხდელობასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოცხადდეს (*Sanglier v. France*, 2003, § 39; *Ciprová v. the Czech Republic* (dec.), 2005; *Cubanit v. Romania* (dec.), 2007). თუმცა, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, მოაწიოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების სისტემა კერძო პირებს შორის დავის დროს, რომელიც ეფექტურია როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში (*Fuklev v. Ukraine*, 2005, § 84; *Fomenko and Others v. Russia* (dec.), 2019, §§ 171-181). ამრიგად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ სააღსრულებო წარმოებაში ჩართული სახელმწიფო ორგანოები არ გამოიჩინენ საჭირო გულმოდგინებას ან თუნდაც აღკვეთენ აღსრულებას (*Fuklev v. Ukraine*, 2005, § 67). ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ აღსრულების უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები უნდა იყოს შესაბამისი და საკმარისი ამ მიზნისა (*Ruianu v. Romania*, 2003, § 66), მათი აღსრულების ვალდებულებების გათვალისწინებით, რადგან ისინი ახორციელებენ სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას (*იქვე*, §§ 72-73; *Sekul v. Croatia* (dec.), 2015, §§ 54-55).

229. ასე, მაგალითად, სასამართლომ დაადგინა, რომ შეიკავეს რა თავი, მიეღოთ სანქციები კომპეტენტურ ორგანოებთან, რომლებიც უფლებამოსილი არიან, აღასრულონ საბოლოო გადაწყვეტილებები, (კერძო) მესამე მხარის თანამშრომლობის უართან დაკავშირებით, ეროვნულმა ორგანოებმა ჩამოართვეს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დებულებებს ნებისმიერი სასარგებლო ეფექტი (*Pini and Others v. Romania*, 2004, §§ 186-88, სადაც კერძო დაწესებულება, რომელშიც ორი ბავშვი ცხოვრობდა, სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აფერხებდა ბავშვების შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას).

230. თუმცა, თუ სახელმწიფომ გადადგა კანონით გათვალისწინებული ყველა ნაბიჯი, რათა უზრუნველყოს კერძო პირის მიერ მოპოვებული გადაწყვეტილების შესრულება, სახელმწიფო ვერ იქნება პასუხისმგებელი მოვალის მიერ თავისი ვალდებულებებისა (*Fociac v. Romania*, 2005, §§ 74 and 78) და სახელმწიფოს მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე (*Fomenko and Others v. Russia* (dec.), 2019, § 195).

231. და ბოლოს, სასამართლოს უფლება ასევე იცავს სააღსრულებო წარმოების ხელმისაწვდომობის უფლებას, ანუ სააღსრულებო წარმოების დაწყების უფლებას (*Apostol v. Georgia*, 2006, § 56).

b. საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების ექვექცემ არდაყენების უფლება

232. გარდა ამისა, საქმის სამართლიანი განხილვის უფლება უნდა განიმარტოს კანონის უზენაესობის გათვალისწინებით. კანონის უზენაესობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტია სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 238; *Okyay and Others v. Turkey*, 2005, § 73), რომელიც, მათ შორის, მოითხოვს, რომ სასამართლოების მიერ რაიმე საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მათი გადაწყვეტილება ექვექცემ არ დადგეს (*Brumărescu v. Romania* [GC], 1999, § 61; *Agrokompleks v. Ukraine*, 2011, § 148). ეს ასევე ეხება დროებითი ზომების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ძალაში რჩება საქმის წარმოების დასრულებამდე (*Sharxhi and Others v. Albania*, 2018, §§ 92-96).

233. სასამართლო სისტემები, რომლებსაც ახასიათებთ საბოლოო გადაწყვეტილებები, რომლებიც ექვემდებარება განხილვას განუსაზღვრელი ვადით და ემუქრებათ განმეორებით გაუქმების საფრთხე, არღვევს მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს (*Sovtransavto Holding v. Ukraine*, 2002, §§ 74, 77 და 82, სააპელაციო პროცედურასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს, გენერალურ პროკურორს და მათ მოადგილეებს ჰქონდათ დისკრეციული უფლებამოსილება, გაესაჩივრებინათ საბოლოო გადაწყვეტილებები საზედამხედველო საჩივრის შეტანის გზით).

234. ამგვარად გადაწყვეტილებების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება მიუღებელია როგორც მოსამართლეებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების (*Tregubenko v. Ukraine*, 2004, § 36), ისე არასასამართლო ორგანოების მხრიდან (*Agrokompleks v. Ukraine*, 2011, §§ 150-51).

235. საბოლოო გადაწყვეტილება შეიძლება ექვემდებარება დადგეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი ხასიათის გარემოებების გამო, მაგალითად, მართლმსაჯულების შეცდომა (*Ryabykh v. Russia*, 2003, § 52; see also *Vardanyan and Nanushyan v. Armenia*, 2016, § 70, და შეადარეთ საქმეს *Trapeznikov and Others v. Russia*, 2016, რომელშიც მხარეთა მოთხოვნით განხორციელებულ საზედამხედველო პროცედურას არ დაურღვევია სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, §§ 39-40; და პრინციპებისთვის, *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 238). საქმეში *Tigrak v. Turkey*, 2021, §§ 58-63, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ წარდგენილი მოთხოვნა არ შეიძლება გახდეს *res judicata* პრინციპის უფლებელყოფის საფუძველი (და პრინციპების შეჯამებისთვის იხილეთ §§ 48-49).

236. ზოგადად, სამართლებრივი სიზუსტე გულისხმობს *res judicata* პრინციპის, ანუ სასამართლო გადაწყვეტილებების საბოლოობის პრინციპის პატივისცემას (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 238 და ქვემოთ). ამ პრინციპის მიხედვით, არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, მოითხოვოს საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილების გადახედვა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოიპოვოს ხელახალი მოსმენა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილება. ზემდგომმა სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენონ განხილვის უფლებამოსილება ხელახალი შემოწმების ჩასატარებლად. განხილვა არ უნდა გადაიზარდოს შენიღბულ გასაჩივრებაში და ამ საკითხზე მხოლოდ ორი მოსაზრების არსებობის შესაძლებლობა არ არის საქმის ხელახალი განხილვისთვის საკმარისი საფუძველი. ამ პრინციპიდან გადახვევა გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი ხასიათის გარემოებების გამო, როგორცაა ფუნდამენტური ხარვეზის გამოსწორება ან მართლმსაჯულების შეცდომა: *Ryabykh v. Russia*, 2003, § 52; *Şamat v. Turkey*, 2020, § 62, და *OOO Link Oil SPB v. Russia* (dec.), 2009). ეს არის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის ფუნდამენტური ასპექტი და მასთან შესაბამისობა უნდა შეფასდეს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით (იხილეთ, კერძოდ, *Gražulevičiūtė v. Lithuania*, 2021, §§ 72-74, and *Esertas v. Lithuania*, 2012, § 28).

237. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი *res judicata* პრინციპთან დაკავშირებით მოიცავს, კერძოდ, ორ მსგავს, მაგრამ არაიდენტურ სიტუაციას: საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილების გადახედვას სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებული საშუალების ან ახლად აღმოჩენილი ფაქტების მეშვეობით (იხილეთ, მაგალითად, *Pravednaya v. Russia*, 2004, §§ 30-33, *Tregubenko v. Ukraine*, 2004, §§ 34-38) და სამართლებრივი დაცვის ჩვეულებრივი საშუალების გამოყენების ვადის გახანგრძლივება (*Magomedov and Others v. Russia*, 2017, §§ 87-89). პირველი სიტუაცია ეხება

საზედამხედველო ორგანოს მიერ საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ახალი ან ახლად აღმოჩენილი გარემოებების შემთხვევაში გამოყენებული პროცედურის მეშვეობით, რაც რეალურად არის შენიღბული გასაჩივრება, ანუ საჯარო ხელისუფლების ორგანოს შესაძლებლობას, მიიღოს საქმის განხილვა არსებულ და ცნობილ ფაქტზე დაყრდნობით, რომლებიც მას მანამდე არ წამოუჭრია. მეორე შემთხვევაში, სასამართლო უფლებას აძლევს დამარცხებული მხარეს, შეიტანოს სააპელაციო საჩივარი ვადის მიღმა. ამ გზით, გადაწყვეტილება, რომელიც არ არის *res judicata*, დაუყოვნებლივ არ ბათილდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის აღარ არის საბოლოო და სავალდებულო. ამრიგად, ორივე ეს სიტუაცია შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო გადაწყვეტილებების საბოლოობის პრინციპის დარღვევად.

238. ასევე შეიძლება მოხდეს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება არ გაუქმდეს, მაგრამ წაერთვას იურიდიული ძალა ცალკე წარმოებაში მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (*Gražulevičiūtė v. Lithuania*, 2021, §§ 79-81).

239. ამ კონტექსტში, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლო ან სხვა სამართალწარმოებისას საჯარო ხელისუფლების ორგანოს შეცდომის რისკი სახელმწიფომ უნდა აიღოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვა კერძო ინტერესი არ არის საფრთხის ქვეშ და რომ ნებისმიერი შეცდომა არ უნდა გამოსწორდეს შესაბამისი ფიზიკური პირის ხარჯზე. მართალია, მართლმსაჯულების ხარვეზების გამოსწორების აუცილებლობა პრინციპში შეიძლება იყოს ლეგიტიმური, ის არ უნდა იყოს თვითნებურად დაკმაყოფილებული და, ნებისმიერ შემთხვევაში, ხელისუფლებამ შეძლებისდაგვარად უნდა დაამყაროს სამართლიანი ბალანსი ფიზიკური პირის ინტერესებსა და საჭიროებას შორის, უზრუნველყოფილი იქნეს მართლმსაჯულების სათანადო განხორციელება (*Magomedov and Others v. Russia*, 2017, §§ 94-95, ხელისუფლების ორგანოების სასარგებლოდ ვადის დარღვევით შეტანილი სააპელაციო საჩივრების გასაჩივრების ვადის ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გახანგრძლივების შემდეგ მიღებასთან დაკავშირებით).

c. უცხო ქვეყნის სასამართლოების ან ევროკავშირის სხვა ქვეყნებში გამოტანილი გადაწყვეტილებების ურთიერთცნობა და აღსრულება

240. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება არის კერძო მხარეებს შორის საერთაშორისო ურთიერთობებში სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალება (*Ateş Mimarlık Mühendislik A.Ş. v. Turkey*, 2012, § 46). ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს კანონიერი ინტერესი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობაში, უნდა შეეძლოს ამის შესახებ განაცხადის შეტანა (*Selin Ashi Öztürk v. Turkey*, 2009, §§ 39-41, საზღვარგარეთ გამოცემული განქორწინების შესახებ დადგენილების ცნობასთან დაკავშირებით).

241. გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ (*ევ ზეკვატურა*) არ შეესაბამება მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნებს, თუ ის მიღებულ იქნა ყოველგვარი შესაძლებლობის გარეშე, ეფექტურად იქნეს შეტანილი საჩივარი იმ სამართალწარმოების უსამართლობის შესახებ, რამაც გამოიწვია ეს გადაწყვეტილება, წარმოშობის სახელმწიფოში ან სახელმწიფოში, რომლისთვისაც ის არის მიმართული. სასამართლო ყოველთვის იყენებდა ზოგად პრინციპს, რომ სასამართლოს, რომელიც განიხილავს განცხადებას უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ, არ შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნა ამ გადაწყვეტილების წინასწარ განხილვის გარეშე, სამართლიანი განხილვის გარანტიების გათვალისწინებით; ასეთი შემოწმების ინტენსივობა შეიძლება განსხვავდებოდეს საქმის ბუნებიდან გამომდინარე (*Pellegrini v. Italy*, 2001, § 40).

242. საქმე *Avotiņš v. Latvia* [GC], 2016, ეხებოდა ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ევროკავშირის ფარგლებში ფუნდამენტური უფლებების ეკვივალენტური დაცვის პრეზუმფციის შესახებ (ცნობილი, როგორც „ბოსფორის პრეზუმფცია“) პირველად გამოყენებული იქნა ორმხრივი ურთიერთცნობის მექანიზმების მიმართ, რომლებიც დაფუძნებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთდობის პრინციპზე. საქმე ეხებოდა სხვა ქვეყანაში (კვიპროსში) გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებას ლატვიაში, მოვალის დაუსწრებლად. სასამართლომ დაადგინა ზოგადი პრინციპები ამ საკითხთან დაკავშირებით და მიუთითა ის გარემოებები, რომლებშიც შესაძლებელია პრეზუმფციის უარყოფა (იხილეთ, კერძოდ, §§ 115-17). ამ პრინციპების გამოყენებით სასამართლომ ვერ დაადგინა, რომ ძირითადი უფლებების დაცვა იმდენად აშკარად არასაკმარისი იყო, რომ გაეუქმებინა ეკვივალენტური დაცვის პრეზუმფცია.

B. კანონის საფუძველზე შექმნილი

1. პრინციპები

243. კონვენციის სისტემისთვის დამახასიათებელი კანონის უზენაესობის პრინციპის გათვალისწინებით, „სასამართლო“ ყოველთვის უნდა იყოს „კანონის საფუძველზე შექმნილი“ (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 211), უფრო ზუსტად, „კანონის შესაბამისად შექმნილი სასამართლო“ (§§ 229-230). ეს აუცილებელია სასამართლო სისტემის დასაცავად ნებისმიერი უკანონო ან არამართლზომიერი გარე გავლენისგან (§§ 226 და 246). პრეცედენტული სამართლის ანალიზის შემდეგ (§§ 211-217 და ციტირებული მითითებები სამოქალაქო საქმეებზე) ამ გადაწყვეტილებამ დააზუსტა პრეცედენტული სამართლის პრინციპები და განმარტა ამ ცნების მნიშვნელობა (§§ 223-230) და მისი ურთიერთობა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სხვა „ინსტიტუციურ მოთხოვნებთან“ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად (§§ 218 და მომდევნო, §§ 231-234)¹⁴, კანონის უზენაესობა და საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ (§§ 237 და მომდევნო; შესაბამისი შეჯამება იხილეთ საქმეში *Xero Flor w Polsce sp. z o.o. v. Poland*, 2021, §§ 245-251, და კანონიერების პრინციპთან დაკავშირებით, § 282).

244. „კანონი“, რომლის საფუძველზეც „სასამართლო“ შეიძლება ჩაითვალოს „შექმნილად“ მოიცავს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ნებისმიერ დებულებას – მათ შორის, კერძოდ, სასამართლოს წევრების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ დებულებებს – რაც, თუ დაირღვა, გამოიწვევს, რომ ერთი ან მეტი მოსამართლის მონაწილეობა საქმის განხილვაში მიჩნეული იქნება „არარეგულარულად“ (§ 232). „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო“ მოთხოვნის შესაბამისად, შემოწმებამ სისტემატურად უნდა გაარკვიოს, იყო თუ არა წინამდებარე საქმეში სავარაუდო დარღვევა იმდენად სერიოზული, რომ ძირს უთხრიდა კანონის უზენაესობისა და უფლებამოსილებათა გამიჯვნის ფუნდამენტურ პრინციპებს და კითხვის ქვეშ აყენებდა ამ სასამართლოს დამოუკიდებლობას (§§ 234 და 237).

245. ამიტომ სასამართლომ შეიძლება განიხილოს, დაცულია თუ არა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ამ კუთხით. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგადი პრინციპი, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დებულებების განმარტება, პირველ რიგში, თავად ეროვნული სასამართლოების კომპეტენციაშია (§ 209), სასამართლომ დაასკვნა, რომ მას არ შეეძლო კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა მათი

14. ასევე იხილეთ განყოფილება „კანონის საფუძველზე შექმნილი“.

განმარტება, თუ არ იყო კანონმდებლობის „უხეში დარღვევა“ (*Kontalexis v. Greece*, 2011, § 39 და მომდევნო, სხდომის თარიღის დანიშვნასა და სხდომის დღეს მოსამართლის შემცვლელი მოსამართლით ჩანაცვლებასთან დაკავშირებით; *Pasquini v. San Marino*, 2019, § 104 and 109). საქმეში, რომელშიც სასამართლომ უარყო ეროვნული სასამართლოების შეფასება იმის შესახებ, დაკმაყოფილდა თუ არა „კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს“ მოთხოვნა, იხილეთ საქმე *Miracle Europe Kft v. Hungary*, 2016, § 65-66. შემდგომში, საქმეში *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, დიდმა პალატამ განასხვავა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის „უხეში დარღვევის“ ცნება და „მოსამართლეთა დანიშვნის შიდა წესების აშკარა დარღვევა“ (იხილეთ, კერძოდ, § 242, § 244 და მომდევნო, § 254). წინამდებარე საქმეში ეროვნულმა სასამართლომ უკვე დაადგინა წესების დარღვევა ეროვნული კომპეტენტური ორგანოს მიერ მოსამართლეთა თავდაპირველი დანიშვნის ეტაპზე (§ 208-210, 242, 254), ხოლო სასამართლოს როლი შეიზღუდა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის გამოვლენილი დარღვევების შედეგების განსაზღვრით, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის თვალსაზრისით.

246. ფრაზა „კანონის საფუძველზე შექმნილი“ მოიცავს არა მხოლოდ „სასამართლოს“ არსებობის სამართლებრივ საფუძველს, არამედ სასამართლოს იმ კონკრეტულ წესებთან შესაბამისობას, რომლითაც ის იმართება (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 223; *Sokurenko and Strygun v. Ukraine*, 2006, § 24). სასამართლოს ან ტრიბუნალის კანონიერება, განსაზღვრებით, უნდა მოიცავდეს როგორც მის შემადგენლობას ცალკეულ საქმეში, ასევე მოსამართლეთა თავდაპირველი დანიშვნის პროცედურას (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 224-228). ეს უკანასკნელი ასპექტი განიხილა დიდმა პალატამ საქმეში *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC].

247. მოსამართლეთა დანიშვნა აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დასაშვებია იმ პირობით, რომ დანიშნული პირები არ ექვემდებარებიან გავლენას ან ზეწოლას სასამართლო ფუნქციების შესრულებისას (*ოქვ*, § 207). იმისდა მიუხედავად, თუ რა სისტემა მოქმედებს ეროვნულ დონეზე, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა იყოს გადმოცემული შეძლებისდაგვარად არაორაზროვანი ტერმინებით, რათა არ დაუშვას თვითნებური ჩარევა დანიშვნის პროცესში, მათ შორის, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან (*ოქვ*, § 230).

248. სასამართლოში მოსამართლის დანიშვნის თავდაპირველ პროცესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებაში საქმეზე *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, ნათქვამია, რომ ყველა არარეგულარულობა არ არღვევს მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს (გაფრთხილება, რომ არ მოხდეს „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს“ უფლების ძალიან ფართო განმარტება; იხილეთ § 236 et seq.). სასამართლომ შეიმუშავა „ზღვრული ტესტი“ და განსაზღვრა „სამნაბიჯიანი ტესტი“, რათა დადგინდეს, იყო თუ არა დარღვევები მოსამართლეების დანიშვნის მოცემულ პროცედურაში „ისე სერიოზული, რომ არღვევდა კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს უფლებას და იყო თუ არა ბალანსი კონკურენტულ პრინციპებს შორის დადგენილი სამართლიანად და თანაზომიერად შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ შესაბამის საქმის კონკრეტულ გარემოებებში“ (§ 235 და მომდევნო, § 243-252 სხვადასხვა ნაბიჯის წარდგენისთვის და § 254-290 მათი გამოყენებისთვის; ასევე იხილეთ *Xero Flor w Polsce sp. z o.o. v. Poland*, 2021, საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით და განსაკუთრებით § 285-289). საქმეში *Reczkowicz v. Poland*, 2021 (§ 216-282), ამ მიდგომის გამოყენებისას, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსამართლეების დანიშვნის პროცედურა სასამართლო ხელისუფლების რეორგანიზაციის კონტექსტში ექვემდებარებოდა არასათანადო გავლენას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან და ეს არის ფუნდამენტური დარღვევა,

რომელიც უარყოფითად აისახება მთელ პროცესზე და ექვევებ აყენებს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი ფორმირების კანონიერებას (§§ 276-280). ასევე ნაპოვნი იქნა ფუნდამენტური დარღვევა საქმეში *Dolińska-Ficek and Ozimek v. Poland*, 2021, რომელიც ეწინააღმდეგება, სხვა პრინციპებთან ერთად, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემისა და უფლებამოსილებათა გამიჯვნის მოთხოვნებს (§ 349). გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სავალდებულო გადაწყვეტილების განზრახ უგულებელყოფა და ჩარევა მართლმსაჯულების მიმდინარეობაში, რათა შეარყიოს მოსამართლეობის დანიშვნის საქმის მართებულობა, უნდა იყოს კვალიფიცირებული, როგორც კანონის უზენაესობის უხეში დარღვევა (§§ 338 და 348-350).

249. კანონის საფუძველზე ექსკლუზიურად და გარდამავალი საფუძველით შექმნილი ორგანო, თავისთავად, შეიძლება ჩაითვალოს „კანონის საფუძველზე შექმნილ სასამართლოდ“ კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში (*Xhoxhaj v. Albania*, 2021, §§ 284-288).

2. ამ პრინციპების გამოყენება

250. სასამართლოების როლი არის სასამართლო საქმისწარმოების მართვა მართლმსაჯულების სათანადო განხორციელების უზრუნველსაყოფად. საქმის კონკრეტული მოსამართლისათვის ან სასამართლოსთვის გადაცემა შედის მათ კომპეტენციაში ასეთ შემთხვევებში. თუმცა, მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან თავსებადობისთვის ის უნდა აკმაყოფილებდეს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს (*Pasquini v. San Marino*, 2019, §§ 103 და 107). საქმის განსახილველად დანიშნული მოსამართლე დამოუკიდებელი უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლებისგან და დანიშვნა არ შეიძლება მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების დისკრეციად დარჩეს (*ოქვე*, § 110). პრეცედენტული სამართალი განასხვავებს საქმის განაწილებასა და ხელახლა გადანაწილებას შორის (*ოქვე*, § 107).

251. მოსამართლეთა უფლებამოსილების ფარულად გაგრძელების პრაქტიკა კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ და მათ ხელახლა დანიშვნამდე ეწინააღმდეგება „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს“ პრინციპს (*Oleksandr Volkov v. Ukraine*, 2013, § 151). მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურები არ შეიძლება დაყვანილი იქნეს შიდა პრაქტიკის სტატუსამდე (*ოქვე*, §§ 154-56). თვითნებობას მოკლებული უნდა იყოს მოსამართლის ჩანაცვლებაც (*Pasquini v. San Marino*, 2019, § 112, ისევე როგორც საქმის ხელახლა გადანაწილება (*Miracle Europe Kft v. Hungary*, 2016, §§ 59-67; *Biagioli v. San Marino* (dec.), 2014, §§ 77-78 და 80, მცირე იურისდიქციისა და მცირე სასამართლოს კონკრეტული საქმისთვის).

252. დარღვევა გამოვლენილი იქნა შემდეგ სიტუაციებში, მაგალითად: მოსამართლის ჩანაცვლება ალტერნატიული მოსამართლით მოსმენის დღეს (*Kontalexis v. Greece*, 2011, §§ 42-44), გადაწყვეტილების გამოტანა კანონმდებლობით გათვალისწინებულ რაოდენობაზე ნაკლები წევრისგან შემდგარი კოლეგიით (*Momčilović v. Serbia*, 2013, § 32, და *Jenița Mocanu v. Romania*, 2013, § 41), სასამართლო საქმის წარმოება სასამართლოს ადმინისტრატორის მიერ, რომელიც არ არის უფლებამოსილი, შეასრულოს ეს ფუნქცია შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად (*Ezgeta v. Croatia*, 2017, § 44), ან სასამართლო, რომელიც აჭარბებს თავის ჩვეულებრივ იურისდიქციას ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, კანონის განზრახ დარღვევით (*Sokurenko and Strygun v. Ukraine*, 2006, §§ 27-28); ეს საქმეები განხილული უნდა იქნეს საქმის *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, §§ 211 და მომდევნო., კერძოდ, § 218, გათვალისწინებით. გარდა ამისა, უზენაესი სასამართლო, რომელიც იმის ნაცვლად, რომ იმოქმედოს

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული თავისი იურისდიქციის ფარგლებში, გააუქმოს გადაწყვეტილება და განაახლოს საქმე ან გამოაცხადოს საქმისწარმოების ბათილობა, არსებითად განიხილავს საქმეს კომპეტენტური ორგანოს ნაცვლად, არ არის „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო“ (*Aviakompaniya A.T.I., ZAT v. Ukraine*, 2017, § 44).

253. რაც შეეხება მოსამართლეების დანიშვნის თავდაპირველ პროცედურას, გადაწყვეტილებამ საქმეზე *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, გამოავლინა სიტუაციები, რომლებიც შეიძლება არღვევდეს ან არ არღვევდეს მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს (§§ 246-247 და მომდევნო). ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ახალ სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის ფუნდამენტური პროცედურული წესის „უხეშ დარღვევას“ – კერძოდ, იუსტიციის მინისტრის მიერ – რაც ეფექტურად არ იქნა გამოსწორებული, უზენაესი სასამართლოს მიერ ჩატარებული განხილვის შედეგად, რომლის დასაბუთებასაც სასამართლო ვერ დაეთანხმა (§ 286), და აღმოჩნდა, რომ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს (§§ 288-289). საქმეში *Xero Flor w Polsce sp. z o.o. v. Poland*, 2021, სასამართლომ დაასკვნა, რომ აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ არასათანადო ზემოქმედება მოახდინა საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლეთა არჩევის პროცედურაზე და რომ ადგილი ჰქონდა „სერიოზულ დარღვევებს“ (§§ 284-291; ასევე იხილეთ *Dolińska-Ficek and Ozimek v. Poland*, 2021, § 353, და *Reczkowicz v. Poland*, 2021).

C. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

1. ზოგადი დებულებები

254. საქმის სამართლიანად განხილვის უფლება მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, მოითხოვს საქმის განხილვას „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ“. სასამართლო დამოუკიდებლობა არის სამართლიანი სასამართლოს უფლების აუცილებელი პირობა კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 301), ხოლო სასამართლოს დამოუკიდებლობა კანონის უზენაესობის წინაპირობაა (§ 298). მოსამართლეებს არ შეუძლიათ, დაიცვან კანონის უზენაესობა და შეასრულონ კონვენციის დებულებები, თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ართმევს მათ კონვენციით გათვალისწინებულ გარანტიებს იმ საკითხებში, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე (§ 264).

გარდა ამისა, არსებობს მკაფიო კავშირი მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიასა და მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის სამართლიანობას და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მოთხოვნასა და სასამართლოებისა და მოსამართლეების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ეროვნული ორგანოს ავტონომიას შორის (*იქვე*, §§ 300-303 and 345-346, პოლონეთის მოსამართლეთა ეროვნულ საბჭოსთან დაკავშირებით).

255. „დამოუკიდებლობის“ და „მიუკერძოებლობის“ ცნებები მჭიდროდაა დაკავშირებული და, გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს ერთობლივი განხილვა (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 150 and 152; ასევე იხილეთ მათ ახლო ურთიერთობასთან დაკავშირებით, §§ 153-156; *Denisov v. Ukraine* [GC], 2018, §§ 61-64). ეს ორი ცნება ასევე ურთიერთქმედებს „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს“ ცნებასთან მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში (*Guðmundur Andri*

Ástráðsson v. Iceland [GC], 2020, §§ 218 და მომდევნო, §§ 231 და მომდევნო¹⁵, და იხილეთ § 295).

256. სასამართლოს დამოუკიდებლობის შეფასებისას, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში, მისი სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო ასპექტების შესაბამისად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, მათ შორის, მისი წევრების დანიშვნის წესი (იხილეთ, მაგალითად, *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 144), საკითხი, რომელიც ეხება „სასამართლოს“ შექმნას (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 232). გარდა ამისა, „დამოუკიდებლობა“ გულისხმობს აუცილებელ პიროვნულ და ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, რომელიც საჭიროა მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მისაღებად და, შესაბამისად, არის მიუკერძოებლობის აუცილებელი პირობა (*Dolińska-Ficek and Ozimek v. Poland*, 2021, § 316: ეს გადაწყვეტილება არის „კანონის საფუძველზე შექმნილ სასამართლოსა“ და „დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს“ ცნებებს შორის კავშირის მაგალითი., § 357). ტერმინი „დამოუკიდებლობა“ ახასიათებს როგორც გონების მდგომარეობას, რომელიც აღნიშნავს მოსამართლის სიმტკიცეს გარე ზეწოლის მიმართ, როგორც მორალური მთლიანობის, ასევე ინსტიტუციური და ოპერატიული ღონისძიებების ერთობლიობას – მათ შორის, როგორც პროცედურას, რომლითაც მოსამართლეები შეიძლება დაინიშნონ ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი დამოუკიდებლობა და შერჩევის კრიტერიუმები დამსახურებაზე დაყრდნობით – რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს გარანტიებს სხვა სახელმწიფო უფლებამოსილებების არასათანადო გავლენის ან/და შეუზღუდავი დისკრეციისგან, როგორც მოსამართლის დანიშვნის საწყის ეტაპზე, ასევე მისი მოვალეობის შესრულებისას (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 234).

257. პოლიტიკურ სამთავრობო ორგანოებსა და სასამართლო სისტემას შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ცნება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს (*Svilengacánin and Others v. Serbia*, 2021, §§ 64). გადაწყვეტილებამ საქმეზე *Ramos Nunes de Carvalho e Sá c. Portugal* [GC], 2018, ამგვარად ხაზი გაუსვა უფლებამოსილებათა გამიჯვნის მზარდ მნიშვნელობას და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დაცვის აუცილებლობას (§ 196; ასევე იხილეთ *Dolińska-Ficek and Ozimek v. Poland*, 2021, §§ 349-353), და ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა საქმეში *Grzęda v. Poland* [GC], 2022 (იხილეთ, კერძოდ, §§ 298 და 301-303). იმ თვალსაჩინო ადგილის გათვალისწინებით, რომელსაც სასამართლო ხელისუფლებას იკავებს სახელმწიფო ორგანოებს შორის დემოკრატიულ საზოგადოებაში, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სასამართლო ხელისუფლების წევრთა დაცვას ისეთი ზომებისგან, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მათ დამოუკიდებლობასა და ავტონომიას, არა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებაში, არამედ ასევე სხვა ოფიციალურ ფუნქციებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება მათ დაეკისროთ და რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სასამართლო სისტემასთან. ანალოგიურად აუცილებელია სასამართლო საბჭოების ავტონომიის დაცვა (ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სასამართლო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე) საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დაუშვებელი ხელყოფისაგან, განსაკუთრებით, მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებში და მათი, როგორც საყრდენი როლის შენარჩუნება სასამართლო სისტემაზე პოლიტიკური გავლენისგან (§ 346). უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ უშლის ხელს სახელმწიფოებს, მიიღონ ლეგიტიმური და აუცილებელი გადაწყვეტილებები

15. ასევე იხილეთ განყოფილება „კანონის საფუძველზე შექმნილი“.

სასამართლო სისტემის რეფორმისთვის, ნებისმიერმა რეფორმამ არ უნდა გამოიწვიოს სასამართლო და მისი მმართველი ორგანოების დამოუკიდებლობის შელახვა (§ 323).

258. არაპროფესიონალი მოსამართლეების მონაწილეობა საქმის განხილვაში, როგორც ასეთი, არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს (*Cooper v. the United Kingdom* [GC], 2003, § 123). შერეული კოლეგიის არსებობა, რომელიც შედგება საჯარო მოსამსახურეებისგან და ხელისუფლების დაინტერესებული ორგანოების წარმომადგენლებისგან, მოსამართლის თავმჯდომარეობით, თავისთავად არ წარმოადგენს მიკერძოებულობის მტკიცებულებას (*Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, 1981, §§ 57-58). გარდა ამისა, სასამართლოში გადაწყვეტილების მიღებაში არაპროფესიონალი ექსპერტების მონაწილეობის შესახებ წინააღმდეგობები არ არსებობს (*Pabla Ky v. Finland*, 2004, § 32).

259. პრეცედენტულ სამართალში დადგენილი პრინციპები, მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, ვრცელდება არაპროფესიონალ მოსამართლეებზე ისევე, როგორც პროფესიონალ მოსამართლეებზე (*Langborger v. Sweden*, 1989, §§ 34-35; *Cooper v. the United Kingdom* [GC], 2003, § 123).

260. სასამართლომ აღიარა, რომ, თუ კომერციული ან სპორტული არბიტრაჟი მიღებული იქნა თავისუფლად, ლეგალურად და ცალსახად, მაშინ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ცნებები შეიძლება მოქნილად იქნეს განმარტებული, იმის გათვალისწინებით, რომ არბიტრაჟის სისტემის არსი მდგომარეობს დავის მონაწილე მხარეების მიერ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების ან მათი ნაწილის დანიშვნაში (*Mutu and Pechstein v. Switzerland*, 2018, § 146; შეადარეთ საარბიტრაჟო კომიტეტს, რომელსაც აქვს ექსკლუზიური და სავალდებულო იურისდიქცია, *Ali Riza and Others v. Turkey*, 2020, §§ 207-222). მიუხედავად ამისა, საარბიტრაჟო წარმოების მიუკერძოებლობა მნიშვნელოვანი რჩება, გარეგნული მხარის როლის ჩათვლით (*Beg S.p.a. v. Italy*, 2021, §§ 144-153). საკითხთან დაკავშირებით, იყო თუ არა ცალსახა უარი მიუკერძოებელი არბიტრების გარანტირებაზე, იხილეთ §§ 138-143.

261. პრინციპში, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევა არ შეიძლება იყოს დაფუძნებული გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს დამოუკიდებლობის ან მიუკერძოებლობის არარსებობაზე, ან ამ სასამართლოს მიერ არსებითი პროცედურული გარანტიის დარღვევაზე, თუ მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება შემდგომ განხილვას სასამართლო ორგანოს მიერ, რომელსაც აქვს „სრული იურისდიქცია“ და უზრუნველყოფს შესაბამისი გარანტიების დაცვას ამ ხარვეზის გამოსწორების გზით (*Denisov v. Ukraine* [GC], 2018, §§ 65, 67 და 72, დისციპლინურ კონტექსტში; *De Haan v. the Netherlands*, 1997, §§ 52-55; *Helle v. Finland*, 1997, § 46; *Crompton v. the United Kingdom*, 2009, § 79).¹⁶

262. სასამართლო მუდმივად ხაზს უსვამს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლები, უზრუნველყოს სასამართლო განხილვა „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს“ მიერ, არ იზღუდება სასამართლო ხელისუფლებით. ის ასევე გულისხმობს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ნებისმიერი სხვა სახელმწიფო ხელისუფლების ვალდებულებას, განურჩევლად მისი დონისა, პატივი სცეს და შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, მაშინაც კი, თუ ისინი არ ეთანხმებიან მათ. ამრიგად, სახელმწიფოს მხრიდან სასამართლოს უფლებამოსილების პატივისცემა არის სასამართლოს და, უფრო ფართოდ, კანონის უზენაესობის მიმართ საზოგადოების ნდობის აუცილებელი პირობა. ამისათვის საკმარისი

16. ასევე იხილეთ განყოფილება „სრული იურისდიქციის მქონე სასამართლოს მიერ განხილვა“ და „სამართლიანობა“.

არ არის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კონსტიტუციური გარანტიები. ისინი ეფექტურად უნდა იყოს ჩართული ყოველდღიურ ადმინისტრაციულ მიდგომებსა და პრაქტიკაში (*Agrokompleks v. Ukraine*, 2011, § 136; ასევე იხილეთ *Dolińska-Ficek and Ozimek v. Poland*, 2021, §§ 328-330).

263. მთავრობის თანამდებობის პირებისა და პოლიტიკოსების განცხადებები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მე-6 მუხლის ზემოაღნიშნულ გარანტიებს (*Sovtransavto Holding v. Ukraine*, 2000, § 80; *Kinsky v. the Czech Republic*, 2012, § 94) ან არა (*Čivinskaitė v. Lithuania*, 2020, § 144, და პრეცედენტების შეჯამებისთვის, §§ 119-120).

2. დამოუკიდებელი სასამართლო

264. ტერმინი „დამოუკიდებელი“ ნიშნავს დამოუკიდებლობას *სხვა ძალაუფლებებთან მიმართებით* (აღმასრულებელი და პარლამენტი) (*Beaumartin v. France*, 1994, § 38) და ასევე *მხარეებთან მიმართებით* (*Sramek v. Austria*, 1984, § 42). ამ მოთხოვნასთან შესაბამისობა ფასდება, კერძოდ, ნორმატიული კრიტერიუმების საფუძველზე, როგორცაა სასამართლოს წევრების დანიშვნის წესი და მათი უფლებამოსილების ვადა, ან არსებობს თუ არა საკმარისი გარანტიები გარე ზეწოლის რისკისგან (იხილეთ, მაგალითად, *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 153-156). საკითხი, გამოიყურება თუ არა ორგანო გარეგნულად დამოუკიდებლად, ასევე შესაბამისია (*ოქვე*, § 144; *Oleksandr Volkov v. Ukraine*, 2013, § 103; *Grace Gatt v. Malta*, 2019, § 85). გამოვლენილი ხარვეზები შეიძლება აღმოიფხვრას ან არ აღმოიფხვრას სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზე (*Denisov v. Ukraine* [GC], 2018, §§ 65, 67 და 72).

265. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში უფლებამოსილებათა გამიჯვნის ცნება იძენს მნიშვნელობას, არც მე-6 მუხლი და არც კონვენციის რომელიმე სხვა დებულება არ მოითხოვს სახელმწიფოებისგან, დაიცვან თეორიული კონსტიტუციური ცნებები, რომლებიც უკავშირდება ხელისუფლებათა ურთიერთქმედების დასაშვებ ზღვრებს. კითხვა ყოველთვის მდგომარეობს შემდეგში: დაკმაყოფილებულია თუ არა მოცემულ შემთხვევაში კონვენციის მოთხოვნები (*Kleyn and Others v. the Netherlands* [GC], 2003, § 193; *Ramos Nunes de Carvalho e Sá* [GC], 2018, § 144). მართლაც, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ცნება გულისხმობს სასამართლო ხელისუფლების სხვა ხელისუფლებისგან გამიჯნული საპროცესო გარანტიების არსებობას (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 215). უფრო მეტიც, ტრიბუნალის დამოუკიდებლობის შეფასებისას მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში, აუცილებელია გავითვალისწინოთ, მათ შორის, მისი წევრების დანიშვნის წესი, საკითხი, რომელიც ეხება „სასამართლოს“ შექმნის სფეროს (§ 232, რომელიც ხაზს უსვამს ურთიერთობას „დამოუკიდებლობის“, „მიუკერძოებლობის“ და „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს“ მოთხოვნებს შორის).¹⁷

რაც შეეხება უფლებამოსილებათა გამიჯვნას და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დაცვის აუცილებლობას, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სასამართლო ხელისუფლების წევრების დაცვის საჭიროებაზე იმ ზომებისგან, რომლებიც პოტენციურად ძირს უთხრის მათ დამოუკიდებლობასა და ავტონომიას, მათ შორის, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენებადობის და სასამართლოს ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით (პრინციპების შეჯამება იხილეთ საქმეში *Grzęda v. Poland* [GC], 2022, §§ 298 და 300-309, რომლებიც ეხება არა მხოლოდ მოსამართლეების სამოსამართლო როლს, არამედ სასამართლო სისტემასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა ოფიციალურ

17. იხილეთ განყოფილება „სასამართლოს“ ცნების შესახებ

ფუნქციებს, როგორცაა მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს წევრობა, §§ 303-307; ასევე იხილეთ *Bilgen v. Turkey*, 2021, § 58 *in fine*) და დისციპლინური სამართალწარმოების მოსმენასთან დაკავშირებით (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 196).

რომელი სისტემაც არ უნდა იყოს არჩეული წევრი სახელმწიფოების მიერ, მათ უნდა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები სასამართლო დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. სასამართლო საბჭოს შექმნის შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლება ვალდებულია, უზრუნველყოს მისი დამოუკიდებლობა აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოებისგან, განსაკუთრებით მოსამართლეების დანიშვნის პროცესის სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის განმავლობაში ფუნქციების შეჩერებამ ან გადაყენების მუქარამ შეიძლება გავლენა იქონიოს ამ წევრის პირად დამოუკიდებლობაზე მისი მოვალეობების შესრულებისას (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, §§ 300-309).

266. გადაწყვეტილებამ საქმეზე *Mustafa Tunç and Fecire Tunç v. Turkey* [GC], 2015, განსაზღვრა განსხვავებები და ნიუანსები დამოუკიდებლობის კრიტერიუმების შეფასებისას, იმისდა მიხედვით, ეხება ისინი კონვენციის მე-6 მუხლს თუ მე-2 ან/და მე-3 მუხლებს (§§ 217-21). მე-6 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში დამოუკიდებლობის მოთხოვნის შესამოწმებლად ნორმატიული კრიტერიუმები არ უნდა შეფასდეს იმავე გზით, როდესაც განიხილება გამოძიების დამოუკიდებლობა, მე-2 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვალდებულებების თვალსაზრისით (§§ 219-25).

267. *სამხედრო სასამართლოები* (იხილეთ, მაგალითად, *Mikhno v. Ukraine*, 2016, §§ 162-64 and 166-70). ციტირებულ საქმეში სასამართლომ აღნიშნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობის ტენდენცია, რომელიც მოუწოდებს სახელმწიფოებს, სიფრთხილით იმოქმედონ სამხედრო სასამართლოების გამოყენებისას და, კერძოდ, გამორიცხონ თავიანთი იურისდიქციისგან ისეთი ბრალდებების განხილვა, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევებთან, როგორცაა მაგალითად, სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯა, იძულებითი გაუჩინარება და წამება. ეს მიდგომა, რომელიც ეხება ადამიანის უფლებების სერიოზულ და განზრახ დარღვევას, სასამართლოს აზრით, არ შეიძლება ავტომატურად იქნეს გამოყენებული უბედური შემთხვევის მიმართ, რომელმაც გამოიწვია ძალიან სერიოზული, მაგრამ გაუთვალისწინებელი ზიანი, მასში ჩართული სამხედროების დაუდევრობის შედეგად (*იქვე*, § 165).

a. დამოუკიდებლობა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებით

268. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა შეირყევა, თუ აღმასრულებელი ხელისუფლება ჩაერევა სასამართლოში განხილვაში არსებულ საქმეში, რათა გავლენა მოახდინოს მის შედეგზე (*Sovtransavto Holding v. Ukraine*, 2002, § 80; *Mosteanu and Others v. Romania*, 2002, § 42).

269. ის ფაქტი, რომ მოსამართლეები ინიშნებიან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ და შეცვლადი რომ არიან, თავისთავად არ წარმოადგენს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევას (*Clarke v. the United Kingdom* (dec.), 2005). აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოსამართლეთა დანიშვნა დასაშვებია იმ პირობით, რომ დანიშნული პირები არ ექვემდებარებიან გავლენას ან ზეწოლას სასამართლო ფუნქციების შესრულებისას (კერძოდ, *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, §§ 207 და მომდევნო, და *Flux v. Moldova* (no. 2), 2007, § 27).

270. ის ფაქტი, რომ საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარეს ნიშნავს აღმასრულებელი ხელისუფლება, თავის თავად, არ არღვევს მის დამოუკიდებლობას, იმ პირობით, რომ დანიშვნის შემდეგ მასზე არ განხორციელდება რაიმე ზეწოლა, არ მიიღებს მითითებებს და შეასრულებს თავის მოვალეობებს სრულიად დამოუკიდებლად (*Zolotas v. Greece*, 2005, § 24).

271. ანალოგიურად, მხოლოდ იმ ფაქტმა, რომ ადმინისტრაციული სამართლის საბჭოს მოსამართლეები ინიშნებიან რეგიონული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, არ შეიძლება ექვემდებარებოდეს მათი დამოუკიდებლობა ან მიუკერძოებლობა, იმ პირობით, რომ დანიშვნის შემდეგ ისინი არ დაექვემდებარებიან რაიმე ზეწოლას, არ მიიღებენ მითითებებს და შეასრულებენ სასამართლო საქმიანობას სრულ დამოუკიდებლობაში (*Majorana v. Italy* (dec.), 2005).

272. სიტუაციას, როდესაც მოსამართლეთა კარიერულ განვითარებაში ინსტიტუციური როლის შემსრულებელი საჯარო მოღვაწე (ქვეყნის პრეზიდენტი) არის მოსარჩელე სამართალწარმოებაში, შეუძლია გააჩინოს ლეგიტიმური ეჭვი საქმის განხილველ მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე (*mutatis mutandis, Thiam v. France*, 2018, § 85, არანაირი დარღვევა).

b. დამოუკიდებლობა პარლამენტთან მიმართებით

273. ის ფაქტი, რომ მოსამართლეებს პარლამენტი ნიშნავს, თავისთავად არ აქცევს მათ ხელისუფლების დაქვემდებარებაში, თუ დანიშვნების შემდეგ ისინი არ მიიღებენ ზეწოლას ან მითითებას სასამართლო მოვალეობის შესრულებისას (*Sacilor Lormines v. France*, 2006, § 67). გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ სააპელაციო სასამართლოს, რომელიც ძირითადად პროფესიონალი მოსამართლეებისგან იყო დაკომპლექტებული, ერთ-ერთი ექსპერტი წევრი ასევე იყო პარლამენტის წევრი, თავისთავად არ არღვევდა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლებას (*Pabla Ky v. Finland*, 2004, §§ 31-35).

c. დამოუკიდებლობა მხარეებთან მიმართებით

274. თუ, სასამართლოს შემადგენლობაში შედის დაქვემდებარებულ მდგომარეობაში მყოფი პირი, მისი მოვალეობებისა და სამსახურის ორგანიზების თვალსაზრისით, ერთ-ერთ მხარესთან მიმართებით, დავის მონაწილე მხარეებს შეიძლება ჰქონდეთ ლეგიტიმური ეჭვი ამ პირის დამოუკიდებლობის შესახებ. ეს სიტუაცია სერიოზულად აისახება სანდოობაზე, რომელიც სასამართლოებმა უნდა აღძრან დემოკრატიულ საზოგადოებაში (*Sramek v. Austria*, 1984, § 42).

d. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კონკრეტული შემთხვევები მართლმსაჯულების უმაღლეს საბჭოსთან მიმართებით¹⁸

275. ის ფაქტი, რომ მოსამართლეები, რომლებიც ასაჩივრებენ მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს (ან მისი ეკვივალენტური ორგანოს) გადაწყვეტილებებს და ექვემდებარებიან იმავე ორგანოს თავიანთ კარიერასთან და მათ მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, განხილული იქნა საქმეში *Denisov v. Ukraine* [GC], 2018, § 79 და *Oleksandr Volkov v. Ukraine*, 2013, § 130 (დარღვევები), და *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 157-165 (არანაირი დარღვევა). სასამართლომ შეაფასა და შეადარა სასამართლო ხელისუფლების დისციპლინური სისტემები შესაბამის ქვეყნებში, რათა დაედგინა, იყო თუ არა რაიმე „სერიოზული სტრუქტურული ხარვეზები“

18. იხილეთ განყოფილება „მიუკერძოებელი სასამართლო“.

ან „მიკერძოების გამოვლინება სასამართლო ხელისუფლების დისციპლინურ ორგანოში“ (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 157-160) და დაკმაყოფილდა თუ არა დამოუკიდებლობის მოთხოვნა (*ibid.*, §§ 161-163).

e. კრიტერიუმები დამოუკიდებლობის შესაფასებლად

276. იმის დადგენისას, შეიძლება თუ არა ორგანო ჩაითვალოს „დამოუკიდებლად“, სასამართლომ, მათ შორის, გაითვალისწინა შემდეგი კრიტერიუმები (*Kleyn and Others v. the Netherlands* [GC], 2003, § 190; *Langborger v. Sweden*, 1989, § 32):

- i. მისი წევრების დანიშვნის წესი და
- ii. მათი უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობა;
- iii. გარე ზეწოლის წინააღმდეგ გარანტიების არსებობა; და
- iv. არის თუ არა ორგანო გარეგნულად დამოუკიდებელი.

i. ორგანოს წევრების დანიშვნის წესი

277. დაისვა კითხვები გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წევრების დანიშვნაში ან/და გადაყენებაში იუსტიციის მინისტრის ჩარევის შესახებ (*Sramek v. Austria*, 1984, § 38; *Brudnicka and Others v. Poland*, 2005, § 41; *Clarke v. the United Kingdom* (dec.), 2005).

278. მიუხედავად იმისა, რომ საქმის გადაცემა კონკრეტული მოსამართლისთვის ან სასამართლოსთვის ექცევა ეროვნული ორგანოების შეფასების თავისუფლების ფარგლებში ასეთ საკითხებში, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ის შეესაბამებოდა მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს და, კერძოდ, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს (*Bochan v. Ukraine*, 2007, § 71).

ii. ორგანოს წევრის დანიშვნის ხანგრძლივობა

279. სასამართლოს არ დაუდგენია გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წევრების უფლებამოსილების კონკრეტული ვადა, თუმცა მათი შეუცვლელი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, ზოგადად, მათი დამოუკიდებლობის შედეგი უნდა იყოს (see, in particular, *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, §§ 239-240, მოსამართლეთა შეუცვლელი პრინციპთან დაკავშირებით). თუმცა, კანონში ამ შეუცვლელი ოფიციალური აღიარების არარსებობა, თავის თავად, არ ნიშნავს დამოუკიდებლობის ნაკლებობას, იმ პირობით, რომ ის რეალურად არის აღიარებული და არსებობს სხვა აუცილებელი გარანტიები (*Sacilor Lormines v. France*, 2006, § 67; *Luka v. Romania*, 2009, § 44).

iii. გარანტიები გარე წნეხის წინააღმდეგ

280. სასამართლო დამოუკიდებლობა მოითხოვს, რომ ცალკეული მოსამართლეები იყვნენ თავისუფალი არასათანადო გავლენისგან, როგორც სასამართლოს გარეთ, ისე მის შიგნით. მოსამართლეთა შიდა დამოუკიდებლობა მოითხოვს, რომ ისინი თავისუფალი იყვნენ განკარგვისგან და კოლეგა მოსამართლეების ან სასამართლოში ადმინისტრაციული მოვალეობების მქონე პირების ზეწოლისგან, როგორცაა სასამართლოს თავმჯდომარე ან სასამართლოს განყოფილების თავმჯდომარე. საკმარისი გარანტიების არარსებობამ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად სასამართლო ხელისუფლების შიგნით და, კერძოდ, ზემდგომ სასამართლო სისტემასთან მიმართებით, შეიძლება მიიყვანოს სასამართლო დასკვნამდე, რომ მომჩივნის ეჭვი სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით შეიძლება ობიექტურად

გამართლებულად ჩაითვალოს (*Agrokompleks v. Ukraine*, 2011, § 137; *Parlov-Tkalčić v. Croatia*, 2009, § 86).

281. რაიონული სასამართლოს მოსამართლეები საკმარისად დამოუკიდებელი აღმოჩნდნენ სასამართლოს თავმჯდომარისგან, ვინაიდან სასამართლოს თავმჯდომარეები ასრულებენ მხოლოდ ადმინისტრაციულ (ხელმძღვანელობით და ორგანიზაციულ) ფუნქციებს, რომლებიც მკაცრად არის გამიჯნული სასამართლო ფუნქციებისაგან. სამართლებრივი სისტემა უზრუნველყოფს შესაბამის გარანტიებს სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ მათი მოვალეობების თვითნებური განხორციელების წინააღმდეგ საქმეების მოსამართლეთა შორის (ხელახლა) გადანაწილებისას (*Parlov-Tkalčić v. Croatia*, §§ 88-95).

iv. გარეგნული დამოუკიდებლობა

282. იმისათვის, რომ დადგინდეს, შეიძლება თუ არა სასამართლო ჩაითვალოს დამოუკიდებლად მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, გარეგნული ნიშნებიც შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი (*Sramek v. Austria*, 1984, § 42). გარეგნულ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, მხარის პოზიცია მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადაწყვეტი; გადაწყვეტია ის, არის თუ არა შესაბამისი მხარის შიში ჩაითვალოს „ობიექტურად გამართლებულად“. (*Sacilor Lormines v. France*, 2006, § 63; *Grace Gatt v. Malta*, 2019, § 85). აქედან გამომდინარე, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ არსებობს, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ „ობიექტური დამკვირვებელი“ ვერ დაინახავს ამის შესახებ შემფოთების საფუძველს მოცემული საქმის გარემოებებში (*Clarke v. the United Kingdom* (dec.), 2005).

3. მიუკერძოებელი სასამართლო¹⁹

283. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი მოითხოვს, რომ მისი მოქმედების სფეროში მოქცეული სასამართლო იყოს მიუკერძოებელი (*Denisov v. Ukraine* [GC], 2018, §§ 60-65, მითითებით საქმეზე *Morice v. France* [GC], 2015 – იხილეთ §§ 87-88 საკასაციო საქმის წარმოებასთან დაკავშირებით). მიუკერძოებლობა, ჩვეულებრივ, ნიშნავს მიკერძოების ან გადახრის არარსებობას, ხოლო მისი არსებობა ან არარსებობა შეიძლება შემოწმდეს სხვადასხვა გზით (*Micallef v. Malta* [GC], 2009, § 93; *Wettstein v. Switzerland*, 2000, § 43; *Nicholas v. Cyprus*, 2018, § 49). დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის ცნებები მჭიდროდაა დაკავშირებული და, გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს ერთობლივი განხილვა (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 150 და 152 – ასევე იხილეთ მათ ახლო ურთიერთობასთან დაკავშირებით, §§ 153-156; *Sacilor Lormines v. France*, 2006, § 62). უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი ცნება ასევე ურთიერთქმედებს „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს“ ცნებასთან მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, §§ 231 და მომდევნო, §§ 231 და მომდევნო)²⁰. გამოვლენილი ხარვეზები შეიძლება აღმოიფხვრას ან არ აღმოიფხვრას სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზე (*Denisov v. Ukraine* [GC], 2018, §§ 65, 67 და 72; *Helle v. Finland*, 1997, § 46).

284. თუ მიუკერძოებლობა გასაჩივრებულია შიდასახელმწიფოებრივ სამართალწარმოებაში იმ საფუძველით, რომელიც მაშინვე არ ჩანს აშკარად უსაფუძველოდ,

19. იხილეთ განყოფილება „მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კონკრეტული შემთხვევები მართლმსაჯულების უმაღლეს საბჭოსთან მიმართებით“.

20. იხილეთ განყოფილება „სასამართლოს“ ცნების შესახებ

ეროვნულმა სასამართლომ თავად უნდა შეამოწმოს, არის თუ არა ასეთი შემოთავაზება გამართლებული, რათა გამოასწოროს სიტუაცია, რომელიც არღვევს მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს (*Cosmos Maritime Trading and Shipping Agency v. Ukraine*, 2019, §§ 78-82).

285. მსგავსი საქმეების დიდი მოცულობის შემთხვევაში, უზენაესმა სასამართლომ შეიძლება მიიღოს პრევენციული ზომები დავის პროცედურული ასპექტების განსახილველად, მაშინაც კი, თუ ეს გულისხმობს ინსტიტუციურ კონტაქტს შესაბამისი სამთავრობო დეპარტამენტის წარმომადგენელთან, რომელიც მოგვიანებით ხდება მომჩივნის ოპონენტი, საქმის უზენაეს სასამართლოში წარდგენის შემდეგ (*Svilengacánin and Others v. Serbia*, 2021, §§ 67-68), თუ კონტაქტის დროს სასამართლოს წინაშე არც ერთი საქმე არ იყო განხილული (§§ 71-72). ამ კონტექსტში, მთავარი საქმის განცალკევება საქმეების მასისაგან დიდი რაოდენობის მსგავსი განსახილველი საქმეების სამართავად ძირს არ უთხრის მიუკერძოებელ სასამართლო პროცედურას (§ 72); უზენაესმა სასამართლომ შეიძლება აღმოფხვრას ბუნდოვანება კანონის განმარტებაში, რათა მითითებები მისცეს ქვედა ინსტანციის სასამართლოებს, რომლებიც განიხილავენ შესაბამის საქმეს (§ 73); მიუხედავად იმისა, რომ „გარეგნული“ მიუკერძოებლობა მნიშვნელოვანი რჩება, სასამართლო მხარეების მხოლოდ შემოთავაზება საკმარისი არ არის ამ მხრივ (§ 74).

a. კრიტერიუმები მიუკერძოებლობის შესაფასებლად

286. მიუკერძოებლობის არსებობა უნდა განისაზღვროს შემდეგი ფაქტორების საფუძველზე (*Micallef v. Malta* [GC], 2009, §§ 93-101; *Morice v. France* [GC], 2015, §§ 73-78; and *Denisov v. Ukraine* [GC], 2018, §§ 61-65):

- i. სუბიექტური ტესტით, როდესაც აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს კონკრეტული მოსამართლის პირადი მსჯავრდადება და ქცევა, ანუ აქვს თუ არა მას რაიმე პიროვნული მიკერძოება ან გადახრა მოცემულ საქმეში; და ასევე
- ii. ობიექტური ტესტის შესაბამისად, ანუ იმის გარკვევით, იძლევა თუ არა თავად სასამართლო და, სხვა ასპექტებთან ერთად, მისი შემადგენლობა საკმარის გარანტიებს მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვის აღმოსაფხვრელად

287. თუმცა, არ არსებობს წყალგამძლე გამიჯვნა სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას შორის, რადგან მოსამართლის ქცევამ შეიძლება არა მხოლოდ გააჩინოს ობიექტური ეჭვი მიუკერძოებლობის შესახებ გარე დამკვირვებლის პერსპექტივიდან (ობიექტური ტესტი), არამედ ასევე დააყენოს მისი პირადი მსჯავრდადების საკითხი (სუბიექტური ტესტი) (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 145).

288. ამრიგად, ზოგიერთ საქმეში, როდესაც შეიძლება რთული იყოს მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის პრეზუმფციის გასაუქმებლად მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნა დამატებით მნიშვნელოვან გარანტიას იძლევა (*Micallef v. Malta* [GC], 2009, §§ 95 and 101). უნდა აღინიშნოს, რომ საქმეების აბსოლუტურ უმრავლესობაში, რომლებიც ეხება მიუკერძოებლობის საკითხებს, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ობიექტურ ტესტზე (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 146).

289. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ გარეგნულ მხარესაც კი შეიძლება ჰქონდეს გარკვეული მნიშვნელობა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ ეს უნდა ჩანდეს კიდეც“. სასწორზე დევს ნდობა, რომელიც სასამართლოებმა დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა გააჩინონ. ამრიგად, ნებისმიერმა მოსამართლემ, რომლის მიმართაც არსებობს მიუკერძოებლობის ნაკლებობის

შიშის ლეგიტიმური საფუძველი, უნდა აიცილოს საქმე (*Micallef v. Malta* [GC], 2009, § 98; *Stoimenovikj and Miloshevikj v. North Macedonia*, 2021, § 40). სასამართლომ, რომელიც განიხილავს მოთხოვნას მოსამართლის აცილების თაობაზე, უნდა განიხილოს მოთხოვნის მხარდასაჭერად წარმოდგენილი არგუმენტები (*Harabin v. Slovakia*, 2012, § 136) და დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნები, მაგრამ ასევე უნდა მოიქცეს პირი, რომელიც აკეთებს მოთხოვნას (*Mikhail Mironov v. Russia*, 2020, §§ 34-40). შესაბამისმა პირმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე (*Katsikeros v. Greece*, 2022, §§ 86-94).

290. სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი პრინციპები სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, ისევე ვრცელდება ნაფიც მსაჯულებზე, როგორც პროფესიონალ და არაპროფესიონალ მოსამართლეებზე, ასევე სხვა თანამდებობის პირებზე, რომლებიც ახორციელებენ სასამართლო ფუნქციებს, როგორებიც არიან არაპროფესიონალი შემფასებლები და რეგისტრატორები ან იურიდიული მდივნები (*Bellizzi v. Malta*, 2011, § 51). სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების პატივისცემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსამართლის, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოებისას, იმის გათვალისწინებით, რომ სასწორზე დევს საზოგადოების ნდობა უმაღლეს ეროვნულ დონეზე სასამართლოს ფუნქციონირებისადმი (*Harabin v. Slovakia*, 2012, § 133).

i. სუბიექტური მიდგომა

291. სუბიექტური ტესტის გამოყენებისას სასამართლო მუდმივად ამტკიცებდა, რომ „მოსამართლის პირადი მიუკერძოებლობა უნდა იყოს ნავარაუდევი, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება“ (*Micallef v. Malta* [GC], 2009, § 94; *Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, 1981, § 58 *in fine*). რაც შეეხება მოთხოვნილი მტკიცებულების ტიპს, სასამართლო, მაგალითად, ცდილობდა დაედგინა, გამოავლინა თუ არა მოსამართლემ მტრული დამოკიდებულება ან არაკეთილსინდისიერება, პირადი მიზეზების გამო (*Buscemi v. Italy*, 1999, §§ 67-68). ის ფაქტი, რომ მოსამართლემ არ დატოვა სამოქალაქო სარჩელი სააპელაციო წესით მას შემდეგ, რაც მანამდე მიიღო მონაწილეობა სხვა დაკავშირებულ სამოქალაქო სამართალწარმოებაში, არ არის აუცილებელი მტკიცებულება პრეზუმციის გასაუქმებლად (*Golubović v. Croatia*, 2012, § 52). სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სამოქალაქო პროცესის მონაწილის მიმართ უბრალო თავაზიანობა ან სიმპათია არ შეიძლება ჩაითვალოს ბრალდებულის მიმართ მიკერძოების გამოხატულებად, არამედ, პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ეს აჩვენებს მართლმსაჯულების სისტემის „ადამიანურ სახეს“ (*Karrar v. Belgium*, 2021, § 35).

292. პრინციპი, რომ სასამართლო უნდა იყოს თავისუფალი პირადი მიკერძოებისგან ან გადახრისგან, დიდი ხანია ფესვგადგმულია სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში (*Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, 1981, § 58; *Driza v. Albania*, 2007, § 75).

293. პრინციპში, მოსამართლის პირადი ზიზღი მხარის მიმართ არის დისკვალიფიკაციის საფუძველიანი მიზეზი. პრაქტიკაში სასამართლო ხშირად აფასებს ამ საკითხს ობიექტური მიდგომით (*Rustavi 2 Broadcasting Company Ltd and Others v. Georgia*, 2019, § 359 იხილეთ პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები).

ii. ობიექტური მიდგომა

294. უნდა განისაზღვროს, გარდა მოსამართლის საქციელისა, არის თუ არა სანდო ფაქტები, რამაც შეიძლება ეჭვი შეიტანოს მის მიუკერძოებლობაში. როდესაც ის გამოიყენება

კოლეგიად მჯდომი ორგანოს მიმართ, ნიშნავს იმის დადგენას, არსებობს თუ არა, ამ ორგანოს რომელიმე წევრის პირადი ქცევისგან დამოუკიდებლად, გარკვეული ფაქტები, რომლებმაც შეიძლება ეჭვი შეიტანოს თავად ორგანოს მიუკერძოებლობაში. ეს ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას, არსებობს თუ არა მოცემულ შემთხვევაში ლეგიტიმური საფუძველი შიშისა, რომ სხდომაში მონაწილე კონკრეტული მოსამართლე (*Morel v. France*, 2000, §§ 45-50; *Pescador Valero v. Spain*, 2003, § 23) ან ორგანო (*Luka v. Romania*, 2009, § 40) არ არის მიუკერძოებელი, შესაბამისი პირის პოზიცია მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადაწყვეტი. გადაწყვეტია, შეიძლება თუ არა ეს შიში ობიექტურად გამართლებულად ჩაითვალოს (*Micallef v. Malta* [GC], 2009, § 96; *Wettstein v. Switzerland*, 2000, § 44; *Pabla Ky v. Finland*, 2004, § 30).

295. ამ მიმართებით, გარეგნულ მხარესაც კი შეიძლება ჰქონდეს გარკვეული მნიშვნელობა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ ეს უნდა ჩანდეს კიდევ“. სასწორზე დევს ნდობა, რომელიც სასამართლოებმა დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა გააჩინონ. ამრიგად, ნებისმიერმა მოსამართლემ, რომლის მიმართაც არსებობს მიუკერძოებლობის ნაკლებობის შიშის ლეგიტიმური საფუძველი, უნდა აიცილოს საქმე (*Micallef v. Malta* [GC], 2009, § 98; მაგალითად, როდესაც მოსამართლემ გააკეთა საჯარო განცხადებები საქმის შედეგთან დაკავშირებით: *Rustavi 2 Broadcasting Company Ltd and Others v. Georgia*, 2019, §§ 341-342).

296. იმისათვის, რომ სასამართლოებმა შეძლონ საზოგადოებაში აუცილებელი ნდობის აღძვრა, გათვალისწინებული უნდა იქნეს შიდა საორგანიზაციო საკითხებიც. მნიშვნელოვანი ფაქტორია მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის ეროვნული პროცედურების არსებობა, კერძოდ, მოსამართლეთა გამოხმობის წესები (იხილეთ კონკრეტული დებულებები მოსამართლეთა გამოხმობასთან დაკავშირებით, საქმეში *Micallef v. Malta* [GC], 2009, §§ 99-100; სიტუაცია, როცა გამოწვევა შეუძლებელი იყო *Stoimenovikj and Miloshevijk v. North Macedonia*, 2021, § 40; *Mikhail Mironov v. Russia*, 2020, მე-6 მუხლის მოთხოვნებთან დაკავშირებით, როდესაც მიუკერძოებლობის გამო გასაჩივრება ხდება დავის მონაწილე მხარის მიერ და მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას, მათ შორის, როდესაც შესაბამისი მოსამართლე არის გადაწყვეტილების გამომტანი, §§ 34-40 და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები; და *Debled v. Belgium*, 1994, § 37, ზოგად გამოწვევასთან დაკავშირებით). ასეთი წესები მიუთითებს ეროვნული კანონმდებლობის სურვილზე, აღმოფხვრას ყველა გონივრული ეჭვი მოსამართლის ან სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით და წარმოადგენს მცდელობას, უზრუნველყოს მიუკერძოებლობა ამგვარი შემფოთების მიზეზების აღმოფხვრის გზით. ფაქტობრივი მიუკერძოების არარსებობის უზრუნველყოფასთან ერთად, ისინი მიზნად ისახავს ნებისმიერი სახის მიუკერძოების აღმოფხვრას და ამით ემსახურება ნდობის ჩამოყალიბებას, რომელიც სასამართლოებმა უნდა გააჩინონ დემოკრატიულ საზოგადოებაში (*Mežnarić v. Croatia*, 2005, § 27 და *A.K. v. Liechtenstein*, 2015, §§ 82-83, მცირე იურისდიქციის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა გამოხმობასთან დაკავშირებით). კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოების იერარქიულმა სტრუქტურამ შეიძლება ასევე დააყენოს საკითხი გარეგნული თვალსაზრისით (*Grace Gatt v. Malta*, 2019, §§ 85-86).

297. უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეთა კარიერის მარეგულირებელი ეროვნული სისტემა და მათ მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება თავად იყო სასამართლოში გასაჩივრების საგანი, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და ობიექტური მიუკერძოებლობის თვალსაზრისით (შდრ. საქმე *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 151-65 და, კერძოდ, § 163, საქმეს *Denisov v. Ukraine* [GC], 2018, §§ 68-80, და *Oleksandr Volkov v. Ukraine*, 2013, §§ 109-117 და 124-29).

298. სასამართლომ ასევე განიხილა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კონკრეტული შემთხვევა მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს (მათი დისციპლინური ორგანოს) გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სადაც მოსამართლეები, რომლებიც ამ ორგანოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ, იმავე ორგანოს უფლებამოსილებას ექვემდებარებიან, კარიერასა და მათ მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით (compare *Oleksandr Volkov v. Ukraine*, 2013, § 130, and *Denisov v. Ukraine* [GC] (დარღვევები) with *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 157-165 (არანაირი დარღვევა)). სასამართლომ განასხვავა ორი შესაბამისი ეროვნული სისტემა (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 158-160, და *Denisov v. Ukraine* [GC], 2018, § 79).

299. თავიანთი სასამართლო მოვალეობების შესრულებისას შესაძლოა, თავიანთი კარიერის გარკვეულ მომენტში, მოსამართლეები აღმოჩნდნენ მსგავს მდგომარეობაში ერთ-ერთ მხარესთან, მათ შორის, მოპასუხესთან მიმართებით. თუმცა, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი მოსამართლის მიუკერძოებლობას ექვეყვემ აყენებს, მის ინდივიდუალურ სიტუაციასთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებების არარსებობის შემთხვევაში. სასამართლო ხელისუფლების წევრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოებისას ის ფაქტი, რომ საქმის განმხილველი მოსამართლეები თავად კვლავ ექვემდებარებიან დისციპლინურ წესებს, თავისთავად არ არის საკმარისი საფუძველი მიუკერძოებლობის მოთხოვნების დარღვევის დასადგენად (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 163)²¹. თუმცა, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ძირითადი გარანტიების პატივისცემის საკითხი შეიძლება დადგეს, თუ თავად დისციპლინური ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციონირება ამ მხრივ სერიოზულ კითხვებს აჩენს (*Denisov v. Ukraine* [GC], 2018, § 79 (დარღვევა)).

ბ. სიტუაციები, რომლებშიც შეიძლება წარმოიშვას სასამართლო მიუკერძოებლობის ნაკლებობის საკითხი

300. არსებობს ორი სიტუაცია, რომლის დროსაც შეიძლება წარმოიშვას სასამართლო მიუკერძოებლობის ნაკლებობის საკითხი:

- i. პირველი *ფუნქციური ხასიათისაა* და ეხება, მაგალითად, ერთი და იმავე პირის მიერ სასამართლო პროცესის ფარგლებში სხვადასხვა ფუნქციების შესრულებას, ან მოსამართლესა და პროცესის სხვა მონაწილეებს შორის იერარქიულ ან სხვა კავშირებს (*Micallef v. Malta* [GC], 2009, §§ 97-98). ამ უკანასკნელ შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი ურთიერთობის ხასიათისა და დონის შესწავლა.
- ii. მეორე *პიროვნული ხასიათისაა* და გამომდინარეობს კონკრეტულ საქმეზე მოსამართლეთა ქცევიდან ან საქმის ერთ-ერთ მხარესთან ან მხარის წარმომადგენელთან კავშირის არსებობით.

i. ფუნქციური ხასიათის მქონე სიტუაცია

ა. ერთსა და იმავე საქმეში როგორც საკონსულტაციო, ისე სასამართლო ფუნქციების განხორციელება

301. ერთი ორგანოს ფარგლებში საკონსულტაციო და სასამართლო ფუნქციების თანმიმდევრულმა განხორციელებამ, გარკვეულ გარემოებებში, შეიძლება წამოჭრას საკითხი მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, ორგანოს მიუკერძოებლობასთან

21. იხილეთ განყოფილება „დამოუკიდებელი სასამართლოს“ შესახებ.

დაკავშირებით, ობიექტური თვალსაზრისით (*Procola v. Luxembourg*, 1995, § 45 – დარღვევა).

302. საკითხი მდგომარეობს შემდეგში, ხდებოდა თუ არა სასამართლო და საკონსულტაციო ფუნქციების განხორციელება „იმავე საქმესთან“, „იმავე გადაწყვეტილებასთან“ თუ „მსგავს საკითხებთან“ დაკავშირებით (*Kleyn and Others v. the Netherlands* [GC], 2003, § 200; *Sacilor Lormines v. France*, 2006, § 74 – არანაირი დარღვევა).

ბ. ერთსა და იმავე საქმეში როგორც სასამართლო, ისე არასასამართლო ფუნქციების განხორციელება

303. მომჩივნის შიშის ობიექტური გამართლების განსაზღვრისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ისეთი ფაქტორები, როგორცაა მოსამართლის ორმაგი როლი სამართალწარმოებაში, მისი მონაწილეობის ორ შემთხვევას შორის გასული დრო და სამართალწარმოებაში მისი ჩართულობის ხარისხი (*McGonnell v. the United Kingdom*, 2000, §§ 52-57).

304. ნებისმიერი უშუალო მონაწილეობა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კანონმდებლობის ან რეგულაციების მიღებაში საკმარისი იქნება მოსამართლის მიუკერძოებლობის კითხვის ნიშნის ქვეშ დასაყენებლად, რომელმაც შემდგომში უნდა გადაწყვიტოს, არსებობს თუ არა მიზეზები, რომ დაუშვას კანონმდებლობის ან წესების ფორმულირების ენიდან გადახვევა (*ოქვო*, §§ 55-58, როდესაც სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევა, მოსამართლის უშუალო მონაწილეობის გამო, განსახილველი განვითარების გეგმის მიღებაში; შდრ. *Pabla Ky v. Finland*, 2004, § 34 – არანაირი დარღვევა).

305. როდესაც მიმდინარეობს ორი პარალელური სამართალწარმოება ერთისა და იმავე პირის მონაწილეობით, რომელიც მოქმედებს ერთი მხრივ მოსამართლის ორმაგ როლში და მეორეს მხრივ, მოწინააღმდეგე მხარის კანონიერი წარმომადგენლის როლში, მომჩივანს შეიძლება ჰქონდეს ფიქრის საფუძველი, რომ მოსამართლე გააგრძელებს მის მიჩნევას მოწინააღმდეგე მხარედ (*Wettstein v. Switzerland*, 2000, §§ 44-47).

306. მოსამართლის მიერ კონსტიტუციური საჩივრის განხილვამ, რომელიც საქმის წარმოების დასაწყისში ასრულებდა მომჩივნის ოპონენტის ადვოკატის მოვალეობას, გამოიწვია მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევა (*Mežnarić v. Croatia*, § 36). საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რომელიც პირველი ინსტანციის სამოქალაქო სამართალწარმოებაში მომჩივნის ოპონენტის იურიდიული ექსპერტი იყო, იხილეთ საქმე *Švarc and Kavnik v. Slovenia*, 2007, § 44.

გ. სხვადასხვა სასამართლო ფუნქციების განხორციელება

307. შეესაბამება თუ არა ერთი და იმავე მოსამართლის მონაწილეობა სამოქალაქო საქმის სხვადასხვა ეტაპებზე მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით დადგენილ მიუკერძოებლობის მოთხოვნას, უნდა შეფასდეს საქმიდან გამომდინარე, კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით (*Pasquini v. San Marino*, 2019, § 148). ეს ასევე ეხება საქმეებს, როდესაც ერთი და იგივე მოსამართლე მონაწილეობდა ორ ცალკეულ სამართალწარმოებაში, როგორცაა ფაქტობრივად დაკავშირებული სისხლის და სამოქალაქო სამართალწარმოება (*ოქვო*, § 149) ან სამართალწარმოება, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო და რამდენიმე წლის სხვაობით გაიმართა (*Stoimenovikj and Miloshevikj v. North Macedonia*, 2021, §§ 36-38 and 40).

308. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსამართლემ უკვე მიიღო წინასასამართლო გადაწყვეტილებები, არ შეიძლება იყოს მისი მიუკერძოებლობით შემფოთების მიზეზი.

მნიშვნელოვანია მოსამართლის მიერ სასამართლო პროცესის დაწყებამდე გატარებული ზომების მოცულობა და ხასიათი. ანალოგიურად, ის ფაქტი, რომ მოსამართლე დეტალურად იცნობს საქმეს, არ გულისხმობს რაიმე მიკერძოებას მისი მხრიდან, რაც ხელს შეუშლის მას მიუკერძოებლად ჩაითვალოს საქმის არსებითად გადაწყვეტისას. არსებული ინფორმაციის წინასწარი ანალიზი ასევე არ ნიშნავს, რომ საბოლოო ანალიზი წინასწარ გადაწყვეტილია. მნიშვნელოვანია, რომ ეს ანალიზი განხორციელდეს გადაწყვეტილების მიღების დროს და ეფუძნებოდეს წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და მოსმენაზე წარმოდგენილ არგუმენტებს (*Morel v. France*, 2000, § 45).

309. გასათვალისწინებელია, არის თუ არა ურთიერთდამოკიდებულება საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე გამოვლენილ არსებით საკითხებს შორის, რომ გააჩნდეს ეჭვი ამ ეტაპებზე გადაწყვეტილების მიღებაში ჩართული მოსამართლის მიუკერძოებლობის შესახებ (*Toziczka v. Poland*, 2012, § 36).

310. კოლეგიაში მსხდომი მოსამართლეების შემთხვევაში²², სასამართლომ დაადგინა, რომ ის ფაქტი, რომ ზოგიერთ მოსამართლეს ადრე ეკავა კონკრეტული თანამდებობა, თავისთავად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დავასკვნათ, რომ კოლეგია მთლიანად მიკერძოებული იყო. ამ ტიპის სიტუაციებში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვა ფაქტორები, როგორცაა მოსამართლეთა რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობენ შესაბამისი თანამდებობის დაკავებაში და მათი როლი შესაბამისი კოლეგიაში (*Fazlı Aslaner v. Turkey*, 2014, §§ 36-43). განხილვის საიდუმლოებიდან გამომდინარე, შეუძლებელია შესაბამისი მოსამართლე(ებ)ის გავლენის დადგენა (იხილეთ *Stoimenovikj and Miloshevikj v. North Macedonia*, 2021, §§ 39-41 და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები § 39). შესაბამისად, კოლეგიის მხოლოდ ერთი წევრის მიმართ ობიექტური მიუკერძოებლობის არარსებობა არ არის გადამწყვეტი მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიზნებისათვის, იმდენად, რამდენადაც მსჯელობის საიდუმლოება შეუძლებელს ხდის მოცემული მოსამართლის ფაქტობრივი გავლენის გამოვლენას მათ დროს (იხილეთ, *mutatis mutandis*, *Karrar v. Belgium*, 2021, §§ 36 და 39).

311. განსხვავებული სიტუაციაა, როდესაც მომჩივნის წინააღმდეგ საქმის მწარმოებელი ორი ორგანო დაკომპლექტებული იყო ერთისა და იმავე მოსამართლეებისაგან და იყო გარკვეული გაუგებრობა ბრალდებების წარდგენისა და საკითხების განსაზღვრას შორის (*Kamenos v. Cyprus*, 2017, §§ 105-109). პროკურორისა და მოსამართლის ფუნქციებს შორის დაბნეულობამ შეიძლება გამოიწვიოს ობიექტურად გამართლებული ეჭვი შესაბამისი პირების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით (§ 104).

312. უნდა აღინიშნოს სხვა საქმეებიც:

- როგორც ზოგადი წესი, რომელიც გამომდინარეობს მიუკერძოებლობის ვალდებულებიდან, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ზემდგომი სასამართლო, რომელმაც გააუქმა ადმინისტრაციული ან სასამართლო გადაწყვეტილება, ვალდებულია საქმე გადასცეს სხვა იურისდიქციულ ორგანოს ან ამავე ორგანოს განყოფილებას, სხვა შემადგენლობით (*Ringeisen v. Austria*, 1971, § 97 *in fine*).
- პრობლემა შეიძლება წარმოიშვას, თუ მოსამართლე ერთსა და იმავე ფაქტთა სერიასთან დაკავშირებულ ორ სამართალწარმოებაშია ჩართული (*Indra v. Slovakia*, 2005, §§ 51-53).
- მოსამართლე, რომელიც არის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელსაც ორი არაპროფესიონალი მოსამართლე ეხმარება, არ განიხილავს

22. ასევე იხილეთ მაგალითები ქვემოთ.

სააპელაციო საჩივარს საკუთარი გადაწყვეტილების წინააღმდეგ (*De Haan v. the Netherlands*, 1997, § 51).

- სააპელაციო სასამართლომ, რომელშიც პირველი ინსტანციის მოსამართლეებმა უნდა გაარკვიონ, თავად დაუშვეს თუ არა შეცდომა სამართლებრივი განმარტებისას ან გამოყენებისას თავიანთ წინა გადაწყვეტილებაში, შეიძლება გააჩნდეს ეჭვი მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით (*San Leonard Band Club v. Malta*, 2004, § 64). საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით მსგავსი დასაბუთებისთვის იხილეთ *Scerri v. Malta*, 2020, § 78).
- მიუკერძოებლობის მოთხოვნებთან *prima facie* შეუსაბამობა არ არის, თუ ერთი და იგივე მოსამართლე მონაწილეობს ჯერ საქმის არსებითად გადაწყვეტაში, შემდეგ კი იმ წარმოებაში, რომელშიც განიხილება ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივრის მისაღება (*Warsicka v. Poland*, 2007, §§ 38-47).
- მოსამართლე, რომელსაც ჰქონდა ორმაგი როლი – როგორც ადვოკატს, რომელიც წარმოადგენდა მხარეს მომჩივანთა კომპანიის წინააღმდეგ საქმისწარმოების პირველ სერიაში და როგორც სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს საქმისწარმოების მეორე სერიაში: გაითვალისწინა რა, კერძოდ, დროში დისტანციურობა და პირველი სერიის საქმისწარმოების საგნის განსხვავებულობა მეორესთან შედარებით, ასევე ფაქტი, რომ ადვოკატისა და მოსამართლის ფუნქციები დროში ერთმანეთს არ ემთხვეოდა, სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნებმა ვერ დააყენეს ობიექტურად გამართლებული ეჭვი მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით (*Puolitaival and Pirttiaho v. Finland*, 2004, §§ 46-54).
- სასამართლომ დაადგინა მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევა საქმეში, როდესაც ზოგ მოსამართლეს, რომელმაც უკვე გამოსცა გადაწყვეტილება საქმეზე, უნდა გადაეწყვიტა, შეცდა თუ არა ის თავის წინა გადაწყვეტილებაში და, როდესაც სხვა სამმა მოსამართლემ უკვე გამოთქვა თავისი აზრი ამ საკითხზე (*Driza v. Albania*, 2007, §§ 78-83).
- ერთ-ერთი მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა სააპელაციო წარმოებაში სამართლებრივი ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით, მანამდე საქმეში ჩართული იყო უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის სახით (*Peruš v. Slovenia*, 2012, §§ 38-39).
- საქმეში *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ასევე იყო იმ ადმინისტრაციული ორგანოს თავმჯდომარე, რომლის გადაწყვეტილებაც განიხილებოდა სააპელაციო წარმოებისას (§§ 153-156).
- სიტუაცია, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწე იყო ადვოკატთა გუნდის წევრი, რომლებიც წარმოადგენდნენ მომჩივნის ოპონენტს წინა სამოქალაქო სამართალწარმოებაში, განხილული იყო საქმეში *Bellizzi v. Malta*, 2011, §§ 60-61.
- სასამართლომ დაადგინა მიუკერძოებელი სასამართლოს უფლების დარღვევა, როგორც საქმეში უკვე მონაწილე მოსამართლეთა დიდი ნაწილის განხილვისას, ასევე მათი სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ან მომხსენებლის როლში მოვალეობების განხილვისას (*Fazli Aslaner v. Turkey*, 2014, § 39). გარდა ამისა, დადგინდა, რომ სასამართლოს ობიექტური მიუკერძოებლობა შეიძლება საეჭვო იყოს, თუ შვიდიდან ოთხმა მოსამართლემ უკვე განიხილა საქმე, ოთხი მოსამართლის მიერ შესრულებული ფუნქციის ხასიათისა და მოცულობის გათვალისწინებით (*Pereira da Silva v. Portugal*, 2016, §§ 59-60).

- საქმე *Fazlı Aslaner v. Turkey*, 2014, მოიცავდა ოცდათერთმეტი მოსამართლისგან შემდგარ კოლეგიას, რომელთაგან სამი უკვე მონაწილეობდა სამართალწარმოებაში უფრო ადრეულ ეტაპზე. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეთა რაოდენობა, რომელთა მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ დადგა, მცირე იყო მოსამართლეთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით, სასამართლომ აღმოაჩინა დარღვევა, დაადგინა რა, რომ გადაწყვეტი არ იყო იმ მოსამართლეთა რაოდენობა ან პროპორცია, რომლებსაც ეხებოდა ობიექტური მიუკერძოებლობის საკითხი. პირველი, არ იყო გამართლებული სამი მოსამართლის კოლეგიაში შეყვანის აუცილებლობა და მეორე, სამი მოსამართლიდან ერთ-ერთი თავმჯდომარეობდა ოცდათერთმეტი მოსამართლისგან შემდგარ კოლეგიას და ხელმძღვანელობდა საქმის განხილვას. ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის ეჭვი მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ობიექტურად გამართლებული იყო (§§ 40-43; შეადარეთ გადაწყვეტილების 38-ე პარაგრაფში ციტირებულ სხვა საქმეებს და *Stoimenovikj and Miloshevikj v. North Macedonia*, 2021, §§ 39-41, სადაც საუბარია ხუთი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის ერთ წევრზე; და იხილეთ ზემოთ).
- საქმეში *Rustavi 2 Broadcasting Company Ltd and Others v. Georgia*, 2019, დავა წარმოიშვა ცხრა მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის თავმჯდომარის მიუკერძოებლობაზე, რომელმაც მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება; სასამართლოს დარღვევა არ დაუდგენია (§ 363 და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები).
- საქმეში *Svilengaćanin and Others v. Serbia*, 2021, საჯარო შეხვედრის ჩატარება და პროცედურული საკითხების შესახებ თავდაცვის სამინისტროსთან, რომელიც შემდეგ წარმოადგენდა მოპასუხე მხარეს სამხედრო ხელფასის შესახებ დავაში, ხელშეკრულების ხელმოწერა არ ახდენდა გავლენას უზენაესი სასამართლოს ობიექტურ მიუკერძოებლობაზე (§§ 65-75).

ii. პერსონალური ხასიათის მქონე სიტუაცია

313. ასევე დაირღვევა მიუკერძოებლობის პრინციპი, თუ მოსამართლეს საქმის მიმართ პირადი ინტერესი აქვს (*Langborger v. Sweden*, 1989, § 35; *Gautrin and Others v. France*, 1998, § 59). ბადებს თუ არა მოსამართლის ცოლის მიერ სოციალურ ქსელში გაკეთებული განცხადებები ეჭვს ქმრის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, იხილეთ *Rustavi 2 Broadcasting Company Ltd and Others v. Georgia*, 2019, §§ 342 და მომდევნო, და, უფრო ზოგადად, მოსამართლის ოჯახის წევრების მიერ აზრის საჯაროდ გამოხატვისთვის, § 344. საკონსტიტუციო სასამართლოში განხილულ საქმესა და კოლეგიაში მჯდომი სამი მოსამართლიდან ერთ-ერთის ქმარს შორის კავშირის არსებობის შესახებ იხილეთ *Croatian Golf Federation v. Croatia*, 2020, §§ 129-132.

314. მოსამართლესა და საქმის მხარეს ან მხარის ადვოკატს შორის პროფესიულმა, ფინანსურმა ან პიროვნულმა კავშირებმა შეიძლება ასევე დააყენოს მიუკერძოებლობის საკითხი (*Micallef v. Malta* [GC], 2009, § 102; *Wettstein v. Switzerland*, 2000, § 47; *Pescador Valero v. Spain*, 2003, § 27; *Tocono and Profesorii Prometeiști v. Moldova*, 2007, § 31, და *Pétur Thór Sigurðsson v. Iceland*, 2003, § 45). შესაბამისი მოსამართლის ფინანსური ინტერესები პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული დავის საგანთან (*mutatis mutandis*, *Sigríður Elín Sigfúsdóttir v. Iceland*, 2020, § 53). მხარის მიმართ მოსამართლის ქცევამ სამართალწარმოების კონტექსტის მიღმა შეიძლება ობიექტურად გამოიწვიოს შიში, მიუკერძოებლობის არარსებობის შემთხვევაში, რაც ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის ობიექტურ მიუკერძოებლობას, მაშინაც კი, თუ ეს არ არის სამართალდარღვევა

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად (*mutatis mutandis*, *Karrar v. Belgium*, 2021, §§ 36 and 39).

315. ის ფაქტი, რომ მოსამართლეს ნათესავური კავშირი აქვს იურიდიული ფირმის წევრთან, რომელიც არის მხარის წარმომადგენელი საქმეში, არ წარმოადგენს ავტომატურ დარღვევას (*Ramljak v. Croatia*, 2017, §§ 29, და პატარა ქვეყანასთან მიმართებით, *Koulias v. Cyprus*, 2020, §§ 62-64). გათვალისწინებული უნდა იქნეს მთელი რიგი ფაქტორები, მათ შორის: მონაწილეობდა თუ არა საქმეში მოსამართლის ნათესავი, ნათესავის თანამდებობა იურიდიულ ფირმაში, ფირმის სიდიდე, მისი შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა, ფირმისთვის საქმის ფინანსური მნიშვნელობა და ნებისმიერი პოტენციური ფინანსური ინტერესი ან სარგებელი (და მათი ოდენობა) ნათესავებისთვის (*Nicholas v. Cyprus*, 2018, § 62; ასევე იხილეთ *Ramljak v. Croatia*, 2017, §§ 38-39).

316. ის ფაქტი, რომ მოსამართლეები ერთმანეთს იცნობენ, როგორც კოლეგებს, ან თუნდაც ერთ ოფისში იმყოფებიან, თავისთავად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დავასკვნათ, რომ ნებისმიერი შეშფოთება მათ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ობიექტურად გამართლებულია (*Steck-Risch and Others v. Liechtenstein*, 2005, § 48). ძალიან პატარა ქვეყანაში ის ფაქტი, რომ პროფესიონალ იურისტს შეუძლია განახორციელოს ორი ფუნქცია ნახევარ განაკვეთზე, მაგალითად, იყოს მოსამართლე და პრაქტიკოსი ადვოკატი, თავის თავად, არ არის პრობლემატური (*ibid.*, § 39; *Bellizzi v. Malta*, 2011, § 57; და შდრ. *Micallef v. Malta* [GC], 2009, § 102, მოსამართლისა და ადვოკატის ოჯახური კავშირების შესახებ).

317. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოების მიკერძოებულობის შესახებ საჩივრებმა არ უნდა გამოიწვიოს სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის პარალიზი. მცირე იურისდიქციებში, როგორცაა კვიპროსი ან ლიხტენშტაინი, მართლმსაჯულების განხორციელება შეიძლება გადაჭარბებულად მკაცრი სტანდარტების გამოყენებით ზედმეტად შეფერხდეს (*A.K. v. Liechtenstein*, 2015, § 82, *Nicholas v. Cyprus*, 2018, § 63). გარეგნობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქმის წარმოების დასაწყისშივე უნდა იყოს გამჟღავნებული სიტუაციის არსებობა, რომელიც შეიძლება წარმოშობდეს ეჭვს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ამრიგად, მოცემული სიტუაცია შეიძლება შეფასდეს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რათა დადგინდეს, არის თუ არა დისკვალიფიკაცია ნამდვილად საჭირო (*Nicholas v. Cyprus*, 2018, §§ 64-66).

318. გარდა ამისა, მოსამართლის მიერ გამოყენებული ენა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი და აჩვენოს, რომ მოსამართლეს აკლია მისი ფუნქციით მოთხოვნილი განცალკევება (*Vardanyan and Nanushyan v. Armenia*, 2016, § 82). თუმცა, როდესაც მოსამართლემ არასათანადო შენიშვნა გააკეთა მომჩივნის საშიშობის შესახებ, რომელიც უკვე ნასამართლევი იყო სექსუალური დაკმაყოფილების მისაღებად მკვლელობისთვის, სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება მიუთითებდეს არაპროფესიონალურ ქცევაზე, ეს არ აჩვენებს, რომ მოსამართლე პირადად იყო მიკერძოებული მომჩივნის მიმართ ან რომ არსებობდა ობიექტურად გამართლებული ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით განსახილველ სამართალწარმოებაში (*Ilmseher v. Germany* [GC], 2018, § 289).

IV. პროცედურული მოთხოვნები

A. სამართლიანობა

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი

„1. „ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების გამორკვევისას, აღჭურვილია ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლებით ... სასამართლოს მიერ...“

1. ზოგადი პრინციპები

319. თვალსაჩინო ადგილი: სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დემოკრატიულ საზოგადოებაში (*Stanev v. Bulgaria* [GC], 2012, § 231; *Airey v. Ireland*, 1979, § 24). ეს გარანტია „არის ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში“ (*Pretto and Others v. Italy*, 1983, § 21).

საქმის სამართლიანი განხილვის უფლება უნდა იქნეს განმარტებული კონვენციის პრეამბულის გათვალისწინებით, რომელიც, მათ შორის, აცხადებს, რომ კანონის უზენაესობა ხელშემკვრელი სახელმწიფოების საერთო მემკვიდრეობის ნაწილი არის. თვითნებობა იწვევს კანონის უზენაესობის უარყოფას და არ შეიძლება მისაღები იყოს საპროცესო უფლებებთან მიმართებით უფრო, ვიდრე არსებით უფლებებთან მიმართებით (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 339).

ამის გათვალისწინებით, არ შეიძლება არსებობს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შემზღუდველი განმარტების გამართლება (*Moreira de Azevedo v. Portugal*, 1990, § 66). სამართლიანობის მოთხოვნა ვრცელდება მთლიან წარმოებაზე; ის არ შემოიფარგლება მხოლოდ *inter partes* მოსმენებით (*Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece*, 1994, § 49). ამრიგად, სამართალწარმოება განიხილება მთლიანობაში, რათა დადგინდეს, წარმართა თუ არა ის საქმის სამართლიანი განხილვის მოთხოვნების შესაბამისად (*De Tommaso v. Italy* [GC], 2017, § 172; *Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, § 161, იმავე პრინციპის შესაბამისად, როგორც სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში; იხილეთ *Beuze v. Belgium* [GC], 2018, § 120). სამართლიანობის ნაკლებობა შეიძლება იყოს სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე მრავალი ფაქტორის შედეგი (*Carmel Saliba v. Malta*, 2016, § 79, მიზეზების წარდგენის მოთხოვნასთან დაკავშირებით).

320. თუმცა, სასამართლომ დააკონკრეტა, რომ პირის პროცედურული უფლებების შეზღუდვა შეიძლება გამართლებული იყოს ძალიან გამონაკლის შემთხვევებში (*Adorisio and Others v. the Netherlands* (dec.), 2015, ხანმოკლე დროსთან დაკავშირებით, რომელიც ხელმისაწვდომია მომჩივნისთვის, რათა გაასაჩივროს და შეისწავლოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტები და ეროვნული სასამართლოს მიერ ძალიან სწრაფი გადაწყვეტილების განსაკუთრებული საჭიროება).

321. შინაარსი: სამოქალაქო სარჩელი უნდა იყოს მოსამართლის წინაშე წარდგენილი (*Fayed v. the United Kingdom*, 1994, § 65) ეფექტური სასამართლო განხილვისთვის (*Sabeh El Leil v. France* [GC], 2011, § 46), რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია, კონვენციის ინსტიტუტების მიერ შეკავების ან შემოწმების გარეშე, გამორიცხოს თავისი

სასამართლოების იურისდიქციისგან მთელი რიგი სამოქალაქო საჩივრები ან მიანიჭოს იმუნიტეტი სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინააღმდეგ პირთა მთელ კატეგორიებს. შესაბამისად, თუ საგანგებო საკანონმდებლო დადგენილება არ შეიცავს გამოხატულ ან მკაფიო ფორმულირებას, რომელიც გამორიცხავს მის განსახორციელებლად მიღებული ზომების სასამართლო განხილვის შესაძლებლობას, ის ყოველთვის უნდა იქნეს გაგებული, როგორც სახელმწიფოს სასამართლოებისთვის უფლების მიცემა, განახორციელონ საკმარისი ზედამხედველობა თვითნებობის თავიდან ასაცილებლად (*Pişkin v. Turkey*, 2020, § 153). მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი დეტალურად აღწერს პროცედურულ გარანტიებს, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნა მხარეებისთვის სამოქალაქო სამართალწარმოებაში. ის, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს მხარეთა ინტერესების უზრუნველყოფას და მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას (*Nideröst-Huber v. Switzerland*, 1997, § 30). მაშასადამე, მხარეებს უნდა შეეძლოთ თავიანთი პოზიციის არგუმენტირება, საჭირო ეფექტურობით (*H. v. Belgium*, 1987, § 53). ეს არ ნიშნავს, რომ საქმის განხილვის გარკვეულ ეტაპზე მტკიცების ტვირთი არ შეიძლება გადავიდეს დავის მონაწილე მხარეზე (*Xhoxhaj v. Albania*, 2021, § 352).

322. ეროვნული ხელისუფლების ორგანოების როლი: სასამართლო ყოველთვის ამბობდა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს თითოეულ ცალკეულ საქმეში, რომ დაკმაყოფილდეს „საქმის სამართლიანი განხილვის“ მოთხოვნები კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში (*Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 1993, § 33 *in fine*).

323. დავის მონაწილე მხარის მოთხოვნები: პრინციპის საკითხია, რომ მისი „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების“ განსაზღვრისას – როგორც ეს განსაზღვრულია სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში²³ – ყველას ჰქონდეს სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი განხილვის უფლება. ამას ემატება მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები, როგორც სასამართლოს ორგანიზაციასა და შემადგენლობასთან, ასევე საქმისწარმოების წარმართვასთან დაკავშირებით. მთლიანობაში, ეს ყველაფერი წარმოადგენს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას (*Golder v. the United Kingdom*, 1975, § 36). თუმცა, მე-6 მუხლის არც ფორმა და არც შინაარსი არ უშლის ხელს პირს, ცხადად ან არაცხადად, ნებაყოფლობით უარი თქვას საქმის სამართლიანი განხილვის გარანტიებზე, გარკვეული პირობების გათვალისწინებით (*Dilipak and Karakaya v. Turkey*, 2014, § 79; *Schmidt v Latvia*, § 96).

324. განმარტების პრინციპები:

- პრინციპი, რომ სამოქალაქო სარჩელი უნდა წარედგინოს მოსამართლეს, არის სამართლის ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებული ფუნდამენტური პრინციპი; იგივე შეიძლება ითქვას საერთაშორისო სამართლის პრინციპზე, რომელიც კრძალავს მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმას. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი უნდა იქნეს წაკითხული ამ პრინციპების გათვალისწინებით (*იქვე*, § 35).
- როგორც განმეორებულია საქმეში *Grzęda v. Poland* [GC], 2022, §§ 339-340, და საქმეში *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, §§ 237 და მომდევნო, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლება განმარტებული უნდა იქნეს კონვენციის პრეამბულის გათვალისწინებით, რომელიც აცხადებს, რომ კანონის უზენაესობა (*Sabeh El Leil v. France* [GC], 2011, § 46) არის ხელშემკვრელი სახელმწიფოების საერთო მემკვიდრეობის ნაწილი (*Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC], 2011, § 57; *Brumărescu v. Romania*,

23. იხილეთ განყოფილება „მოქმედების სფერომოქმედების სფერო“.

1999, § 61). სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოები, პრინციპში, უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე ის, რომ შეაფასონ, თუ როგორ იქნებოდა საუკეთესოდ დაცული სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის ინტერესები კონკრეტულ სიტუაციაში (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 243). თუმცა, მან ასევე აღნიშნა, რომ კანონის უზენაესობის პრინციპი მოიცავდა უამრავ სხვა თანაბრად მნიშვნელოვან პრინციპს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთდაკავშირებულია და ხშირად ავსებენ ერთმანეთს, გარკვეულ გარემოებებში შეიძლება კონკურენციაში მოვიდეს ერთმანეთთან (§§ 237-240).

- საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაშიც კი კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპი უნდა იყოს უპირატესი (*Pişkin v. Turkey*, 2020, § 153). გარდა ამისა, კანონის უზენაესობით მართულ საზოგადოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს შესაბამისი კომპენსაცია იმ სამართალდარღვევებისთვის, რომლებიც მოხდა ხელისუფლების ბრალეულობით და სათანადოდ დადგენილი იქნა სასამართლოების მიერ (*Scordino v. Italy (no. 1)* [GC], 2006, § 201).
- კანონის უზენაესობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტია სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, რომელიც ნაგულისხმევია კონვენციის ყველა მუხლში (*Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC], 2011, § 56; *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, § 116; *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 238; ასევე იხილეთ *Krivtsova v. Russia*, 2022, §§ 37-39 – და, მაგალითად, ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით, *Oleksandr Volkov v. Ukraine*, 2013, §§ 137-139, და *Xhoxhaj v. Albania*, 2021, §§ 348-349; და შეადარეთ საქმეს *Camelia Bogdan v. Romania*, 2020, §§ 47-48, ან, ასეთი პერიოდის საწყისი წერტილისთვის, *Sanofi Pasteur v. France*, 2020, § 52).
- ეს პრინციპი გულისხმობს, ზოგადად, *res judicata* პრინციპის დაცვას (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 238; *Krivtsova v. Russia*, 2022, §§ 37-39). თვითნებობა კანონის უზენაესობის უარყოფის ტოლფასია (*Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland* [GC], 2016, § 145). ეს პრინციპი შეიძლება სხვა გზითაც დაირღვეს (*Dolińska-Ficek and Ozimek v. Poland*, 2021, §§ 328-330). მაგალითად, კანონები, რომლებიც მიმართულია კონკრეტული პირების მიმართ, ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობას (*Grzęda v. Poland* [GC], § 299).
- დემოკრატიულ საზოგადოებაში, კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში, მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელების უფლებას ისეთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შემზღვეველი განმარტება არ იქნება ამ დებულების მიზანსა და დანიშნულების შესაბამისი (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 283, სასამართლოების როლისთვის; *Ryakib Biryukov v. Russia*, 2008, § 37).
- საქმეში *Zubac v. Croatia* [GC], 2018, ხაზგასმულია ამ პრინციპების მნიშვნელობა, ისევე, როგორც საქმეში *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, რომელიც ასევე ეხება სიტუაციებს, რომლებშიც კონვენციის ფუნდამენტური პრინციპები კონფლიქტში მოდის (§§ 237 და მომდევნო, § 243).
- გარდა ამისა, კონვენცია მიზნად ისახავს არა თეორიული ან მოჩვენებითი უფლებების, არამედ პრაქტიკული და ეფექტური უფლებების გარანტიას (*Perez v. France* [GC], 2004, § 80; *Airey v. Ireland*, 1979, § 24).

325. სახელმწიფოებს მეტი დისკრეცია აქვთ სამოქალაქო საკითხებში: სასამართლომ აღიარა, რომ „საქმის სამართლიანი განხილვის“ ცნების თანდაყოლილი მოთხოვნები სულაც არ არის ერთნაირი საქმეებში, რომლებიც ეხება სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას და საქმეებში, რომლებიც ეხება სისხლის სამართლის ბრალდების განსაზღვრას: „ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ მეტი დისკრეცია სამოქალაქო საქმეებში სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებით, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეებში“ (*Peleki v. Greece*, 2020, § 70; *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 1993, § 32; *Levages Prestations Services v. France*, 1996, § 46). მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნები სამოქალაქო უფლებების საქმეებში ნაკლებად მძიმეა, ვიდრე სისხლის სამართლის ბრალდებებში (*König v. Germany*, 1978, § 96). გადაწყვეტილებამ საქმეზე *Moreira Ferreira v. Portugal (no. 2)* [GC], 2017, §§ 66-67, დაადასტურა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ან მსჯავრდადებული პირების უფლებები მოითხოვდა უფრო მეტ დაცვას, ვიდრე მხარეთა უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

326. თუმცა, მე-6 მუხლის სამოქალაქო ასპექტთან დაკავშირებული საქმის განხილვისას, სასამართლომ შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს, შთაგონება მიიღოს სისხლის სამართლის საკითხებთან დაკავშირებული საკუთარი მიდგომიდან (პრინციპთან დაკავშირებით იხილეთ, *López Ribalda and Others v. Spain* [GC], 2019, § 152; *Čivinskaitė v. Lithuania*, 2020, § 121, და, მაგალითად, *Dilipak and Karakaya v. Turkey*, 2014, § 80, პირისთვის დაუსწრებლად დაკისრებულ საგადახდო დავალებასთან დაკავშირებით, რომელსაც არ გადაეცა სასამართლოს გადაწყვეტილება; *Carmel Saliba v. Malta*, 2016, §§ 67 და 70-71, სისხლის სამართლის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით; *R.S. v. Germany* (dec.), 2017, §§ 35 და 43, შეიარაღებულ ძალებში დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებით). იმ საქმეებში, სადაც სამოქალაქო პასუხისმგებლობა წარმოიქმნება სისხლის სამართლის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანისთვის, მნიშვნელოვანია, რომ შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები დაფუძნებული იყოს წარმოდგენილი მტკიცებულებების გულდასმით შეფასებაზე და შეიცავდეს შესაბამის მიზეზებს იმ სერიოზული შედეგების გათვალისწინებით, რაც შეიძლება მოჰყვეს ასეთ გადაწყვეტილებებს (*Carmel Saliba v. Malta*, 2016, § 73)²⁴.

327. დაბოლოს, კონკრეტული საქმის გამონაკლის გარემოებებში სასამართლოს შეუძლია, გაითვალისწინოს ეროვნული სასამართლოს მიერ „ძალიან სწრაფი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა“ (*Adorisio and Others v. the Netherlands* (dec.), 2015).

2. მოქმედების სფერო

a. პრინციპები

328. ქმედითი უფლება: სამართალწარმოების მხარეებს უფლება აქვთ, წარმოადგინონ მოსაზრებები, რომლებიც მათ შესაბამისად მიაჩნიათ თავიანთ საქმესთან დაკავშირებით. ეს უფლება შეიძლება ჩაითვალოს ქმედითად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსაზრებები რეალურად იქნება „მოსმენილი“, ანუ სათანადოდ განხილული სასამართლოს მიერ (*Donadze v. Georgia*, 2006, § 35). სხვა სიტყვებით, „სასამართლო“ ვალდებულია, სათანადოდ ჩაატაროს მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალების, არგუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება (ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მომჩივნისთვის, იხილეთ *Göç v. Turkey* [GC],

24. ასევე იხილეთ განყოფილება „მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი (სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი განხილვა) მუხლი 6§1 (...)“.

2002, § 57; *Perez v. France* [GC], 2004, § 80; *Kraska v. Switzerland*, 1993, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, 1994, § 59). იმისათვის, რომ ამ მუხლით გარანტირებული უფლება იყოს ქმედითი, ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს „გულმოდგინება“; მომჩივნისთვის, რომელიც არ არის წარმოდგენილი ადვოკატის მიერ, იხილეთ *Kerojärvi v. Finland*, 1995, § 42; *Fretté v. France*, 2002, § 49).

329. მომჩივანი მხარის საქმის წარმოებაში სათანადო მონაწილეობა მოითხოვს სასამართლოსგან, საკუთარი ინიციატივით გადასცეს მის ხელთ არსებული დოკუმენტები. ამიტომ, არსებითი არ არის, რომ მომჩივანი არ უჩიოდა შესაბამისი დოკუმენტების მიუღებლობას და არ გამოუჩენია ინიციატივა საქმის მასალებზე წვდომისათვის (*Kerojärvi v. Finland*, 1995, § 42). თავად აპელანტის შესაძლებლობა, შეისწავლოს საქმის მასალები და მიიღოს მისი ასლი, არ არის საკმარისი გარანტია (*Göç v. Turkey* [GC], 2002, § 57). გარდა ამისა, მომჩივანს უნდა მიეცეს საჭირო დრო, რათა ეროვნულ სასამართლოს წარუდგინოს დამატებითი არგუმენტები და მტკიცებულებები (იხ., მაგალითად, *Adorisio and Others v. the Netherlands* (dec.), 2015, გასაჩივრების ხანმოკლე ვადასთან დაკავშირებით).

330. მხარეებს შორის „სამართლიან ბალანსთან“ (შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული პროცედურა და მხარეთა თანასწორობა), სასამართლოში დავის მონაწილე მხარეთა ყოფნასთან (*Zayidov v. Azerbaijan (no. 2)*, 2022, § 87) და ეროვნული იურიდიული სამსახურის დამოუკიდებელი წევრის (სამთავრობო კომისარი, გენერალური პროკურორი, პროკურორი, მომხსენებელი და ა.შ.) მონაწილეობასთან, იხილეთ *Kramareva v. Russia*, 2022, §§ 31-34 და 38 და მომდევნო (პროკურორთან დაკავშირებით).

331. ადმინისტრაციულ ორგანოზე დაკისრებული ვალდებულება: მომჩივანს უნდა ჰქონდეს წვდომა ადმინისტრაციული ორგანოების მფლობელობაში არსებულ შესაბამის დოკუმენტებზე, საჭიროების შემთხვევაში, დოკუმენტის გამჟღავნების პროცედურის მეშვეობით (*McGinley and Egan v. the United Kingdom*, 1998, §§ 86 and 90). თუ მოპასუხე სახელმწიფომ, საპატიო მიზეზის გარეშე, ხელი შეუშალა მომჩივნებისთვის წვდომას მის ხელთ არსებულ დოკუმენტებზე, რომლებიც დაეხმარებოდა მათ თავიანთი საქმის დაცვაში, ან უარყო მათი არსებობა, ეს გამოიწვევდა საქმის სამართლიანი განხილვის უარყოფას, რაც არღვევს მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს (*იქვე*).

332. სამართალწარმოების შეფასება მთლიანობაში: სამართლიანია თუ არა სამართალწარმოება, განისაზღვრება მისი მთლიანობაში განხილვით (*Centro Europa 7 S.r.l. and Di Stefano v. Italy* [GC], 2012, § 197; *Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, §§ 151 და 161; *Ankerl v. Switzerland*, 1996, § 38).

333. თუმცა, ნებისმიერი ხარვეზი სამართალწარმოების სამართლიანობაში, გარკვეულ პირობებში, შეიძლება აღმოიფხვრას შემდგომ ეტაპზე, ან იმავე დონეზე (*Helle v. Finland*, 1997, §§ 46 and 54), ან ზემდგომი სასამართლოს მიერ (*Schuler-Zraggen v. Switzerland*, 1993, § 52; შეუპირისპირეთ *Albert and Le Compte v. Belgium*, 1983, § 36; *Feldbrugge v. the Netherlands*, 1986, §§ 45-46).

334. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ხარვეზი არის უმაღლესი სასამართლო ორგანოს დონეზე – მაგალითად, ამ ორგანოსთვის წარდგენილ მოსაზრებებზე რეაგირების შეუძლებლობის გამო – ადგილი აქვს საქმის სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევას (*Ruiz-Mateos v. Spain*, 1993, §§ 65-67).

335. პროცედურული ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადავო გადაწყვეტილება ექვემდებარება განხილვას დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ, რომელსაც აქვს სრული იურისდიქცია და თავად უზრუნველყოფს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებულ გარანტიებს. მნიშვნელოვანია სააპელაციო

სასამართლოს საქმის განხილვის უფლებამოსილების ფარგლები, რომელიც განიხილება საქმის გარემოებების გათვალისწინებით (*Obermeier v. Austria*, 1990, § 70).²⁵

336. წინა გადაწყვეტილებები, რომლებიც არ იძლევა საქმის სამართლიანი განხილვის გარანტიას: ასეთ საქმეებში საკითხი არ წამოიჭრება, ჰქონდა თუ არა მომჩივანს სამართლებრივი დაცვის საშუალება დამოუკიდებელ მართლმსაჯულების ორგანოში, რომელსაც ჰქონდა სრული იურისდიქცია და თავად უზრუნველყოფდა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით მოთხოვნილ გარანტიებს (*Oerlemans v. the Netherlands*, 1991, §§ 53-58; *British-American Tobacco Company Ltd v. the Netherlands*, 1995, § 78). მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც საკმარის გარანტიებს გვთავაზობს (*Air Canada v. the United Kingdom*, 1995, § 62).

337. სისხლის სამართლის საქმის წარმოების წარმართვას ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს პოტენციური გავლენა „სამოქალაქო“ დავის გადაწყვეტის სამართლიანობაზე. კერძოდ, კონკრეტულმა სამოქალაქო მხარის ან სამოქალაქო უფლებების საკითხმა, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის გამოძიების პროცედურებთან, შეიძლება წამოჭრას საქმის სამართლიანი განხილვის საკითხი, თუ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ამ წინასწარ ეტაპზე სამოქალაქო უფლებები შეუქცევადად შელახულია შემდგომი სამოქალაქო დავის მიზნებისათვის (გამოყენებადი პრინციპები იხილეთ საქმეში *Mihail Mihăilescu v. Romania*, 2021, §§ 74-89, *res judicata* საკითხის ჩათვლით, და დაცვის აუცილებელი დონე, § 90, და ასევე *Victor Laurențiu Marin v. Romania*, 2021, §§ 144-150, და *Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [GC], 2019).

338. სააპელაციო სასამართლოს წინაშე: მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, შექმნან სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოები, მაგრამ, სადაც ასეთი სასამართლოები არსებობს, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ კანონის დაქვემდებარებაში მყოფმა დავის მონაწილე მხარეებმა ისარგებლონ ამ სასამართლოებში მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი გარანტიებით (*Andrejeva v. Latvia* [GC], 2009, § 97). თუმცა, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენება სააპელაციო სასამართლოებში საქმისწარმოებისას დამოკიდებულია შესაბამისი წარმოების სპეციფიკაზე; მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმისწარმოების სრული მოცულობა შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემაში და როლი, რომელსაც ასრულებს სააპელაციო სასამართლო (*Helmets v. Sweden*, 1991, § 31) ან საკასაციო სასამართლო (*K.D.B. v. the Netherlands*, 1998, § 41; *Levages Prestations Services v. France*, 1996, §§ 44-45).

339. საკასაციო სასამართლოს როლის განსაკუთრებული ხასიათის გათვალისწინებით, რომელიც შემოიფარგლება კანონის სწორი გამოყენების შემოწმებით, გამოყენებული პროცედურა შეიძლება იყოს უფრო ფორმალური (*იხე*, § 48). ამასთან, საკასაციო საჩივრის უარყოფა, კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის არსებითი განხილვის გარეშე, უნდა მისდევდეს „ლეგიტიმურ მიზანს“ პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობის ფარგლებში (*Oorzhak v. Russia*, 2021, §§ 20-22). მოთხოვნა, რომ საკასაციო სასამართლოში სპეციალისტი ადვოკატის მიერ იქნე წარმოდგენილი, თავის თავად, არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლს (*Bąkowska v. Poland*, 2010, § 45; *G.L. and S.L. v. France* (dec.); *Tabor v. Poland*, § 42).

340. შეზღუდვები: როგორც წესი, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა შეაფასონ ფაქტები: სასამართლოს როლი არ არის, რომ ჩაანაცვლოს ფაქტების საკუთარი შეფასება ეროვნული

25. ასევე იხილეთ განყოფილება „სრული იურისდიქციის მქონე სასამართლოს მიერ განხილვა“.

სასამართლოების შეფასებით (*Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 1993, § 31).²⁶ გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტებს მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვთ, რომლებიც მათ შესაბამისად მიაჩნიათ თავიანთ საქმესთან დაკავშირებით, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ იძლევა დავის მონაწილე მხარისთვის ხელსაყრელი შედეგის გარანტიას (*Andronicou and Constantinou v. Cyprus*, 1997, § 201). გარდა ამისა, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ მიდის იქამდე, რომ სასამართლოებს მოსთხოვოს, თავიანთი გადაწყვეტილების ტექსტში მიუთითონ მათი გასაჩივრების დეტალური პროცედურა და ვადები (*Avotiņš v. Latvia* [GC], 2016, § 123).

341. სასამართლომ შეიძლება დაადგინოს, რომ მომჩივანმა, მისი უმოქმედობისა და გულმოდგინების ნაკლებობის შედეგად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმ სიტუაციაში, რომელსაც ის უჩივის და რომლის თავიდან აცილებაც მას შეეძლო (*Avotiņš v. Latvia* [GC], 2016, §§ 123-24; *Barik Edidi v. Spain* (dec.), 2016, § 45; და შეუპირისპირეთ *Zavodnik v. Slovenia*, 2015, §§ 79-80). სამართალწარმოების დროს დაშვებული შეცდომები დიდწილად და ობიექტურად შეიძლება მიეწეროს ფიზიკურ პირს (*Zubac v. Croatia* [GC], 2018, §§ 90 და 121, და ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით ამ პრინციპის გამოყენებისთვის იხილეთ *Tabak v. Croatia*, 2022, §§ 69 and 80). თუმცა, უფრო პრობლემურია სიტუაციები, სადაც პროცედურული შეცდომები დაშვებულია როგორც ფიზიკური პირის, ისე შესაბამისი ორგანოების, კერძოდ, სასამართლოს (სასამართლოების) მიერ (იხილეთ *Zubac v. Croatia* [GC], 2018, §§ 91-95 and 114-121).

342. სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეები ვალდებული არიან, გამოიჩინონ საჭირო გულმოდგინება მათ საქმესთან დაკავშირებული სამართალწარმოების მიმართ (*Bąkowska v. Poland*, 2010, § 54). შეფასებისას, გამოყენებული იქნა თუ არა „აუცილებელი გულმოდგინება“ შესაბამის სამართალწარმოებაში, უნდა დადგინდეს, იყო თუ არა მომჩივანი წარმოდგენილი სამართალწარმოების დროს. მართლაც, „პროცედურული უფლებები, როგორც წესი, პროცედურულ ვალდებულებებთან ერთადაა“ (*Zubac v. Croatia* [GC], 2018, §§ 89 და 93). ეს ასევე ეხება პატიმრებს, ვინაიდან „გულმოდგინების ცნება, რომელიც ჩვეულებრივ მოეთხოვება მხარეს სამოქალაქო სამართალწარმოებაში“ არის საკითხი, რომელიც უნდა შეფასდეს პატიმრობის კონტექსტში (შდრ. *Parol v. Poland*, 2018, §§ 42-48, კერძოდ, § 47, და *Kunert v. Poland*, 2019, §§ 34-37, პატიმრებთან დაკავშირებით, რომლებსაც არ ჰყავდათ ადვოკატი).

343. გარეგნულობის თეორია: სასამართლომ ხაზი გაუსვა მართლმსაჯულების განხორციელებისას გამოჩენის მნიშვნელობას; მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ საქმისწარმოების სამართლიანობა აშკარა იყოს. თუმცა, სასამართლომ ასევე ცხადყო, რომ შესაბამისი პირების პოზიცია თავისთავად არ არის გადამწყვეტი; გარდა ამისა, სასამართლოში მყოფი პირების შიში სამართალწარმოების სამართლიანობის შესახებ უნდა იყოს ობიექტურად გამართლებული (*Kraska v. Switzerland*, 1993, § 32). ამიტომ, აუცილებელია შესწავლა, თუ როგორ მოიქცნენ სასამართლოები ამ საქმეში.

344. უზენაესი სასამართლოების მიერ განხილულ სხვა საქმეებში სასამართლომ აღნიშნა, რომ საზოგადოების მომატებული მგრძობელობა მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელების მიმართ ამართლებს გარეგნულობისადმი მინიჭებული მზარდ მნიშვნელობას (*Kress v. France* [GC], 2001, § 82; *Martinie v. France* [GC], 2006, § 53; *Menchinskaya v. Russia*, 2009, § 32). ამ საქმეებში სასამართლომ მნიშვნელობა მიანიჭა გარეგნულ მხარეს (ასევე იხილეთ *Vermeulen v. Belgium*, 1996, § 34; *Lobo Machado v. Portugal*, 1996, § 32).

26. იხილეთ განყოფილება „მეოთხე ინსტანციის“ შესახებ.

345. სასამართლო პრაქტიკა: შიდასამართლებრივი მართლწესრიგის რეალობის გასათვალისწინებლად, სასამართლო ყოველთვის გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა სასამართლო პრაქტიკას მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თავსებადობის განხილვისას (*Kerojärvi v. Finland*, 1995, § 42; *Gorou v. Greece (no. 2)* [GC], 2009, § 32). მართლაც, საქმის ზოგადი ფაქტობრივი და სამართლებრივი ფონი მხედველობიდან არ უნდა დარჩეს იმის შეფასებისას, ჰქონდათ თუ არა დავის მონაწილე მხარეებს საქმის სამართლიანი განხილვა (*Stankiewicz v. Poland*, 2006, § 70).

346. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს არ შეუძლიათ, უარი თქვან სასამართლოების მხრიდან ეფექტურ კონტროლზე, ეროვნული უშიშროების ან ტერორიზმის მოტივით²⁷: არსებობს მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს და რომლებიც ითვალისწინებს როგორც უსაფრთხოების ლეგიტიმურ მოსაზრებებს, ასევე ფიზიკური პირის პროცედურულ უფლებებს (*Dağtekin and Others v. Turkey*, 2007, § 34). საგანგებო მდგომარეობის დროს კონვენციის მე-15 მუხლის დებულებებიდან გადახრის შემთხვევისთვის იხილეთ საქმე *Pişkin v. Turkey*, 2020, § 153.

347. სასამართლომ შეიმუშავა პრეცედენტული სამართალი სამოქალაქო სამართალწარმოებაზე მედიის გავლენის ბრალდებების შესახებ (*Čivinskaitė v. Lithuania*, 2020, § 122 and §§ 137-139, ან საპარლამენტო გამოძიების შესახებ ანგარიშში გაკეთებული კომენტარები (§§ 124 და მომდევნო) ან სახელმწიფოს წარმომადგენლებისა და მაღალი რანგის პოლიტიკოსების საჯარო განცხადებები (§§ 133 და მომდევნო).

348. სამართალწარმოების შედეგისგან დამოუკიდებელი პრინციპი: მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის პროცედურული გარანტიები ვრცელდება ყველა მხარეზე და არა მხოლოდ მათზე, ვინც ვერ მოიგო თავისი საქმე ეროვნულ სასამართლოებში (*Philis v. Greece (no. 2)*, 1997, § 45).

b. მაგალითები

349. პრეცედენტული სამართალი მოიცავს მრავალ სიტუაციას, მათ შორის:

350. *შეტყობინება სწორ მისამართზე, სამართალწარმოების არსებობის შესახებ*: მომჩივნებს უნდა მიეცეთ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ მათ წინააღმდეგ არსებულ სამართალწარმოებაში და დაიცვან თავიანთი ინტერესები. ამიტომ, ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა მათ აცნობონ მათთან დაკავშირებული სამართალწარმოების შესახებ (*Dilipak and Karakaya v. Turkey*, 2014, §§ 85-88, როდესაც საკმარისი ძალისხმევა არ განხორციელებულა მომჩივნების სწორი მისამართის დასადგენად და შემდგომში ისინი ვერ გამოცხადდნენ ახალ სხდომაზე, თუმცა მათ არ უთქვამთ უარი ამ უფლებაზე; *Bacaksız v. Turkey*, 2019, § 53, და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები).

351. *დაუსწრებლად ჩატარებული სამოქალაქო სამართალწარმოება/სტანდარტულად გამოტანილი სამოქალაქო გადაწყვეტილება*: ეყრდნობოდა რა თავის პრეცედენტულ სამართალს სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, სასამართლომ მოკლედ აღწერა ის პირობები, რომლებშიც ასეთი სიტუაცია შეესაბამებოდა მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს, საქმეში *Bacaksız v. Turkey*, 2019, §§ 56-57 და 60, მითითებებით, კერძოდ, საქმეზე *Dilipak and Karakaya v. Turkey*, 2014, §§ 78-80 (*Bacaksız-ის საქმეში*, წინა საქმეებისგან

27. იხილეთ *გზამკვლევი ტერორიზმის შესახებ*.

განსხვავებით, მომჩივანმა შემდგომში შეძლო გამოცხადებულიყო ახალ მოსმენაზე, §§ 62-65).

352. *იურიდიული დახმარების ნაკლებობა*: ამან შეიძლება გააჩინოს კითხვა, შეეძლო თუ არა სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოპასუხეს ეფექტური დაცვის წარმოდგენა (*McVicar v. the United Kingdom*, 2002, § 50; *Timofeyev and Postupkin v. Russia*, 2021, §§ 101-107).

353. *სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი მოსაზრებები, რომლებიც აშკარად მიზნად ისახავს მის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენას*: მხარეებს უნდა შეეძლოთ კომენტარის გაკეთება მოსაზრებებზე, მიუხედავად მათი ფაქტობრივი გავლენისა სასამართლოზე, და მაშინაც კი, თუ შენიშვნები არ წარმოადგენს რაიმე ფაქტს ან არგუმენტს, რომელიც უკვე არ ფიგურირებდა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლოს (*Nideröst-Huber v. Switzerland*, 1997, §§ 26-32) ან სტრასბურგის სასამართლოში მოპასუხე მთავრობის აზრით (*APEH Üldözötineik Szövetsége and Others v. Hungary*, 2000, § 42).

354. *წინასწარი საკითხები*: კონვენცია, როგორც ასეთი, არ ითვალისწინებს უფლებას, ერთმა ეროვნულმა სასამართლომ საქმე გადასცეს სხვა ეროვნული ორგანოს (მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს), წინასწარი გადაწყვეტილების გამოსატანად: *Xero Flor w Polsce sp. z o.o. v. Poland*, 2021, § 166) ან საერთაშორისო ორგანო (*Coëme and Others v. Belgium*, 2000, § 114; *Acar and Others v. Turkey* (dec.), 2017, § 43).

355. ამდენად, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ იძლევა აბსოლუტური უფლების გარანტიას, რომ ეროვნულმა სასამართლომ საქმე გადასცეს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU)²⁸ (*Dotta v. Italy* (dec.), 1999; *Herma v. Germany* (dec.), 2009). მომჩივანმა უნდა წარმოადგინოს ასეთი მოთხოვნის მკაფიო საფუძველი (*John v. Germany* (dec.), 2007; *Somorjai v. Hungary*, 2018, § 60). ეროვნული სასამართლოების მიერ ევროკავშირის კანონმდებლობის განმარტების მართებულობის შემოწმება სტრასბურგის სასამართლოს კომპეტენციის მიღმაა (§ 54).

356. როდესაც არსებობს წინასწარი მიმართვის მექანიზმი, ეროვნული სასამართლოს უარმა, ამგვარ მიმართვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, გარკვეულ გარემოებებში, შეიძლება ზიანი მიაყენოს სამართალწარმოების სამართლიანობას (*Ullens de Schooten and Rezabek v. Belgium*, 2011, §§ 57-67, with further references; *Canela Santiago v. Spain* (dec.), 2001). ეს ასეა, თუ უარი აღიარებულია თვითნებურად, ე.ი. თუ უარი არსებობს, თუმცა, მოქმედი წესები არ იძლევა რაიმე გამონაკლისს ან ალტერნატივას წინასწარი მითითების პრინციპთან, თუ უარი ეფუძნებოდა სხვა მიზეზებს, გარდა ამ წესებით გათვალისწინებულისა, ან, თუ უარი არ იყო სათანადოდ დასაბუთებული ამ წესების შესაბამისად (*Ullens de Schooten and Rezabek v. Belgium*, 2011, § 59).

357. სასამართლო განიხილავს, გამოიყურება თუ არა უარი თვითნებურად, ზემოაღნიშნული პრეცედენტული სამართლის გამოყენებით (*Canela Santiago v. Spain* (dec.), 2001). ეროვნული სასამართლოს უარის დასაბუთებასთან დაკავშირებით, გადასცეს საქმე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილების წინასწარი განჩინების მისაღებად, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება, გადაწყვეტილება საქმეზე *Ullens de Schooten and Rezabek v. Belgium*, 2011, რომელიც მითითებულია, მათ

28. იხილეთ თემატური სახელმძღვანელო *ევროკავშირის კანონმდებლობა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში* (მხოლოდ ფრანგულად; ინგლისური ვერსია ჯერ არ გამოსულა).

შორის, საქმეში *Somorjai v. Hungary*, 2018, §§ 57 და 62 (და ციტირებული მითითებები), აღნიშნავს შემდეგს²⁹:

- მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი მოითხოვს ეროვნული სასამართლოებისგან, დაასაბუთონ, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ნებისმიერი გადაწყვეტილება უარის შესახებ, რომ გადასცენ საკითხი წინასწარი გადაწყვეტილების გამოსატანად;
- როდესაც სტრასბურგის სასამართლო განიხილავს განცხადებას მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევის თაობაზე, მისი ამოცანაა, დაადგინოს, რომ სადავო უარს სათანადოდ ახლდა ასეთი დასაბუთება;
- მიუხედავად იმისა, რომ ეს შემოწმება უნდა განხორციელდეს გულდასმით, სასამართლომ არ უნდა განიხილოს რაიმე შეცდომა, რომელიც შეიძლება დაშვებული იყოს ეროვნული სასამართლოების მიერ შესაბამისი კანონის განმარტებისას ან გამოყენებისას (*Repcevirág Szövetkezet v. Hungary*, 2019, § 59) ;
- ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 234-ე მუხლის მესამე პუნქტის კონკრეტულ კონტექსტში (ახლანდელი 267-ე მუხლი), ევროკავშირის ეროვნული სასამართლოები, რომელთა გადაწყვეტილებების წინააღმდეგ არ არსებობს სამართლებრივი დაცვის საშუალება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით და რომლებიც უარს ამბობენ, მოითხოვონ წინასწარი გადაწყვეტილება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსგან მათ წინაშე არსებულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ევროკავშირის კანონმდებლობის განმარტებას, უნდა წარმოადგინონ ასეთი უარის მიზეზები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართლით გათვალისწინებული გამონაკლისების გათვალისწინებით, *Cilfit*-ის კრიტერიუმების შესაბამისად (*Somorjai v. Hungary*, 2018, §§ 39-41). ამიტომ, მათ უნდა დაასახელონ მიზეზები, რის გამოც გადაწყვიტეს, რომ ეს საკითხი არ არის შესაბამისი, რომ ევროკავშირის კანონმდებლობის ეს დებულება უკვე განიმარტა სასამართლოს მიერ, ან რომ ევროკავშირის კანონმდებლობის სწორი გამოყენება იმდენად აშკარაა, რომ ადგილს არ ტოვებს რაიმე საფუძვლიანი ეჭვისთვის.

358. ბოლო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი მიზეზები წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის საქმის არგადაცემის თაობაზე უნდა შეფასდეს საქმის გარემოებების და მთლიანობაში შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოების ფონზე (*Krikorian v. France* (dec.), 2013, § 99; *Harisch v. Germany*, 2019, § 42; *Repcevirág Szövetkezet v. Hungary*, 2019, § 59).

359. სასამართლომ მიიღო გამარტივებული დასაბუთება, სადაც არსებითად გასაჩივრებას არ ჰქონდა წარმატების პერსპექტივა, ამიტომ წინასწარი განჩინების გამოტანის მოთხოვნას გავლენა არ ექნებოდა საქმის შედეგზე (*Stichting Mothers of Srebrenica and Others v. the Netherlands* (dec.), 2013, §§ 173-174, და, *mutatis mutandis*, სისხლის სამართლის საქმეებში, *Baydar v. the Netherlands*, 2018, §§ 48-49), მაგალითად, როცა საჩივარი არ აკმაყოფილებდა მისაღებობის შიდა კრიტერიუმს (*Astikos Kai Paratheristikos Oikodomikos Synetairismos Axiomatikon and Karagiorgos v. Greece* (dec.), 2017, §§ 46-47). სასამართლო ასევე აღიარებს, რომ *in concreto*, წინასწარი განჩინების მოთხოვნაზე უარის თქმის მიზეზები, *Cilfit*-ის კრიტერიუმების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ შესაბამისი სასამართლოს დანარჩენი გადაწყვეტილების დასაბუთებიდან (*Krikorian v. France* (dec.), 2013, §§ 97-99;

29. იხილეთ თემატური სახელმძღვანელო *ევროკავშირის კანონმდებლობა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში* (მხოლოდ ფრანგულად; ინგლისური ვერსია ჯერ არ გამოსულა).

Harisch v. Germany, 2019, §§ 37-42; და *Ogieriakhi v. Ireland* (dec.), 2019, § 62), ან მოთხოვნაზე უარის თქმის გადაწყვეტილებაში გარკვეულწილად ნაგულისხმევი დასაბუთებიდან (*Repcevirág Szövetkezet v. Hungary*, 2019, §§ 57-58).

360. საქმეში *Dhahbi v. Italy*, 2014, §§ 32-34, სასამართლომ პირველად დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა ეროვნული სასამართლოს მიერ საქმის წინასწარი განჩინების მისაღებად სასამართლოსთვის გადაცემაზე უარის თქმის მიზეზის არარსებობის გამო. საკასაციო სასამართლოს არ მიუთითებია მომჩივნის მოთხოვნაზე, წინასწარი განჩინების გამოტანის შესახებ, ან იმ მიზეზებზე, რის გამოც მიიჩნია, რომ წამოჭრილი საკითხი არ იმსახურებდა გადაცემას ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის ან მითითებას ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე. მაშასადამე, სადავო გადაწყვეტილების დასაბუთებიდან არ ირკვევა, ჩაითვალა თუ არა ეს საკითხი შეუსაბამოდ ან დებულებასთან დაკავშირებულად, რომელიც ნათელია ან უკვე იქნა განმარტებული ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ, ან იქნა თუ არა ის უბრალოდ უგულებელყოფილი (ასევე იხილეთ *Schipani and Others v. Italy*, 2015, §§ 71-72). საქმეში *Sanofi Pasteur v. France*, 2020, §§ 74-79, სასამართლომ ასევე დაადგინა დარღვევა, საკმარისი დასაბუთების არარსებობის გამო, როდესაც საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეხებოდა მომჩივანი კომპანიის მოთხოვნას წინასწარი განჩინების გამოტანის თაობაზე, ფრაზით „წინასწარი განჩინების მისაღებად ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის საკითხის გადაცემის აუცილებლობის გარეშე“.

361. გარდა ამისა, თუ სამოქალაქო სამართალწარმოების მხარე წამოაყენებს კონკრეტულ, მნიშვნელოვან კონსტიტუციურ საკითხს, რომელიც ეხება საქმის გადაწყვეტას და ითხოვს მის გადაცემას საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, ეროვნულმა სასამართლომ უნდა წარმოადგინოს კონკრეტული მიზეზები, რომლებიც ასაბუთებს მის უარს საკითხის გადაცემის შესახებ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მან ჩაატარა საკითხის საფუძვლიანი შესწავლა (*Xero Flor w Polsce sp. z o.o. v. Poland*, 2021, §§ 171-172).

362. ცვლილებები ეროვნულ პრეცედენტულ სამართალში. სამართლებრივი განსაზღვრულობის მოთხოვნა და კანონიერი მოლოდინების დაცვა არ გულისხმობს უფლებას დამკვიდრებულ იურისპრუდენციაზე (*Unédic v. France*, 2008, § 74). პრეცედენტული სამართლის შემუშავება, თავის თავად, არ ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების სწორ განხორციელებას (*Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, § 116), რადგან დინამიკური და ევოლუციური მიდგომის შენარჩუნების წარუმატებლობამ შეიძლება შეაფერხოს რეფორმა ან გაუმჯობესება (*Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC], 2011, § 58; *Albu and Others v. Romania*, 2012, § 34). საქმეში *Atanasovski v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, 2010, § 38, სასამართლომ დაადგინა, რომ კარგად დამკვიდრებული იურისპრუდენციის არსებობა უზენაეს სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას, უფრო დეტალურად დაასაბუთოს მიზეზები, რომლებიც ამართლებს მის გადახრას პრეცედენტული სამართლისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ირღვევა პირის უფლება, მიიღოს სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილება. ზოგიერთ შემთხვევაში, შიდასახელმწიფოებრივ იურისპრუდენციაში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენს განხილვის მოლოდინში არსებულ სამოქალაქო საქმეებზე, შეიძლება არღვევდეს კონვენციას (*Petko Petkov v. Bulgaria*, 2013, §§ 32-34).

363. პრეცედენტული სამართლის განსხვავებები ეროვნულ სასამართლოებს შორის ან ერთი სასამართლოს ფარგლებში, თავის თავად, არ შეიძლება ჩაითვალოს კონვენციის საწინააღმდეგოდ (*Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC], 2011, § 51, and *Lupeni Greek*

Catholic Parish and Others v. Romania [GC], 2016, § 116).³⁰ თუმცა, სასამართლომ ხაზი გაუსვა მექანიზმების ჩამოყალიბების მნიშვნელობას სასამართლო პრაქტიკის თანმიმდევრულობისა და სასამართლოების პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად (*Svilengacánin and Others v. Serbia*, 2021, § 82). ხელშემკვრელი სახელმწიფოები პასუხისმგებელი არიან თავიანთი სამართლებრივი სისტემების ისე ორგანიზებაზე, რომ თავიდან აიცილონ ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები (*Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC], 2011, § 55). უზენაესი სასამართლოს როლი სწორედ ის არის, რომ გადაჭრას შესაძლო წინააღმდეგობები ან გაურკვევლობები, რომლებიც წარმოიქმნება განსხვავებული განმარტების შემცველი გადაწყვეტილებებიდან (*Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, § 123, და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები; და, მაგალითად, *Svilengacánin and Others v. Serbia*, 2021, § 81).

პრინციპში, სასამართლოს ფუნქცია არ არის ეროვნული სასამართლოების სხვადასხვა გადაწყვეტილების შედარება, მაშინაც კი, თუ ისინი ერთი შეხედვით მსგავს ან დაკავშირებულ სამართალწარმოებაშია მიღებული; მან პატივი უნდა სცეს ამ სასამართლოების დამოუკიდებლობას. მან აღნიშნა, რომ ორი დავისთვის განსხვავებული დამოკიდებულების მინიჭება არ შეიძლება ჩაითვალოს კონფლიქტური პრეცედენტული სამართლის მიზეზად, თუ ეს გამართლებულია განსახილველ ფაქტობრივ სიტუაციებში არსებული განსხვავებებით (*Ferreira Santos Pardal v. Portugal*, 2015, § 42, და *Hayati Çelebi and Others v. Turkey*, 2016, § 52).

- საქმე *Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC], 2011, ეხებოდა ორი ცალკეული, დამოუკიდებელი და იერარქიულად ერთმანეთთან დაუკავშირებელი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს. სასამართლომ, კერძოდ, დაადგინა, რომ სასამართლოსადმი ინდივიდუალური მიმართვა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც პრეცედენტული სამართლის კონფლიქტების განხილვის ან გადაწყვეტის საშუალება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, ან როგორც განხილვის მექანიზმი, რათა აღმოიფხვრას შეუსაბამობები სხვადასხვა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში. § 95).

- საქმე *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, ეხებოდა ღრმა და გრძელვადიან განსხვავებებს ერთი სასამართლოს – უზენაესი სასამართლოს – პრეცედენტულ სამართალში და პრეცედენტული სამართლის ჰარმონიზაციის უზრუნველყოფის მექანიზმის გამოუყენებლობას. სასამართლომ ხაზი გაუსვა ქვეყნის უმაღლეს სასამართლოში თანმიმდევრული პრაქტიკის უზრუნველყოფის მნიშვნელობას, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის შელახვის რისკი. ეს პრინციპი, რომელიც იგულისხმება კონვენციის ყველა მუხლში, არის კანონის უზენაესობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტი (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 238). წინააღმდეგობრივი სასამართლო გადაწყვეტილებების არსებობამ შეიძლება შექმნას სამართლებრივი განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება შეამციროს საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ, მაშინ, როცა ასეთი ნდობა, რა თქმა უნდა, კანონის უზენაესობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია (§ 116) *Sine Tsagarakis A.E.E. v. Greece*, 2019, §§ 51-59, უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს ორი სხვადასხვა განყოფილების მუდმივად განსხვავებულ პოზიციებთან დაკავშირებით, მიუხედავად პრეცედენტული სამართლის ჰარმონიზაციის მექანიზმის დამკვიდრებისა).

30. ასევე იხილეთ განყოფილება „შიდასახელმწიფოებრივი პრეცედენტული სამართლის თანმიმდევრულობა“.

364. *სასამართლოს ორ გადაწყვეტილებას შორის კონფლიქტის მტკიცებები: res judicata* პრინციპის დარღვევისთვის საკმარისი არ არის, გადაწყვეტილების საფუძველად არსებული მოტივები არათანმიმდევრული იყოს; ასევე აუცილებელია გაირკვეს, იყო თუ არა სასამართლოების მიერ განხილული საქმეები იდენტური, ანუ ერთსა და იმავე მხარეებს შორის და ერთსა და იმავე საგანთან დაკავშირებით, მაგრამ განსხვავებულად გადაწყდა (*Krivtsova v. Russia*, 2022, §§ 42-48).

365. *სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტება ეროვნული სასამართლოს მიერ*: საქმეში *Bochan v. Ukraine (no. 2)* [GC], 2015, მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო მომჩივანს უზრუნველყოფდა სამართლებრივი დაცვის საშუალებით, რომელიც იძლეოდა მისი სამოქალაქო საქმის სასამართლო განხილვის შესაძლებლობას უზენაესი სასამართლოს მიერ, სტრასბურგის სასამართლოს მიერ დარღვევის დადგენის ფონზე. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში „უხეშად დაამახინჯა“ მისი დასკვნები. ეს არ არის მხოლოდ სამართლებრივი ტექსტის განსხვავებული წაკითხვა, არამედ არასწორი განმარტება. ამიტომ, ეროვნული სასამართლოს დასაბუთება შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ „უხეშ თვითნებობად“ ან „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმად“, მე-6 მუხლის დარღვევით (*იქვე* [GC], §§ 63-65).

366. *კანონის ძალაში შესვლა, როდესაც საქმე, რომლის მონაწილე სახელმწიფოა, ჯერ კიდევ განხილვის მოლოდინშია*: სასამართლო განსაკუთრებით აცნობიერებს რეტროსპექტიული კანონმდებლობის გამოყენებისთვის თანდაყოლილ საფრთხეებს, რაც გავლენას ახდენს იმ დავის განხილვაზე, რომლის მონაწილე სახელმწიფო არის მხარე, მათ შორის, იმ შემთხვევებში, როდესაც შედეგი არის განხილვის მოლოდინში არსებული სასამართლო დავის წარუმატებლობა. ასეთი ზომების დასაბუთებლად მოყვანილი ნებისმიერი მიზეზი გულდასმით უნდა იქნეს განხილული (*National & Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society v. the United Kingdom*, 1997, § 112). პრინციპში, საკანონმდებლო ორგანოს არ აქვს უფლება, სამოქალაქო საქმეებში შეიტანოს ახალი რეტროსპექტიული დებულებები უფლებების დასარეგულირებლად, რომლებიც წამოიჭრება არსებული კანონების შესაბამისად. თუმცა, მე-6 მუხლი გამორიცხავს კანონმდებლის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაში დავის განხილვაზე გავლენის მოხდენის მიზნით ჩარევას – გარდა „საერთო ინტერესის დამაჯერებელი მიზეზებისა“ (*Zielinski, Pradal, Gonzalez and Others v. France* [GC], 1999, § 57; *Scordino v. Italy (no. 1)* [GC], 2006, § 126).

სასამართლომ დაადგინა დარღვევა, მაგალითად, შემდეგთან მიმართებით:

- საკანონმდებლო ორგანოს ჩარევა – იმ დროს, როდესაც სამართალწარმოება, რომლის მხარეც სახელმწიფო იყო, ცხრა წლის განმავლობაში იყო განხილვის მოლოდინში და მომჩივნებს ჰქონდათ საბოლოო, აღსრულებადი გადაწყვეტილება სახელმწიფოს წინააღმდეგ – რომ გავლენა მოეხდინა საქმის გარდაუვალ შედეგზე სახელმწიფოს სასარგებლოდ (*Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece*, 1994, §§ 49-50);
- კანონი, რომელსაც გადამწყვეტი გავლენა აქვს საქმის გარდაუვალ შედეგზე სახელმწიფოს სასარგებლოდ (*Zielinski, Pradal, Gonzalez and Others v. France* [GC], 1999, § 59);
- საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების გადამწყვეტ მომენტში კანონის მიღება, რომელიც პრაქტიკული მიზნებისთვის წყვეტდა არსებით საკითხებს და სასამართლო განხილვის გაგრძელებას უაზროს ხდიდა (*Papageorgiou v. Greece*, 1997);

- სააკველიციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ეფუძნება, თუნდაც სუბსიდიარულად, სამართალწარმოების მიმდინარეობისას მიღებულ კანონს და გავლენას ახდენს პროცესის შედეგზე (*Anagnostopoulos and Others v. Greece*, 2000, §§ 20-21);
- სახელმწიფოს მიმართვა რეტროსპექტიული კანონმდებლობისადმი, რომელიც გავლენას ახდენს განხილვის მოლოდინში არსებულ დავაზე, რომლის მხარეც სახელმწიფოა, იმის ჩვენების გარეშე, რომ ასეთი ქმედებისთვის არსებობს „საერთო ინტერესის კარგი მიზეზები“.- სასამართლომ, კერძოდ, მიუთითა, რომ მხოლოდ ფინანსური მოსაზრებები ვერ იქნებოდა საფუძველი იმისა, რომ საკანონმდებლო ორგანოს დაეკავებინა სასამართლოს ადგილი დავის გადასაწყვეტად (*Azienda Agricola Silverfunghi S.a.s. and Others v. Italy*, 2014, §§ 76 and 88-89).

თუმცა, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ შეიძლება განმარტებული იქნეს, როგორც ხელისუფლების მხრიდან განხილვის მოლოდინში არსებულ სამართალწარმოებაში რაიმე ჩარევის დაბრკოლება. სხვა საქმეებში სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მიერ მოყვანილი მოსაზრებები ეფუძნებოდა საჯარო ინტერესის დამაჯერებელ საფუძველებს, რომლებიც აუცილებელია კანონის უკუშეცდომით მოქმედების დასასაბუთებლად (*National & Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society v. the United Kingdom*, 1997, § 112; *Forrer-Niedenthal v. Germany*, 2003, § 64; *OGIS-Institut Stanislas, OGEC Saint-Pie X and Blanche de Castille and Others v. France*, 2004, §§ 71-72; *EEG-Slachthuis Verbist Izegem v. Belgium* (dec.), 2005; *Hôpital local Saint-Pierre d'Oléron and Others v. France*, 2018, §§ 72-73).

367. ეს პრეცედენტული სამართალი ასევე ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც სახელმწიფო, თუმცა არ არის მხარე, იურიდიულ ძალას ართმევს სამართალწარმოებას მისი საკანონმდებლო უფლებამოსილების მეშვეობით (*Ducret v. France*, 2007, §§ 33-42).

368. სხვა სახის საკანონმდებლო ჩარევა:

- კანონები შეიძლება ამოქმედდეს სამართალწარმოების დაწყებამდე (*Organisation nationale des syndicats d'infirmiers libéraux (ONSIL) v. France* (dec.), 2000) – შეადარეთ საქმეს *Azzopardi and Others v. Malta* (dec.), 2019, § 44) – ან მისი დასრულების შემდეგ (*Preda and Dardari v. Italy* (dec.), 1999), მე-6 მუხლის მიხედვით საკითხის წამოჭრის გარეშე.
- ზოგადი კანონმდებლობის ამოქმედება შეიძლება არახელსაყრელი აღმოჩნდეს დავის მონაწილე მხარეებისთვის, რადგან არ არის მიზანმიმართული განხილვის მოლოდინში არსებულ სამართალწარმოებაზე და, შესაბამისად, კანონის უზენაესობას უვლის გვერდს (*Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*, 2004, § 72).
- რეტროსპექტიული ეფექტის მქონე კანონი შეიძლება ამოქმედდეს სასამართლოს საპილოტე გადაწყვეტილების შემდეგ, სისტემური პრობლემის გადასაჭრელად და, შესაბამისად, საჯარო ინტერესის მკაფიო და დამაჯერებელი გამართლების პასუხად (*Beshiri and Others v. Albania* (dec.), 2020, მრავალი საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ხანგრძლივ შეუსრულებლობასთან დაკავშირებით).-
- კანონი შეიძლება გამოცხადდეს არაკონსტიტუციურად, სანამ სამართალწარმოება განხილვის მოლოდინშია, ამ სამართალწარმოებაზე გავლენის მოხდენის განზრახვის გარეშე (*Dolca and Others v. Romania* (dec.), 2012).

369. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო ინტერესის ზემოაღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით, რომლებიც გასათვალისწინებელია საკანონმდებლო ჩარევის გამართლების

განხილვისას, სასამართლომ დააკონკრეტა, რომ გარემოს დაცვა არის საერთო ინტერესის საკითხი (*Dimopoulos v. Turkey*, 2019, §§ 39-40).

370. „ეროვნული იურიდიული სამსახურის დამოუკიდებელი წევრის“ დასკვნებზე უზენაესი სასამართლოს წინაშე არსებული დავის მონაწილე მხარეთა ყურადღების მიქცევის წარუმატებლობა (პროკურატურის თანამშრომლები: *Vermeulen v. Belgium*, 1996; *Van Orshoven v. Belgium*, 1997; *K.D.B. v. the Netherlands*, 1998; მთავარი პროკურორი/გენერალური პროკურორი: *Göç v. Turkey* [GC], 2002; *Lobo Machado v. Portugal*, 1996; მთავრობის კომისარი: *Kress v. France* [GC], 2001; *Martinie v. France* [GC], 2006) და და ასეთ დასკვნებზე პასუხის გაცემის შეუძლებლობა: ბევრი მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ ეროვნული იურიდიული სამსახურის წევრების ეს კატეგორია არ იყო არც სამართალწარმოების მხარე, არც რომელიმე მხარის მოკავშირე ან მოწინააღმდეგე, მაგრამ სასამართლომ დაადგინა, რომ აუცილებელია გათვალისწინება იმ როლისა, რომელიც ფაქტობრივად ითამაშა სამართალწარმოებაში შესაბამისმა თანამდებობის პირმა და, კერძოდ, მისი მოსაზრებების შინაარსმა და შედეგებმა (*Kress v. France* [GC], 2001, § 71 *in fine*; *Yvon v. France*, 2003, § 33; *Vermeulen v. Belgium*, 1996, § 31). ეროვნული იურიდიული სამსახურის დამოუკიდებელი წევრის სამართალწარმოებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკის ზოგადი მიმოხილვისთვის, იხილეთ საქმე *Kramareva v. Russia*, 2022, §§ 31-34, ხოლო პროკურორის მიმართ პრეცედენტული სამართლის გამოყენებისთვის იხილეთ §§ 38 და მომდევნო.

371. სასამართლომ ხაზი გაუსვა შეჯიბრებითი პროცესის მნიშვნელობას იმ შემთხვევებში, როდესაც სამოქალაქო საქმეში ეროვნული იურიდიული სამსახურის დამოუკიდებელი წევრის მოსაზრებები არ იქნა შეტყობინებული მხარეებისთვის წინასწარ, რაც შეუძლებელს ხდის მათ რეაგირებას (*ibid.*, § 76; *Göç v. Turkey* [GC], 2002, §§ 55-56; *Lobo Machado v. Portugal*, 1996, § 31; *Van Orshoven v. Belgium*, 1996, § 41; *Immeubles Groupe Kosser v. France*, 2002, § 26).

372. ეროვნული იურიდიული სამსახურის ამ წევრების მონაწილეობა და თუნდაც უბრალო ყოფნა თათბირებზე, იქნება ეს „აქტიური“ თუ „პასიური“, მას შემდეგ, რაც მათ საჯაროდ გამოთქვეს თავიანთი აზრი ამ საქმეზე (*Kress v. France* [GC], 2001, § 87; *Van Orshoven v. Belgium*, 1996, § 34; *Lobo Machado v. Portugal*, 1996, § 32). ეს პრეცედენტული სამართალი დიდწილად ეფუძნება გარეგნობის თეორიას (*Martinie v. France* [GC], 2006, § 53).

373. აქედან გამომდინარე, აუცილებელია განხილული იქნეს ის პირობები, რომლებშიც მიმდინარეობდა სამართალწარმოება, კერძოდ, იყო თუ არა სამართალწარმოება შეჯიბრებითი და შეესაბამებოდა თუ არა მხარეთა თანასწორობის პრინციპს (შდრ. *Kress v. France* [GC], 2001, § 76, და *Göç v. Turkey* [GC], 2002, §§ 55-57; ასევე იხილეთ *Marc-Antoine v. France* (dec.), 2013), რათა დადგინდეს, იყო თუ არა ეს ვითარება განპირობებული დავის მონაწილე მხარის ქცევით თუ ხელისუფლების ორგანოების დამოკიდებულებით ან მოქმედი კანონმდებლობით (*Fretté v. France*, 2002, §§ 49-51).

ევროგაერთიანების/ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე არსებული პროცედურისთვის: *Coöperatieve Producentenorganisatie van de Nederlandse Kokkelvisserij U.A. v. Netherlands* (dec.), 2009.³¹

31. იხილეთ თემატური სახელმძღვანელო *ევროკავშირის კანონმდებლობა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში* (მხოლოდ ფრანგულად; ინგლისური ვერსია ჯერ არ გამოსულა).

374. შეზღუდვები:

- მხარეთა თანასწორობა არ გულისხმობს მხარის უფლებას, მისთვის მოსმენამდე იქნეს გამჟღავნებული მასალები, რომლებიც არ იყო გამჟღავნებული სამართალწარმოების მეორე მხარისთვის, მომხსენებელი მოსამართლისთვის ან სასამართლო სხდომის კოლეგიისთვის (*Kress v. France* [GC], 2001, § 73).
- აზრი არ აქვს უფლების აღიარებას, რომელსაც არ აქვს რეალური ფარგლები ან შინაარსი: ასე იქნებოდა, თუ უფლება, რომელსაც ეყრდნობა კონვენცია, არ იმოქმედებდა საქმის შედეგზე, რადგან მიღებული სამართლებრივი გადაწყვეტილება იურიდიულად უდავო იყო (*Stepinska v. France*, 2004, § 18).
- რაც შეეხება სიტუაციებს, როდესაც მომჩივანი – რომელიც იყო შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოების მხარე – ჩიოდა, რომ არ მიუღია მოსამართლისთვის გაგზავნილი მტკიცებულებების ან მოსაზრებების ასლი, ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლომ გამოიყენა მისაღებობის ახალი კრიტერიუმი „მნიშვნელოვნად არახელსაყრელი მდგომარეობისა“ (კონვენციის 35-ე მუხლის მე-3(b) პუნქტი), რომელიც შემოღებული იქნა 2010 წელს. ამ კრიტერიუმის თანახმად, უფლების დარღვევამ, რაც არ უნდა რეალური იყოს წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, უნდა მიაღწიოს სიმძიმის მინიმალურ დონეს, რათა სასამართლოს მიერ განხილვის ღირსი გახდეს, პრინციპის *de minimis non curat praetor* შესაბამისად. ამ კონტექსტში, მომჩივნებისთვის წარმოდგენილი მტკიცებულებების ან წარმოდგენილი მოსაზრებების ასლების მიწოდების შესახებ საჩივრები სასამართლომ მიუღებლად ცნო, მნიშვნელოვნად არახელსაყრელი მდგომარეობის არარსებობის გამო (*Holub v. the Czech Republic* (dec), 2010; *Liga Portuguesa de Futebol Profissional v. Portugal* (dec.), 2012, §§ 36-40; *Kılıç and Others v. Turkey* (dec.), 2013; და შდრ. *Colloredo Mannsfeld v. the Czech Republic*, 2016, §§ 33-34). ეს მიდგომა გამოიყენებოდა, მაგალითად, იმ შემთხვევებში, როდესაც განსახილველი დოკუმენტი არ შეიცავდა რაიმე ახალს მომჩივნისთვის და აშკარად არ ახდენდა გავლენას სასამართლოს გადაწყვეტილებაზე თავისი ხასიათით ან შინაარსით; ეს კიდევ უფრო აშკარაა, როდესაც თავად ეროვნულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მან არ გაითვალისწინა დოკუმენტი, რომელიც არ იყო გადაცემული მომჩივნისთვის (*Cavajda v. the Czech Republic* (dec.), 2011).
- ის ფაქტი, რომ მსგავს თვალსაზრისს სასამართლოში რამდენიმე მხარე ამტკიცებს, სულაც არ აყენებს მოწინააღმდეგე მხარეს საქმის წარმოდგენისას „მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში“ (*Yvon v. France*, 2003, § 32 *in fine*).

3. მეოთხე ინსტანცია

a. ზოგადი პრინციპები

375. სასამართლოში შეტანილი საჩივრების ერთ-ერთი განსაკუთრებული კატეგორია მოიცავს ე.წ. „მეოთხე ინსტანციის“ საჩივრებს. ეს ტერმინი – რომელსაც არ შეიცავს კონვენციის ტექსტი და დადგენილია კონვენციის ინსტიტუტების პრეცედენტული სამართლის მიერ (*De Tommaso v. Italy* [GC], 2017, § 170); *Kemmache v. France (no. 3)*, 1994, § 44) – , გარკვეულწილად პარადოქსულია, რადგან ის ხაზს უსვამს იმას, რაც სასამართლო არ არის: ეს არ არის სააპელაციო სასამართლო ან სასამართლო, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილების გაუქმება, რომელიც გამოიტანეს კონვენციის მხარე სახელმწიფოების სასამართლოებმა ან სასამართლო, რომელიც განიხილავს საქმეებს განმეორებით და არც

უზენაესი სასამართლოს მსგავსად შეუძლია საქმეების გადასინჯვა. ამრიგად, მეოთხე ინსტანციის გამოყენება არის გაუგებრობის შედეგი ორ დონეზე.

376. პირველი, მომჩივანთა მხრიდან ხშირად არის გავრცელებული გაუგებრობა სასამართლოს როლისა და კონვენციის საფუძველზე შექმნილი სასამართლო მექანიზმის ხასიათის შესახებ. სასამართლოს ამოცანა არ არის ეროვნული სასამართლოების ადგილის დაკავება; მისი მანდატი შემოიფარგლება ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებების შესაბამისობის შემოწმებით, რომლებიც მათ აიღეს კონვენციასთან შეერთებისას. გარდა ამისა, ხელშემკვრელი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემებში უშუალო ჩარევის უფლებამოსილების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლომ პატივი უნდა სცეს ამ სამართლებრივი სისტემების ავტონომიას. ეს ნიშნავს, რომ მისი ამოცანა არ არის სავარაუდოდ ეროვნული სასამართლოს მიერ დაშვებული ფაქტობრივი ან იურიდიული შეცდომების განხილვა, თუ და რამდენადაც ამ შეცდომებმა შეიძლება დაარღვიოს კონვენციით დაცული უფლებები და თავისუფლებები. მას არ შეუძლია, თავად შეაფასოს ის ფაქტები, რამაც აიძულა ეროვნული სასამართლო, მიეღო ერთი გადაწყვეტილება და არა მეორე. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, სასამართლო იმოქმედებდა როგორც მესამე ან მეოთხე ინსტანციის სასამართლო, რაც ნიშნავს მის ქმედებებზე დაწესებული შეზღუდვების უფლებელყოფას (*García Ruiz v. Spain* [GC], 1999, § 28; *Centro Europa 7 S.r.l. and Di Stefano v. Italy* [GC], 2012, § 197; *Avotiņš v. Latvia* [GC], 2016, § 99; *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, § 90; *De Tommaso v. Italy* [GC], 2017, §§ 170-72).

377. მეორე, ხშირად წარმოიქმნება გაუგებრობები კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის ტერმინის „სამართლიანი“ ზუსტ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით მოთხოვნილი „სამართლიანობა“ არ არის „მატერიალური“ სამართლიანობა, ცნება, რომელიც ნაწილობრივ სამართლებრივი და ნაწილობრივ ეთიკურია და შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ (იხილეთ *Balıktaş Bingöllü v. Turkey*, 2021, § 78). მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი უზრუნველყოფს მხოლოდ „პროცედურული“ სამართლიანობის გარანტიას, რაც პრაქტიკაში ნიშნავს შეჯიბრებით პროცესს, რომლის დროსაც მხარეთა მოსაზრებები ისმინება და ისინი სასამართლოს წინაშე თანაბარ პირობებში არიან (*Star Cate Epilekta Gevmata and Others v. Greece* (dec.), 2010). სამართალწარმოების სამართლიანობა ყოველთვის ფასდება მისი მთლიანობაში განხილვით, ამიტომ ერთი დარღვევა შეიძლება არ იყოს საკმარისი იმისათვის, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში უსამართლო გახდეს (*Miroļubovs and Others v. Latvia*, 2009, § 103).

378. გარდა ამისა, სასამართლო პატივს სცემს ევროპული სამართლებრივი და სასამართლო სისტემების მრავალფეროვნებას, ხოლო მისი სტანდარტიზაცია სასამართლოს ამოცანა არ არის. ისევე, როგორც მისი ამოცანა არ არის, განიხილოს ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების სიბრძნე, თუ არ არსებობს თვითნებობის მტკიცებულება (*Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC], 2011, §§ 68, 89 and 94).

b. სასამართლოს ზედამხედველობის მოქმედების სფერო და შეზღუდვები

379. შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობის განმარტება და შეფასება, პირველ რიგში, ეკისრება ეროვნულ ხელისუფლების ორგანოებს, კერძოდ, სასამართლოებს (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 186, და *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 251), ხოლო განსაზღვრა იმისა, იწვევს თუ არა ამ კანონის განმარტება და გამოყენება კონვენციის პრინციპებთან შესაბამის შედეგებს, საბოლოოდ ეკისრება სასამართლოს (იხილეთ, მაგალითად, *Scordino v. Italy (no. 1)* [GC],

2006, § 191) მისი უფლებამოსილების ფარგლებში, როგორც კონვენციის გამოყენებისა და განმარტების უმაღლესი ინსტანციისა (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 286) და მხარე სახელმწიფოებსა და სასამართლოს შორის სუბსიდიარობისა და „ერთობლივი პასუხისმგებლობის“ პრინციპის ძალით (§ 250). თავისი დამხმარე როლის გათვალისწინებით, სასამართლო არ განიხილავს კონსტიტუციური განმარტების საკითხებს და შემოიფარგლება კონვენციის განმარტებითა და გამოყენებით, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის 32-ე მუხლით, კანონის უზენაესობის ფონზე (*Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 341).

380. სასამართლო ყოველთვის ამბობდა, რომ ზოგადად მისი ამოცანა არ არის ეროვნული სასამართლოს მიერ სავარაუდოდ დაშვებული ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომების გამოკვლევა, თუ და რამდენადაც ასეთი შეცდომები აშკარაა და არღვევს კონვენციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს (*García Ruiz v. Spain* [GC], 1999, § 28; *Perez v. France* [GC], 2004, § 82; *De Tommaso v. Italy* [GC], 2017, § 170). იმავდროულად, სასამართლოს არ შეუძლია, ეჭვქვეშ დააყენოს ეროვნული ხელისუფლების ორგანოების დასკვნები სავარაუდო სამართლებრივ შეცდომებთან დაკავშირებით, თუ ისინი არ არის „თვითნებური ან აშკარად დაუსაბუთებელი“ (*Scordino v. Italy (no. 1)* [GC], 2006, § 191, და *Naït-Liman v. Switzerland* [GC], 2018, § 116), და დასძენს, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ შეფასების აშკარა შეცდომა შეიძლება ასევე გამოიწვიოს პრეცედენტული სამართლის არასწორმა გამოყენებამ ან არასწორმა განმარტებამ. მე-6 მუხლთან დაკავშირებით სასამართლოს ერთადერთი ამოცანაა, განიხილოს ბრალდებები იმის თაობაზე, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეასრულეს ამ მუხლით გათვალისწინებული „კონკრეტული პროცედურული გარანტიები“, ან რომ „სამართალწარმოება, მთლიანობაში, არ აძლევს მომჩივანს საქმის სამართლიანი განხილვის გარანტიას“ (*De Tommaso v. Italy* [GC], 2017, § 171).

381. ამის გათვალისწინებით, ძალზე იშვიათია, სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენოს ეროვნული სასამართლოების შეფასება მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, იმ მოტივით, რომ მათი დასკვნები შეიძლება ჩაითვალოს თვითნებურად ან აშკარად დაუსაბუთებლად.

ეს შემთხვევა იყო, მაგალითად, საქმეში *Dulaurans v. France*, 2000, § 38 (ასევე იხილეთ *Tel v. Turkey*, 2017, § 76), სადაც სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევა „გადაწყვეტილების აშკარა შეცდომის“ გამო – ანუ ეროვნული სასამართლოს ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომა, რომელიც იმდენად „ხილულია“, რომ შეიძლება შეფასდეს როგორც „აშკარა“ იმ გაგებით, რომ ვერც ერთი გონივრული სასამართლო ვერ დაუშვებდა მას, როგორც ხაზგასმულია საქმეში *Bochan v. Ukraine (no. 2)* [GC], 2015, § 61; საქმეში *Khamidov v. Russia*, 2007, § 170, როდესაც სამართალწარმოება იყო „უხეზად თვითნებური“; საქმეში *Andelković v. Serbia*, 2013, § 24, და საქმეში *Lazarević v. Bosnia and Herzegovina*, 2020, § 32, სადაც იყო „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარი“; საქმეში *Bochan v. Ukraine (no. 2)* [GC], 2015, სადაც ეროვნული სასამართლოს მსჯელობა განიხილებოდა, როგორც „უხეში თვითნებობა“ ან „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარი“; იხილეთ §§ 63–65 და ზემოთ ციტირებული საქმეები და საქმე *Balıklar Bingöllü v. Turkey*, 2021, §§ 77–78 (და შეადარეთ, მაგალითად, *Balıklar Bingöllü v. Turkey*, 2021, § 82, და *Société anonyme d'habitations à loyers modérés Terre et Famille v. France* (dec.), 2004). საქმეში *Baljak and Others v. Croatia*, 2021, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოების დასკვნები იყო „აშკარად დაუსაბუთებელი“ და მიუთითებდა, კერძოდ, მის პრეცედენტულ სამართალზე კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად და იმ ფაქტზე, რომ სასამართლოებმა მომჩივნებს დაუწესეს მტკიცების მიუღწეველი სტანდარტი (§ 41).

ანალოგიურად, საქმეში *Carmel Saliba v. Malta*, 2016, სასამართლომ მიუღებლად მიიჩნია მომჩივნის წინააღმდეგ გადაწყვეტილების გამოტანა სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ყოველგვარი დამაჯერებელი მიზეზების გარეშე, არათანმიმდევრული და ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებების საფუძველზე, მომჩივნის კონტრარგუმენტების უგულებელყოფით (§ 79).

დაბოლოს, წინამდებარე კონტექსტში, სასამართლო კოორდინაციისა და გულმოდგინების ნაკლებობას შეეძლო უდავო გავლენა მოეხდინა მომჩივნის ბედზე (*Tel v. Turkey*, 2017, § 67).

დასკვნის სახით, „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარს“ ექნება ადგილი, თუ არ არის მოყვანილი მიზეზები ან თუ მოყვანილი მიზეზები ეფუძნება ეროვნული სასამართლოს მიერ დაშვებულ ფაქტობრივ ან სამართლებრივ „აშკარა“ შეცდომას (*Ballıktaş Bingöllü v. Turkey*, 2021, § 77, მითითება საქმეზე *Moreira Ferreira v. Portugal (no. 2)* [GC], 2017, § 85, სისხლის სამართლის სფეროში).

382. უბრუნდება რა პრინციპს, სასამართლოს, როგორც წესი, არ შეუძლია ეროვნული სასამართლოების შედეგებისა და დასკვნების ეჭვქვეშ დაყენება:

- საქმის ფაქტების დადგენა: როგორც წესი, ფაქტების შეფასება მიეკუთვნება ეროვნული სასამართლოების კომპეტენციას (*Van de Hurk v. the Netherlands*, 1994, § 61); სასამართლოს არ შეუძლია, სადავო გახადოს ეროვნული სასამართლოების დასკვნები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი არ არის უხეში და აშკარად თვითნებური (*García Ruiz v. Spain* [GC], 1999, §§ 28-29; *Radomilja and Others v. Croatia* [GC], 2018, § 150).
- შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განმარტება და გამოყენება: შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განმარტების პრობლემების გადაჭრა, უპირველეს ყოვლისა, ეკისრება ეროვნულ სასამართლოებს (*Perez v. France* [GC], 2004, § 82) და არა სტრასბურგის სასამართლოს, რომლის როლი არის, შეამოწმოს კონვენციასთან ამგვარი განმარტების შედეგების თავსებადობა (*Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC], 2011, § 49). გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოებმა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა განმარტეს თვითნებურად ან აშკარად დაუსაბუთებლად (*Barac and Others v. Montenegro*, 2011, §§ 32-34, დამატებითი მითითებებით; *Andelković v. Serbia*, 2013, §§ 24-27 (მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარი); *Laskowska v. Poland*, 2007, § 61, და ზემოთ ციტირებული საქმეები), ხოლო ეს პრინციპი ასევე გამოიყენება კონვენციის სხვა დებულებების შესაბამისად (*S., v. and A. v. Denmark* [GC], 2012, § 148 და ციტირებული მითითება; *Fabris v. France* [GC], 2013, § 60; ან *Anheuser-Busch Inc. v. Portugal* [GC], 2007, §§ 85-86; ასევე იხილეთ *Kushoglu v. Bulgaria*, 2007, § 50; *Işyar v. Bulgaria*, 2008, § 48).
- სასამართლო ასევე არ არის კომპეტენტური, მიიღოს ოფიციალური გადაწყვეტილებები სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ან ევროკავშირის კანონებთან შესაბამისობის შესახებ (თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეასრულონ თავიანთი საერთაშორისო ვალდებულებები: *Grzęda v. Poland* [GC], 2022, § 340). ევროკავშირის კანონმდებლობის დებულებების განმარტებისა და გამოყენების ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, ეკისრება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს.³² ადამიანის უფლებათა

32. იხილეთ თემატური სახელმძღვანელო *ევროკავშირის კანონმდებლობა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში* (მხოლოდ ფრანგულად; ინგლისური ვერსია ჯერ არ გამოსულა).

ევროპული სასამართლოს იურისდიქცია შემოიფარგლება კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებით, მაგალითად, მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან. შესაბამისად, თვითნებობის არარსებობის შემთხვევაში, რომელიც თავისთავად წამოჭრის საკითხს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, სასამართლომ არ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, სწორად გამოიყენა თუ არა ეროვნულმა სასამართლომ ევროკავშირის კანონმდებლობის დებულება (*Avotiņš v. Latvia* [GC], 2016, § 100), ზოგადი საერთაშორისო სამართალი ან საერთაშორისო შეთანხმებები (*Waite and Kennedy v. Germany* [GC], 1999, § 54; *Markovic and Others v. Italy* [GC], 2006, §§ 107-108). თუმცა, ეროვნული სასამართლოების პრეცედენტულ სამართალში არსებული განსხვავებები ქმნის სამართლებრივ გაურკვევლობას, რომელიც არ შეესაბამება კანონის უზენაესობის მოთხოვნებს (*mutatis mutandis*, *Molla Sali v. Greece* [GC], 2018, § 153).

- მტკიცებულების მისაღება და შეფასება:³³ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები ვრცელდება მხოლოდ საპროცესო დონეზე მტკიცებულებათა ადმინისტრირებაზე. მტკიცებულებათა მისაღება ან თუ როგორ უნდა შეფასდეს ისინი არსებითად, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული სასამართლოების საქმეა, რომელთა ამოცანაა, მათთვის წარდგენილი მტკიცებულებების აწონა (*García Ruiz v. Spain* [GC], 1999, § 28; *Farange S.A. v. France* (dec.), 2004). მიზეზები, რომლებსაც ისინი ასახელებენ ამ კუთხით, მაინც მნიშვნელოვანია მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიზნებისათვის და მოითხოვს სასამართლოს მიერ ყურადღებით განხილვას (იხილეთ, მაგალითად, *Carmel Saliba v. Malta*, 2016, §§ 69-73).

383. საქმეში *Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland* [GC], 2016, სასამართლომ გაიმეორა, რომ ვინაიდან კონვენცია არის ევროპული საზოგადოებრივი წესრიგის კონსტიტუციური ინსტრუმენტი, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ამ კონტექსტში უნდა უზრუნველყონ კონვენციასთან შესაბამისობის შემოწმების დონე, რომელიც მინიმუმ ინარჩუნებს ამ საზოგადოებრივი წესრიგის საფუძვლებს. ევროპული საზოგადოებრივი წესრიგის ერთ-ერთი ფუნდამენტური კომპონენტი კანონის უზენაესობის პრინციპია, თვითნებობა კი ამ პრინციპის უარყოფაა. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განმარტებისა და გამოყენების კონტექსტშიც კი, სადაც სასამართლო ეროვნულ ორგანოებს უტოვებს ძალიან ფართო დისკრეციას, ის ყოველთვის აკეთებს ამას, აშკარად თუ ირიბად, თვითნებობის აკრძალვის გათვალისწინებით (§ 145).

384. ამრიგად, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ აძლევს სასამართლოს უფლებას, ეჭვქვეშ დააყენოს სამოქალაქო დავის შედეგის არსებითი სამართლიანობა, რომელშიც, ხშირად, ერთი მხარე იგებს, ხოლო მეორე – აგებს.

385. მეოთხე ინსტანციის საჩივარი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, უარყოფილი იქნება სასამართლოს მიერ იმ საფუძვლით, რომ მომჩივანმა ისარგებლა შეჯიბრებითი პროცესით; რომ მას ჰქონდა შესაძლებლობა, ამ სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე, წარმოედგინა არგუმენტები და მტკიცებულებები, რომლებიც მან მიიჩნია თავის საქმესთან შესაბამისად; რომ მას შეეძლო მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების ეფექტურად გასაჩივრება; რომ ყველა მისი არგუმენტი, რომელიც ობიექტურად განხილვის შემთხვევაში, შესაბამისი იყო საქმის გადაწყვეტილების მისაღებად, სათანადოდ მოისმინა და განიხილა სასამართლომ; რომ დეტალურად იყო ჩამოყალიბებული სადავო გადაწყვეტილების ფაქტობრივი და

33. იხილეთ განყოფილება „მტკიცებულებების ადმინისტრირება“.

სამართლებრივი მიზეზები; და რომ, შესაბამისად, პროცესი მთლიანობაში სამართლიანი იყო (*García Ruiz v. Spain* [GC], 1999, § 29). მეოთხე ინსტანციის საჩივრების უმეტესობა ცხადდება მიუღებლად *de plano* ერთი მოსამართლის ან სამი მოსამართლისგან შემდგარი კომიტეტის მიერ (კონვენციის 27-ე და 28-ე მუხლები).

c. შიდასახელმწიფოებრივი პრეცედენტული სამართლის თანმიმდევრულობა³⁴

386. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ იძლევა შეძენილ უფლებას პრეცედენტული სამართლის თანმიმდევრულობის შესახებ. პრეცედენტული სამართლის შემუშავება, თავის თავად, არ ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების სწორ განხორციელებას, რადგან დინამიკური და ევოლუციური მიდგომის შენარჩუნების წარუმატებლობამ შეიძლება შეაფერხოს რეფორმა ან გაუმჯობესება (*Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC], 2011, § 58; *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, § 116). პრეცედენტულ სამართალში არსებული განსხვავებები, თავისი ხასიათით, არის ნებისმიერი სასამართლო სისტემის თანდაყოლილი შედეგი, რომელიც დაფუძნებულია პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოების ქსელზე, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება თავიანთი ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში. უზენაესი სასამართლოს როლი სწორედ ასეთი კონფლიქტების გადაჭრაა (*Beian v. Romania (no. 1)*, 2007, § 37; *Svilengaćanin and Others v. Serbia*, 2021, §§ 81-82).

387. პრინციპში, სასამართლოს ამოცანა არ არის, თუნდაც, ერთი შეხედვით, შედარებად ან დაკავშირებულ საქმეებში, შეადაროს ეროვნული სასამართლოების მიერ გამოტანილი სხვადასხვა გადაწყვეტილებები, რომელთა დამოუკიდებლობაც მან პატივი უნდა სცეს. პრეცედენტულ სამართალში განსხვავებების შესაძლებლობა არის ნებისმიერი სასამართლო სისტემის თანდაყოლილი შედეგი, რომელიც დაფუძნებულია პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოების ქსელზე, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება თავიანთი ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში. ასეთი განსხვავებების შეიძლება წარმოიშვას ერთსა და იმავე სასამართლოშიც კი. ეს, თავის თავად, არ შეიძლება ჩაითვალოს კონვენციის საწინააღმდეგოდ (*Santos Pinto v. Portugal*, 2008, § 41). გარდა ამისა, არ შეიძლება იყოს „განსხვავება“, როდესაც განსახილველი ფაქტობრივი სიტუაციები ობიექტურად განსხვავებულია (*Uçar v. Turkey* (dec.), 2009).

388. თუმცა, შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც პრეცედენტულ სამართალში განსხვავებები იწვევს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევის დადგენას. აქ სასამართლოს მიდგომა განსხვავდება, იმისდა მიხედვით, არის თუ არა განსხვავებები სასამართლოს ერთსა და იმავე შტოში თუ სასამართლოს ორ განსხვავებულ შტოს შორის, რომლებიც ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელია.

389. პირველ შემთხვევაში (განსხვავებები უმაღლესი ეროვნული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში) სასამართლო იყენებს სამ კრიტერიუმს იმის დასადგენად:

- არის თუ არა განსხვავებები პრეცედენტულ სამართალში „ღრმა და გრძელვადიანი“;
- ითვალისწინებს თუ არა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ამგვარი შეუსაბამობების გადაჭრის მექანიზმებს; და

34. ასევე იხილეთ განყოფილება „პრეცედენტულ სამართალში არსებული განსხვავებების“ შესახებ.

- გამოიყენებოდა თუ არა ეს მექანიზმები და რა შედეგის მიმართ (*Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, §§ 116-35; *Beian v. Romania (no. 1)*, 2007, §§ 37 და 39).

ამ უკანასკნელ შემთხვევაში, უმაღლესმა ეროვნულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილებები, რომლებიც იყო „დიამეტრულად საპირისპირო“ და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმი, რათა უზრუნველყოფილიყო თანმიმდევრული პრაქტიკა, დაუყოვნებლივ არ იქნა გამოყენებული, რაც ძირს უთხრის იურიდიული სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს.

390. ღრმა და გრძელვადიანი განსხვავებების პრაქტიკა, რომელიც განვითარდა ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ორგანოში, თავის თავად, ეწინააღმდეგება სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს – პრინციპი, რომელიც ნაგულისხმევია კონვენციის ყველა მუხლში და წარმოადგენს კანონის უზენაესობის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, § 238, პრინციპთან დაკავშირებით; *Beian v. Romania (no. 1)*, 2007, § 39).

- ციტირებულ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ იმის ნაცვლად, რომ შეასრულოს თავისი ამოცანა – დაადგინოს შესაბამისი განმარტება, თავად უზენაესი სასამართლო გახდა სამართლებრივი გაურკვევლობის წყარო, რითაც ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემის მიმართ. სასამართლომ დაადგინა, რომ პრეცედენტულ სამართალთან დაკავშირებით, განსაზღვრულობის ნაკლებობამ განაპირობა ის, რომ მომჩივანმა ვერ მიიღო კანონით გათვალისწინებული შეღავათები, მაშინ, როცა მსგავს სიტუაციაში მყოფ სხვა პირებს მიენიჭათ ეს შეღავათები (§§ 39-40).
- საქმეში *Hayati Çelebi and Others v. Turkey*, 2016, საკასაციო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში აშკარა შეუსაბამობამ, ისევე როგორც დარღვეულმა მექანიზმმა, რომელიც შექმნილია ამ სასამართლოში პრაქტიკის ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად, განაპირობა ის, რომ მომჩივნების მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე მიუღებლად გამოცხადდა, ხოლო სხვა პირებმა მსგავს სიტუაციაში მიიღეს მათი მოთხოვნების არსებითი განხილვა (§ 66).

391. თუმცა, იმ შემთხვევებში, როდესაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის კონფლიქტების გადაწყვეტის სისტემა ეფექტური აღმოჩნდა, ვინაიდან ის საკმაოდ სწრაფად იქნა შემოღებული და მოკლე დროში დაასრულა მსგავსი კონფლიქტები, სასამართლოს დარღვევა არ დაუდგენია (*Albu and Others v. Romania*, 2012, § 42; შდრ. *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, §§ 130-132).

392. მეორე სიტუაციაში ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები ბოლო ინსტანციაში გამოაქვთ სამართლებრივი სისტემის ორი განსხვავებული შტოს სასამართლოებს, რომელთაგან თითოეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი უზენაესი სასამართლო, რომელიც არ ექვემდებარება რაიმე ზოგად სასამართლო იერარქიას. აქ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ მიდის იქამდე, რომ მოითხოვდეს ვერტიკალური განხილვის მექანიზმის ან საერთო მარეგულირებელი ორგანოს (მაგალითად, იურისდიქციის შესახებ დავის სასამართლო) შემოღებას. სასამართლო სისტემაში, რომელსაც აქვს სასამართლოს რამდენიმე განსხვავებული შტო, სადაც რამდენიმე უზენაესი სასამართლო არსებობს გვერდიგვერდ და რომლებსაც მოეთხოვებათ კანონის ერთდროულად და პარალელურად განმარტება, შეიძლება დრო დასჭირდეს პრეცედენტულ სამართალში თანმიმდევრულობის მიღწევას და, შესაბამისად, კონფლიქტური პრეცედენტული

სამართლის პერიოდები შეიძლება დაშვებული იქნეს ისე, რომ არ შეილახოს სამართლებრივი განსაზღვრულობა. ამრიგად, ორი სასამართლო, თითოეული თავისი იურისდიქციის სფეროთი, სხვადასხვა საქმის განხილვისას შეიძლება მივიდეს განსხვავებულ, მაგრამ მინც გონივრულ და დასაბუთებულ დასკვნებამდე ერთსა და იმავე სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც წარმოიქმნება მსგავსი ფაქტობრივი გარემოებებიდან, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევის გარეშე (*Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC], 2011, §§ 81-83 და 86).

4. შეჯიბრებითი პროცესი

393. შეჯიბრებითობის პრინციპი: საქმის სამართლიანი განხილვის ცნება მოიცავს შეჯიბრებითი პროცესის ფუნდამენტურ უფლებას. ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული მხარეთა თანასწორობის პრინციპთან (*Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, § 146).

შეჯიბრებითობის უფლებისა და სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების შესაბამისად, დავის მონაწილე მხარეები, რომლებიც წარმოადგენენ სამართალწარმოების მეორე მხარეზე სხვადასხვა ხარისხით დამოკიდებულ პირებს, ვერ შეძლებენ თავიანთი პოზიციის წარმოჩენას და ინტერესების დაცვას შესაბამის პირობებში (*Capital Bank AD v. Bulgaria*, 2005, § 118).

394. შეჯიბრებითი პროცესის უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნები, პრინციპში, ერთნაირია როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებში (*Werner v. Austria*, 1997, § 66).

395. დროის დაზოგვისა და პროცესის დაჩქარების სურვილი არ ამართლებს ისეთი ფუნდამენტური პრინციპის უგულვებელყოფას, როგორცაა შეჯიბრებითი პროცესის უფლება (*Nideröst-Huber v. Switzerland*, 1997, § 30).

396. შინაარსი (ქვემოთ ჩამოყალიბებული შეზღუდვების გათვალისწინებით): შეჯიბრებითი პროცესის უფლება ძირითადად ნიშნავს სისხლის ან სამოქალაქო პროცესის მხარეთა შესაძლებლობას, გამოიკვლიონ ყველა წარმოდგენილი მტკიცებულება ან მოსაზრება, წარდგენილი თუნდაც ეროვნული იურიდიული სამსახურის დამოუკიდებელი წევრის მიერ და მათზე კომენტარის გაკეთება სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მიზნით (*Kress v. France* [GC], 2001, § 74; *Ruiz-Mateos v. Spain*, 1993, § 63; *McMichael v. the United Kingdom*, 1995, § 80; *Vermeulen v. Belgium*, 1996, § 33; *Lobo Machado v. Portugal*, 1996, § 31). ეს მოთხოვნა შეიძლება ასევე გამოყენებული იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოშიც (*Milatová and Others v. the Czech Republic*, 2005, §§ 63-66; *Gaspari v. Slovenia*, 2009, § 53).

- სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ფაქტობრივ გავლენას არ აქვს მნიშვნელობა (*Nideröst-Huber v. Switzerland*, 1997, § 27; *Ziegler v. Switzerland*, 2002, § 38).
- შეჯიბრებითობის პრინციპი თანაბრად ვრცელდება პროცესის მხარეებზე, ასევე ეროვნული იურიდიული სამსახურის დამოუკიდებელ წევრზე, ადმინისტრაციის წარმომადგენელზე, ქვედა ინსტანციის სასამართლოზე ან საქმის განმხილველ სასამართლოზე (*Köksoy v. Turkey*, 2020, §§ 34-35 და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები).
- შეჯიბრებითი პროცესის უფლება უნდა განხორციელდეს დამაკმაყოფილებელ პირობებში: საქმისწარმოების მხარეს უნდა ჰქონდეს სასამართლოსთვის წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შესაძლებლობა, ასევე შესაძლებლობა, სათანადო ფორმით და სათანადო დროში გააკეთოს კომენტარი მისი არსებობის, შინაარსისა და ნამდვილობის თაობაზე (*Krčmář and Others v. the*

Czech Republic, 2000, § 42; *Immeubles Groupe Kosser v. France*, 2002, § 26), საქიროების შემთხვევაში, გადავადების მოპოვების გზით (*Yvon v. France*, 2003, § 39).

- მხარეებს უნდა შეეძლოთ, გაამჟღავნონ ყველა მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია მათი მოთხოვნების წარმატებისთვის (*Clinique des Acacias and Others v. France*, 2005, § 37).
- სასამართლომ თავად უნდა პატივი სცეს შეჯიბრებითობის პრინციპს, მაგალითად, თუ საქმეს წყვეტს საკუთარი ინიციატივით წამოყენებული საფუძვლების ან წინააღმდეგობების საფუძველზე (*Čeppek v. the Czech Republic*, 2013, § 45, და შდრ. *Clinique des Acacias and Others v. France*, 2005, § 38, *Andret and Others v. France* (dec.), 2004, მიუღებელი: ბოლო ციტირებულ საქმეში საკასაციო სასამართლომ მხარეებს აცნობა, რომ ახალი საფუძვლები იყო მოწოდებული და მომჩივნებს საშუალება ჰქონდათ ეპასუხათ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე).
- მოდავე მხარეებზეა დამოკიდებული, მოითხოვს თუ არა მათ კომენტარს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ან მოწმეების ჩვენებები. მართლმსაჯულების მიმართ დავის მონაწილე მხარეთა ნდობა ეფუძნება იმის ცოდნას, რომ მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, გამოეთქვათ აზრი საქმის ყველა დოკუმენტის შესახებ (მათ შორის, სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით მოპოვებული დოკუმენტების შესახებ): *K.S. v. Finland*, 2001, § 22; *Nideröst-Huber v. Switzerland*, 1997, § 29; *Pellegrini v. Italy*, 2001, § 45).

397. შეჯიბრებითი პროცესის უფლების დარღვევის მაგალითები შემდეგი დოკუმენტების ან მტკიცებულებების გაუმჟღავნებლობის შედეგად:

- ბავშვის განთავსებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში, სოციალური სამსახურის ანგარიშები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ბავშვის შესახებ, საქმის ისტორიის დეტალებს და რეკომენდაციებს, მაშინაც კი, თუ მშობლები სხდომაზე იყვნენ ინფორმირებული მათი შინაარსის შესახებ (*McMichael v. the United Kingdom*, 1995, § 80);
- პროკურორის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, მიუხედავად იმისა, განიხილებოდა თუ არა ის „მხარედ“, რამდენადაც მას, უპირველეს ყოვლისა, მისი ფუნქციებით მინიჭებული უფლებამოსილების გამო, შეეძლო გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ისე, რომ ეს შეიძლება დაინტერესებული პირისთვის ყოფილიყო არახელსაყრელი (*Ferreira Alves v. Portugal (no. 3)*, 2007, §§ 36-39);
- ოფიციალური წერილი სააპელაციო სასამართლოსთვის ქვედა ინსტანციის სასამართლოდან, რომელიც მიზნად ისახავდა ზეგავლენის მოახდენს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, მაშინაც კი, თუ დოკუმენტი არ წარმოადგენდა რაიმე ახალ ფაქტს ან არგუმენტს (*იხილეთ*, § 41);
- მოსამართლეთა მიერ უშუალოდ მოპოვებული დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს დასაბუთებულ მოსაზრებებს საქმის არსებით ნაწილზე (*K.S. v. Finland*, 2001, §§ 23-24).

398. შეზღუდვები³⁵: შეჯიბრებითი პროცესის უფლება არ არის აბსოლუტური და მისი ფარგლები შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტული საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე (*Hudáková and Others v. Slovakia*, 2010, §§ 26-27), ექვემდებარება სასამართლოს შემოწმებას

35. ასევე იხილეთ განყოფილება „მაგალითები“ ზემოთ.

ბოლო ინსტანციაში (*Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, §§ 146-147). ბოლო ციტირებულ საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ სამართალწარმოება უნდა განხილვობდეს მთლიანობაში და რომ შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება საკმარისად დაბალანსდეს სხვა პროცედურული გარანტიებით (§§ 151-161).

- შეჯიბრებითობის პრინციპი არ მოითხოვს, რომ თითოეულმა მხარემ გადასცეს თავის ოპონენტს დოკუმენტები, რომლებიც ასევე არ არის წარდგენილი სასამართლოში (*Yvon v. France*, 2003, § 38).

- რამდენიმე საქმეში, ძალიან სპეციფიკური გარემოებებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მტკიცებულებათა გაუმჟღავნებლობას და მომჩივნის უუნარობას, გაეკეთებინა კომენტარი, არ შეულახავს სამართალწარმოების სამართლიანობა, ვინაიდან ასეთი შესაძლებლობის არსებობა გავლენას ვერ მოახდენდა საქმის შედეგზე, ხოლო მიღწეული სამართლებრივი გადაწყვეტილება განხილვას არ ექვემდებარებოდა (*Stepinska v. France*, 2004, § 18; *Salé v. France*, 2006, § 19; *Asnar v. France (no. 2)*, 2007, § 26).

399. შეჯიბრებითობის პრინციპის შეუსრულებლობა შეიძლება გამოსწორდეს სააპელაციო ორგანოს მიერ, თუ მას აქვს „სრული იურისდიქცია“ პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობის ფარგლებში. ანალოგიურად, სააპელაციო სასამართლოს პროცედურული ხარვეზი შეიძლება გამოსწორდეს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ, რომელსაც საქმე გადაეცა (*Köksoy v. Turkey*, 2020, §§ 36-39).

5. მხარეთა თანასწორობა³⁶

400. „მხარეთა თანასწორობის“ პრინციპი თანდაყოლილია საქმის სამართლიანი განხილვის უფრო ფართო ცნებისა და მჭიდროდ არის დაკავშირებული შეჯიბრებითობის პრინციპთან (*Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, § 146). „მხარეთა თანასწორობის“ მოთხოვნა, მხარეთა შორის „სამართლიანი ბალანსის“ მნიშვნელობით, პრინციპში, ვრცელდება როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე (*Feldbrugge v. the Netherlands*, 1986, § 44).

401. შინაარსი: მხარეებს შორის „სამართლიანი ბალანსის“ დაცვა. მხარეთა თანასწორობა გულისხმობს, რომ თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს თავისი საქმე – მათ შორის მტკიცებულებები – იმ პირობებში, რომლებიც არ აყენებს მას „მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში“ მეორე მხარის მიმართ (*Kress v. France* [GC], 2001, § 72; *Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, § 146; *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 1993, § 33).

- ეს პრინციპი, რომელიც მოიცავს საპროცესო კანონმდებლობის ყველა ასპექტს ხელშემკვრელ სახელმწიფოებში, ასევე გამოიყენება მხარეთათვის სასამართლო დოკუმენტების გადაცემის კონკრეტულ სფეროსთან მიმართებით, თუმცა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ შეიძლება განიმარტოს, როგორც დოკუმენტების გადაცემის კონკრეტული ფორმის დამდგენი (*Avotiņš v. Latvia* [GC], 2016, § 119).
- დაუშვებელია ერთი მხარის მიერ სასამართლოში მასალების წარდგენა მეორე მხარის ცოდნის გარეშე, რაზეც ამ უკანასკნელს არ აქვს საშუალება, გამოხატოს თავისი კომენტარი. მხარეთა გადასაწყვეტია შეფასება იმისა, იმსახურებს თუ არა რეაქციას კონკრეტული წარდგინება (*APEH Üldzötteinek Szövetsége and Others v. Hungary*, 2000, § 42).

36. ასევე იხილეთ განყოფილება „მაგალითები“ ზემოთ, შეზღუდვების შესახებ.

- ამასთან, თუ სასამართლოში წარდგენილი მოსაზრებები არც ერთ მხარეს არ მიეწოდება, ეს არ იქნება მხარეთა თანასწორობის დარღვევა (*Kress v. France* [GC], 2001, § 73), არამედ სამართალწარმოების უფრო ფართო სამართლიანობის დარღვევა (*Nideröst-Huber v. Switzerland*, 1997, §§ 23-24; *Clinique des Acacias and Others v. France*, 2005, §§ 36-37).

402. მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაუცველობის მაგალითები: ეს პრინციპი დაირღვა შემდეგ საქმეებში, ვინაიდან ერთ-ერთი მხარე აშკარად არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა:

- მხარის სააპელაციო საჩივარი არ გადაეცა მეორე მხარეს, რის გამოც მასზე პასუხის გაცემის საშუალება არ ჰქონდა (*Beer v. Austria*, 2001, § 19).
- დრო შეჩერდა მხოლოდ ერთი მხარის სასარგებლოდ, რითაც მეორე მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა (*Platakou v. Greece*, 2001, § 48; *Wynen and Centre hospitalier interrégional Edith-Cavell v. Belgium*, 2002, § 32).
- ორი ძირითადი მოწმიდან მხოლოდ ერთს მიეცა მოსმენის უფლება (*Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 1993, §§ 34-35).
- მოწინააღმდეგე მხარე სარგებლობდა მნიშვნელოვანი უპირატესობებით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით, ეჭირა დომინირებული მდგომარეობა საქმისწარმოებისას და მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა სასამართლოს შეფასებაზე (*Yvon v. France*, 2003, § 37).
- მოწინააღმდეგე მხარეს ჰქონდა თანამდებობები ან ფუნქციები, რომლებიც მას უპირატესობას ანიჭებდა, ხოლო სასამართლომ ძალიან გაურთულა მეორე მხარეს მათი გასაჩივრება იმით, რომ არ აძლევდა მას შესაბამისი დოკუმენტური ან მოწმის მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობას (*De Haes and Gijssels v. Belgium*, 1997, §§ 54 and 58).
- ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოყვანილი მიზეზები ძალიან მოკლე და ზოგადი იყო იმისთვის, რომ მომჩივანს გონივრულად გაეპროტესტებინა მათი შეფასება; ხოლო საქმის განმხილველმა სასამართლოებმა უარი განაცხადეს, მომჩივნისთვის მიეცათ შესაძლებლობა, წარედგინა არგუმენტები მისი საქმის მხარდასაჭერად (*Hentrich v. France*, 1994, § 56).
- ერთ-ერთი მხარისთვის იურიდიულ დახმარებაზე უარის თქმამ მას წაართვა შესაძლებლობა, ეფექტურად წარედგინა თავისი საქმე სასამართლოში ბევრად უფრო მდიდარი ოპონენტის წინააღმდეგ (*Steel and Morris v. the United Kingdom*, 2005, § 72).
- საქმეში *Martinie v. France*, 2006, [GC], § 50, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა დავის მონაწილე მხარეთათვის არახელსაყრელ დისბალანსს, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფო ადვოკატის პოზიციით სამართალწარმოებაში აუდიტორთა სასამართლოს წინაშე: მეორე მხარისგან განსხვავებით, ის ესწრებოდა სხდომას, წინასწარ იყო ინფორმირებული მომხსენებელი მოსამართლის აზრის შესახებ, მოისმინა სხდომაზე ამ უკანასკნელის წარდგინებები, სრულად მიიღო მონაწილეობა პროცესში და შეძლო სიტყვიერად გამოეთქვა აზრი, მეორე მხარის მხრიდან წინააღმდეგობის გარეშე და ეს დისბალანსი კიდევ უფრო გაამწვავა ფაქტმა, რომ მოსმენა არ იყო საჯარო.

- პროკურორმა ისაუბრა მომჩივნის ოპონენტის არგუმენტების მხარდასაჭერად (*Menchinskaya v. Russia*, 2009, §§ 35-39).
- მოსამართლემ უარი თქვა სხდომის გადადებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში და მისმა ადვოკატმა ვერ შეძლო მისი წარმომადგენლობა სხდომაზე, რითაც შეუქცევად ჩამოერთვა უფლება ოპონენტის არგუმენტებზე ადეკვატური პასუხის გაცემისა (*Vardanyan and Nanushyan v. Armenia*, 2016, §§ 88-90).

403. თუმცა, სასამართლომ მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან თავსებადად მიიჩნია განსხვავებული მოპყრობა მხარეთა მოწმეების მოსმენასთან დაკავშირებით (ფიცის ქვეშ მიცემული მტკიცებულება ერთი მხარისთვის და არა მეორისთვის), ვინაიდან პრაქტიკაში ამას გავლენა არ მოუხდენია სამართალწარმოების შედეგზე (*Ankerl v. Switzerland*, 1996, § 38). უფრო მეტიც, სასამართლომ არ ჩათვალა, რომ მომჩივანი მოხვდა „მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში“, როდესაც მოწინააღმდეგე მხარეს პრაქტიკულად მეტი დრო ჰქონდა პასუხის მოსამზადებლად, ვინაიდან საქმე საკმაოდ მარტივი იყო და მომჩივანს უკვე ჰქონდა მრავალი შესაძლებლობა, წარმოედგინა თავისი პასუხი (*Ali Riza v. Switzerland*, 2021, §§ 131-135). უფრო ზოგადად, საქმეში *Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, სასამართლომ მიუთითა, რომ სამართალწარმოება უნდა განიხილებოდეს მთლიანობაში და რომ შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება საკმარისად დაბალანსდეს სხვა პროცედურული გარანტიებით (§§ 151-161).

404. სამოქალაქო მხარის სარჩელის კონკრეტული შემთხვევა: სასამართლომ განასხვავა საჩივრის სისტემა, რომელსაც მოჰყვება სამოქალაქო მხარის სარჩელი და საჩივარი, რომელიც შეტანილია პროკურორის მიერ, რომელსაც აკისრია სახელმწიფოებრივი უფლებამოსილება და პასუხისმგებელია საერთო ინტერესების დაცვაზე (*Guigue and SGEN-CFDT v. France* (dec.), 2004). შედეგად, საჩივრის შეტანის განსხვავებული ფორმალური პირობები და ვადები (უფრო მოკლე ვადები კერძო მხარისთვის) არ არღვევს „მხარეთა თანასწორობის“ პრინციპს, იმ პირობით, რომ ეს საშუალება გამოყენებული იქნება დანიშნულებისამებრ (შდრ. შესაბამისი სისტემის განსაკუთრებული ხასიათი).

405. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპთან თავსებადია დებულება, რომელიც ზღუდავს სამოქალაქო მხარის მიერ გასაჩივრების შესაძლებლობას, პროკურორის შესაძლებლობების შეზღუდვის გარეშე – ვინაიდან მათი როლები და მიზნები ამკარად განსხვავებულია (*Berger v. France*, 2002, § 38).

406. პროკურატურასა და კერძო პირს შორის დაპირისპირების საქმეებთან დაკავშირებით, პროკურატურას შეუძლია დაიკავოს მართლწესრიგის დაცვით გამართლებული პრივილეგირებული პოზიცია. თუმცა, ამას არ უნდა მოჰყვეს ის, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების მხარე პროკურატურასთან შედარებით არაგონივრულად არახელსაყრელ მდგომარეობაში იყოს (*Stankiewicz v. Poland*, 2006, §§ 68-69, პროკურატურის მიერ წარუმატებლად აღძრულ სამოქალაქო საქმეზე სამართლებრივი ხარჯების ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების გამოცემაზე უარის თქმის შესახებ).

6. მტკიცებულებების ადმინისტრირება

407. ზოგადი პრინციპები:³⁷ კონვენცია არ ადგენს წესებს მტკიცებულებების შესახებ, როგორც ასეთი (*Mantovanelli v. France*, 1997, § 34). მტკიცებულების მისაღებად და მისი

37. ასევე იხილეთ განყოფილება „მეოთხე ინსტანციის“ შესახებ.

შეფასების წესი, პირველ რიგში, რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობითა და ეროვნული სასამართლოებით (*García Ruiz v. Spain* [GC], 1999, § 28; *Moreira de Azevedo v. Portugal*, 1990, §§ 83-84). იგივე ეხება მტკიცებულების მტკიცებულებით ძალას და მტკიცების ტვირთს (*Tiemann v. France and Germany* (dec.), 2000). შემოთავაზებული მტკიცებულებების შესაბამისობის შეფასება ასევე ევალება ეროვნულ სასამართლოებს (*Centro Europa 7 S.r.l. and Di Stefano v. Italy* [GC], 2012, § 198). ფაქტის ან კანონის პრეზუმფიცია მოქმედებს ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში და კონვენცია, პრინციპში, არ კრძალავს ასეთ პრეზუმფიციებს; თუმცა, ფიზიკური პირებისთვის ეფექტური სასამართლო გარანტიები უნდა იყოს უზრუნველყოფილი (*Lady S.R.L. v. Republic of Moldova*, 2018, § 27). სასამართლომ ასევე აღიარა, რომ სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი გულისხმობს, რომ მხარე, რომელიც ეყრდნობა სასამართლოს მიერ წინა საქმეში მიღებულ შეფასებას საკითხთან დაკავშირებით, რომელიც წინამდებარე საქმეში ასევე წარმოშობილა, შეიძლება ლეგიტიმურად მოელოდეს, რომ სასამართლო შეასრულებს თავის წინა გადაწყვეტილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ არის დამაჯერებელი მიზეზები მისგან გადახრისა (*Siegle v. Romania*, 2013, §§ 38-39, და *Rozalia Avram v. Romania*, 2014, §§ 42-43).

408. თუმცა, სასამართლოს ამოცანა კონვენციის შესაბამისად, არის გარკვევა იმისა, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, მათ შორის, მტკიცებულებების მოპოვების წესი (*Elsholz v. Germany* [GC], 2000, § 66; *Devinar v. Slovenia*, 2018, § 45). ამიტომ, მან უნდა დაადგინოს, იყო თუ არა მტკიცებულება წარმოდგენილი ისე, რომ გარანტირებული ყოფილიყო საქმის სამართლიანი განხილვა (*Blücher v. the Czech Republic*, 2005, § 65). სასამართლო არ უნდა მოქმედებდეს როგორც მეოთხე ინსტანცია და, შესაბამისად, ექვევმ არ უნდა აყენებდეს, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, ეროვნული სასამართლოების შეფასებას, თუ მათი დასკვნები არ შეიძლება ჩაითვალოს თვითნებურად ან აშკარად დაუსაბუთებლად (*Bochan v. Ukraine (no. 2)* [GC], 2015, § 61, and *López Ribalda and Others v. Spain* [GC], 2019, §§ 149, 159-161).

409. ამიტომ, სასამართლოს ამოცანა, პრინციპში, არ არის, განსაზღვროს, მისაღებია თუ არა გარკვეული სახის მტკიცებულებები – მაგალითად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებები შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თვალსაზრისით. მან უნდა შეამოწმოს, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, მტკიცებულებების მოპოვების გზის ჩათვლით; ეს მოიცავს განსახილველი უკანონო ქმედების შემოწმებას და, სხვა კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევის შემთხვევაში, აღმოჩენილი დარღვევის ხასიათს (see *López Ribalda and Others v. Spain* [GC], 2019, § 150, რომელშიც სისხლის სამართლის კონტექსტში შემუშავებული ეს პრინციპები იქნა გამოყენებული სამოქალაქო საქმეზე, §§ 150-152). ციტირებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა კრიტერიუმები იმის განსასაზღვრად, ხდოდა თუ არა მე-8 მუხლის ან შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება სამოქალაქო სამართალწარმოებას არასამართლიანს (§§ 151-152). ამ საქმეზე სასამართლომ ვერ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, თანამშრომლების ფარული ვიდეოთვალთვალის გამო. თუმცა, თანამშრომლები ამტკიცებდნენ, რომ ვიდეოთვალთვალის მოწყობილობა დაყენებული იყო შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დარღვევით და რომ ეროვნულ სასამართლოებს არ განუხილავთ ეს საკითხი, მიიჩნიეს რა ის უმნიშვნელოდ. სასამართლომ განიხილა, არღვევდა თუ არა სათვალთვალო კამერის გამოსახულების მტკიცებულების სახით გამოყენება სამოქალაქო სამართალწარმოებაში მთელი სამართალწარმოების სამართლიანობას. მას არ დაუდგენია მე-6 მუხლის დარღვევა ამ კონკრეტულ საქმეში (§§ 154-158).

410. სამართალწარმოებისას ყურადღება უნდა მიექცეს მოწყვლადი პირების, როგორცაა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები, მათი ღირსებისა და ინტერესების დაცვას მე-8 მუხლთან მიმართებით (*Evers v. Germany*, 2020, §§ 82-84).

411. ეროვნული სასამართლოების მოვალეობაა, სათანადოდ გამოიკვლიონ მხარეების მიერ წარმოდგენილი მასალები, არგუმენტები და მტკიცებულებები (*Van de Hurk v. the Netherlands*, 1994, § 59). შესაბამისად, დავის მონაწილე მხარეებს ევალებათ, უზრუნველყონ შესაბამისი და საკმარისი მტკიცებულებები თავიანთი საქმის გასამყარებლად (*Fleischer v. Germany*, 2019, §§ 40-41).

412. მტკიცებულების გამჟღავნების არანაირი აბსოლუტური უფლება არ არსებობს (*Adomaitis v. Lithuania*, 2022, §§ 70-73, საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველად სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენის შესახებ).

a. მოწმეთა ჩვენებები

413. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი პირდაპირ არ იძლევა მოწმეების გამოძახების უფლებას, ხოლო მოწმის ჩვენების მისაღებად, პრინციპში, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საკითხია. თუმცა, სამართალწარმოება მთლიანობაში, მტკიცებულებათა დაშვების პროცედურის ჩათვლით, უნდა იყოს „სამართლიანი“ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში (*Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 1993, § 31).

- სასამართლო ვალდებულია დროულად უპასუხოს მოწმეთა დაკითხვის თაობაზე წარდგენილ მოთხოვნას (*Carmel Saliba v. Malta*, 2016, § 77).
- თუ სასამართლოები უარყოფენ მოწმეების გამოძახების მოთხოვნას, მათ უნდა წარმოადგინონ საკმარისი მიზეზი და უარი არ უნდა იყოს თვითნებური: ეს არ უნდა იყოს დავის მონაწილე მხარის შესაძლებლობის არაპროპორციული შეზღუდვა, წარმოადგინოს არგუმენტები თავისი საქმის მხარდასაჭერად (*Wierzbicki v. Poland*, 2002, § 45).
- მხარეთა მოწმეების მოსმენისადმი განსხვავებული მოპყრობა შეიძლება იყოს ისეთი, რომ დაარღვიოს „მხარეთა თანასწორობის“ პრინციპი (*Ankerl v. Switzerland*, 1996, § 38, როდესაც სასამართლომ დაადგინა, რომ განსხვავებული მოპყრობა არ აყენებდა მომჩივანს მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში მის ოპონენტთან შედარებით; შეუპირისპირეთ *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 1993, § 35, როდესაც განსახილველი მოვლენების ორი მონაწილიდან მხოლოდ ერთს მიეცა ჩვენების მიცემის უფლება (დარღვევა)).
- სასამართლომ ასევე უნდა მიუთითოს ის მიზეზები, რის გამოც მოწმეთა ჩვენება არასანდო ან შეუსაბამოა საქმესთან (*Carmel Saliba v. Malta*, 2016, §§ 69-70).
- მოწმის ჯვარედინ დაკითხვაზე უარი შეიძლება იყოს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევა (*Carmel Saliba v. Malta*, 2016, § 76).

b. ექსპერტთა დასკვნები

414. ექსპერტთა ჩვენებების მისაღებად შიდასახელმწიფოებრივმა წესებმა უნდა მისცეს დავის მონაწილე მხარეებს მათი ეფექტიანად გასაჩივრების შესაძლებლობა (*Letinčić v. Croatia*, 2016, § 50). სასამართლომ მოქმედი ზოგადი პრინციპები გაიმეორა საქმეში *Hamzagić v. Croatia*, 2021, §§ 40-44. სასამართლოში გადაწყვეტილების მიღებაში არაპროფესიონალი ექსპერტების მონაწილეობის შესახებ წინააღმდეგობები არ არსებობს (*Pabla Ky v. Finland*, 2004, § 32).

415. ექსპერტის დასკვნის შეკვეთაზე უარი:

- ექსპერტის დასკვნის შეკვეთაზე უარი, თავის თავად, არ არის უსამართლო; სასამართლომ უნდა დაადგინოს, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი (*H. v. France*, 1989, § 61 and 70). უარის მიზეზი უნდა იყოს გონივრული (*Hamzagić v. Croatia*, 2021, §§ 57-58).
- ბავშვზე მეურვეობისა და წვდომის საქმეში ფსიქოლოგიური ანგარიშის შეკვეთაზე უარი ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით (*Elsholz v. Germany* [GC], 2000, § 66, და *mutatis mutandis Sommerfeld v. Germany* [GC], 2003, § 71).
- ბავშვის გატაცების საქმეში (*Tiemann v. France and Germany* (dec.), 2000) სასამართლომ განიხილა, მისცა თუ არა სააპელაციო სასამართლომ საკმარისი საფუძველი მომჩივნის უარის სათქმელად, მეორე ექსპერტიზის დასკვნის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რათა დაედგინა, იყო თუ არა უარი დასაბუთებული.

416. ექსპერტის დანიშვნა: თუ სასამართლომ დანიშნა ექსპერტი, მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაესწრონ მის მიერ ჩატარებულ გასაუბრებას ან გაეცნონ იმ დოკუმენტებს, რომლებიც მან გაითვალისწინა; მთავარია, მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, სათანადოდ მიიღონ მონაწილეობა სამართალწარმოებაში (*Letinčić v. Croatia*, 2016, § 50; *Devinar v. Slovenia*, 2018, § 46).

417. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი პირდაპირ არ მოითხოვს, რომ „სასამართლოს“ მიერ მოსმენილი ექსპერტი აკმაყოფილებდეს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის იმავე მოთხოვნებს, რასაც თავად სასამართლო (*Sara Lind Eggertsdóttir v. Iceland*, 2007, § 47; *Letinčić v. Croatia*, 2016, § 51). თუმცა, ექსპერტის მხრიდან ნეიტრალურობის ნაკლებობამ, ისევე როგორც მისმა პოზიციამ და როლმა სამართალწარმოებაში, შესაძლოა სამართალწარმოების ბალანსი გადახაროს ერთი მხარის სასარგებლოდ და დააზიანოს მეორე, მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევით (*Sara Lind Eggertsdóttir v. Iceland*, 2007, § 53; *Letinčić v. Croatia*, 2016, § 51); ანალოგიურად, ექსპერტს შეიძლება ეკავოს პრივილეგირებული პოზიცია სამართალწარმოებაში და მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს სასამართლოს შეფასებაზე (*Yvon v. France*, 2003, § 37; *Letinčić v. Croatia*, 2016, § 51). რომ შევაჯამოთ, ექსპერტის მიერ დაკავებული თანამდებობა სამართალწარმოების განმავლობაში, მისი მოვალეობის შესრულების წესი და მოსამართლეების მიერ მისი მოსაზრების შეფასების გზა არის შესაბამისი ფაქტორები, რომლებიც გასათვალისწინებელია თანასწორობის პრინციპის დაცვის შეფასებისას (*Devinar v. Slovenia*, 2018, § 47).

418. ექიმ-ექსპერტის დასკვნას, რომელიც ეხება ტექნიკურ სფეროს, რომელიც არ შედის მოსამართლეების კომპეტენციაში, შესაძლოა ჰქონდეს უპირატესი გავლენა მათ მიერ ფაქტების შეფასებაზე; ეს მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა და მხარეებს უნდა შეეძლოთ მასზე კომენტარის ეფექტურად გაკეთება (*Mantovanelli v. France*, 1997, § 36; *Storck v. Germany*, 2005, § 135). მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, რომ ექსპერტი იყოს საქმის მხარეებისგან დამოუკიდებელი, როგორც ფორმალურად, ისე პრაქტიკაში (*Tabak v. Croatia*, 2022, § 60).

419. თუ სასამართლოს წინაშე წარდგენილი ექსპერტიზის ერთადერთი დასკვნა გაცემულია სპეციალიზებული ორგანოს მიერ, მაგალითად, შესაძლებლობის შეზღუდვის შეღავათებთან დაკავშირებით, მას გადამწყვეტი გავლენა ექნება სასამართლოზე დამოუკიდებელი ექსპერტის მეორე დასკვნის არარსებობის შემთხვევაში (*Devinar*

v. Slovenia, 2018, §§ 49-50; ასევე იხილეთ *Hamzagić v. Croatia*, 2021, §§ 45-58). თუმცა, უნდა აღინიშნოს შემდეგი.

კონვენცია არ უკრძალავს ეროვნულ სასამართლოებს, დაეყრდნონ სპეციალიზებული ორგანოების მიერ შედგენილ ექსპერტთა დასკვნებს, რომლებიც თავად არიან საქმის მხარეები, თუ ამას მოითხოვს სადავო საკითხის ხასიათი (*Letinčić v. Croatia*, 2016, § 61; *Devinar v. Slovenia*, 2018, § 47). იმ ფაქტმა, რომ ექსპერტი დასაქმებულია იმავე ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც საქმის მხარეს წარმოადგენს, შეიძლება ეჭვი აღუძრას მომჩივანს, როგორც საპირისპირო მხარეს, მაგრამ გადამწყვეტი არის ის, შეიძლება თუ არა ეს ეჭვები ობიექტურად გამართლებულად ჩაითვალოს (*Devinar v. Slovenia*, 2018, §§ 48 and 51; იხილეთ *Hamzagić v. Croatia*, 2021, §§ 49-52, ერთ ქვეყანაში, მაგრამ არა მეორეში, მინიჭებულ ინვალიდობის პენსიასთან დაკავშირებით, სადაც მომჩივნის ეჭვები არ აღმოჩნდა საფუძვლიანი). ამრიგად, მეორე, დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის მოთხოვნისას მომჩივანი ვალდებულია წარადგინოს საკმარისი მასალები მოთხოვნის დასასაბუთებლად (*Devinar v. Slovenia*, §§ 56-58). თუ მომჩივანი ამას ვერ გააკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ აქვს უფლება, გააკეთოს კომენტარი ექსპერტის დასკვნაზე და გაასაჩივროს ის წერილობით და ზეპირად, ან წარმოადგინოს საპირისპირო აზრი მისი არჩეული სპეციალისტისგან, სასამართლო არ დაადგენს მე-6 მუხლის დარღვევას (§ 56). დარღვევის არარსებობის შესახებ დასკვნა ასევე შეიძლება გაკეთდეს, თუ მოცემული საკითხი განიხილებოდა რამდენიმე ექსპერტის მიერ, რომელთა მოსაზრებები დაემთხვა და მომჩივანმა არ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, რამაც შეიძლება ეჭვი წამოჭრას ამ მიმართებით (*Krunoslava Zovko v. Croatia*, 2017, §§ 48-50). ექსპერტის პოზიციამ მოპასუხე კომპანიაში და სამართალწარმოებაში ექსპერტიზის დასკვნისათვის მინიჭებულმა წონამ შეიძლება დააყენოს ექსპერტის ნეიტრალურობის აშკარა საკითხი (*Tabak v. Croatia*, 2022, § 66); თუმცა, თუ მომჩივანი კანონიერად იყო წარმოდგენილი შიდასახელმწიფოებრივ სამართალწარმოებაში და არ წამოუყენებია ეს საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესაძლებლობა ჰქონდა, ის არ მოქმედებდა საჭირო გულმოდგინებით (იხილეთ §§ 69 და 79-82, კერძოდ, შესაბამისი პრინციპების გამოყენება საქმეში *Zubac v. Croatia* [GC], 2018).

420. მხარეთა უფლებები ექსპერტთან მიმართებით: შდრ. *Feldbrugge v. the Netherlands*, 1986, § 44 (დარღვევა), *Olsson v. Sweden (no. 1)*, 1988, §§ 89-91 (არანაირი დარღვევა). არასასურველი ანგარიშის გამჟღავნების მოთხოვნასთან დაკავშირებით იხილეთ *L. v. the United Kingdom* (dec.), 1999, მეურვეობის შესახებ საქმის მასალებზე წვდომასთან დაკავშირებით, იხილეთ *Evers v. Germany*, 2020, §§ 86-93). ექიმი-ექსპერტის დანიშვნის შესახებ, რომელიც არ არის სპეციალიზებული მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობაში, იხილეთ *Hamzagić v. Croatia*, 2021, § 54.

c. მტკიცებულებების არგამჟღავნება

421. კონკრეტულ შემთხვევებში, უპირატესი ეროვნული ინტერესები, როგორცაა ეროვნული უშიშროების მოსაზრებები, იქნა წამოყენებული, რათა უარი ეთქვათ მხარისთვის სრულ შეჯიბრებით პროცესზე, მტკიცებულებათა გამჟღავნების უარყოფით (*Regner v. the Czech Republic* [GC], 2017 – შეადარეთ საქმეს *Corneschi v. Romania*, 2022; *Miryana Petrova v. Bulgaria*, 2016, §§ 39-40), ან კონკრეტული საპოლიციო გამოძიების/თვალთვალის მეთოდების საიდუმლოდ შენახვის საჭიროება (*Adomaitis v. Lithuania*, 2022, § 68).

422. სასამართლოს აზრით, შესაბამისი მტკიცებულებების გამჟღავნების უფლება არ არის აბსოლუტური. თუმცა, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, დასაშვებია მხოლოდ ზომები, რომლებიც ზღუდავს სამართალწარმოების მხარის უფლებებს და გავლენას არ

ახდენს ამ უფლებების არსზე (*Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, § 148 ; *Adomaitis v. Lithuania*, 2022, §§ 68-74).

423. ამ მიზნით, მომჩივნის უფლებების შეზღუდვით გამოწვეული ნებისმიერი სირთულე საკმარისად დაბალანსებული უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიერ გატარებული პროცედურებით. თუ მომჩივანს მტკიცებულება არ მიეწოდა საჯარო ინტერესის გამო, სასამართლომ გულდასმით უნდა გამოიკვლიოს გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, რათა უზრუნველყოს, რომ ის შემდგომში დაგვარად შეესაბამებოდეს შეჯიბრებითი პროცესისა და მხარეთა თანასწორობის მოთხოვნებს და მოიცავდეს მომჩივნის ინტერესთა დაცვის საკმარის გარანტიებს (*Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, §§ 147-49).

424. ზემოხსენებულმა საქმემ წამოჭრა საიდუმლო დოკუმენტების კონფიდენციალურობის დაცვის აუცილებლობის საკითხი. სასამართლომ განიხილა სამართალწარმოება მთლიანობაში, შეისწავლა რა, იყო თუ არა შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების შეზღუდვები საკმარისად დაბალანსებული სხვა პროცედურული გარანტიებით (§ 151). სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში ანაზღაურებდა იმ შეზღუდვებს, რომლებიც ზღუდავდა მომჩივნის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებებით სარგებლობას, პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების შესაბამისად (§ 161). პირიქით, საქმეში *Corneschi v. Romania*, 2022, აღნიშნა რა, რომ მომჩივანმა პირდაპირ არ თქვა უარი ინფორმირებულობის უფლებაზე (§§ 94-96), სასამართლომ განიხილა, იყო თუ არა დოკუმენტებზე წვდომის შეზღუდვა „აუცილებელი“ (§ 100), სანამ დაადგენდა, არსებობდა თუ არა რაიმე დამაბალანსებელი ზომები (იხილეთ §§ 101 და მომდევნო, კერძოდ, §§ 105-108 საკითხთან დაკავშირებით, შეეძლო თუ არა მომჩივნის ადვოკატს მისი ეფექტური დაცვა) და დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა.

425. საქმეში *Adomaitis v. Lithuania*, 2022, სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ გადაჭერასთან დაკავშირებით, საფუძვლის უზრუნველსაყოფად ციხის უფროსის წინააღმდეგ დისციპლინური სასჯელისთვის, თანამდებობიდან გათავისუფლების სახით, სასამართლომ გაითვალისწინა საპოლიციო გამოძიების/თვალთვალის გარკვეული მეთოდების საიდუმლოდ შენახვის აუცილებლობა (§ 68). თუმცა, შესაძლებელი უნდა იყოს იმის გადახედვა, იყო თუ არა თვალთვალის სადავო ღონისძიება შეკვეთილი და აღსრულებული კანონის საფუძველზე; ასეთი განხილვის კონტექსტში, შესაბამისმა პირმა, „სულ მცირე“, უნდა მიიღოს „საკმარისი ინფორმაცია“ ნებართვის არსებობასა და თვალთვალის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (§ 68).

7. სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთება

426. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები მოიცავს სასამართლოების ვალდებულებას, დაასახელონ საკმარისი მიზეზები თავიანთი გადაწყვეტილებებისთვის (*H. v. Belgium*, 1987, § 53, და პრინციპების შეჯამებისთვის, *Zayidov v. Azerbaijan (no. 2)*, 2022, § 91). დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეებს უზენეებს, რომ მათი საქმე მართლაც განიხილება და ამით ხელს უწყობს გადაწყვეტილების ფართოდ მიღებას (*Magnin v. France (dec.)*, 2012, § 29).

427. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ სასამართლოს აქვს შეფასების თავისუფლების გარკვეული ფარგლები არგუმენტების არჩევისას და მტკიცებულებების მიღებისას, ის ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი მოქმედებები თავისი გადაწყვეტილებების დასაბუთებით (*Suominen v. Finland*, 2003, § 36; *Carmel Saliba v. Malta*, 2016, §§ 73 and 79).

428. მოყვანილი მიზეზები უნდა იყოს ისეთი, რომ მხარეებს შეეძლოთ გასაჩივრების ნებისმიერი არსებული უფლების ეფექტურად გამოყენება (*Hirvisaari v. Finland*, 2001, § 30 *in fine*).

429. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ავალდებულებს სასამართლოებს, დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილებები, მაგრამ არ შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის მოთხოვნა (*García Ruiz v. Spain* [GC], 1999, § 26; *Perez v. France* [GC], 2004, § 81; *Van de Hurk v. the Netherlands*, 1994, § 61; *Jahnke and Lenoble v. France* (dec.), 2000).

430. დასაბუთების მოვალეობის გამოყენების ხარისხი შეიძლება განსხვავდებოდეს გადაწყვეტილების ხასიათიდან გამომდინარე (*Ruiz Torija v. Spain*, 1994, § 29; *Hiro Balani v. Spain*, 1994, § 27) და შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ საქმის გარემოებების გათვალისწინებით: აუცილებლად გასათვალისწინებელია, მათ შორის, სხვადასხვა არგუმენტი, რომელიც დავის მონაწილე მხარემ შეიძლება წარუდგინოს სასამართლოს და ხელშემკვრელ სახელმწიფოებში არსებული განსხვავებები საკანონმდებლო დებულებებთან, ჩვეულ წესებთან, სამართლებრივ დასკვნასთან, აგრეთვე გადაწყვეტილებების წარდგენასა და შედგენასთან დაკავშირებით (*Ruiz Torija v. Spain*, 1994, § 29; *Hiro Balani v. Spain*, 1994, § 27). იმასთან დაკავშირებით, განიხილა თუ არა საკასაციო სასამართლომ მომჩივნის მიერ წამოყენებული გასაჩივრების საფუძველი, ან შეაფასა თუ არა გასაჩივრების საფუძვლის შესაბამისობა, ვიდრე გადაწყვეტდა მის უარყოფას მოკლე დასაბუთების საფუძველზე, იხილეთ საქმე *Tourisme d'affaires v. France*, 2012, §§ 28 და მომდევნო; და ასევე საქმე *Higgins and Others v. France*, 1998, § 43. იმ საქმეში, რომელშიც სასამართლოს პირდაპირ არ განუხილავს მომჩივნის საჩივარი, სასამართლო დაეთანხმა, რომ მისი დუმილი ამ საჩივართან დაკავშირებით შეიძლება გონივრულად განიმარტოს, როგორც საქმის გარემოებების ირიბი უარყოფა (*Čivinskaitė v. Lithuania*, 2020, §§ 142-144). თუ საქმე ეხება ეროვნულ უსაფრთხოებას, შესაბამისი დოკუმენტების საიდუმლო ხასიათმა შეიძლება შეზღუდოს სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულების ფარგლები (მდრ. *Regner v. the Czech Republic* [GC], 2017, § 158 *in fine*, და, *mutatis mutandis*, *Šeks v. Croatia*, 2022, § 71).

431. თუმცა, თუ მხარის წარდგინება გადამწყვეტია სამართალწარმოების შედეგისთვის, ის მოითხოვს კონკრეტულ და პირდაპირ პასუხს (*Ruiz Torija v. Spain*, 1994, § 30; *Hiro Balani v. Spain*, 1994, § 28; and compare *Petrović and Others v. Montenegro*, 2018, § 43).

432. ამრიგად, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს:

- დავის მონაწილე მხარის მთავარი არგუმენტები (*Buzescu v. Romania*, 2005, § 67; *Donadze v. Georgia*, 2006, § 35); კონკრეტული, აქტუალური და მნიშვნელოვანი პუნქტები (*Mont Blanc Trading Ltd and Antares Titanium Trading Ltd v. Ukraine*, 2021, §§ 82 და 84).
- მოთხოვნები, რომლებიც ეხება კონვენციითა და მისი ოქმებით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს: ეროვნული სასამართლოები ვალდებული არიან, განიხილონ ისინი განსაკუთრებული სიმკაცრით და ყურადღებით (*Fabris v. France* [GC], 2013, § 72 *in fine*; *Wagner and J.M.W.L. v. Luxembourg*, 2007, § 96). ეს არის სუბსიდიარობის პრინციპის შედეგი.

433. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ მოითხოვს უზენაესი სასამართლოსგან უფრო დეტალურ დასაბუთებას, როდესაც ის უბრალოდ იყენებს კონკრეტულ სამართლებრივ დებულებას, რათა არ დააკმაყოფილოს საჩივარი სამართლებრივი ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით, რადგან მას არ აქვს წარმატების პერსპექტივა, დამატებითი

ახსნა-განმარტების გარეშე (*Gorou v. Greece (no. 2)* [GC], 2009, § 41; *Burg and Others v. France* (dec.), 2003).

434. ანალოგიურად, გასაჩივრების უფლების შესახებ განცხადების შემთხვევაში, რომელიც არის ზემდგომი სასამართლოს მიერ საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ შეიძლება განიმარტოს ისე, თითქოს მოითხოვდეს, რომ უფლებაზე უარს განაპირობებს მიზეზების დეტალურად ჩამოყალიბების მოთხოვნა (*Bufferne v. France* (dec.), 2002; *Kukkonen v. Finland (no. 2)*, 2009, § 24). შეადარეთ საქმეს *Gorou v. Greece (no. 4)*, 2007, § 22.

435. გარდა ამისა, გასაჩივრების უარყოფისას სააპელაციო სასამართლომ, პრინციპში, შეიძლება უბრალოდ დაადასტურა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მიზეზები (*García Ruiz v. Spain* [GC], 1999, § 26; შეუპირისპირეთ *Tatishvili v. Russia*, 2007, § 62). თუმცა, სამართლიანი პროცედურის ცნება მოითხოვს, რომ ეროვნულმა სასამართლომ, რომელმაც ზომიერად დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილებები, იქნება ეს ქვედა ინსტანციის სასამართლოს არგუმენტების ჩართვით თუ სხვაგვარად, რეალურად განიხილოს არსებითი საკითხები, რომლებიც წარდგენილია მის იურისდიქციაში და არა უბრალოდ დაასაბუთოს, დამატებითი განმარტებების გარეშე, ქვედა ინსტანციის სასამართლოში გამოტანილი დასკვნები (*Helle v. Finland*, 1997, § 60). ეს მოთხოვნა მით უფრო მნიშვნელოვანია, თუ დავის მონაწილე მხარეს შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოებისას არ ჰქონდა შესაძლებლობა, ზეპირად წარმოედგინა თავისი პოზიცია (*იქვე*).

436. თუმცა, სააპელაციო სასამართლოები (მეორე ინსტანციაში), რომლებიც პასუხისმგებელი არიან დაუსაბუთებელი საჩივრების განხილვაზე და აქვთ იურისდიქცია, განიხილონ ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხები სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ვალდებული არიან, დაასაბუთონ უარი საჩივრის განსახილველად მიღებაზე (*Hansen v. Norway*, 2014, §§ 77-83). ციტირებულ საქმეში სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა მომჩივნის საჩივრის განხილვაზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოებაში გამოტანილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ „აშკარაა, რომ გასაჩივრება წარმატებული ვერ იქნება“ და ამით უბრალოდ გაიმეორა ფორმულირება სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან.

437. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელმაც უარყო თავისი ერთ-ერთი წინა გადაწყვეტილება, მანამდელ პოზიციასთან მიმართებით უბრალოდ „უთანხმოების“ გამოხატვით, არ უზრუნველყო საკმარისი საფუძველი (*Grzęda v. Poland* [GC], § 315).

438. გარდა ამისა, სასამართლოს არ აღმოუჩენია დარღვევა იმ საქმეში, სადაც კონკრეტული პასუხი არ იყო გაცემული არგუმენტზე, რომელიც ეხება საქმის არაარსებით ასპექტს – კერძოდ, ხელმოწერისა და ბეჭდის არარსებობას, რაც წარმოადგენდა უფრო ფორმალური, ვიდრე არსებითი ხასიათის ნაკლს და სწრაფად იქნა გამოსწორებული (*Mugoša v. Montenegro*, 2016, § 63). თუმცა, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა საკმარისი საფუძველის მნიშვნელობას, მაგალითად, სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის საქმის განხილვისას (იხილეთ *Carmel Saliba v. Malta*, 2016, § 78, და კავშირი გარანტიებთან „სისხლისსამართლებრივ“ საქმეებში). საბოლოოდ, მან დაადგინა, რომ საფუძველების ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარი“ (*Ballıktaş Bingöllü v. Turkey*, 2021, § 77, and see under “Fourth instance” above)³⁸.

³⁸ იხილეთ განყოფილება „მეოთხე ინსტანციის“ შესახებ.

B. საჯარო განხილვა

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი

„1. „ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების გამორკვევისას, აღჭურვილია ... მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით ... კანონის საფუძველზე შექმნილი ... სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დაშვებული დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანის ინტერესები, ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან/და, რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო, ვინაიდან საჯაროობა დააზარალებდა მართლმსაჯულების ინტერესს“.

1. განხილვა

439. ზოგადი პრინციპები: პრინციპში, დავის მონაწილე მხარეებს აქვთ საქვეყნოდ განხილვის უფლება, რადგან ეს მათ იცავს მართლმსაჯულების ფარულად განხორციელებისაგან, საჯარო კონტროლის გარეშე (*Straume v. Latvia*, 2022, §§ 124-125 – სასამართლო გამოძიების საიდუმლოების პრინციპთან დაკავშირებით, იხილეთ *Ernst and Others v. Belgium*, 2003, §§ 67-68). მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაჩინოდ ჩვენებით, საქვეყნო განხილვები ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიზნის მიღწევას, კერძოდ, საქმის სამართლიანი განხილვას (*Malhous v. the Czech Republic* [GC], 2001, §§ 55-56). მიუხედავად იმისა, რომ საქვეყნოდ განხილვა არის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული ფუნდამენტური პრინციპი, ასეთი განხილვის ჩატარების ვალდებულება არ არის აბსოლუტური (*De Tommaso v. Italy* [GC], 2017, § 163). ზეპირი მოსმენის უფლება არ უკავშირდება მხოლოდ კითხვას, მოიცავს თუ არა საქმისწარმოება მოწმეების გამოკითხვას, რომლებიც მისცემენ ზეპირ ჩვენებას (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 187). იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა სასამართლო პროცესი საჯაროობის მოთხოვნას, აუცილებელია სამართალწარმოების მთლიანობაში განხილვა (*Axen v. Germany*, 1983, § 28).

440. პირველი და ერთადერთი ინსტანციის სასამართლოში სამართალწარმოებისას, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად „საქვეყნო განხილვის“ უფლება გულისხმობს „ზეპირი მოსმენის“ უფლებას (*Göç v. Turkey* [GC], 2002, § 47; *Fredin v. Sweden (no. 2)*, 1994, §§ 21-22; *Allan Jacobsson v. Sweden (no. 2)*, 1998, § 46; *Selmani and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, 2017, §§ 37-39) თუ არ არსებობს ისეთი გამონაკლისი გარემოებები, რომლებიც ასაბუთებს უარს ამგვარ მოსმენაზე (*Hesse-Anger and Anger v. Germany (dec.)*, 2001; *Mirovni Inštitut v. Slovenia*, 2018, § 36). ასეთი გარემოებების გამონაკლისი ხასიათი ძირითადად განპირობებულია განსახილველი საკითხების ბუნებით, მაგალითად, იმ საქმეებში, როდესაც სამართალწარმოება ეხება ექსკლუზიურად სამართლებრივ ან მაღალ ტექნიკურ საკითხებს (*Koottummel v. Austria*, 2009, § 19), და არა ასეთი საკითხების სიხშირეს (*Miller v. Sweden*, 2005, § 29; *Mirovni Inštitut v. Slovenia*, 2018, § 37). პრეცედენტული სამართლის მიმოხილვისთვის იხილეთ *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 188-190.

441. მეორე ან მესამე ინსტანციაში მოსმენის არარსებობა შეიძლება გამართლებული იყოს განსახილველი საქმის წარმოების ხასიათით, იმ პირობით, რომ სხდომა გაიმართა პირველ ინსტანციაში (*Helmers v. Sweden*, 1991, § 36, მაგრამ შეუპირისპირეთ §§ 38-39; *Salomonsson v. Sweden*, 2002, § 36). ამრიგად, სააპელაციო წარმოება და სამართალწარმოება, რომელიც მოიცავს მხოლოდ სამართლის ნორმებს, ფაქტობრივი საკითხებისგან განსხვავებით, შეიძლება აკმაყოფილებდეს მე-6 მუხლის მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს არ მიეცა შესაძლებლობა, პირადად მოესმინა სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს (*Miller v. Sweden*, 2005, § 30). ამიტომ, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს სამართალწარმოების თავისებურებები უმაღლეს სასამართლოებში.

442. სასამართლომ განიხილა, შეიძლებოდა თუ არა ქვედა დონეზე საქვეყნო განხილვების არარსებობა უფრო გამოსწორებელიყო სააპელაციო ეტაპზე საქვეყნო განხილვების გამართვით. რიგ შემთხვევებში დადგინდა, რომ იმ ფაქტს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოება საჯაროდ ტარდება, არ შეუძლია საქვეყნო მოსმენების ნაკლებობის გამოსწორება იურისდიქციის ქვედა დონეზე, სადაც სააპელაციო საქმისწარმოების მოქმედების სფერო შეზღუდულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლოს არ შეუძლია საქმის არსებითი განხილვა, მათ შორის, ფაქტების მიმოხილვა და შეფასება, იყო თუ არა სასჯელი გადაცდომის თანაზომიერი. თუმცა, თუ სააპელაციო სასამართლოს აქვს სრული იურისდიქცია, უფრო ქვედა დონის იურისდიქციის წინაშე განხილვის არარსებობა შეიძლება გამოსწორდეს ამ სასამართლოს წინაშე (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 192 და პრეცედენტული სამართლის მითითებები მასში). შედეგად, საჩივარი საქვეყნოდ განხილვის არარსებობის შესახებ შეიძლება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული საჩივართან, რომელიც ეხება სააპელაციო ორგანოს მიერ შემოწმების სავარაუდო ნაკლებობას (*იქვე*, § 193). პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის არარსებობა შეიძლება გამოსწორდეს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს წინაშე სრული საქვეყნო განხილვით (*Khrabrova v. Russia*, 2012, § 52).

443. სასამართლომ ხაზი გაუსვა შეჯიბრებითი განხილვის მნიშვნელობას იმ ორგანოს წინაშე, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლს, რომელიც არ შეესაბამება მე-6 მუხლის გარანტიებს, როდესაც ეს ორგანო ვალდებულია, დაადგინოს, საკმარისი იყო თუ არა გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძველი მის გასამართლებლად (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 211). ამ კონკრეტულ შემთხვევაში განხილვის არარსებობამ, როგორც დისციპლინური გადაწყვეტილების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპზე, არასაკმარის სასამართლო განხილვასთან ერთად, გამოიწვია მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევა (§ 214).

444. შესაბამისად, თუ არ არსებობს გამონაკლისი გარემოებები, რომლებიც ამართლებს განხილვის უარყოფას (იხილეთ პრეცედენტული სამართლის შეჯამება საქმეში *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 190), საქვეყნოდ განხილვის უფლება მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად გულისხმობს ზეპირი მოსმენის უფლებას იურისდიქციის, სულ მცირე, ერთ დონეზე (*Fischer v. Austria*, 1995, § 44; *Salomonsson v. Sweden*, 2002, § 36).

445. საქმეში *Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], 2007, § 74, სასამართლოს არ დაუდგენია მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევა, განხილვის არ არსებობის გამო. მან მნიშვნელობა მიაანიჭა იმ ფაქტს, რომ მომჩივნებს შეეძლოთ განხილვის მოთხოვნა, თუმცა, სასამართლოს გადასაწყვეტი იყო, საჭირო იყო თუ არა განხილვა; რომ სასამართლოებმა დაასაბუთეს განხილვის ჩატარებაზე უარის მიზეზები; და რომ მომჩივნებს მიეცათ საკმარისი შესაძლებლობა, წერილობით გამოეთქვათ თავიანთი პოზიცია და კომენტარი

გაეკეთებინათ მეორე მხარის წარდგინებაზე (*ოქვე*). საქმე, რომელშიც დროებითი ზომები იქნა მინიჭებული განხილვის გარეშე, იხილეთ *Helmut Blum v. Austria*, 2016, §§ 70-74.

446. ზოგ შემთხვევაში ეროვნულმა ხელისუფლების ორგანოებმა შეიძლება ასევე იხელმძღვანელონ ეფექტურობისა და ეკონომიურობის მოთხოვნებით (*Eker v. Turkey*, 2017, § 29). ციტირებულ საქმეში სასამართლოს არ უარუყვია, რომ სამართალწარმოება იურისდიქციის ორ დონეზე მიმდინარეობდა განხილვის გარეშე. მან აღნიშნა, რომ სამართლებრივი საკითხები არ იყო განსაკუთრებით რთული და საჭირო იყო საქმისწარმოების სწრაფი გაგრძელება (§ 31). დავა ეხებოდა ტექსტურ და ტექნიკურ საკითხებს, რომელთა საკმარისად განსაზღვრა შესაძლებელი იყო საქმის მასალების საფუძველზე. ამასთან, საქმისწარმოებისას გამოიყენებოდა გამონაკლისი, საგანგებო პროცედურა (განცხადება გაზეთში პასუხის გამოქვეყნების შესახებ ბრძანების თაობაზე), რომელიც სასამართლომ ჩათვალა, რომ იყო აუცილებელი და გამართლებული პრესის გამართული ფუნქციონირების ინტერესებიდან გამომდინარე.

447. თუმცა, სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევა, საქმეში in *Straume v. Latvia*, 2022, რომელიც ეხება საჰაერო მოძრაობის მეთვალყურეთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლის გამოხატვის თავისუფლებას, სადაც პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოში არ ჩატარებულა საქმის საქვეყნოდ არსებითად განხილვა. სასამართლომ არ მიიღო, კერძოდ, ეროვნული სასამართლოების მიერ მოყვანილი მიზეზები საზოგადოების გამორიცხვის გასამართლებლად და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დავის საგანი საჭიროებს საჯარო განხილვას (§§ 127-129).

448. უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების კონტექსტში, იმის გათვალისწინებით, თუ რა დევს სასწორზე – კერძოდ, შესაძლო სასჯელის გავლენა შესაბამისი პირის სიცოცხლესა და კარიერაზე და მისი ფინანსური შედეგები – სასამართლომ დაადგინა, რომ ზეპირი მოსმენის უფლებებელიყოფა უნდა იყოს განსაკუთრებული ზომა და სათანადოდ უნდა იყოს გამართლებული მისი პრევენციული სამართლის გათვალისწინებით (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, §§ 208-211). ციტირებული საქმე ასევე მნიშვნელოვანია მოსამართლის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით. სასამართლომ ხაზი გაუსვა მოსამართლეების წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების განსაკუთრებულ კონტექსტს (§§ 196, 211 და 214).

449. რაც შეეხება *პატიმართა* წინააღმდეგ სამართალწარმოებას, თავისუფლების აღკვეთა, თავის თავად, არ შეიძლება ამართლებდეს მათი საქმის სამოქალაქო სასამართლოში განხილვაზე უარს (*Igranov and Others v. Russia*, 2018, §§ 34-35). პრაქტიკული მიზეზები შეიძლება იქნეს გათვალისწინებული, მაგრამ საქმის სამართლიანი განხილვის უფლების პრინციპები უნდა იყოს დაცული და პატიმარს უნდა შეეძლოს განხილვაზე დასწრების მოთხოვნა (*Altay v. Turkey (no. 2)*, 2019, § 77). თუ პატიმარს არ გაუკეთებია ასეთი მოთხოვნა, როდესაც ასეთი შესაძლებლობა არ იყო გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, ეს არ ნიშნავს, რომ პატიმარმა უარი თქვა სასამართლოში გამოცხადების უფლებაზე (§ 78).

ამ კონტექსტში განსასაზღვრი პირველი საკითხი არის, უკარნახებს თუ არა დავის ხასიათი, რომ პატიმარი პირადად უნდა გამოცხადდეს (*Zayidov v. Azerbaijan (no. 2)*, 2022, §§ 88-89). ასეთ შემთხვევაში ეროვნული ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, მიიღონ პროცედურული ხასიათის პრაქტიკული ზომები, რათა უზრუნველყონ პატიმრის ეფექტური მონაწილეობა მისი სამოქალაქო საქმის განხილვისას (*Yevdokimov and Others v. Russia*, 2016, §§ 33-47 – მითითება საქმეზე *Marcello Viola v. Italy*, 2006, განხილვაში ვიდუობმულით მონაწილეობასთან და სხვა სახის პრაქტიკულ ზომებთან დაკავშირებით;

იხილეთ პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები – და § 52). ციტირებულ საქმეში, ეროვნულმა სასამართლოებმა უფლება არ მისცეს პატიმრებს, დასწრებოდნენ სამოქალაქო სამართალწარმოებას, რომელშიც ისინი მხარეები იყვნენ, იმ მოტივით, რომ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში არ იყო გათვალისწინებული პატიმრების სასამართლოში გადაყვანა. დაადგინა რა, რომ მომჩივნებს არ ჩამორთმევიათ თავიანთი საქმეების ეფექტურად წარდგენის შესაძლებლობა, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა ორგანოებმა ვერ შეასრულეს თავიანთი ვალდებულება, უზრუნველყოთ საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპის დაცვა (§ 52 – ასევე იხილეთ *Altay v. Turkey (no. 2)*, 2019, §§ 78-81).

გარდა ამისა, პრაქტიკული პრობლემა, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, რომ მომჩივანი იხდის სასჯელს სხვა ქვეყანაში, არ გამორიცხავს ალტერნატიული პროცედურული ვარიანტების განხილვას, როგორცაა თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, რათა დაცული იქნეს მომჩივნის მოსმენის უფლება (*Pönkä v. Estonia*, 2016, § 39).

450. საქმეში *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, დიდმა პალატამ შეაჯამა სიტუაციების რამდენიმე მაგალითი, როდესაც განხილვა იყო ან არ იყო აუცილებელი (§§ 190-191).

451. კონკრეტული საჩივრები:

- განხილვა შეიძლება არ იყოს საჭირო, თუ არ არსებობს სანდოობის საკითხები ან სადავო ფაქტები, რომლებიც მოითხოვს განხილვას და სასამართლოს შეუძლია სამართლიანად და გონივრულად გადაწყვიტოს საქმე მხარეთა წარდგინებისა და სხვა წერილობითი მასალების საფუძველზე (*Döry v. Sweden*, 2002, § 37; *Saccoccia v. Austria*, 2008, § 73; *Mirovni Inštitut v. Slovenia*, 2018, § 37).
- სასამართლომ ასევე აღიარა, რომ განხილვაზე უარის შეიძლება გამართლებული იყოს საქმეებში რომლებიც წამოჭრის მხოლოდ შეზღუდული ხასიათის სამართლებრივ საკითხებს (*Allan Jacobsson v. Sweden (no. 2)*, 1998, § 49; *Valová, Slezák and Slezák v. Slovakia*, 2004, §§ 65-68) ან ფაქტების საკითხებს (*Ali Riza v. Switzerland*, 2021, § 117) ან კანონს, რომელიც წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ სირთულეს (*Varela Assalino v. Portugal (dec.)*, 2002; *Speil v. Austria (dec.)*, 2002). იგივე ეხება ძალიან ტექნიკურ საკითხებს (მაგალითად, *Ali Riza v. Switzerland*, 2021, § 119). სასამართლომ გაითვალისწინა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ დავების ტექნიკური ხასიათი, რომლებიც უკეთესად განიხილება წერილობით, ვიდრე ზეპირად. მან არაერთხელ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ სფეროში ეროვნულმა ხელისუფლების ორგანოებმა, ეფექტურობისა და ეკონომიურობის მოთხოვნების გათვალისწინებით, შეიძლება თავი შეიკავონ განხილვის გამართვისგან, რადგან განხილვების სისტემატურმა ჩატარებამ შეიძლება ხელი შეუშალოს სოციალური დაცვის საქმეებში საჭირო განსაკუთრებულ გულმოდგინებას (*Schuler-Zraggen v. Switzerland*, 1993, § 58; *Döry v. Sweden*, 2002, § 41; და შეუპირისპირეთ *Salomonsson v. Sweden*, 2002, §§ 39-40).
- გადაწყვეტილება საქმეზე *Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, აკონკრეტებს, რომ მიუხედავად ზოგიერთი განხილვის ტექნიკური ხასიათისა და იმისდა მიხედვით, თუ რა იდო სასწორზე სამართალწარმოების დროს, საქვეყნოდ შემოწმება შეიძლება ჩაითვალოს აუცილებელ პირობად, როგორც გამჭვირვალობისთვის, ისე დავის მონაწილე მხარეთა უფლებების დასაცავად (§§ 208 და 210).

- მაგალითად, ზეპირი მოსმენა ჩათვლება საჭიროდ, როდესაც საქმე ეხება სამართლებრივ და მნიშვნელოვან ფაქტობრივ საკითხებს (*Fischer v. Austria*, 1995, § 44), ან შეფასებას, სწორად დაადგინეს თუ არა ფაქტები ხელისუფლების ორგანოებმა (*Malhous v. the Czech Republic* [GC], 2001, § 60) და დავაში ფაქტების უფრო საფუძვლიანად განხილვის უზრუნველყოფას (*Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal* [GC], 2018, § 211), და, თუ გარემოებები მოითხოვს, რომ სასამართლომ მოიპოვოს მომჩივანზე პირადი შთაბეჭდილება, მისცეს მომჩივანს შესაძლებლობა, ახსნას თავისი პირადი მდგომარეობა პირადად ან მისი წარმომადგენლის მეშვეობით (*Miller v. Sweden*, 2005, § 34 *in fine*; *Andersson v. Sweden*, 2010, § 57) – მაგალითად, როდესაც სასამართლომ უნდა მოისმინოს მომჩივნის ჩვენება მისი პირადი ტანჯვის შესახებ, რათა დადგინდეს მისთვის მისაკუთვნიებული კომპენსაციის ოდენობა (*Göç v. Turkey* [GC], 2002, § 51; *Lorenzetti v. Italy*, 2012, § 33) ან ინფორმაციის მოსაპოვებლად, მომჩივნის ხასიათის, ქცევისა და საშიშროების შესახებ (*De Tommaso v. Italy* [GC], 2017, § 167; *Evers v. Germany*, 2020, § 98) – ან როცა სასამართლო საჭიროებს გარკვეული საკითხების გარკვევას, მათ შორის, ამ გზით (*Fredin v. Sweden (no. 2)*, 1994, § 22; *Lundevall v. Sweden*, 2002, § 39).

452. საქმე *Pönkä v. Estonia*, 2016, ეხებოდა გამარტივებული პროცედურის გამოყენებას (მცირე სარჩელებისთვის) და სასამართლოს მიერ საქმის განხილვის გამართვაზე უარს, წერილობითი პროცედურის გამოყენების მიზეზების განმარტების გარეშე (§§ 37-40). საქმე *Mirovni Inštitut v. Slovenia*, 2018, ეხებოდა საჩივარს სატენდერო პროცედურაში საფასო შემოთავაზების უარყოფის შესახებ. ეროვნულ სასამართლოს არ განუმარტავს განხილვის გამართვაზე უარის მიზეზი, რამაც ხელი შეუშალა სასამართლოს, დაედგინა, უბრალოდ ხომ არ უგულვებელყო ეროვნულმა სასამართლომ მომჩივნის ინსტიტუტის მოთხოვნა განხილვის შესახებ, ან ხომ არ გადაუწყვეტია მისი გაუქმება და თუ ასეა, რა საფუძვლით (§ 44). ორივე შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ განხილვის ჩატარებაზე უარი არღვევდა მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს (*Pönkä v. Estonia*, 2016, § 40; *Mirovni Inštitut v. Slovenia*, 2018, § 45). რაც შეეხება წარმოსადგენი მიზეზების ოდენობას, საქმეში *Cimperšek v. Slovenia* სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა განხილვის ჩატარებაზე უარის გამართლების მნიშვნელობა, საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით (§ 45).

453. საქმეში *Straume v. Latvia*, 2022, რომელიც ეხებოდა საჰაერო მოძრაობის მეთვალყურეთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლის გამოხატვის თავისუფლებას, სასამართლომ არ მიიღო, კერძოდ, ეროვნული სასამართლოების მიერ მოყვანილი მიზეზები საზოგადოების გამორიცხვის გასამართლებლად და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დავის საგანი საჭიროებს საჯარო განხილვას (§§ 127-129).

454. საქმეში, რომელიც ეხება სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS) წინაშე განხილვებს, სასამართლომ დაადგინა, რომ კითხვები იმის შესახებ, იყო თუ არა მომჩივნის მიმართ დოპინგისთვის დაწესებული სანქცია გამართლებული, მოითხოვდა საჯარო განხილვას. მან აღნიშნა, რომ ფაქტები სადავო იყო და რომ ჯარიმები, რომლებიც მომჩივანს უნდა დაჰკისრებოდა, ატარებდა სტიგმატიზაციის მნიშვნელოვან ხარისხს და შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონოდა მის პროფესიულ ღირსებაზე. ამიტომ მან დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევას, სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე საქვეყნოდ განხილვის არარსებობის გამო (*Mutu and Pechstein v. Switzerland*, 2018, §§ 182-183).

455. ზეპირი მოსმენისას მხარეებს უფლება აქვთ, დაესწრონ (პროკურორის მიერ სამართლებრივი ნორმების დარღვევასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრების ვადამდელი მოსმენის გამართვასთან დაკავშირებით, რომელიც ართმევს მომჩივანს

სასამართლოში გამოცხადების უფლებას, იხილეთ *Andrejeva v. Latvia* [GC], 2009, §§ 99-101), წარადგინონ ზეპირი არგუმენტები, აირჩიონ საქმისწარმოებაში მონაწილეობის სხვა გზა (მაგალითად, დანიშნონ წარმომადგენელი) ან მოითხოვონ გადადება. ამ უფლებების ეფექტურად განხორციელებისთვის მხარეები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებული სხდომის თარიღისა და ადგილის შესახებ, რათა შეთანხმდნენ. სასამართლომ განაცხადა, რომ ეროვნული სასამართლოები ვალდებული არიან, შეამოწმონ შეტყობინების ნამდვილობა საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე. ეროვნულ გადაწყვეტილებებში მოცემული ანალიზი უნდა სცდებოდეს უბრალო მითითებას სასამართლო უწყების გაგზავნის შესახებ და მაქსიმალურად უნდა იყენებდეს არსებულ მტკიცებულებებს იმის დასადგენად, იყო თუ არა დაუსწრებელი მხარე საკმარისად ინფორმირებული განხილვის შესახებ. ეროვნული სასამართლოს წარუმატებლობა, დაედგინა, მიიღო თუ არა დაუსწრებელმა მხარემ უწყება დროულად და, თუ არა, უნდა გადაიდოს თუ არა მოსმენა, თავის თავად, თავსებადი არ არის საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპის ნამდვილ დაცვასთან და შესაძლოა სასამართლო მიიყვანოს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევის დადგენამდე (იხილეთ *Gankin and Others v. Russia*, 2016, §§ 39 და 42, და პრეცედენტულ სამართალში დადგენილი პრინციპების შეჯამება განხილვების შესახებ შეტყობინების, მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და განხილვის უფლებაზე უარის თქმის საკითხთან დაკავშირებით, §§ 34-38).

456. ზოგიერთ სიტუაციაში დასწრება შეიძლება პრობლემური იყოს და სასამართლომ დაადგინა, რომ დავის მონაწილე მხარის მონაწილეობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში ვიდებულთ („სკაიპი“), სასამართლო დარბაზში დამსწრე მის ადვოკატთან ერთად, თავსებადი იყო საქმის სამართლიანი განხილვის უფლებასთან კონკრეტული საქმის გარემოებებში (*Jallow v. Norway*, 2021, მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ საქმე, რომელიც ეხება უცხოელ მომჩივანს, რომელსაც ქვეყანაში არ უშვებდნენ).

457. *პრესისა და საზოგადოების დასწრება*: სასამართლო ორგანოების წინაშე არსებული სამართალწარმოების საჯარო ხასიათი იცავს დავის მონაწილე მხარეებს მართლმსაჯულების ფარული განხორციელებისგან, საჯარო შემოწმების გარეშე და, ამრიგად, არის სასამართლოს მიმართ ნდობის შენარჩუნების ერთ-ერთი საშუალება, რაც ხელს უწყობს საქმის სამართლიანი განხილვის მიზანს (*Diennet v. France*, 1995, § 33; *Martinie v. France* [GC], 2006, § 39; *Gautrin and Others v. France*, 1998, § 42; *Hurter v. Switzerland*, 2005, § 26; *Lorenzetti v. Italy*, 2012, § 30). თუმცა, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ უკრძალავს სასამართლოებს, გადაწყვიტონ ამ პრინციპიდან გადახვევა, საქმის თავისებურებების გათვალისწინებით (*Martinie v. France* [GC], 2006, §§ 40-44). სამართალწარმოების სრულად ან ნაწილობრივ დახურულ სხდომაზე ჩატარება მკაცრად უნდა იყოს განპირობებული საქმის გარემოებებით (*Lorenzetti v. Italy*, 2012, § 30). მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის ფორმულირება ითვალისწინებს მრავალ გამონაკლისს.

458. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის ფორმულირების თანახმად, „მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დაშვებული“:

- „დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე“ (*B. and P. v. the United Kingdom*, 2001, § 39; *Zagorodnikov v. Russia*, 2007, § 26);
- “როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანის ინტერესები, ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა”: არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა დავის საგანია, მაგალითად, საქმისწარმოებაში მშობლების განქორწინების შემდეგ არასრულწლოვანთა საცხოვრებლის შესახებ ან ერთი ოჯახის წევრებს შორის დავის დროს (*ibid.*, § 38); თუმცა, საჯარო დაწესებულებებში

ბავშვის გადაყვანის შემთხვევაში, საქმის საქვეყნოდ განხილვის გამორიცხვის მიზეზები გულდასმით უნდა იქნეს შესწავლილი (*Moser v. Austria*, 2006, § 97). რაც შეეხება ექიმის წინააღმდეგ დისციპლინურ სამართალწარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული საიდუმლოებისა და პაციენტების პირადი ცხოვრების დაცვის აუცილებლობამ შეიძლება გაამართლოს დახურული სამართალწარმოება, ეს მკაცრად უნდა იყოს მოთხოვნილი გარემოებებით (*Diennet v. France*, 1995, § 34; და ადვოკატის წინააღმდეგ სამართალწარმოების მაგალითი: *Hurter v. Switzerland*, 2005, §§ 30-32);

- “ან/და, რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო, ვინაიდან საჯაროობა დააზარალებდა მართლმსაჯულების ინტერესს”: სამართალწარმოების ღია და საჯარო ხასიათი შეიძლება შეიზღუდოს მოწმეთა უსაფრთხოებისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოების დასაცავად ან მართლმსაჯულების განხორციელებისას ინფორმაციისა და აზრის თავისუფალი გაცვლის ხელშეწყობის მიზნით (*B. and P. v. the United Kingdom*, 2001, § 38; *Osinger v. Austria*, 2005, § 45).

459. სასამართლომ დაამატა, რომ პრეცედენტული სამართალი, რომელიც ეხება განხილვის ჩატარებას, როგორც ასეთს, რომელიც ძირითადად ეხება მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით განსაზღვრულ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას (იხ. ზემოთ), ანალოგიურად ვრცელდება განხილვებზე, რომლებიც ღიაა საზოგადოებისთვის. ამრიგად, თუ განხილვები ტარდება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ისინი, პრინციპში, საჯარო უნდა იყოს. საქმის საქვეყნოდ განხილვის გამართვის ვალდებულება არ არის აბსოლუტური, ვინაიდან გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გაამართლოს მის ჩატარებაზე უარი, ძირითადად დამოკიდებულია ეროვნული სასამართლოების მიერ გადასაწყვეტი საკითხების ხასიათზე (*De Tommaso v. Italy* [GC], 2017, §§ 163-67). „გამონაკლისმა გარემოებებმა – მათ შორის, გადასაწყვეტი საკითხების უაღრესად ტექნიკურმა ხასიათმა - შეიძლება გაამართლოს საჯარო განხილვის არარსებობა, იმ პირობით, რომ კონკრეტული საგანი არ საჭიროებს საჯარო განხილვას“ (*Lorenzetti v. Italy*, 2012, § 32).

460. მხოლოდ გასაიდუმლოებული ინფორმაციის არსებობა საქმის მასალებში ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო პროცესი უნდა დაიხუროს საზოგადოებისთვის. შესაბამისად, სანამ საზოგადოებას გამორიცხავდნენ კონკრეტული სამართალწარმოებიდან, სასამართლოებმა კონკრეტულად უნდა განიხილონ, საჭიროა თუ არა ასეთი გამორიცხვა საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად და შეზღუდონ ზომები იმით, რაც მკაცრად აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად (*Nikolova and Vandova v. Bulgaria*, 2013, §§ 74-77, სახელმწიფო საიდუმლოებად კლასიფიცირებული დოკუმენტების გამო დახურულ სხდომასთან დაკავშირებით; ასევე იხილეთ, პრინციპებთან დაკავშირებით *Vasil Vasilev v. Bulgaria*, 2021, §§ 105-106). ანალოგიური მიდგომა ვრცელდება ადვოკატის სატელეფონო საუბრების მოსმენასთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების საქმეზე (*იქვე*, §§ 107-109).

461. დაბოლოს, განხილვის არარსებობა შეიძლება იქნეს ან არ იქნეს საკმარისად ანაზღაურებული სამართალწარმოების შემდგომ ეტაპზე (*Malhous v. the Czech Republic* [GC], 2001, § 62; *Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, 1981, §§ 60-61; *Diennet v. France*, 1995, § 34).

462. საქვეყნოდ განხილვის/სხდომაზე დასწრების უფლებაზე უარის თქმა: მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის არც ფორმა და არც შინაარსი არ უშლის ხელს პირს, ცხადად ან არაცხადად,

თავისი საკუთარი თავისუფალი ნებით, უარი თქვას საქვეყნოდ განხილვაზე, მაგრამ ასეთი უარი უნდა გაკეთდეს ცალსახად და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რაიმე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს (*Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, 1981, § 59; *Håkansson and Sturesson v. Sweden*, 1990, § 66; *Exel v. the Czech Republic*, 2005, § 46). სასამართლო უწყება ასევე დროულად უნდა იქნეს მიღებული (*Yakovlev v. Russia*, 2005, §§ 20-22; *Dilipak and Karakaya v. Turkey*, 2014, §§ 79-87).

463. ამ უფლებებზე უარის თქმის პირობები: შესაბამისი პირი უნდა დათანხმდეს (*Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, 1981, § 59) საკუთარი თავისუფალი ნებით (*Albert and Le Compte v. Belgium*, § 35). უარი შეიძლება იყოს აშკარა ან მდუმარე (*Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, 1981, § 59). მაგრამ ეს უნდა მოხდეს ცალსახად (*Albert and Le Compte v. Belgium*, 1983, § 35; *Håkansson and Sturesson v. Sweden*, 1990, § 67) – როგორც სასამართლომ ხაზი გაუსვა ახლახან საქმეში *Vasil Vasilev v. Bulgaria*, 2021, § 111 – და ეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რაიმე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს (*Håkansson and Sturesson v. Sweden*, § 66).

464. საქვეყნოდ განხილვის მოთხოვნის წარუმატებლობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შესაბამისმა პირმა უარი თქვა სხდომის ჩატარების უფლებაზე; გასათვალისწინებელია შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა (*Göç v. Turkey* [GC], 2002, § 48 *in fine*; *Exel v. the Czech Republic*, 2005, § 47; ასევე იხილეთ *Vasil Vasilev v. Bulgaria*, 2021, § 111). მოითხოვა თუ არა მომჩივანმა საქვეყნოდ განხილვა, უადგილოა, თუ მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა პირდაპირ გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას (*Eisenstecken v. Austria*, 2000, § 33).

465. მაგალითები: დისციპლინურ სამართალწარმოებაში საქვეყნოდ განხილვის უფლებაზე უარი: *Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, 1981, § 59; *H. v. Belgium*, 1987, § 54. საქვეყნოდ განხილვის უფლებაზე ცალსახა უარი: *Schuler-Zraggen v. Switzerland*, 1993, § 58; და შეუპირისპირეთ *Exel v. the Czech Republic*, 2005, §§ 48-53; და *Vasil Vasilev v. Bulgaria*, 2021, § 111.

2. გადაწყვეტილების გამოტანა

466. სასამართლო ორგანოების წინაშე სამართალწარმოების საჯარო ხასიათი იცავს დავის მონაწილე მხარეებს მართლმსაჯულების ფარული განხორციელებისგან, საჯარო შემოწმების გარეშე და წარმოადგენს ძირითად გარანტიას თვითნებობის წინააღმდეგ (*Fazliyski v. Bulgaria*, 2013, § 69, გასაიდუმლოებულ საქმესთან დაკავშირებით – დარღვევა). ეს ასევე არის სასამართლოს მიმართ ნდობის შენარჩუნების საშუალება (*Pretto and Others v. Italy*, 1983, § 21). ეროვნული უშიშროების არასადავო საქმეებშიც კი, როგორცაა ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული საქმეები, ზოგიერთმა სახელმწიფომ აირჩია სასამართლო გადაწყვეტილების მხოლოდ იმ ნაწილების გასაიდუმლოება, რომელთა გამჟღავნება საფრთხეს შეუქმნიდა ეროვნულ უშიშროებას ან სხვათა უსაფრთხოებას, რითაც აჩვენა, რომ არსებობს მეთოდები, რათა მოხდეს უსაფრთხოების ლეგიტიმური შეშფოთებების გათვალისწინება ფუნდამენტური პროცედურული გარანტიების სრული უარყოფის გარეშე, როგორცაა გადაწყვეტილების საჯაროობა (*Fazliyski v. Bulgaria*, 2013, § 69).

467. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი აცხადებს, რომ „გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს საჯაროდ“, რაც, როგორც ჩანს, გულისხმობს წაკითხვას ღია სასამართლოზე. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ „გადაწყვეტილების გასაჯაროების სხვა საშუალებები“ ასევე შეიძლება შეესაბამებოდეს მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს (*Straume v. Latvia*, 2022, § 126; *Moser v. Austria*, 2006, § 101).

468. იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯაროობის ფორმები მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში, გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადების მოთხოვნას, რომ „თითოეულ საქმეში შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საჯაროობის ფორმა ... უნდა შეფასდეს შესაბამისი სამართალწარმოების თავისებურებების გათვალისწინებით და მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის ამოცანისა და მიზნის გათვალისწინებით“ (*Pretto and Others v. Italy*, 1983, § 26; *Axen v. Germany*, 1983, § 31). ამ კონტექსტში მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიზანი – კერძოდ, სასამართლო სისტემის საჯარო კონტროლის უზრუნველყოფა საქმის სამართლიანი განხილვის უფლების დასაცავად – მიღწეული უნდა იქნეს სამართალწარმოების მსვლელობისას, რომელიც უნდა განხილვობდეს მთლიანობაში (*ibid.*, § 32, and *Straume v. Latvia*, 2022, § 133; ასევე იხილეთ, *mutatis mutandis*, გამეგვებასთან და ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებით, *Raza v. Bulgaria*, 2010, § 53).

469. თუ გადაწყვეტილება საჯაროდ არ არის გამოტანილი, უნდა დადგინდეს, მიღწეულია თუ არა საკმარისი საჯაროობა სხვა საშუალებებით.

470. შემდეგ მაგალითებში საკმარისი საჯაროობა მიღწეული იქნა საჯაროდ გამოცხადების გარდა სხვა საშუალებებით:

- ზემდგომი სასამართლოები, რომლებმაც საჯაროდ არ გამოაცხადეს გადაწყვეტილებები სამართლებრივი ნორმების დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების უარყოფის შესახებ: იმისათვის, რომ დადგინდეს, აკმაყოფილებს თუ არა საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წესი მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნებს, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ წესრიგში განხორციელებული სამართალწარმოების მთლიანობა და ამ სასამართლოს როლი მასში (*Pretto and Others v. Italy*, 1983, § 27).

დაადგინა რა, რომ არანაირი დარღვევა არ ყოფილა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტისა, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პროცედურის ეტაპს და ამ სასამართლოების მიერ განხორციელებულ შემოწმებას – რომელიც შემოიფარგლებოდა სამართლებრივი ნორმების საკითხებით – და მათ მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უცვლელად ტოვებდა ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს, მომჩივნისთვის შედეგების შეცვლის გარეშე. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, მან დაასკვნა, რომ საჯაროდ გამოცხადების მოთხოვნა დაცული იყო, რადგან გადაწყვეტილების სრული ტექსტის სასამართლო რეესტრში განთავსებით, ის ხელმისაწვდომი გახდა ყველასთვის (*ibid.*, §§ 27-28), მის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებასთან ერთად (*Straume v. Latvia*, 2022, § 131 ; *Ernst and Others v. Belgium*, 2003, §§ 69-70), ან, თუ გადაწყვეტილებამ ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც თავად გამოცხადდა საჯაროდ, გამოტანილი იყო განხილვის გარეშე (*Axen v. Germany*, 1983, § 32).

- პირველი ინსტანციის სასამართლო: სასამართლომ არ დაადგინა დარღვევები იმ საქმეში, სადაც სააპელაციო სასამართლომ საჯაროდ გამოაცხადა გადაწყვეტილება, რომელიც აჯამებდა და უცვლელად ტოვებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც გამართა განხილვა, მაგრამ გადაწყვეტილება საჯაროდ არ გამოაცხადა (*Lamanna v. Austria*, 2001, §§ 33-34).

- საქმეები ბავშვთა საცხოვრებელთან დაკავშირებით: მაშინ, როცა ეროვნულ ხელისუფლებას ამართლებენ სამართალწარმოების დახურულ კარს მიღმა გამართვაში, რათა დაცული იქნეს ბავშვებისა და მხარეების პირადი ცხოვრების საიდუმლოება და თავიდან იქნეს აცილებული მართლმსაჯულების ინტერესების დაზიანება, ხოლო გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება დიდწილად დაარღვევდა ამ მიზნებს, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნა, გადაწყვეტილებების საჯაროდ გამოცხადებასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდება, თუ ნებისმიერ პირს, რომელსაც შეუძლია ინტერესის დამტკიცება, შეუძლია გაიაროს კონსულტაცია ან მიიღოს სპეციალური ინტერესის გადაწყვეტილებების სრული ტექსტის ასლი, რომელიც გამოქვეყნდება ჩვეული წესით, რაც საშუალებას მისცემს საზოგადოებას, შეისწავლოს, თუ როგორ უყურებენ სასამართლოები მსგავს საქმეებს და რა პრინციპები გამოიყენება მათი გადაწყვეტისას (*B. and P. v. the United Kingdom*, 2001, § 47).

471. შემდეგ საქმეებში გადაწყვეტილების საჯაროდ გამოუცხადებლობამ გამოიწვია დარღვევის დადგენა:

- მშობელსა და საჯარო დაწესებულებას შორის საქმე ბავშვის საცხოვრებლის შესახებ: საქმეში კანონიერი ინტერესის მქონე პირებისთვის საქმის მასალის ხელმისაწვდომობა და განსაკუთრებული ინტერესის მქონე (ძირითადად სააპელაციო სასამართლოების ან უზენაესი სასამართლოს) გადაწყვეტილებების გამოქვეყნება არ იყო საკმარისი საჯაროობის შესახებ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (*Moser v. Austria*, 2006, §§ 102-03).
- როდესაც პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოები დახურულად განიხილავდნენ პატიმრობის ანაზღაურების მოთხოვნას მათი გადაწყვეტილებების საჯაროდ გამოცხადების ან სხვა საშუალებებით საკმარისი საჯაროობის გარეშე (*Werner v. Austria*, 1997, §§ 56-60).
- თუ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა განიხილებოდა საზოგადოების დასწრების გარეშე და გადაწყვეტილებები მხარეთათვის ხელმისაწვდომი ხდებოდა გარკვეული პერიოდის შემდეგ, საჯაროდ რაიმე სახით ხელმისაწვდომობის გარეშე – მხოლოდ სამართალწარმოების მხარეთა ინფორმირება საკმარისი არ არის (*Vasil Vasilev v. Bulgaria*, 2021, §§ 116-117).
- თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საჯაროდ არ იყო გამოცხადებული, ხოლო საჯაროდ გამოცხადდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი და არ ჩატარებულა საქვეყნო განხილვა, რის შედეგადაც სამართალწარმოება არ დაჰქვემდებარებია საკმარის საჯარო შემოწმებას – თუნდაც, თუ შესაძლებელი იყო გადაწყვეტილების ანონიმური ასლის მიწოდების მოთხოვნა სასამართლოს შეხედულებისამებრ (*Straume v. Latvia*, 2022, §§ 130-133, და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები).

472. თუ საჯაროდ გამოცხადდება გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი: აუცილებელია გაირკვეს, ჰქონდა თუ არა საზოგადოებას წვდომა სხვა საშუალებებით იმ დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც არ ყოფილა წაკითხული საჯაროდ და თუ ასეა, უნდა გამოიკვლიოს საჯაროობის გამოყენებული ფორმები, რათა გადაწყვეტილება დაექვემდებაროს საჯარო შემოწმებას (*Ryakib Biryukov v. Russia*, 2008, §§ 38-46 და პრეცედენტული სამართლის ციტირებული მითითებები §§ 33-36). ვინაიდან მიზეზები, რომლებიც შესაძლებელს გახდის იმის გააზრებას, თუ რატომ იქნა უარყოფილი მომჩივნის მოთხოვნები, არ იყო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით

მიღწეული მიზანი არ ყოფილა მიღწეული (*იქვე*, § 45; ასევე იხილეთ *Straume v. Latvia*, 2022, §§ 130-133).

C. საქმისწარმოების ხანგრძლივობა

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი

„1. „ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის ... განხილვის უფლებით ... სასამართლოს მიერ...“

473. საქმეების „გონივრული ვადაში“ განხილვის მოთხოვნით, კონვენცია ხაზს უსვამს მართლმსაჯულების დაუყოვნებლად განხორციელების მნიშვნელობას, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის ეფექტურობასა და სანდოობას (*H. v. France*, 1989, § 58; *Katte Klitsche de la Grange v. Italy*, 1994, § 61). მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, მოაწიონ თავიანთი სამართლებრივი სისტემები ისე, რომ სასამართლოებმა შეძლონ მათი სხვადასხვა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

474. სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი მართლმსაჯულების დაუყოვნებლად განხორციელების მნიშვნელობას, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის ეფექტურობასა და სანდოობას (*Scordino v. Italy (no. 1)* [GC], 2006, § 224). თუ სასამართლო დაადგენს, რომ კონკრეტულ სახელმწიფოში არსებობს კონვენციასთან შეუსაბამო პრაქტიკა „გონივრული ვადის“ მოთხოვნის დარღვევის დაგროვების შედეგად, ეს წარმოადგენს „მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევის დამამძიმებელ გარემოებას“ (*Bottazzi v. Italy* [GC], 1999, § 22; *Scordino v. Italy (no. 1)* [GC], 2006, § 225). სააღსრულებო წარმოების ხანგრძლივობის შესახებ იხილეთ განყოფილება „გადაწყვეტილებები აღსრულება“.

1. სამართალწარმოების ხანგრძლივობის განსაზღვრა

475. რაც შეეხება შესაბამისი პერიოდის დასაწყისს, ვადა ჩვეულებრივ იწყება საქმის კომპეტენტურ სასამართლოში წარდგენის მომენტიდან (*Poiss v. Austria*, 1987, § 50; *Bock v. Germany*, 1989, § 35), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვა არ არის სასამართლო წარმოების დაწყების წინაპირობა, ამ შემთხვევაში ვადა შეიძლება მოიცავდეს სავალდებულო წინასწარ ადმინისტრაციულ პროცედურას (*Kress v. France* [GC], 2001, § 90; *König v. Germany*, 1978, § 98; *X v. France*, 1992, § 31; *Schouten and Meldrum v. the Netherlands*, 1994, § 62).

476. ამრიგად, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება დაიწყოს გონივრული ვადის ათვლა საქმისწარმოების დაწყების ფურცლის გაცემამდე სასამართლოში, რომელშიც მოსარჩელე წარადგენს დავას (*Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], 2007, § 65; *Golder v. the United Kingdom*, 1975, § 32 *in fine*; *Erkner and Hofauer v. Austria*, 1987, § 64). თუმცა, ეს არის გამონაკლისი შემთხვევა და მიღებულია, როდესაც, მაგალითად, გარკვეული წინასწარი ნაბიჯები იყო აუცილებელი პრეამბულა სასამართლო პროცესისთვის (*Blake v. the United Kingdom*, 2006, § 40). სამოქალაქო მხარის სარჩელის საქმესთან დაკავშირებით, იხილეთ *Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [GC], 2019, §§ 207-208; *Arnoldi v. Italy*, 2017, §§ 25-40; და *Koziy v. Ukraine*, 2009, § 25).

477. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს სამართალწარმოების მიმართ, რომელიც, მართალია, არ არის მთლიანად სასამართლო

ხასიათის, მაგრამ მაინც მჭიდროდ არის დაკავშირებული სასამართლო ხელისუფლების მიერ ზედამხედველობასთან. ასე იყო, მაგალითად, ქონების გაყოფის პროცედურის შემთხვევაში, რომელიც დავის გარეშე განხორციელდა ორი ნოტარიუსის მიერ, მაგრამ დაწესებული და დამტკიცებული იყო სასამართლოს მიერ (*Siegel v. France*, 2000, §§ 33-38). ამიტომ გონივრული ვადის გაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნა ნოტარიუსების წინაშე არსებული პროცედურის ხანგრძლივობა.

478. რაც შეეხება ვადის ამოწურვას, ის ჩვეულებრივ მოიცავს მთელ განსახილველ სამართალწარმოებას, სააპელაციო წარმოების ჩათვლით (*König v. Germany*, 1978, § 98 *in fine*) და, შესაბამისად, როგორც შუალედურ, ისე საბოლოო გადაწყვეტილებებს (*Mierlă and Others v. Romania* (dec.), 2022, § 78). ის ვრცელდება იმ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დავის გადაწყვეტა ხდება (*Poiss v. Austria*, 1987, § 50). ამრიგად, გონივრული ვადის მოთხოვნა ვრცელდება დავის გადაწყვეტის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე და არ გამორიცხავს ეტაპებს არსებითი გადაწყვეტილების მიღების შემდგომ (*Robins v. the United Kingdom*, 1997, §§ 28-29), რაც ნიშნავს, რომ ხარჯებისა და დანახარჯების საბოლოო განსაზღვრა შესაძლებელია განსახილველ პერიოდში (*Čičmanec v. Slovakia*, 2016, § 50).

479. ამდენად, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება უნდა ჩაითვალოს საქმისწარმოების განუყოფელ ნაწილად, შესაბამისი პერიოდის გამოთვლის მიზნით (*Martins Moreira v. Portugal*, 1988, § 44; *Silva Pontes v. Portugal*, 1994, § 33; *Di Pede v. Italy*, 1996, § 24). დრო არ ჩერდება სამართალწარმოების დროს მოთხოვნილი უფლების ძალაში შესვლამდე (*Estima Jorge v. Portugal*, 1998, §§ 36-38).

480. თუ საჯარო განხილვაზე გადაწყვეტილების გამოცხადება და გადაწყვეტილების სრული ტექსტის შედგენა ხდება სხვადასხვა დროს, სამართალწარმოება დასრულებულად არ ითვლება გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს სამდივნოში საბოლოო დასაბუთებული გადაწყვეტილების წარდგენამდე ან სანამ შესაბამის მხარეებს არ ეცნობება გადაწყვეტილების შესახებ, მათ შორის, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მხარეთათვის შეტყობინებამდე დროის ხანგრძლივი პერიოდი ვადის (*Mierlă and Others v. Romania* (dec.), 2022, §§ 78 and 82).

481. საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება მხედველობაში მიიღება მაშინ, როდესაც, თუმცა სასამართლოს არ აქვს საქმის არსებითი განხილვის უფლებამოსილება, მის გადაწყვეტილებას შეუძლია გავლენა მოახდინოს საერთო სასამართლოებში დავის შედეგზე (*Deumeland v. Germany*, 1986, § 77; *Pammel v. Germany*, 1997, §§ 51-57; *Süßmann v. Germany*, 1996, § 39). მიუხედავად ამისა, საქმეების გონივრულ ვადაში განხილვის ვალდებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, როგორც საერთო სასამართლოსთვის (*იქვე*, § 56; *Oršuš and Others v. Croatia* [GC], 2010, § 109).³⁹

482. დაბოლოს, რაც შეეხება მესამე მხარის ჩარევას სამოქალაქო სამართალწარმოებაში, უნდა განვასხვაოთ შემდეგი: თუ მომჩივანი შევიდა ეროვნულ სამართალწარმოებაში მხოლოდ საკუთარი სახელით, მხედველობაში მისაღები პერიოდი იწყება ამ თარიღიდან, ხოლო თუ მომჩივანმა განაცხადა თავისი განზრახვის შესახებ, გააგრძელოს სამართალწარმოება მემკვიდრის სახით, მას შეუძლია იჩივლოს სამართალწარმოების მთელ ხანგრძლივობაზე (*Scordino v. Italy* (no. 1) [GC], 2016, § 220).

39. და იხილეთ ქვემოთ.

2. გონივრული ვადის მოთხოვნის შეფასება

a. პრინციპები

483. წევრი სახელმწიფოების ვალდებულება: ისინი ვალდებული არიან, მოაწყონ თავიანთი სასამართლო სისტემები ისე, რომ მათმა სასამართლოებმა უზრუნველყონ ყველას უფლება, გონივრულ ვადაში მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება, სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებით (*Comingersoll S.A. v. Portugal* [GC], 2000, § 24; *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, § 142).

484. კონკრეტული საქმის შეფასება: მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს თითოეულ საქმეში, კონკრეტული გარემოებების მიხედვით (*Frydlender v. France* [GC], 2000, § 43), რაც შეიძლება მოითხოვდეს გლობალურ შეფასებას (*Comingersoll S.A. v. Portugal* [GC], 2000, § 23; *Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [GC], 2019, § 214; *Obermeier v. Austria*, 1990, § 72).

485. აუცილებელია მთელი სამართალწარმოების გათვალისწინება (*König v. Germany*, 1978, § 98 *in fine*).

- მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა შეფერხებებმა შეიძლება თავის თავად არ წამოჭრას რაიმე საკითხი, თუ მათ განვიხილავთ ერთად და ერთობლივად, შეიძლება გამოიწვიოს გონივრული დროის გადაჭარბება (*Deumeland v. Germany*, 1986, § 90). ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ სამართალწარმოების თითოეული ეტაპის ხანგრძლივობა (დაახლოებით წელიწად-ნახევარი) არ შეიძლება ჩაითვალოს უმართებულოდ, როგორც ასეთი, ხოლო მთლიანი ხანგრძლივობა შეიძლება მაინც იყოს გადაჭარბებული (*Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland* [GC], 2017, §§ 210-11).
- შეფერხება სამართალწარმოების გარკვეული ფაზის განმავლობაში შეიძლება დასაშვები იყოს იმ პირობით, რომ სამართალწარმოების საერთო ხანგრძლივობა არ არის გადაჭარბებული (*Pretto and Others v. Italy*, 1983, § 37).
- ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა შეძლეს აქტიურობის შენარჩუნება მთელი სამართალწარმოების განმავლობაში, ხოლო შეფერხებები გამოწვეული იყო პროცედურული ხარვეზებით (*Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [GC], 2019, § 213).
- ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მიუღებელია „ხანგრძლივი ვადები, რომლის დროსაც სამართალწარმოება ... ჩერდება“ (*Beaumartin v. France*, 1994, § 33).

486. შეფასება იმისა, იყო თუ არა დახარჯული დრო გონივრული, შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს მიმდინარე სამართალწარმოების მახასიათებლებს (იხილეთ *Omdahl v. Norway*, 2021, §§ 47 და 54-55, რომელიც ეხება გარდაცვლილი პირის ქონების გაყოფას მის მემკვიდრეებს შორის, რასაც ოცდაორ წელზე მეტი დასჭირდა).

487. პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა, როგორცაა COVID-19 ჯანმრთელობის კრიზისი, შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ეროვნული სასამართლოების მიერ საქმეების წარმოებაზე (*Q and R v. Slovenia*, 2022, § 80), თუმცა ეს, პრინციპში, ვერ ათავისუფლებს სახელმწიფოს რაიმე პასუხისმგებლობისგან, შესაბამისი სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობის გამო.

488. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის გამოყენებადობა წინასწარ სამართალწარმოებასთან ან დროებით ზომებთან მიმართებით, მათ შორის, აკრძალვის ღონისძიებებთან

დაკავშირებით, დამოკიდებული იქნება გარკვეული პირობების შესრულებაზე (*Micallef v. Malta* [GC], 2009, §§ 83-86).⁴⁰

489. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) წინასწარი განჩინების საფუძველზე არსებული სამართალწარმოება მხედველობაში არ მიიღება ეროვნული ხელისუფლების ორგანოებისთვის მიკუთვნებული დროის ხანგრძლივობის შეფასებისას (*Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland* [GC], 2017, § 208; *Pafitis and Others v. Greece*, 1998, § 95⁴¹).

490. თუ სახელმწიფომ შემოიღო საკომპენსაციო საშუალება გონივრული ვადის პრინციპის დარღვევისთვის და ამ საშუალებას, მთლიანობაში, არ მოჰყოლია მომჩივნის „დაზარალებულის“ სტატუსის დაკარგვა, კონვენციის 34-ე მუხლის მიზნებისთვის, ეს წარმოადგენს „დამამძიმებელ გარემოებას“ მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევის კონტექსტში, გონივრული ვადის გადაჭარბების გამო (*Scordino v. Italy (no. 1)* [GC], 2006, § 225).

b. კრიტერიუმები

491. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის გარემოებების გათვალისწინებით და შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად: საქმის სირთულე, მომჩივნისა და შესაბამისი ორგანოების ქცევა და თუ რა იდო სასწორზე მომჩივნისთვის დავაში (*Comingersoll S.A. v. Portugal* [GC], 2000; *Frydlender v. France* [GC], 2000, § 43; *Sürmeli v. Germany* [GC], 2006, § 128; *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, § 143; *Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [GC], 2019, § 209). გადაწყვეტილებამ საქმეზე *Bieliński v. Poland*, 2022, შეაჯამა მოქმედი პრეცედენტული სამართლის პრინციპები (§§ 42-44).

i. საქმის სირთულე

492. საქმის სირთულე შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც ფაქტებთან, ისე კანონთან (*Papachelas v. Greece* [GC], 1999, § 39; *Katte Klitsche de la Grange v. Italy*, 1994, § 55). ეს შეიძლება გამოწვეული იყოს, მაგალითად, საქმეში რამდენიმე მხარის ჩართულობით (*H. v. the United Kingdom*, 1987, § 72) ან სხვადასხვა მტკიცებულებით, რომლებიც საჭიროებს მოპოვებას (*Humen v. Poland* [GC], 1999, § 63). საქმე შეიძლება იყოს სამართლებრივად რთული, ეროვნულ დონეზე პრეცედენტების არარსებობის გამო ან ევროპული კანონმდებლობის განმარტებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის მიმართვის აუცილებლობის გამო (*Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland* [GC], 2017, § 212).

493. საქმეში *Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [GC], 2019, სამოქალაქო სამართალწარმოება ხასიათდებოდა „მნიშვნელოვნად ფაქტობრივი სირთულით“, რაც გაიზარდა ბევრი საექსპერტო დასკვნის გამო (§ 210) – საექსპერტო დასკვნასთან დაკავშირებით, შეადარეთ საქმე *Q and R v. Slovenia*, § 79, 2022.

494. შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოების სირთულემ შეიძლება აიხსნას მისი ხანგრძლივობა (*Tierce v. San Marino*, 2003, § 31). თუმცა, გადახდისუნარობის საქმისწარმოების პროცესის სირთულის აღიარებისას, სასამართლომ დაასკვნა, რომ

40. იხილეთ განყოფილება „მოქმედების სფერო“.

41. იხილეთ თემატური სახელმძღვანელო *ევროკავშირის კანონმდებლობა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში* (მხოლოდ ფრანგულად; ინგლისური ვერსია ჯერ არ გამოსულა).

დაახლოებით ოცდახუთი წლისა და ექვსი თვის პერიოდი არ აკმაყოფილებდა „გონივრული ვადის“ მოთხოვნას (*Cipolletta v. Italy*, 2018, § 44).

495. მაშინაც კი, თუ თავად საქმე არ არის განსაკუთრებით რთული, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის სიცხადისა და განჭვრეტადობის ნაკლებობამ შეიძლება გაართულოს მასთან გამკლავება და გადამწყვეტი წვლილი შეიტანოს სამართალწარმოების გახანგრძლივებაში (*Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, § 150).

ii. მომჩივნის ქცევა

496. მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ მოითხოვს მომჩივნების აქტიურ თანამშრომლობას სასამართლო ხელისუფლების ორგანოებთან და მათ არ შეიძლება დაჰბრალდეს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების სრულად გამოყენება (*Erkner and Hofauer v. Austria*, 1987, § 68) ან მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შედეგები (*Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [GC], 2019, § 211). თუმცა, ეროვნული ხელისუფლების ორგანოები ვერ იქნება პასუხისმგებელი სამართალწარმოების გახანგრძლივებაზე (*იქვე*).

497. შესაბამის პირს მოეთხოვება მხოლოდ გულმოდგინების გამოჩენა მასთან დაკავშირებული პროცედურული ნაბიჯების განხორციელებისას, დაყოვნების ტაქტიკის გამოყენებისგან თავშეკავება და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობების გამოყენება სამართალწარმოების ხანგრძლივობის შესამცირებლად (*Unión Alimentaria Sanders S.A. v. Spain*, 1989, § 35). სასამართლო განიხილავს ამგვარი მოთხოვნების გავლენას სამართალწარმოების ხანგრძლივობაზე (*Q and R v. Slovenia*, 2002, § 78).

498. მომჩივნის ქცევა წარმოადგენს ობიექტურ ფაქტს, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნოს მოპასუხე სახელმწიფოს და რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რათა დადგინდეს, გადაჭარბებულია თუ არა მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული გონივრული ვადა (*Poiss v. Austria*, § 57; *Wiesinger v. Austria*, 1991, § 57; *Humen v. Poland* [GC], 1999, § 66). მომჩივნის ქცევა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს უმოქმედობის პერიოდების გასამართლებლად.

499. რამდენიმე მაგალითი მომჩივნის ქცევასთან დაკავშირებით:

- მხარეთა მიერ თავიანთი წარდგინებების ოპერატიულობის ნაკლებობამ შეიძლება გადამწყვეტი წვლილი შეიტანოს საქმისწარმოების შენელებაში (*Vernillo v. France*, 1991, § 34);
- ადვოკატის ხშირი/განმეორებითი ცვლილებები (*König v. Germany*, 1978, § 103);
- მოთხოვნები ან უმოქმედობები, რომლებიც გავლენას ახდენს საქმისწარმოებაზე (*Acquaviva v. France*, 1995, § 61), ან გულმოდგინების ნაკლებობა პროცედურული ნაბიჯების განხორციელებისას (*Keaney v. Ireland*, 2020, § 95); ასევე იხილეთ *Sürmeli v. Germany* [GC], 2006, § 131;
- მეგობრული მორიგების უზრუნველყოფის მცდელობა (*Pizzetti v. Italy*, 1993, § 18; *Laino v. Italy* [GC], 1999, § 22);
- შეცდომით წარდგენილი სამართალწარმოება სასამართლოში, რომელსაც არ აქვს იურისდიქცია (*Beaumartin v. France*, 1994, § 33);
- სასამართლო ქცევა, რასაც მოწმობს მრავალი განცხადება და სხვა მოთხოვნები (*Pereira da Silva v. Portugal*, 2016, §§ 76-79).

500. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოები არ შეიძლება იყვნენ პასუხისმგებელი მოპასუხის საქციელზე, ერთ-ერთი მხარის მიერ გამოყენებული დაყოვნების ტაქტიკა არ ათავისუფლებს ხელისუფლების ორგანოებს ვალდებულებისგან, უზრუნველყონ სამართალწარმოების გონივრულ ვადაში ჩატარება (*Mincheva v. Bulgaria*, 2010, § 68).

iii. ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების ქცევა

501. სახელმწიფო პასუხისმგებელია ყველა თავის ორგანოზე: არა მხოლოდ სასამართლო ორგანოებზე, არამედ ყველა საჯარო დაწესებულებაზე (*Martins Moreira v. Portugal*, 1988, § 60); სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მასშტაბისთვის იხილეთ *Bieliński v. Poland*, 2022, § 44, დაგროვილ საქმეებთან, ანგარიშგების წარმოების გაჭიანურებასთან, მათ შორის, ექსპერტთა დასკვნებისა, სტრუქტურულ ხარვეზებთან და გასატარებელ ზომებთან/რესურსებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასამართლო სისტემაში. მხოლოდ სახელმწიფოს ბრალეულობით გამოწვეული შეფერხებები შეიძლება გახდეს „გონივრული ვადის“ მოთხოვნის შეუსრულებლობის დადგენის საფუძველი (*Humen v. Poland* [GC], 1999, § 66; *Buchholz v. Germany*, 1981, § 49; *Papageorgiou v. Greece*, 1997, § 40). სასამართლო განიხილავს პროცესს მთლიანობაში, რაც ნიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ხელისუფლების ორგანოებს შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა გარკვეულ პროცედურულ ხარვეზებზე, რამაც გამოიწვია საქმისწარმოების გაჭიანურება, მათ მაინც შეუძლიათ თავიანთი მოვალეობის შესრულება, მე-6 მუხლის შესაბამისად, დაჩქარებულად განიხილონ საქმე (*Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [GC], 2019, § 211).

502. იმ სამართლებრივ სისტემებშიც კი, რომლებიც იყენებენ პრინციპს, რომ მხარეებს აქვთ პროცედურული ინიციატივა, ამ უკანასკნელის დამოკიდებულება არ ათავისუფლებს სასამართლოებს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით მოთხოვნილი დაჩქარებული სასამართლო განხილვის ვალდებულებისგან (*Sürmeli v. Germany* [GC], 2006, § 129; *Pafitis and Others v. Greece*, 1998, § 93; *Tierce v. San Marino*, 2003, § 31).

503. იგივე ეხება საქმეებს, როდესაც სამართალწარმოებისას აუცილებელია ექსპერტის თანამშრომლობა: საქმის მომზადებისა და პროცესის დაჩქარების პასუხისმგებლობა ეკისრება მოსამართლეს (*Sürmeli v. Germany* [GC], 2006, § 129; *Capuano v. Italy*, 1987, §§ 30-31; *Versini v. France*, 2001, § 29).

504. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების „გონივრული ვადაში“ გამოტანის ვალდებულება ეხება საკონსტიტუციო სასამართლოსაც, ის არ შეიძლება განიმარტოს ისე, როგორც საერთო სასამართლოსთვის. მისი, როგორც კონსტიტუციის მცველის, როლი განსაკუთრებით აუცილებელს ხდის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ზოგჯერ გაითვალისწინოს სხვა მოსაზრებები, გარდა საქმეების სიაში შეტანის მარტივი ქრონოლოგიური თანმიმდევრობისა, როგორცაა საქმის ხასიათი და მისი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა (შდრ. *Oršuš and Others v. Croatia* [GC], 2010, § 109; *Süßmann v. Germany*, 1996, §§ 56-58; *Voggenreiter v. Germany*, 2004, §§ 51-52). გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლი მოითხოვს დაჩქარებულ სასამართლო წარმოებას, ის ასევე ხაზს უსვამს მართლმსაჯულების სათანადო განხორციელების უფრო ზოგად პრინციპს (*Von Maltzan and Others v. Germany* (dec.) [GC], 2005, § 132). თუმცა, ქრონიკული გადატვირთვა ვერ გაამართლებს სამართალწარმოების გადაჭარბებულ ხანგრძლივობას (*Probstmeier v. Germany*, 1997, § 64). საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე არსებული უსაფუძვლოდ ხანგრძლივი სამართალწარმოების მაგალითისთვის იხილეთ *Project-Trade d.o.o. v. Croatia*, 2020, §§ 101-102, ხოლო საერთო სასამართლოების მიერ საქმის განხილვის

შეჩერებასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პოზიციის მიღებამდე, იხილეთ *Bieliński v. Poland*, 2022, § 47.

505. ვინაიდან წევრ სახელმწიფოებს ევალებათ თავიანთი სამართლებრივი სისტემების ისე მოწყობა, რომ გარანტირებული იყოს გონივრულ ვადაში გადაწყვეტილების მიღების უფლება, ზედმეტი დატვირთვის გათვალისწინება შეუძლებელია (*Vocaturò v. Italy*, 1991, § 17; *Cappello v. Italy*, 1992, § 17; განსაკუთრებით დიდ დატვირთვისთან დაკავშირებით, იხილეთ *Bieliński v. Poland*, 2022, § 46). თუმცა, დროებით დაგროვილი საქმეები არ იწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, იმ პირობით, რომ მან მიიღო გამოსასწორებელი ზომები საკმარისად სწრაფად, რათა გაუმკლავდეს ამ ტიპის განსაკუთრებულ სიტუაციას (*Buchholz v. Germany*, 1981, § 51). როგორც დროებითი ღონისძიება, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი მეთოდები, როგორცაა საქმეების განხილვა გარკვეული თანმიმდევრობით, რომელიც დაფუძნებულია არა მხოლოდ მათი აღძვრის თარიღზე, არამედ მათი გადაუდებლობისა და მნიშვნელობის ხარისხზე და, კერძოდ, იმაზე, თუ რა დევს სასწორზე შესაბამისი მხარეებისთვის. თუმცა, თუ ეს მდგომარეობა გაჭიანურდება და სტრუქტურული მოწყობის საკითხად იქცევა, ასეთი მეთოდები საკმარისი აღარ არის და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქმედითი ღონისძიებების გატარება (*Zimmermann and Steiner v. Switzerland*, 1983, § 29; *Guincho v. Portugal*, 1984, § 40). ის ფაქტი, რომ ასეთი დაგროვილი, განსახილველი საქმეები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, არ ამართლებს სამართალწარმოების გადაჭარბებულ ხანგრძლივობას (*Unión Alimentaria Sanders S.A. v. Spain*, 1989, § 40).

506. გარდა ამისა, საქმეების განხილვის დაჩქარების მიზნით შექმნილი რეფორმის შემოღება ვერ გაამართლებს შეფერხებებს, ვინაიდან სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ასეთი ზომების ძალაში შესვლა და განხორციელება ისე, რომ თავიდან აიცილონ განხილვის მოლოდინში არსებული საქმეების განხილვის გაჭიანურება (*Fisanotti v. Italy*, 1998, § 22). ამასთან დაკავშირებით, წევრი სახელმწიფოს მიერ შემოღებული შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების შესაბამისობა ან არაადეკვატურობა, ზედმეტად ხანგრძლივი სამართალწარმოების პრობლემის თავიდან ასაცილებლად ან ასანაზღაურებლად, უნდა შეფასდეს სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით (*Scordino v. Italy (no. 1)* [GC], 2006, §§ 178 და მომდევნო და 223). ეროვნული სასამართლო სისტემის შორსმიმავალი რეფორმა, რომელიც გავლენას ახდენს კონკრეტული სასამართლოს საოპერაციო შესაძლებლობებზე, არ ათავისუფლებს სახელმწიფოს კონვენციის შესაბამისად კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულებისგან (*Bara and Kola v. Albania*, 2021, §§ 68-71).

507. სახელმწიფოს ასევე დაეკისრა პასუხისმგებლობა გონივრული ვადის მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის საქმეში, რომელიც მოიცავდა გადაჭარბებული რაოდენობით სასამართლო მოქმედებებს, რომლებიც ორიენტირებული იყო მომჩივნის გონებრივ მდგომარეობაზე. ეროვნული სასამართლოები განაგრძობდნენ ეჭვის შეტანას ამ მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ხუთი ანგარიში, რომელიც ადასტურებდა მომჩივნის ჯანსაღ გონებას და მეურვეობის შესახებ ორი მოთხოვნის უარყოფას; გარდა ამისა, დავა ცხრა წელზე მეტხანს გაგრძელდა (*Bock v. Germany*, 1989, § 47).

508. ადვოკატთა ასოციაციის წევრების გაფიცვამ, თავის თავად, არ შეიძლება გამოიწვიოს ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა „გონივრული ვადის“ მოთხოვნასთან დაკავშირებით; თუმცა, სახელმწიფოს მიერ გაწეული მცდელობები, ნებისმიერი შეფერხების შესამცირებლად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რათა დადგინდეს, შესრულებულია თუ არა ეს მოთხოვნა (*Papageorgiou v. Greece*, 1997, § 47).

509. თუ მოსამართლის განმეორებითი ცვლილება შეანელებს სამართალწარმოებას, რადგან თითოეული მოსამართლე უნდა გაეცნოს საქმეს, ეს ვერ ათავისუფლებს სახელმწიფოს ვალდებულებისგან, გონივრული ვადის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რადგან სახელმწიფოს ამოცანაა, რომ მართლმსაჯულება სათანადოდ განხორციელდეს (*Lechner and Hess v. Austria*, 1987, § 58).

510. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ფუნქცია არ არის, გააანალიზოს ეროვნული სასამართლოების მიერ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განმარტება და გამოყენება, ის მაინც მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილებები, რომლებიც აუქმებს წინა დასკვნებს და აბრუნებს საქმეს ხელახალ განხილვაში, როგორც წესი, გამოწვეულია ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომებით და რომ ასეთი გადაწყვეტილებების განმეორება შეიძლება მიუთითებდეს მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ ხარვეზებზე (*Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], 2016, § 147).

iv. რა დევს სასწორზე დავაში

511. საქმეების კატეგორიების მაგალითები, რომლებიც, თავიანთი ხასიათიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ოპერატიულობას მოითხოვს:

- განსაკუთრებული გულმოდგინებაა საჭირო საქმეებში, რომლებიც ეხება სამოქალაქო სტატუსსა და შესაძლებლობებს (*Bock v. Germany*, 1989, § 49; *Laino v. Italy* [GC], 1999, § 18; *Mikulic v. Croatia*, 2002, § 44).
- ბავშვზე მეურვეობის საქმეები სწრაფად უნდა განიხილებოდეს (*Hokkanen v. Finland*, 1994, § 72; *Niederböster v. Germany*, 2003, § 39), მით უმეტეს, რომ დროის გასვლას შეიძლება ჰქონდეს შეუქცევადი შედეგები მშობლისა და ბავშვის ურთიერთობაზე (*Tsikakis v. Germany*, 2011, §§ 64 and 68) – ასევე, მშობლის პასუხისმგებლობისა და კონტაქტის უფლებებთან დაკავშირებული საქმეები მოითხოვს განსაკუთრებულ დაჩქარებას (*Laino v. Italy* [GC], 1999, § 22; *Paulsen-Medalen and Svensson v. Sweden*, 1998, § 39). განსაკუთრებული გულმოდგინების მოთხოვნა ვრცელდება მინდობით აღზრდასთან დაკავშირებულ საქმეებზე, რომლებიც აღძრეს ბებო-ბაბუებმა, რომელთა შვილიშვილები მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩნენ (*Q and R v. Slovenia*, 2022, § 80).
- შრომითი დავები თავისი ხასიათით მოითხოვს დაჩქარებულ გადაწყვეტას (*Frydender v. France* [GC], 2000, § 45; *Vocatur v. Italy*, 1991, § 17; და *Ruotolo v. Italy*, 1992, § 17; ასევე იხილეთ მითითებები საქმეში *Bara and Kola v. Albania*, 2021, § 72) – მიუხედავად იმისა, ეხება თუ არა საქმე ლიბერალურ პროფესიაზე წვდომას (*Thlimmenos v. Greece* [GC], 2000, §§ 60 and 62), მომჩივნის მთელ პროფესიულ საქმიანობას (*König v. Germany*, 1978, § 111), მომჩივნის საქმიანობის გაგრძელებას (*Garcia v. France*, 2000, § 14), საჩივარს, თანამდებობიდან გათავისუფლების გამო (*Frydender v. France* [GC], 2000, § 45; *Buchholz v. Germany*, 1981, § 52), მომჩივნის საქმიანობიდან ჩამოშორებას (*Obermeier v. Austria*, 1990, § 72), გადაყვანას (*Sartory v. France*, 2009, § 34) თუ აღდგენას (*Ruotolo v. Italy*, 1992, § 117), ან, როცა მოთხოვნილ თანხას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მომჩივნისთვის (*Doustaly v. France*, 1998, § 48). ამ კატეგორიაში შედის საპენსიო დავები (*Borgese v. Italy*, 1992, § 1818; ასევე იხილეთ *Bieliński v. Poland*, 2022, § 48).). დაწინაურებასთან დაკავშირებული დავისთვის, იხილეთ საქმე *Bara and Kola v. Albania*, 2021, § 72.
- ხელისუფლების ორგანოებისგან განსაკუთრებული გულმოდგინებაა საჭირო მომჩივნის საქმეში, რომელსაც აქვს „უკუზღიპი დაავადება“ და აქვს

„შემცირებული სიცოცხლის ხანგრძლივობა“ (*X v. France*, 1992, § 47; *A. and Others v. Denmark*, 1996, §§ 78-81; *Pailot v. France*, 1998, § 68).

512. სხვა პრეცედენტები:

- განსაკუთრებული გულმოდგინებას საჭირო შესაბამისი სასამართლო ორგანოების მხრიდან იმ პირის მიერ შეტანილი საჩივრის გამოძიებაში, რომელიც ამტკიცებს, რომ პოლიციამ ძალადობა განახორციელა (*Caloc v. France*, 2000, § 120).
- საქმეში, რომელშიც მომჩივნის ინვალიდობის პენსია მისი სახსრების დიდ ნაწილს შეადგენდა, სამართალწარმოებას, რომლითაც ის მოითხოვდა ამ პენსიის გაზრდას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, რაც ამართლებდა განსაკუთრებულ გულმოდგინებას ეროვნული ორგანოების მხრიდან (*Mocié v. France*, 2003, § 22); ამ კონტექსტში იხილეთ, საქმე საარსებო საშუალებების შემცირების შესახებ, *Bieliński v. Poland*, 2022, § 48.
- საქმეში, რომელიც ეხება ზარალის ანაზღაურების შესახებ მომჩივნის მიერ აღძრულ სარჩელს, რომელსაც ფიზიკური ზიანი მიადგა და 65 წლის იყო, როდესაც მან მოითხოვა სამართალწარმოებაში ჩართვა სამოქალაქო მხარის სახით, განსახილველი საკითხი მოითხოვდა ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მხრიდან განსაკუთრებულ გულმოდგინებას (*Codarcea v. Romania*, 2009, § 89).
- მომჩივნისთვის სასწორზე შეიძლება ასევე იდოს განათლების უფლება (*Oršuš and Others v. Croatia* [GC], 2010, § 109).

513. პირიქით, განსაკუთრებული გულმოდგინება არ არის საჭირო, მაგალითად, საგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით (*Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [GC], 2019, § 213) ან გარდაცვლილი პირის ქონების მემკვიდრეებს შორის გაყოფასთან დაკავშირებით, როგორც მითითებულია საქმეში *Omdahl v. Norway*, 2021, §§ 63-64.

514. სასამართლოს გადაწყვეტილების მიზეზების შედგენის გაჭიანურებასთან დაკავშირებით იხილეთ *Mierlă and Others v. Romania* (dec.), 2022, § 80.

ციტირებული საქმეების ჩამონათვალი

წინამდებარე გზამკვლევში ციტირებული პრეცედენტული სამართლის მაგალითები მიუთითებს სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე ან განჩინებებზე და ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის (შემდგომში „კომისია“) გადაწყვეტილებებზე ან ანგარიშებზე.

თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ყველა მითითება ეხება სასამართლოს პალატის გადაწყვეტილებებს საქმის არსებით მხარეზე. აბრევიატურა „(dec.)“ მიუთითებს, რომ ციტირებულია სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო “[GC]” მიუთითებს, რომ საქმე განიხილა დიდმა პალატამ.

პალატის გადაწყვეტილებები, რომლებიც არ იყო საბოლოო კონვენციის 44-ე მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში ამ განახლების გამოქვეყნების დროს, მონიშნულია ვარსკვლავით (*) ქვემოთ მოცემულ სიაში. კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტში ვკითხულობთ: „პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა, როდესაც: (a) მხარეები განაცხადებენ, რომ ისინი არ ითხოვენ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემას; ან (b) პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში მათ არ მოუთხოვიათ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა; ან (c) დიდი პალატის კოლეგია უარყოფს 43-ე მუხლის საფუძველზე საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის მოთხოვნას“. იმ შემთხვევებში, როდესაც საქმის გადაცემის მოთხოვნა მიიღება დიდი პალატის სხდომაზე, დიდი პალატის შემდგომი გადაწყვეტილება, და არა პალატის გადაწყვეტილება, ხდება საბოლოო.

გზამკვლევის ელექტრონულ ვერსიაში მოცემული საქმეების ჰიპერბმულები მიუთითებს HUDOC მონაცემთა ბაზაზე (<http://hudoc.echr.coe.int>), რომელიც უზრუნველყოფს წვდომას სასამართლოსა (დიდი პალატის, პალატებისა და კომიტეტების გადაწყვეტილებები და განჩინებები, განხილული საქმეები, საკონსულტაციო დასკვნები და სამართლებრივი შეჯამებები პრეცედენტული სამართლის საინფორმაციო ჩანაწერიდან) და კომისიების (გადაწყვეტილებები და ანგარიშები) პრეცედენტულ სამართალზე, აგრეთვე, მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციებზე.

სასამართლო თავის გადაწყვეტილებებს და განჩინებებს ორ ოფიციალურ ენაზე – ინგლისურ ან/და ფრანგულ ენაზე – იღებს. HUDOC-ზე ასევე მოცემულია ბევრი მნიშვნელოვანი საქმის თარგმანი 30-ზე მეტ არაოფიციალურ ენაზე და ბმულები მესამე მხარეების მიერ მომზადებული პრეცედენტული სამართლის დაახლოებით ას ელექტრონულ კრებულზე.

—A—

A. v. the United Kingdom, no. 35373/97, ECHR 2002-X

A.K. v. Liechtenstein, no. 38191/12, 2015 წლის 9 ივლისი

A. and Others v. Denmark, 1996 წლის 8 თებერვალი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1996-I

Acar and Others v. Turkey (dec.), nos. 26878/07 და 32446/07, 2017 წლის 12 დეკემბერი

Áćimović v. Croatia, no. 61237/00, ECHR 2003-XI

- Acquaviva v. France*, 1995 წლის 21 ნოემბერი, Series A no. 333-A
Adorisio and Others v. the Netherlands (dec.), no. 47315/13 და 2 სხვა, 2015 წლის 17 მარტი
Aerts v. Belgium, 1998 წლის 30 ივლისი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-V
Agrokompleks v. Ukraine, no. 23465/03, 2011 წლის 6 ოქტომბერი
Air Canada v. the United Kingdom, 1995 წლის 5 მაისი, Series A no. 316-A
Airey v. Ireland, 1979 წლის 9 ოქტომბერი, Series A no. 32
Ait-Mouhoub v. France, 1998 წლის 28 ოქტომბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-VIII
Akashev v. Russia, no. 30616/05, 2008 წლის 12 ივნისი
Aksoy v. Turkey, 1996 წლის 18 დეკემბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1996-VI
Alaverdyan v. Armenia (dec.), no. 4523/04, 2010 წლის 24 აგვისტო
Al-Adsani v. the United Kingdom [GC], no. 35763/97, ECHR 2001-XI
Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland [GC], no. 5809/08, ECHR 2016
Alatulkkila and Others v. Finland, no. 33538/96, 2005 წლის 28 ივლისი
Albert and Le Compte v. Belgium, 1983 წლის 10 თებერვალი, Series A no. 58
Albu and Others v. Romania, nos. 34796/09 და 63 სხვა, 2012 წლის 10 მაისი
Aleksandar Sabev v. Bulgaria, no. 43503/08, 2018 წლის 19 ივლისი
Alexandre v. Portugal, no. 33197/09, 2012 წლის 20 ნოემბერი
Alexandrescu and Others v. Romania, nos. 56842/08 და 7 სხვა, 2015 წლის 24 ნოემბერი
Ali Rıza and Others v. Turkey, nos. 30226/10 და 4 სხვა, 2020 წლის 28 იანვარი
Ali Rıza v. Switzerland, no. 74989/11, 2021 წლის 13 ივლისი
Allan Jacobsson v. Sweden (no. 2), 1998 წლის 19 თებერვალი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-I
Alminovich v. Russia (dec.), no. 24192/05, 2019 წლის 20 ოქტომბერი
Altay v. Turkey (no. 2), no. 11236/09, 2019 წლის 9 აპრილი
Amat-G Ltd and Mebaghishvili v. Georgia, no. 2507/03, ECHR 2005-VIII
Anagnostopoulos and Others v. Greece, no. 39374/98, ECHR 2000-XI
Andelković v. Serbia, no. 1401/08, 2013 წლის 9 აპრილი
Andersson v. Sweden, no. 17202/04, 2010 წლის 7 დეკემბერი
Andrejeva v. Latvia [GC], no. 55707/00, ECHR 2009
Andret and Others v. France (dec.), no. 1956/02, 2004 წლის 25 მაისი
Andronicou and Constantinou v. Cyprus, 1997 წლის 9 ოქტომბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-VI
Andronikashvili v. Georgia (dec.), no. 9297/08, 2010 წლის 22 ივნისი
Anheuser-Busch Inc. v. Portugal [GC], no. 73049/01, ECHR 2007-I
Ankarcrona v. Sweden (dec.), no. 35178/97, ECHR 2000-VI
Ankerl v. Switzerland, 1996 წლის 23 ოქტომბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1996-V
Annoni di Gussola and Others v. France, nos. 31819/96 და 33293/96, ECHR 2000-XI
Apay v. Turkey, no. 3964/05, 2007 წლის 11 დეკემბერი
APEH Üldözötteinek Szövetsége and Others v. Hungary, no. 32367/96, ECHR 2000-X
Apostol v. Georgia, no. 40765/02, ECHR 2006-XIV
Argyrou and Others v. Greece, no. 10468/04, 2009 წლის 15 იანვარი
Arlewin v. Sweden, no. 22302/10, 2016 წლის 1 მარტი
Arnoldi v. Italy, no. 35637/04, 2017 წლის 7 დეკემბერი
Arribas Antón v. Spain, no. 16563/11, 2015 წლის 20 იანვარი

Arrozpide Sarasola and Others v. Spain, nos. 65101/16 და 2 სხვა, 2018 წლის 23 ოქტომბერი
Arvanitakis v. France (dec.), no. 46275/99, ECHR 2000-XII
Arvanitakis and Others v. Greece (dec.), no. 21898/10, 2014 წლის 26 აგვისტო
Ashingdane v. the United Kingdom, 1985 წლის 28 მაისი, Series A no. 93
Asnar v. France (no. 2), no. 12316/04, 2007 წლის 18 ოქტომბერი
Association Burestop 55 and Others v. France, nos. 56176/18 და 5 სხვა, 2021 წლის 1 ივლისი
Astikos Kai Paratheristikos Oikodomikos Synetairismos Axiomatikon and Karagiorgos v. Greece (dec.), nos. 29382/16 და 489/17, 2017 წლის 9 მაისი
Astikos Oikodomikos Synetairismos Nea Konstantinoupolis v. Greece (dec.), no. 37806/02, 2005 წლის 20 იანვარი
Atanasova v. Bulgaria, no. 72001/01, 2008 წლის 2 ოქტომბერი
Atanasovski v. the former Yugoslav Republic of Macedonia, no. 36815/03, 2010 წლის 14 იანვარი
Ateş Mimarlık Mühendislik A.Ş. v. Turkey, no. 33275/05, 2012 წლის 25 სექტემბერი
Athanassoglou and Others v. Switzerland [GC], no. 27644/95, ECHR 2000-IV
Augusto v. France, no. 71665/01, 2007 წლის 11 იანვარი
Aviakompaniya A.T.I., ZAT v. Ukraine, no. 1006/07, 2017 წლის 5 ოქტომბერი
Avotiņš v. Latvia [GC], no. 17502/07, 2016 წლის 23 მაისი
Axen v. Germany, 1983 წლის 8 დეკემბერი, Series A no. 72
Azienda Agricola Silverfunghi S.a.s. and others v. Italy, nos. 48357/07 და 3 სხვა, 2014 წლის 24 ივნისი
Azzopardi and Others v. Malta (dec.), nos. 16467/17 და 24115/17, 2019 წლის 12 მარტი

—B—

B. and P. v. the United Kingdom, nos. 36337/97 და 35974/97, ECHR 2001-III
Bacaksız v. Turkey, no. 24245/09, 2019 წლის 10 დეკემბერი
Baka v. Hungary [GC], no. 20261/12, ECHR 2016
Bakan v. Turkey, no. 50939/99, 2007 წლის 12 ივნისი
Baljak and Others v. Croatia, no. 41295/19, 2021 წლის 25 ნოემბერი
Bara and Kola v. Albania, nos. 43391/18 და 17766/19, 2021 წლის 12 ოქტომბერი
Bąkowska v. Poland, no. 33539/02, 2010 წლის 12 იანვარი
Ballıktaş Bingöllü v. Turkey, no. 76730/12, 2021 წლის 22 ივნისი
Balmer-Schafroth and Others v. Switzerland, 1997 წლის 26 აგვისტო, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-IV
Barać and Others v. Montenegro, no. 47974/06, 2011 წლის 13 დეკემბერი
Barik Edidi v. Spain (dec.), no. 21780/13, 2016 წლის 26 აპრილი
Baydar v. the Netherlands, no. 55385/14, 2018 წლის 24 აპრილი
Bayer v. Germany, no. 8453/04, 2009 წლის 16 ივლისი
Beaumartin v. France, 1994 წლის 24 ნოემბერი, Series A no. 296-B
Beer v. Austria, no. 30428/96, 2001 წლის 6 თებერვალი
Beg S.p.a. v. Italy, no. 5312/11, 2021 წლის 20 მაისი
Beian v. Romania (no. 1), no. 30658/05, ECHR 2007-V (ამონარიდები)
Béleš and Others v. the Czech Republic, no. 47273/99, ECHR 2002-IX
Bellet v. France, 1995 წლის 4 დეკემბერი, Series A no. 333-B
Bellizzi v. Malta, no. 46575/09, 2011 წლის 21 ივნისი
Beneficio Cappella Paolini v. San Marino, no. 40786/98, ECHR 2004-VIII (ამონარიდები)
Bentham v. the Netherlands, 1985 წლის 23 ოქტომბერი, Series A no. 97

Berger v. France, no. 48221/99, ECHR 2002-X (ამონარიდები)
Bertuzzi v. France, no. 36378/97, ECHR 2003-III
Beshiri and Others v. Albania (dec.), no. 29026/06, 2020 წლის 17 მარტი
Beuze v. Belgium [GC], no. 71409/10, 2018 წლის 9 ნოემბერი
Biagioli v. San Marino (dec.), no. 8162/13, 2014 წლის 8 ივლისი
Bieliński v. Poland, no. 48762/19, 2022 წლის 21 ივლისი
Bilan v. Croatia (dec.), no. 57860/14, 2020 წლის 20 ოქტომბერი
Bilgen v. Turkey, no. 1571/07, 2021 წლის 9 მარტი
Blake v. the United Kingdom, no. 68890/01, 2006 წლის 26 სექტემბერი
Blücher v. the Czech Republic, no. 58580/00, 2005 წლის 11 იანვარი
Bochan v. Ukraine, no. 7577/02, 2007 წლის 3 მაისი
Bochan v. Ukraine (no. 2) [GC], no. 22251/08, ECHR 2015
Bock v. Germany, 1989 წლის 29 მარტი, Series A no. 150
Borgese v. Italy, 1992 წლის 26 თებერვალი, Series A no. 228-B
Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland [GC], no. 45036/98, CEDH 2005-VI
Bottazzi v. Italy [GC], no. 34884/97, ECHR 1999-V
Bouilloc v. France (dec.), no. 34489/03, 2006 წლის 28 ნოემბერი
Boulois v. Luxembourg [GC], no. 37575/04, ECHR 2012
British-American Tobacco Company Ltd v. the Netherlands, 1995 წლის 20 ნოემბერი, Series A no. 331
Broda and Bojara v. Poland, nos. 26691/18 და 27367/18, 2021 წლის 29 ივნისი
Brualla Gómez de la Torre v. Spain, 1997 წლის 19 დეკემბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-VIII
Brudnicka and Others v. Poland, no. 54723/00, ECHR 2005-II
Brumărescu v. Romania [GC], no. 28342/95, ECHR 1999-VII
Bryan v. the United Kingdom, 1995 წლის 22 ნოემბერი, Series A no. 335-A
Buchholz v. Germany, 1981 წლის 6 მაისი, Series A no. 42
Bufferne v. France (dec.), no. 54367/00, ECHR 2002-III (ამონარიდები)
Buj v. Croatia, no. 24661/02, 2006 წლის 1 ივნისი
Burdov v. Russia, no. 59498/00, ECHR 2002-III
Burdov v. Russia (no. 2), no. 33509/04, ECHR 2009
Burg and Others v. France (dec.), no. 34763/02, ECHR 2003-II
Bursa Barosu Başkanlığı and Others v. Turkey, no. 25680/05, 2018 წლის 19 ივნისი
Bursać and Others v. Croatia, no. 78836/16, 2022 წლის 28 აპრილი
Buscemi v. Italy, no. 29569/95, ECHR 1999-VI
Buzescu v. Romania, no. 61302/00, 2005 წლის 24 მაისი

—C—

C.G.I.L. and Cofferati v. Italy (no. 2), no. 2/08, 2010 წლის 6 აპრილი
C.N. v. Luxembourg, no. 59649/18, 2021 წლის 12 ოქტომბერი
Caloc v. France, no. 33951/96, ECHR 2000-IX
Camelia Bogdan v. Romania, no. 36889/18, 2020 წლის 20 ოქტომბერი
Canela Santiago v. Spain (dec.), no. 60350/00, 2001 წლის 4 ოქტომბერი
Cañete de Goñi v. Spain, no. 55782/00, ECHR 2002-VIII
Cappello v. Italy, 1992 წლის 27 თებერვალი, Series A no. 230-F

Capital Bank AD v. Bulgaria, no. 49429/99, ECHR 2005-XII (ამონარიდები)
Capuano v. Italy, 1987 წლის 25 ივნისი, Series A no. 119
Carmel Saliba v. Malta, no. 24221/13, 2016 წლის 29 ნოემბერი
Cătănciu v. Romania (dec.), no. 22717/17, 2018 წლის 6 დეკემბერი
Cavajda v. the Czech Republic (dec.), no. 17696/07, 2011 წლის 29 მარტი
Central Mediterranean Development Corporation Limited v. Malta (no. 2), no. 18544/08, 2011 წლის 22 ნოემბერი
Centro Europa 7 S.r.l. and Di Stefano v. Italy [GC], no. 38433/09, ECHR 2012
Černius and Rinkevičius v. Lithuania, nos. 73579/17 და 14620/18, 2020 წლის 18 თებერვალი
Chapman v. Belgium (dec.), no. 39619/06, 2013 წლის 5 მარტი
Chaudet v. France, no. 49037/06, 2009 წლის 29 ოქტომბერი
Chevrol v. France, no. 49636/99, ECHR 2003-III
Čičmanec v. Slovakia, n° 65302/11, 2016 წლის 28 ივნისი
Cimperšek v. Slovenia, no. 58512/16, 2020 წლის 30 ივნისი
Cindrić and Bešlić v. Croatia, no. 72152/13, 2016 წლის 6 სექტემბერი
Cingilli Holding A.Ş. and Cingilhoğlu v. Turkey, nos. 31833/06 და 37538/06, 2015 წლის 21 ივლისი
Cipolletta v. Italy, no. 38259/09, 2018 წლის 11 იანვარი
Ciprová v. the Czech Republic (dec.), no. 33273/03, 2005 წლის 22 მარტი
Čivinskaitė v. Lithuania, no. 21218/12, 2020 წლის 15 სექტემბერი
Clarke v. the United Kingdom (dec.), no. 23695/02, ECHR 2005-X (ამონარიდები)
Clavien v. Switzerland (dec.), no. 16730/15, 2017 წლის 12 სექტემბერი
Clinique des Acacias and Others v. France, nos. 65399/01 და 3 სხვა, 2005 წლის 13 ოქტომბერი
Cocchiarella v. Italy [GC], no. 64886/01, ECHR 2006-V
Codarcea v. Romania, no. 31675/04, 2009 წლის 2 ივნისი
Čolić v. Croatia, no. 49083/18, 2021 წლის 18 ნოემბერი
Collectif national d'information et d'opposition à l'usine Melox – Collectif Stop Melox and Mox v. France (dec.), no. 75218/01, 2006 წლის 28 მარტი
Colloredo Mannsfeld v. the Czech Republic, nos. 15275/11 და 76058/12, 2016 წლის 15 დეკემბერი
Comingersoll S.A. v. Portugal [GC], no. 35382/97, ECHR 2000-IV
Cooper v. the United Kingdom [GC], no. 48843/99, ECHR 2003-XII
Coöperatieve Producentenorganisatie van de Nederlandse Kokkelvisserij U.A. v. Netherlands (dec.), no. 13645/05, ECHR 2009
Cordova v. Italy (no. 1), no. 40877/98, ECHR 2003-I
Cordova v. Italy (no. 2), no. 45649/99, ECHR 2003-I (ამონარიდები)
Corneschi v. Romania, no. 21609/16, 2022 წლის 11 იანვარი
Cosmos Maritime Trading and Shipping Agency v. Ukraine, no. 53427/09, 2019 წლის 27 ივნისი
Croatian Golf Federation v. Croatia, no. 66994/14, 2020 წლის 17 დეკემბერი
Crompton v. the United Kingdom, no. 42509/05, 2009 წლის 27 ოქტომბერი
Cubanit v. Romania (dec.), no. 31510/02, 2007 წლის 4 იანვარი
Cudak v. Lithuania [GC], no. 15869/02, ECHR 2010
Cyprus v. Turkey [GC], no. 25781/94, ECHR 2001-IV

—D—

Dağtekin and Others v. Turkey, no. 70516/01, 2007 წლის 13 დეკემბერი

- Dalea v. France* (dec.), no. 964/07, 2010 წლის 2 თებერვალი
Debled v. Belgium, 1994 წლის 22 სექტემბერი, Series A no. 292-B
De Bruin v. the Netherlands (dec.), no. 9765/09, 2013 წლის 17 სექტემბერი
De Geouffre de la Pradelle v. France, 1992 წლის 16 დეკემბერი, Series A no. 253-B
De Haan v. the Netherlands, 1997 წლის 26 აგვისტო, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-IV
De Haes and Gijssels v. Belgium, 1997 წლის 24 თებერვალი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-I
De Moor v. Belgium, 1994 წლის 23 ივნისი, Series A no. 292-A
De Tommaso v. Italy, no. 43395/09, ECHR 2017 (ამონარიდები)
Del Sol v. France, no. 46800/99, ECHR 2002-II
Denisov v. Ukraine [GC], no. 76639/11, 2018 წლის 25 სექტემბერი
Deumeland v. Germany, 1986 წლის 29 მაისი, Series A no. 100
Devinar v. Slovenia, no. 28621/15, 2018 წლის 22 მაისი
Deweert v. Belgium, 1980 წლის 27 თებერვალი, Series A no. 35
Dhahbi v. Italy, no. 17120/09, 2014 წლის 8 აპრილი
Di Giovanni v. Italy, no. 51160/06, 2013 წლის 9 ივლისი
Di Pede v. Italy, 1996 წლის 26 სექტემბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1996-IV
Diennet v. France, 1995 წლის 26 სექტემბერი, Series A no. 325-A
Dilipak and Karakaya v. Turkey, nos. 7942/05 და 24838/05, 2014 წლის 4 მარტი
Dimopoulos v. Turkey, no. 37766/05, 2019 წლის 2 აპრილი
Dolca and Others v. Romania (dec.), nos. 59282/11 და 2 სხვა, 2012 წლის 4 სექტემბერი
Dolińska-Ficek and Ozimek v. Poland, nos. 49868/19 და 57511/19, 2021 წლის 8 ნოემბერი
Dombo Beheer B.V. v. the Netherlands, 1993 წლის 27 ოქტომბერი, Series A no. 274
Donadze v. Georgia, no. 74644/01, 2006 წლის 7 მარტი
Döry v. Sweden, no. 28394/95, 2002 წლის 12 ნოემბერი
Dos Santos Calado and Others v. Portugal, nos. 55997/14 და 3 სხვა, 2020 წლის 31 მარტი
Dotta v. Italy (dec.), no. 38399/97, 1999 წლის 7 სექტემბერი
Doustaly v. France, 1998 წლის 23 აპრილი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-II
Dragan Kovačević v. Croatia, no. 49281/15, 2022 წლის 12 მაისი
Driza v. Albania, no. 33771/02, ECHR 2007-V (ამონარიდები)
Ducret v. France, no. 40191/02, 2007 წლის 12 ივნისი
Dulaurans v. France, no. 34553/97, 2000 წლის 21 მარტი
Durisotto v. Italy (dec.), no. 62804/13, 2014 წლის 6 მაისი
Dzhidzheva-Trendafilova v. Bulgaria (dec.), no. 12628/09, 2012 წლის 9 ოქტომბერი

—E—

- EEG-Slachthuis Verbist Izegem v. Belgium* (dec.), no. 60559/00, ECHR 2005-XII
Efstratiou and Others v. Greece, no. 53221/14, 2020 წლის 19 ნოემბერი
Eiffage S.A. and Others v. Switzerland (dec.), no. 1742/05, 2009 წლის 15 სექტემბერი
Eisenstecken v. Austria, no. 29477/95, ECHR 2000-X
Eker v. Turkey, no. 24016/05, 2017 წლის 24 ოქტომბერი
Elcomp sp. z o.o. v. Poland, no. 37492/05, 2011 წლის 19 აპრილი
Elsholz v. Germany [GC], no. 25735/94, ECHR 2000-VIII

Ellès and Others v. Switzerland, no. 12573/06, 2010 წლის 16 დეკემბერი
Emesa Sugar N.V. v. the Netherlands (dec.), no. 62023/00, 2005 წლის 13 იანვარი
Eminağaoğlu v. Turkey, no. 76521/12, 2021 წლის 9 მარტი
Emine Araç v. Turkey, no. 9907/02, ECHR 2008
Enea v. Italy [GC], no. 74912/01, ECHR 2009
Erkner and Hofauer v. Austria, 1987 წლის 23 აპრილი, Series A no. 117
Ernst and Others v. Belgium, no. 33400/96, 2003 წლის 15 ივლისი
Essaadi v. France, no. 49384/99, 2002 წლის 26 თებერვალი
Estima Jorge v. Portugal, 1998 წლის 21 აპრილი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-II
Eternit v. France (dec.), no. 20041/10, 2012 წლის 27 მარტი
Evers v. Germany, no. 17895/14, 2020 წლის 28 მაისი
Exel v. the Czech Republic, no. 48962/99, 2005 წლის 5 ივლისი
Ezgeta v. Croatia, no. 40562/12, 2017 წლის 7 სექტემბერი

—F—

Fabris v. France [GC], no. 16574/08, ECHR 2013 (ამონარიდები)
Farange S.A. v. France (dec.), no. 77575/01, 2004 წლის 14 სექტემბერი
Fayed v. the United Kingdom, 1994 წლის 21 სექტემბერი, Series A no. 294-B
Fazia Ali v. the United Kingdom, no. 40378/10, 2015 წლის 20 ოქტომბერი
Fazlı Aslaner v. Turkey, no. 36073/04, 2014 წლის 4 მარტი
Fazliyski v. Bulgaria, no. 40908/05, 2013 წლის 16 აპრილი
Feilazoo v. Malta, no. 6865/19, 2021 წლის 11 მარტი
Feldbrugge v. the Netherlands, 1986 წლის 29 მაისი, Series A no. 99
Fernandes de Oliveira v. Portugal [GC], no. 78103/14, 2019 წლის 31 იანვარი
Ferrazzini v. Italy [GC], no. 44759/98, ECHR 2001-VII
Ferreira Alves v. Portugal (no. 3), no. 25053/05, 2007 წლის 21 ივნისი
Fisanotti v. Italy, 1998 წლის 23 აპრილი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-II
Fischer v. Austria, 1995 წლის 26 აპრილი, Series A no. 312
Fiume v. Italy, no. 20774/05, 2009 წლის 30 ივნისი
Flux v. Moldova (no. 2), no. 31001/03, 2007 წლის 3 ივლისი
Fociac v. Romania, no. 2577/02, 2005 წლის 3 თებერვალი
Fodor v. Germany (dec.), no. 25553/02, 2006 წლის 11 დეკემბერი
Fogarty v. the United Kingdom [GC], no. 37112/97, ECHR 2001-XI (ამონარიდები)
Fomenko and Others v. Russia (dec.), nos. 42140/05 და 4 სხვა, 2019 წლის 24 სექტემბერი
Forrer-Niedenthal v. Germany, no. 47316/99, 2003 წლის 20 თებერვალი
Fraille Iturralde v. Spain (dec.), no. 66498/17, 2019 წლის 7 მაისი
Frantzeskaki v. Greece (dec.), nos. 57275/17 და 2 სხვა, 2019 წლის 12 თებერვალი
Fredin v. Sweden (no. 2), 1994 წლის 23 თებერვალი, Series A no. 283-A
Fretté v. France, no. 36515/97, ECHR 2002-I
Frezadou v. Greece, no. 2683/12, 2018 წლის 8 ნოემბერი
Frydlender v. France [GC], no. 30979/96, ECHR 2000-VII
Fuklev v. Ukraine, no. 71186/01, 2005 წლის 7 ივნისი

—G—

G.L. and S.L. v. France (dec.), no. 58811/00, ECHR 2003-III (ამონარიდები)
Gajtani v. Switzerland, no. 43730/07, 2014 წლის 9 სექტემბერი
Ganci v. Italy, no. 41576/98, ECHR 2003-XI
Gankin and Others v. Russia, nos. 2430/06 და 3 სხვა, 2016 წლის 31 მაისი
Garcia v. France, no. 41001/98, 2000 წლის 26 სექტემბერი
García Manibardo v. Spain, no. 38695/97, ECHR 2000-II
García Ruiz v. Spain [GC], no. 30544/96, ECHR 1999-I
Gaspari v. Slovenia, no. 21055/03, 2009 წლის 21 ივლისი
Gautrin and Others v. France, 1998 წლის 20 მაისი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-III
Georgel and Georgeta Stoicescu v. Romania, no. 9718/03, 2011 წლის 26 ივლისი
Georgiadis v. Greece, 1997 წლის 29 მაისი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-III
Geraguyun Khorhurd Patgamavorakan Akumb v. Armenia (dec.), no. 11721/04, 2009 წლის 14 აპრილი
Gerasimov and Others v. Russia, nos. 29920/05 და 10 სხვა, 2014 წლის 1 ივლისი
Ghrenassia v. Luxembourg, no. 27160/19, 2021 წლის 7 დეკემბერი
Gnahoré v. France, no. 40031/98, ECHR 2000-IX
Gil Sanjuan v. Spain, no. 48297/15, 2020 წლის 26 მაისი
Göç v. Turkey [GC], no. 36590/97, ECHR-2002-V
Gogić v. Croatia, no. 1605/14, 2020 წლის 8 ოქტომბერი
Golder v. the United Kingdom, 1975 წლის 21 თებერვალი, Series A no. 18
Golubović v. Croatia, no. 43947/10, 2012 წლის 27 ნოემბერი
Gorou v. Greece (no. 2) [GC], no. 12686/03, 2009 წლის 20 მარტი
Gorou v. Greece (no. 4), no. 9747/04, 2007 წლის 11 იანვარი
Gorraiz Lizarraga and Others v. Spain, no. 62543/00, ECHR 2004-III
Grace Gatt v. Malta, no. 46466/16, 2019 წლის 8 ოქტომბერი
Gracia Gonzalez v. Spain, no. 65107/16, 2020 წლის 6 ოქტომბერი
Granos Organicos Nacionales S.A. v. Germany, no. 19508/07, 2012 წლის 22 მარტი
Gražulevičiūtė v. Lithuania, no. 53176/17, 2021 წლის 14 დეკემბერი
Grzęda v. Poland [GC], no. 43572/18, 2022 წლის 15 მარტი
Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland [GC], no. 26374/18, 2020 წლის 1 დეკემბერი
Guigue and SGEN-CFDT v. France (dec.), no. 59821/00, ECHR 2004-I
Guincho v. Portugal, 1984 წლის 10 ივლისი, Series A no. 81
Gülmez v. Turkey, no. 16330/02, 2008 წლის 20 მაისი
Gumenyuk and Others v. Ukraine, no. 11423/19, 2021 წლის 22 ივლისი
Gutfreund v. France, no. 45681/99, ECHR 2003-VII

—H—

H. v. Belgium, 1987 წლის 30 ნოემბერი, Series A no. 127-B
H. v. France, 1989 წლის 24 ოქტომბერი, Series A no. 162-A
H. v. the United Kingdom, 1987 წლის 8 ივლისი, Series A no. 120
Håkansson and Stureson v. Sweden, 1990 წლის 21 თებერვალი, Series A no. 171-A
Hamzagić v. Croatia, no. 68437/13, 2021 წლის 9 დეკემბერი
Hansen v. Norway, no. 15319/09, 2014 წლის 2 ოქტომბერი

Harabin v. Slovakia, no. 58688/11, 2012 წლის 20 ნოემბერი
Harisch v. Germany, no. 50053/16, 2019 წლის 11 აპრილი
Hasan Tunç and Others v. Turkey, no. 19074/05, 2017 წლის 31 იანვარი
Hayati Çelebi and Others v. Turkey, no. 582/05, 2016 წლის 9 თებერვალი
Helle v. Finland, 1997 წლის 19 დეკემბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-VIII
Helmers v. Sweden, 1991 წლის 29 ოქტომბერი, Series A no 212-A
Helmut Blum v. Austria, no. 33060/10, 2016 წლის 5 აპრილი
Hentrich v. France, 1994 წლის 22 სექტემბერი, Series A no. 296-A
Herma v. Germany (dec.), no. 54193/07, 2009 წლის 8 დეკემბერი
Hesse-Anger and Anger v. Germany (dec.), no. 45835/99, ECHR 2001-VI
Higgins and Others v. France, 1998 წლის 19 თებერვალი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-I
Hiro Balani v. Spain, 1994 წლის 9 დეკემბერი, Series A no. 303-B
Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, 2001 წლის 27 სექტემბერი
Hokkanen v. Finland, 1994 წლის 23 სექტემბერი, Series A no. 299-A
Holdings and Barnes PLC v. the United Kingdom (dec.), no. 2352/02, ECHR 2002-IV
Holub v. the Czech Republic, no. 24880/05, 2010 წლის 14 დეკემბერი
Hôpital local Saint-Pierre d'Oléron and Others v. France, nos. 18096/12 და 20 სხვა, 2018 წლის 8 ნოემბერი
Hornsby v. Greece, 1997 წლის 19 მარტი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-II
Hotter v. Austria (dec.), no. 18206/06, 2010 წლის 7 ოქტომბერი
Howald Moor and Others v. Switzerland, nos. 52067/10 და 41072/11, 2014 წლის 11 მარტი
Hudáková and Others v. Slovakia, no. 23083/05, 2010 წლის 27 აპრილი
Humen v. Poland [GC], no. 26614/95, 1999 წლის 15 ოქტომბერი
Hurter v. Switzerland, no. 53146/99, 2005 წლის 15 დეკემბერი
Hussein and Others v. Belgium, no. 45187/12, 2021 წლის 16 მარტი

— I —

I.T.C. Ltd v. Malta (dec.), no. 2629/06, 2007 წლის 11 დეკემბერი
Igranov and Others v. Russia, no. 63246/10, 2018 წლის 9 იანვარი
Ilmseher v. Germany [GC], nos. 10211/12 და 27505/14, 2018 წლის 4 დეკემბერი
Immeubles Groupe Kosser v. France, no. 38748/97, 2002 წლის 21 მარტი
Immobiliare Saffi v. Italy [GC], no. 22774/93, ECHR 1999-V
Indra v. Slovakia, no. 46845/99, 2005 წლის 1 თებერვალი
Işyar v. Bulgaria, no. 391/03, 2008 წლის 20 ნოემბერი
Ivan Atanasov v. Bulgaria, no. 12853/03, 2010 წლის 2 დეკემბერი

— J —

J.C. and Others v. Belgium, no. 11625/17, 2021 წლის 12 ოქტომბერი
Jahnke and Lenoble v. France (dec.), no. 40490/98, ECHR 2000-IX
Jallow v. Norway, no. 36516/19, 2021 წლის 2 დეკემბერი
James and Others v. the United Kingdom, 1986 წლის 21 თებერვალი, Series A no. 98
Jenița Mocanu v. Romania, no. 11770/08, 2013 წლის 17 დეკემბერი

John v. Germany (dec.), no. 15073/03, 2007 წლის 13 თებერვალი
Jones and Others v. the United Kingdom, nos. 34356/06 და 40528/06, ECHR 2014
Jovanović c. Serbie, n° 32299/08, 2012 წლის 2 ოქტომბერი
Juričić c. Croatia, n° 58222/09, 2011 წლის 26 ივლისი
Jurisić and Collegium Mehrerau v. Austria, no. 62539/00, 2006 წლის 27 ივლისი

—K—

K.D.B. v. the Netherlands, 1998 წლის 27 მარტი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-II
K.S. v. Finland, no. 29346/95, 2001 წლის 31 მაისი
Kakamoukas and Others v. Greece [GC], no. 38311/02, 2008 წლის 15 თებერვალი
Kalogeropoulou and Others v. Greece and Germany (dec.), no. 59021/00, ECHR 2002-X
Kamenos v. Cyprus, no. 147/07, 2017 წლის 31 ოქტომბერი
Kamenova v. Bulgaria, no. 62784/09, 2018 წლის 12 ივლისი
Karahasanoglu v. Turkey, nos. 21392/08 და 2 სხვა, 2021 წლის 16 მარტი
Károly Nagy v. Hungary [GC], no. 56665/09, ECHR 2017
Karrar v. Belgium, no. 61344/16, 2021 წლის 31 აგვისტო
Katsikeros v. Greece, no. 2303/19, 2022 წლის 21 ივლისი
Katte Klitsche de la Grange v. Italy, 1994 წლის 27 ოქტომბერი, Series A no. 293-B
Keaney v. Ireland, no. 72060/17, 2020 წლის 30 აპრილი
Kemmache v. France (no. 3), 1994 წლის 24 ნოემბერი, Series A no. 296-C
Kenedi v. Hungary, no. 31475/05, 2009 წლის 26 მაისი
Kerojärvi v. Finland, 1995 წლის 19 ივლისი, Series A no. 322
Khamidov v. Russia, no. 72118/01, 2007 წლის 15 ნოემბერი
Khrabrova v. Russia, no. 18498/04, 2012 წლის 2 ოქტომბერი
Kiliç and Others v. Turkey, no. 33162/10, 2013 წლის 3 დეკემბერი
Kingsley v. the United Kingdom [GC], no. 35605/97, ECHR 2002-IV
Kinsky v. the Czech Republic, no. 42856/06, 2012 წლის 9 თებერვალი
Klausecker v. Germany, no. 415/07, 2015 წლის 6 იანვარი
Klauz v. Croatia, no. 42856/06, 2012 წლის 9 თებერვალი
Kleyn and Others v. the Netherlands [GC], nos. 39343/98 და 3 სხვა, ECHR 2003-VI
Kök v. Turkey, no. 1855/02, 2006 წლის 19 ოქტომბერი
Köksoy v. Turkey, no. 31885/10, 2021 წლის 13 იანვარი
König v. Germany, 1978 წლის 28 ივნისი, Series A no. 27
Konkurrenten.no AS v. Norway (dec.), no. 47341/15, 2019 წლის 5 ნოემბერი
Kontalexis v. Greece, no. 59000/08, §§ 42-44, 2011 წლის 31 მაისი
Koottummel v. Austria, no. 49616/06, 2009 წლის 10 დეკემბერი
Kosmidis and Kosmidou v. Greece, no. 32141/04, 2007 წლის 8 ნოემბერი
Koulias v. Cyprus, no. 48781/12, 2020 წლის 26 მაისი
Kövesi v. Romania, no. 3594/19, 2020 წლის 5 მაისი
Kožemiakina v. Lithuania, no. 231/15, 2018 წლის 2 ოქტომბერი
Koziy v. Ukraine, no. 10426/02, 2009 წლის 18 ივნისი
Kraska v. Switzerland, 1993 წლის 19 აპრილი, Series A no. 254-B
Krčmář and Others v. the Czech Republic, no. 35376/97, 2000 წლის 3 მარტი
Kress v. France [GC], no. 39594/98, ECHR 2001-VI
Kreuz v. Poland, no. 28249/95, ECHR 2001-VI

Krikorian v. France (dec.), no. 6459/07, 2013 წლის 26 ნოემბერი
Kristiansen and Tyvik AS v. Norway, no. 25498/08, 2013 წლის 2 მაისი
Krivtsova v. Russia, no. 35802/16, 2022 წლის 12 ივლისი
Krunoslava Zovko v. Croatia, no. 56935/13, 2017 წლის 23 მაისი
Kübler v. Germany, no. 32715/06, 2011 წლის 13 იანვარი
Kudła v. Poland [GC], no. 30210/96, ECHR 2000-XI
Kukkonen v. Finland (no. 2), no. 47628/06, 2009 წლის 13 იანვარი
Kulykov and Others v. Ukraine, nos. 5114/09 და 17 სხვა, 2017 წლის 19 იანვარი
Kunert v. Poland, no. 8981/14, 2019 წლის 4 აპრილი
Kurşun v. Turkey, no. 22677/10, 2018 წლის 30 ოქტომბერი
Kushoglu v. Bulgaria, no. 48191/99, 2007 წლის 10 მაისი
Kutić v. Croatia, no. 48778/99, ECHR 2002-II
Kuzhelev and Others v. Russia, nos. 64098/09 და 6 სხვა, 2019 წლის 15 ოქტომბერი
Kyprianou v. Cyprus [GC], no. 73797/01, ECHR 2005-XIII
Kyrtatos v. Greece, no. 41666/98, ECHR 2003-VI (ამონარიდები)

—L—

L. v. the United Kingdom (dec.), no. 34222/96, ECHR 1999-VI
L'Érablière A.S.B.L. v. Belgium, no. 49230/07, ECHR 2009
Laçi v. Albania, no. 28142/17, 2021 წლის 19 ოქტომბერი
Lady S.R.L. v. Republic of Moldova, no. 39804/06, 2018 წლის 23 ოქტომბერი
Laidin v. France (no. 2), no. 39282/98, 2003 წლის 7 იანვარი
Laino v. Italy [GC], no. 33158/96, ECHR 1999-I
Lamanna v. Austria, no. 28923/95, 2001 წლის 10 ივლისი
Langborger v. Sweden, 1989 წლის 22 ივნისი, Series A no. 155
Laskowska v. Poland, no. 77765/01, 2007 წლის 13 მარტი
Lavents v. Latvia, no. 58442/00, 2002 წლის 28 ნოემბერი
Le Calvez v. France, 1998 წლის 29 ივლისი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-V
Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium, 1981 წლის 23 ივნისი, Series A no. 43
Lechner and Hess v. Austria, 1987 წლის 23 აპრილი, Series A no. 118
Letinčić v. Croatia, no. 7183/11, 2016 წლის 3 მაისი
Levages Prestations Services v. France, 1996 წლის 23 ოქტომბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1996-V
Libert v. Belgium (dec.), no. 44734/98, 2004 წლის 8 ივლისი
Liga Portuguesa de Futebol Profissional v. Portugal (déc.), no. 49639/09, 2012 წლის 3 აპრილი
Lithgow and Others v. the United Kingdom, 1986 წლის 8 ივლისი, Series A no. 102
Lobo Machado v. Portugal, 1996 წლის 20 თებერვალი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1996-I
Loiseau v. France (dec.), no. 46809/99, ECHR 2003-XII
López Ribalda and Others v. Spain, [GC], nos. 1874/13 და 8567/13, 2019 წლის 17 ოქტომბერი
Loquifer v. Belgium, nos. 79089/13 და 2 სხვა, 2021 წლის 20 ივლისი
Lorenzetti v. Italy, no. 32075/09, 2012 წლის 10 აპრილი
Lovrić v. Croatia, no. 38458/15, 2017 წლის 4 აპრილი
Luka v. Romania, no. 34197/02, 2009 წლის 21 ივლისი
Lunari v. Italy, no. 21463/93, 2001 წლის 11 იანვარი

Lundevall v. Sweden, no. 38629/97, 2002 წლის 12 ნოემბერი
Luordo v. Italy, no. 32190/96, ECHR 2003-IX
Lupaș and Others v. Romania, nos. 1434/02 და 2 სხვა, ECHR 2006-XV (ამონარიდები)
Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [GC], no. 76943/11, ECHR 2016
(ამონარიდები)

—M—

M.L. v. Slovakia, no. 34159/17, 2021 წლის 14 ოქტომბერი
Maaouia v. France [GC], no. 39652/98, ECHR 2000-X
Mackay and BBC Scotland v. the United Kingdom, no. 10734/05, 2010 წლის 7 დეკემბერი
Magnin v. France (dec.), no. 26219/08, 2012 წლის 10 მაისი
Magomedov and Others v. Russia, nos. 33636/09 და 9 სხვა, 2017 წლის 28 მარტი
Majorana v. Italy (dec.), no. 75117/01, 2005 წლის 26 მაისი
Malhous v. the Czech Republic [GC], no. 33071/96, 2001 წლის 12 ივლისი
Mamatkulov and Askarov v. Turkey [GC], nos. 46827/99 და 46951/99, ECHR 2005-I
Manoilescu and Dobrescu v. Romania and Russia (dec.), no. 60861/00, ECHR 2005 VI
Mantovanelli v. France, 1997 წლის 18 მარტი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-II
Manzano Diaz v. Belgium, no. 26402/17, 2021 წლის 18 მაისი
Marc-Antoine v. France (dec.), no. 54984/09, 2013 წლის 4 ივნისი
Marcello Viola v. Italy, no. 45106/04, ECHR 2006-XI (ამონარიდები)
Marić v. Croatia (déc), no. 37333/17, 2020 წლის 10 ნოემბერი
Marini v. Albania, no. 3738/02, 2007 წლის 18 დეკემბერი
Markovic and Others v. Italy [GC], no. 1398/03, ECHR 2006-XIV
Martinie v. France [GC], no. 58675/00, ECHR 2006-VI
Martins Moreira v. Portugal, 1988 წლის 26 ოქტომბერი, Series A no. 143,
Marušić v. Croatia (dec.), no. 79821/12, 2017 წლის 23 მაისი
Masson and Van Zon v. the Netherlands, 1995 წლის 28 სექტემბერი, Series A no. 327-A
Matheus v. France, no. 62740/00, 2005 წლის 31 მარტი
Mats Jacobsson v. Sweden, 1990 წლის 28 ივნისი, Series A no. 180-A
McElhinney v. Ireland [GC], no. 31253/96, ECHR 2001-XI (ამონარიდები)
McGinley and Egan v. the United Kingdom, 1998 წლის 9 ივნისი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-III
McGonnell v. the United Kingdom, no. 28488/95, ECHR 2000-II
McMichael v. the United Kingdom, 1995 წლის 24 თებერვალი, Series A no. 307-B
McVicar v. the United Kingdom, no. 46311/99, ECHR 2002-III
Melnyk v. Ukraine, no. 23436/03, 2006 წლის 28 მარტი
Menchinskaya v. Russia, no. 42454/02, 2009 წლის 15 იანვარი
Mercieca and Others v. Malta, no. 21974/07, 2011 წლის 14 ივნისი
Mérigaud v. France, no. 32976/04, 2009 წლის 24
Metaxas v. Greece, no. 8415/02, 2004 წლის 27 მაისი
Mežnarić v. Croatia, no. 71615/01, 2005 წლის 15 ივლისი
Micallef v. Malta [GC], no. 17056/06, ECHR 2009
Mierlă and Others v. Romania (dec.), no. 25801/17 და ორი სხვა, 2022 წლის 17 მაისი
Miessen v. Belgium, no. 31517/12, 2016 წლის 18 ოქტომბერი
Mihalache v. Romania [GC], no. 54012/10, 2019 წლის 8 ივლისი

Mihova v. Italy (dec.), no. 25000/07, 2010 წლის 30 მარტი
Mihail Mihăilescu v. Romania, no. 3795/15, 2021 წლის 12 იანვარი
Mikhail Mironov v. Russia, no. 58138/09, 2020 წლის 6 ოქტომბერი
Mikhno v. Ukraine, no. 32514/12, 2016 წლის 1 სექტემბერი
Mikulić v. Croatia, no. 53176/99, ECHR 2002-I
Milatová and Others v. the Czech Republic, no. 61811/00, ECHR 2005-V
Miller v. Sweden, no. 55853/00, 2005 წლის 8 თებერვალი
Mincheva v. Bulgaria, no. 21558/03, 2010 წლის 2 სექტემბერი
Miracle Europe Kft v. Hungary, no. 57774/13, 2016 წლის 12 იანვარი
Miragall Escolano and Others v. Spain, nos. 38366/97 და 9 სხვა, ECHR 2000-I
Miroļubovs and Others v. Latvia, no. 798/05, 2009 წლის 15 სექტემბერი
Mirovni Inštitut v. Slovenia, no. 32303/13, 2018 წლის 13 მარტი
Miryana Petrova v. Bulgaria, no. 57148/08, 2016 წლის 21 ივლისი
Mocié v. France, no. 46096/99, 2003 წლის 8 აპრილი
Molla Sali v. Greece [GC], no. 20452/14, 2018 წლის 19 დეკემბერი
Momčilović v. Croatia, no. 11239/11, 2015 წლის 26 მარტი
Momčilović v. Serbia, no. 23103/07, 2013 წლის 2 აპრილი
Monnell and Morris v. the United Kingdom, 1987 წლის 2 მარტი, Series A no. 115
Mont Blanc Trading Ltd and Antares Titanium Trading Ltd v. Ukraine, no. 11161/08, 2021 წლის 14 იანვარი
Montcornet de Caumont v. France (dec.), no. 59290/00, ECHR 2003-VII
Morawska v. Poland (dec.), no. 3508/12, 2020 წლის 7 იანვარი
Moreira de Azevedo v. Portugal, 1990 წლის 23 ოქტომბერი, Series A no. 189
Moreira Ferreira v. Portugal (no. 2) [GC], no. 19867/12, ECHR 2017 (ამონარიდები)
Morel v. France, no. 34130/96, ECHR 2000-VI
Morice v. France [GC], no. 29369/10, ECHR 2015
Moroko v. Russia, no. 20937/07, 2008 წლის 12 ივნისი
Moser v. Austria, no. 12643/02, 2006 წლის 21 სექტემბერი
Mosteanu and Others v. Romania, no. 33176/96, 2002 წლის 26 ნოემბერი
Mugoša v. Montenegro, no. 76522/12, 2016 წლის 21 ივნისი
Munteanu v. Romania (dec.), no. 54640/13, 2020 წლის 11 თებერვალი
Mustafa Tunç and Fecire Tunç v. Turkey [GC], no. 24014/05, 2015 წლის 14 აპრილი
Musumeci v. Italy, no. 33695/96, 2005 წლის 11 იანვარი
Mutu and Pechstein v. Switzerland, nos. 40575/10 და 67474/10, 2018 წლის 2 ოქტომბერი

—N—

Nalbant and Others v. Turkey, no. 59914/16, 2022 წლის 3 მაისი
Nait-Liman v. Switzerland [GC], no. 51357/07, 2018 წლის 15 მარტი
Naki and AMED Sportif Faaliyetler Kulübü Derneği v. Turkey, no. 48924/16, 2021 წლის 18 მაისი
Naku v. Lithuania and Sweden, no. 26126/07, 2016 წლის 8 ნოემბერი
Nataliya Mikhaylenko v. Ukraine, no. 49069/11, 2013 წლის 30 მაისი
National & Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society v. the United Kingdom, 1997 წლის 23 ოქტომბერი,
გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-VII
Nazsız v. Turkey (dec.), no. 22412/05, 2009 წლის 26 მაისი
Ndayegamiye-Mporamazina v. Switzerland, no. 16874/12, 2019 წლის 5 თებერვალი

Nedelcho Popov v. Bulgaria, no. 61360/00, 2007 წლის 22 ნოემბერი
Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey [GC], no. 13279/05, 2011 წლის 20 ოქტომბერი
Neshev v. Bulgaria (dec.), no. 40897/98, 2003 წლის 13 მარტი
Nicholas v. Cyprus, no. 63246/10, 2018 წლის 9 იანვარი
Nicholas v. Cyprus (dec.), no. 37371/97, 2000 წლის 14 მარტი
Nicolae Virgiliu Tănase v. Romania [GC], no. 41720/13, 2019 წლის 25 ივნისი
Nideröst-Huber v. Switzerland, 1997 წლის 18 თებერვალი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-I
Niederböster v. Germany, no. 39547/98, ECHR 2003-IV (ამონარიდები)
Nikolyan v. Armenia, no. 74438/14, 2019 წლის 3 ოქტომბერი
Nikoloudakis v. Greece, no. 35322/12, 2020 წლის 26 მარტი
Nikolova and Vandova v. Bulgaria, no. 20688/04, 2013 წლის 17 დეკემბერი
Nunes Dias v. Portugal (dec.), nos. 2672/03 და 69829/01, ECHR 2003-IV

—O—

Obermeier v. Austria, 1990 წლის 28 ივნისი, Series A no. 179
Oerlemans v. the Netherlands, 1991 წლის 27 ნოემბერი, Series A no. 219
Ogieriakhi v. Ireland (dec.), no. 57551/17, 2019 წლის 30 აპრილი
OGIS-Institut Stanislas, OGEC Saint-Pie X and Blanche de Castille and Others v. France, nos. 42219/98 და 54563/00, 2004 წლის 27 მაისი
Ohneberg v. Austria, no. 10781/08, 2012 წლის 18 სექტემბერი
Okyay and Others v. Turkey, no. 36220/97, ECHR 2005-VII
Oleksandr Volkov v. Ukraine, no. 21722/11, ECHR 2013
Oleynikov v. Russia, no. 36703/04, 2013 წლის 14 მარტი
Olsson v. Sweden (no. 1), 1988 წლის 24 მარტი, Series A no. 130
Olujic v. Croatia, no. 22330/05, 2009 წლის 5 თებერვალი
Omdahl v. Norway, no. 46371/18, 2021 წლის 22 აპრილი
OOO Link Oil SPB v. Russia (dec.), no. 42600/05, 2009 წლის 25 ივნისი
Organisation nationale des syndicats d'infirmiers libéraux (ONSIL) v. France (dec.), no. 39971/98, ECHR 2000-IX
Oršuš and Others v. Croatia [GC], no. 15766/03, ECHR 2010
Ortenberg v. Austria, 1994 წლის 25 ნოემბერი, Series A no. 295-B
Osinger v. Austria, no. 54645/00, 2005 წლის 24 მარტი
Osman v. the United Kingdom 1998 წლის 28 ოქტომბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-VIII
Oorzhak v. Russia, no. 4830/18, 2021 წლის 30 მარტი
Ouzounis and Others v. Greece, no. 49144/99, 2002 წლის 18 აპრილი

—P—

P., C. and S. v. the United Kingdom, no. 56547/00, ECHR 2002-VI
Pabla Ky v. Finland, no. 47221/99, ECHR 2004-V
Pafitis and Others v. Greece, 1998 წლის 26 თებერვალი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-I

- Pailot v. France*, 1998 წლის 22 აპრილი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-II
- Paksas v. Lithuania* [GC], no. 34932/04, ECHR 2011
- Paluda v. Slovakia*, no. 33392/12, 2017 წლის 23 მაისი
- Pammel v. Germany*, 1997 წლის 1 ივლისი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-IV
- Panjeheighalehei v. Denmark* (dec.), no. 11230/07, 2009 წლის 13 ოქტომბერი
- Papachelas v. Greece* [GC], no. 31423/96, ECHR 1999-II
- Papaioannou v. Greece*, no. 18880/15, 2016 წლის 2 ივნისი
- Papageorgiou v. Greece*, 1997 წლის 22 ოქტომბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-VI
- Paparrigopoulos v. Greece*, no. 61657/16, 2022 წლის 30 ივნისი
- Papon v. France* (dec.), no. 344/04, ECHR 2005-XI
- Parlov-Tkalčić v. Croatia*, no. 24810/06, 2009 წლის 22 დეკემბერი
- Parol v. Poland*, no. 65379/13, 2018 წლის 11 ოქტომბერი
- Pasquini v. San Marino*, no. 50956/16, 2019 წლის 2 მაისი
- Pastore v. Italy* (dec.), no. 46483/99, 1999 წლის 25 მაისი
- Paulsen-Medalen and Svensson v. Sweden*, 1998 წლის 19 თებერვალი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-I
- Pedro Ramos v. Switzerland*, no. 10111/06, 2010 წლის 14 ოქტომბერი
- Peleki v. Greece*, no. 69291/12, 2020 წლის 5 მარტი
- Pellegrin v. France* [GC], no. 28541/95, ECHR 1999-VIII
- Pellegrini v. Italy*, no. 30882/96, ECHR 2001-VIII
- Peñafiel Salgado v. Spain* (dec.), no. 65964/01, 2002 წლის 16 აპრილი
- Pereira da Silva v. Portugal*, no. 77050/11, 2016 წლის 22 მარტი
- Perez v. France* [GC], no. 47287/99, ECHR 2004-I
- Pérez de Rada Cavanilles v. Spain*, 1998 წლის 28 ოქტომბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-VIII
- Peruš v. Slovenia*, no. 35016/05, 2012 წლის 27 სექტემბერი
- Pescador Valero v. Spain*, no. 62435/00, ECHR 2003-VII
- Petko Petkov v. Bulgaria*, no. 2834/06, 2013 წლის 19 თებერვალი
- Petrella v. Italy*, no. 24340/07, 2021 წლის 18 მარტი
- Petrović and Others v. Montenegro*, no. 18116/15, 2018 წლის 17 ივლისი
- Pétur Thór Sigurðsson v. Iceland*, no. 39731/98, ECHR 2003-IV
- Philis v. Greece (no. 1)*, 1991 წლის 27 აგვისტო, Series A no. 209
- Philis v. Greece (no. 2)*, 1997 წლის 27 ივნისი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-IV
- Pierre-Bloch v. France*, 1997 წლის 21 ოქტომბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-VI
- Pini and Others v. Romania*, nos. 78028/01 და 78030/01, ECHR 2004-V (ამონარიდები)
- Pişkin v. Turkey*, no. 33399/18, 2020 წლის 15 დეკემბერი
- Pizzetti v. Italy*, 1993 წლის 26 თებერვალი, Series A no. 257-C
- Platakou v. Greece*, no. 38460/97, ECHR 2001-I
- Plazzi v. Switzerland*, no. 44101/18, 2022 წლის 8 თებერვალი
- Pocius v. Lithuania*, no. 35601/04, 2010 წლის 6 ივლისი
- Podbielski and PPU Polpure v. Poland*, no. 39199/98, 2005 წლის 26 ივლისი
- Poiss v. Austria*, 1987 წლის 23 აპრილი, Series A no. 117
- Polyakh and Others v. Ukraine*, nos. 58812/15 და 4 სხვა, 2019 წლის 17 ოქტომბერი

Pönkä v. Estonia, no. 64160/11, 2016 წლის 8 ნოემბერი
Posti and Rahko v. Finland, no. 27824/95, ECHR 2002-VII
Potocka and Others v. Poland, no. 33776/96, ECHR 2001-X
Pravednaya v. Russia, no. 69529/01, 2004 წლის 18 ნოემბერი
Preda and Dardari v. Italy (dec.), nos. 28160/95 და 28382/95, ECHR 1999-III
Pretto and Others v. Italy, 1983 წლის 8 დეკემბერი, Series A no. 71
Pridatchenko and Others v. Russia, nos. 2191/03 და 3 სხვა, 2007 წლის 21 ივნისი
Prince Hans-Adam II of Liechtenstein v. Germany [GC], no. 42527/98, ECHR 2001-VIII
Probstmeier v. Germany, 1997 წლის 1 ივლისი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-IV
Procola v. Luxembourg, 1995 წლის 28 სექტემბერი, Series A no. 326
Prodan v. Moldova, no. 49806/99, ECHR 2004-III (ამონარიდები)
Project-Trade d.o.o. v. Croatia, no. 1920/14, 2020 წლის 19 ნოემბერი
Pudas v. Sweden, 1987 წლის 27 ოქტომბერი, Series A no. 125-A
Puolitaival and Pirttiaho v. Finland, no. 54857/00, 2004 წლის 23 ნოემბერი

—R—

R.P. and Others v. the United Kingdom, no. 38245/08, 2012 წლის 9 ოქტომბერი
R.S. v. Germany (dec.), no. 19600/15, 2017 წლის 28 მარტი
RTBF v. Belgium, no. 50084/06, ECHR 2011
Radomilja and Others v. Croatia [GC], nos. 37685/10 და 22768/12, 2018 წლის 20 მარტი
Ramljak v. Croatia, no. 5856/13, 2017 წლის 27 ივნისი
Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal [GC], nos. 55391/13 და 2 სხვა, 2018 წლის 6 ნოემბერი
Raylyan v. Russia, no. 22000/03, 2007 წლის 15 თებერვალი
Raza v. Bulgaria, no. 31465/08, 2010 წლის 11 თებერვალი
Reczkowicz v. Poland, no. 43447/19, 2021 წლის 22 ივლისი
Refah Partisi (The Welfare Party) and Others v. Turkey (dec.), nos. 41340/98 და 3 სხვა, 2000 წლის 3 ოქტომბერი
Regner v. the Czech Republic [GC], no. 35289/11, 2017 წლის 19 სექტემბერი
Repcevirág Szövetkezet v. Hungary, no. 70750/14, 2019 წლის 30 აპრილი
Reuther v. Germany (dec.), no. 74789/01, ECHR 2003-IX
Ringeisen v. Austria, 1971 წლის 16 ივლისი, Series A no. 13
Robins v. the United Kingdom, 1997 წლის 23 სექტემბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-V
Roche v. the United Kingdom [GC], 32555/96, ECHR 2005-X
Rolf Gustafson v. Sweden, 1997 წლის 1 ივლისი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-IV
Romańczyk v. France, no. 7618/05, 2010 წლის 18 ნოემბერი
Ronald Vermeulen v. Belgium, no. 5475/06, 2018 წლის 17 ივლისი
Rotaru v. Romania [GC], no. 28341/95, ECHR 2000-V
Rozalia Avram v. Romania, no. 19037/07, 2014 წლის 16 სექტემბერი
Ruianu v. Romania, no. 34647/97, 2003 წლის 17 ივნისი
Ruiz-Mateos v. Spain, 1993 წლის 23 ივნისი, Series A no. 262
Ruiz Torija v. Spain, 1994 წლის 9 დეკემბერი, Series A no. 303-A
Ruotolo v. Italy, 1992 წლის 27 თებერვალი, Series A no. 230-D

Rustavi 2 Broadcasting Company Ltd and Others v. Georgia, no. 16812/17, 2019 წლის 18 ივლისი
Ryabykh v. Russia, no. 52854/99, ECHR 2003-IX
Ryakib Biryukov v. Russia, no. 14810/02, ECHR 2008

—S—

S., v. and A. v. Denmark [GC], nos. 35553/12 და 2 სხვა, 2018 წლის 22 ოქტომბერი
Sabeh El Leil v. France [GC], no. 34869/05, 2011 წლის 29 ივნისი
Sabin Popescu v. Romania, no. 48102/99, 2004 წლის 2 მარტი
Sablon v. Belgium, no. 36445/97, 2001 წლის 10 აპრილი
Saccoccia v. Austria (dec.), no. 69917/01, 2007 წლის 5 ივლისი
Saccoccia v. Austria, no. 69917/01, 2008 წლის 18 დეკემბერი
Sace Elektrik Ticaret ve Sanayi A.Ş. v. Turkey, no. 20577/05, 2013 წლის 22 ოქტომბერი
Sacilor Lormines v. France, no. 65411/01, ECHR 2006-XIII
Sailing Club of Chalkidiki "I Kelyfos" v. Greece, nos. 6978/18 და 8547/18, 2019 წლის 21 ნოემბერი
Sakellaropoulos v. Greece (dec.), no. 38110/08, 2011 წლის 6 იანვარი
Salesi v. Italy, no. 1993 წლის 26 თებერვალი, Series A no. 257-E
Salomonsson v. Sweden, no. 38978/97, 2002 წლის 12 ნოემბერი
Şamat v. Turkey, no. 29115/07, 2020 წლის 21 იანვარი
San Leonard Band Club v. Malta, no. 77562/01, ECHR 2004-IX
Sanglier v. France, no. 50342/99, 2003 წლის 27 მაისი
Sanofi Pasteur v. France, no. 25137/16, 2020 წლის 13 თებერვალი
Santambrogio v. Italy, no. 61945/00, 2004 წლის 21 სექტემბერი
Santos Pinto v. Portugal, no. 39005/04, 2008 წლის 20 მაისი
Saoud v. France, no. 9375/02, 2007 წლის 9 ოქტომბერი
Sara Lind Eggertsdóttir v. Iceland, no. 31930/04, 2007 წლის 5 ივლისი
Sartory v. France, no. 40589/07, 2009 წლის 24 სექტემბერი
Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland [GC], no. 931/13, ECHR 2017 (ამონარიდები)
Savino and Others v. Italy, nos. 17214/05 და 2 სხვა, 2009 წლის 28 აპრილი
Savitsky v. Ukraine, no. 38773/05, 2012 წლის 26 ივლისი
Scerri v. Malta, no. 36318/18, 2020 წლის 7 ივლისი
Schipani and Others v. Italy, no. 38369/09, 2015 წლის 21 ივლისი
Schmidt v Latvia, no. 22493/05, 2017 წლის 27 აპრილი
Schouten and Meldrum v. the Netherlands, 1994 წლის 9 დეკემბერი, Series A no. 304
Schuler-Zraggen v. Switzerland, 1993 წლის 24 ივნისი, Series A no. 263
Scordino v. Italy (no. 1) [GC], no. 36813/97, ECHR 2006-V
Sdružení Jihočeské Matky v. the Czech Republic (dec.), no. 19101/03, 2006 წლის 10 ივლისი
Sedat Doğan v. Turkey, no. 48909/14, 2021 წლის 18 მაისი
Sekul v. Croatia (dec.), no. 43569/13, 2015 წლის 30 ივნისი
Selin Ash Öztürk v. Turkey, no. 39523/03, 2009 წლის 13 ოქტომბერი
Selmani and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia, no. 67259/14, 2017 წლის 9 თებერვალი
Sharxhi and Others v. Albania, no. 10613/16, 2018 წლის 11 იანვარი
Siatkowska v. Poland, no. 8932/05, 2007 წლის 22 მარტი

- Siegel v. France*, no. 36350/97, ECHR 2000-XII
Siegle v. Romania, no. 23456/04, 2013 წლის 16 აპრილი
Sigalas v. Greece, no. 19754/02, 2005 წლის 22 სექტემბერი
Sigma Radio Television Ltd v. Cyprus, nos. 32181/04 და 35122/05, 2011 წლის 21 ივლისი
Šikić v. Croatia, no. 9143/08, 2010 წლის 15 ივლისი
Silva Pontes v. Portugal, 1994 წლის 23 მარტი, series A n° 286-A
Sine Tsaggarakis A.E.E. v. Greece, no. 17257/13, 2019 წლის 23 მაისი
Skorobogatykh v. Russia (dec.), no. 37966/02, 2006 წლის 8 ივნისი
Słomka v. Poland, no. 68924/12, 2018 წლის 6 დეკემბერი
Smirnov v. Russia (dec.), no. 14085/04, 2006 წლის 6 ივლისი
Société anonyme d'habitations à loyers modérés Terre et Famille v. France (dec.), no. 62033/00, 2004 წლის 17 თებერვალი
Société de gestion du port de Campoloro and Société fermière de Campoloro v. France, no. 57516/00, 2006 წლის 26 სექტემბერი
Sokurenko and Strygun v. Ukraine, nos. 29458/04 და 29465/04, 2006 წლის 20 ივლისი
Sommerfeld v. Germany [GC], no. 31871/96, ECHR 2003-VIII (ამონარიდები)
Somorjai v. Hungary, no. 60934/13, 2018 წლის 28 აგვისტო
Sotiris and Nikos Koutras ATTEE v. Greece, no. 39442/98, ECHR 2000-XII
Sovtransavto Holding v. Ukraine, no. 48553/99, ECHR 2002-VII
Speil v. Austria (dec.), no. 42057/98, 2002 წლის 5 სექტემბერი
Sporrong and Lönnroth v. Sweden, 1982 წლის 23 სექტემბერი, Series A no. 52
Spūlis and Vaškevičs v. Latvia (dec.), nos. 2631/10 და 12253/10, 2014 წლის 18 ნოემბერი
Sramek v. Austria, 1984 წლის 22 ოქტომბერი, Series A no. 84
Stanev v. Bulgaria [GC], no. 36760/06, ECHR 2012
Stankiewicz v. Poland, no. 46917/99, ECHR 2006-VI
Stankov v. Bulgaria, no. 68490/01, 2007 წლის 12 ივლისი
Star Cate Epilekta Gevmata and Others v. Greece (dec.), no. 54111/07, 2010 წლის 6 ივლისი
Staroszczyk v. Poland, no. 59519/00, 2007 წლის 22 მარტი
Stavroulakis v. Greece (dec.), no. 22326/10, 2014 წლის 28 იანვარი
Steck-Risch and Others v. Liechtenstein, no. 63151/00, 2005 წლის 19 მაისი
Steel and Morris v. the United Kingdom, no. 68416/01, ECHR 2005-II
Stegarescu and Bahrin v. Portugal, no. 46194/06, 2010 წლის 6 აპრილი
Stepinska v. France, no. 1814/02, 2004 წლის 15 ივნისი
Stichting Landgoed Steenberg and Others v. the Netherlands, no. 19732/17, 2021 წლის 16 თებერვალი
Stichting Mothers of Srebrenica and Others v. the Netherlands (dec.), no. 65542/12, ECHR 2013 (ამონარიდები)
Stoimenovikj and Miloshevijk v. North Macedonia, no. 59842/14, 2021 წლის 25 მარტი
Storck v. Germany, no. 61603/00, ECHR 2005-V
Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece, 1994 წლის 9 დეკემბერი, Series A no. 301-B
Straume v. Latvia, no. 59402/14, 2022 წლის 2 ივნისი
Stubbings and Others v. the United Kingdom, 1996 წლის 22 ოქტომბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1996-IV
Sturua v. Georgia, no. 45729/05, 2017 წლის 28 მარტი
Succi and Others v. Italy, nos. 55064/11 და 2 სხვა, 2021 წლის 28 ოქტომბერი
Suda v. the Czech Republic, no. 1643/06, 2010 წლის 28 ოქტომბერი
Suküt v. Turkey (dec.), no. 59773/00, 2007 წლის 11 სექტემბერი

Suominen v. Finland, no. 37801/97, 2003 წლის 1 ივლისი
Sürmeli v. Germany [GC], no. 75529/01, ECHR 2006-VII
Süßmann v. Germany, 1996 წლის 16 სექტემბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1996-IV
Švarc and Kavnik v. Slovenia, no. 75617/01, 2007 წლის 8 თებერვალი
Svilengaćanin and Others v. Serbia, nos. 50104/10 და 9 სხვა, 2021 წლის 12 იანვარი
Syngelidis v. Greece, no. 24895/07, 2010 წლის 11 თებერვალი
Szücs v. Austria, 1997 წლის 24 ნოემბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-VII

—T—

Tabbane v. Switzerland (dec.), no. 41069/12, 2016 წლის 1 მარტი
Tabor v. Poland, no. 12825/02, 2006 წლის 27 ივნისი
Taratukhin v. Russia, no. 74778/14, 2020 წლის 15 სექტემბერი
Taşkın and Others v. Turkey, no. 46117/99, ECHR 2004-X
Tatishvili v. Russia, no. 1509/02, ECHR 2007-I
Tel v. Turkey, no. 36785/03, 2017 წლის 17 ოქტომბერი
Tence v. Slovenia, no. 37242/14, 2016 წლის 31 მაისი
Ternovskis v. Latvia, no. 33637/02, 2014 წლის 29 აპრილი
Terra Woningen B.V. v. the Netherlands, 1996 წლის 17 დეკემბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1996-VI
Teteriny v. Russia, no. 11931/03, 2005 წლის 30 ივნისი
The Holy Monasteries v. Greece, 1994 წლის 9 დეკემბერი, Series A no. 301-A
Thiam v. France, no. 80018/12, 2018 წლის 18 ოქტომბერი
Thlimmenos v. Greece [GC], no. 34369/97, ECHR 2000-IV
Tiemann v. France and Germany (dec.), nos. 47457/99 და 47458/99, ECHR 2000-IV
Tierce v. San Marino, no. 69700/01, ECHR 2003-VII
Tiğrak v. Turkey, no. 70306/10, 2021 6 ივლისი
Timofeyev and Postupkin v. Russia, nos. 45431/14 და 22769/15, 2021 წლის 19 იანვარი
Tinnelly & Sons Ltd and Others and McElduff and Others v. the United Kingdom, 1998 წლის 10 ივლისი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1998-IV
Titan Total Group S.R.L. v. the Republic of Moldova, no. 61458/08, 2021 წლის 6 ივლისი
Tocono and Profesorii Prometeiști v. Moldova, no. 32263/03, 2007 წლის 26 ივნისი
Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom, 1995 წლის 13 ივლისი, Series A no. 316-B
Torri v. Italy, 1997 წლის 1 ივლისი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-IV
Tosti v. Italy (dec.), no. 27791/06, 2009 წლის 12 მაისი
Tourisme d'affaires v. France, no. 17814/10, 2012 წლის 16 თებერვალი
Toziczka v. Poland, no. 29995/08, 2012 წლის 24 ივლისი
Transado - Transportes Fluviais Do Sado, S.A. v. Portugal (dec.), no. 35943/02, ECHR 2003-XII
Trapeznikov and Others v. Russia, nos. 5623/09 და 3 სხვა, 2016 წლის 5 აპრილი
Tre Traktörer Aktiebolag v. Sweden, 1989 წლის 7 ივლისი, Series A no. 159
Tregubenko v. Ukraine, no. 61333/00, 2004 წლის 2 ნოემბერი
Treska v. Albania and Italy (dec.), no. 26937/04, ECHR 2006-XI (ამონარიდები)
Trevisanato v. Italy, no. 32610/07, 2016 წლის 15 სექტემბერი
Tsanova-Gecheva v. Bulgaria, no. 43800/12, 2015 წლის 15 სექტემბერი

Tsfayo v. the United Kingdom, no. 60860/00, 2006 წლის 14 ნოემბერი
Tsikakis v. Germany, no. 1521/06, 2011 წლის 10 თებერვალი
Turczanik v. Poland, no. 38064/97, ECHR 2005-VI
Tuziński v. Poland (dec), no. 40140/98, 1999 წლის 30 მარტი

—U—

Uçar v. Turkey (dec.), no. 12960/05, 2009 წლის 29 სექტემბერი
Ullens de Schooten and Rezabek v. Belgium, nos. 3989/07 და 38353/07, 2011 წლის 20
სექტემბერი
Ulyanov v. Ukraine (dec.), no. 16472/04, 2010 წლის 5 ოქტომბერი
Unédic v. France, no. 20153/04, 2008 წლის 18 დეკემბერი
Unión Alimentaria Sanders S.A. v. Spain, 1989 წლის 7 ივლისი, Series A no. 157
Urechean and Pavlicenco v. the Republic of Moldova, nos. 27756/05 და 41219/07, 2014 წლის 2
დეკემბერი
Užkauskas v. Lithuania, no. 16965/04, 2010 წლის 6 ივლისი

—V—

Valová, Slezák and Slezák v. Slovakia, no. 44925/98, 2004 წლის 1 ივნისი
Van de Hurk v. the Netherlands, 1994 წლის 19 აპრილი, Series A no. 288
Van Marle and Others v. the Netherlands, 1986 წლის 26 ივნისი, Series A no. 101
Van Orshoven v. Belgium, 1997 წლის 25 ივნისი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების
ანგარიშები 1997-III
Vardanyan and Nanushyan v. Armenia, no. 8001/07, 2016 წლის 27 ოქტომბერი
Varela Assalino v. Portugal (dec.), no. 64336/01, 2002 წლის 25 აპრილი
Vasil Vasilev v. Bulgaria, no. 7610/15, 2021 წლის 16 ნოემბერი
Vasilchenko v. Russia, no. 34784/02, 2010 წლის 23 სექტემბერი
Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland (no. 2), no. 32772/02, 2007 წლის 4
ოქტომბერი
Verlagsgruppe News GmbH v. Austria (dec.), no. 62763/00, 2003 წლის 16 იანვარი
Vermeulen v. Belgium, 1996 წლის 20 თებერვალი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების
ანგარიშები 1996-I
Vernillo v. France, 1991 წლის 20 თებერვალი, Series A no. 198
Versini v. France, no. 40096/98, 2001 წლის 10 ივლისი
Victor Laurentiu Marin v. Romania, no. 75614/14, 2021 წლის 12 იანვარი
Vilho Eskelinen and Others v. Finland [GC], no. 63235/00, ECHR 2007-II
Vocaturu v. Italy, 1991 წლის 24 მაისი, Series A no. 206-C
Voggenreiter v. Germany, no. 47169/99, ECHR 2004-I (ამონარიდები)
Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], nos. 71916/01 და 2 სხვა, ECHR 2005-V

—W—

Wagner and J.M.W.L. v. Luxembourg, no. 76240/01, 2007 წლის 28 ივნისი
Waite and Kennedy v. Germany [GC], no. 26083/94, ECHR 1999-I
Wallishauser v. Austria, no. 156/04, 2012 წლის 17 ივლისი

Warsicka v. Poland, no. 2065/03, 2007 წლის 16 იანვარი
Weissman and Others v. Romania, no. 63945/00, ECHR 2006-VII (ამონარიდები)
Werner v. Austria, 1997 წლის 24 ნოემბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1997-VII
Wettstein v. Switzerland, no. 33958/96, ECHR 2000-XII
Wierzbicki v. Poland, no. 24541/94, 2002 წლის 18 ივნისი
Wiesinger v. Austria, 1991 წლის 30 ოქტომბერი, Series A no. 213
Woś v. Poland, no. 22860/02, ECHR 2006-VII
Wynen and Centre hospitalier interrégional Edith-Cavell v. Belgium, no. 32576/96, ECHR 2002-VIII

—X—

X v. France, 1992 წლის 31 მარტი, Series A no. 234-C
X and Others v. Russia, nos. 78042/16 და 66158/14, 2020 წლის 14 იანვარი
Xavier Lucas v. France, no. 15567/20, 2022 წლის 9 ივნისი
Xero Flor w Polsce sp. z o.o. v. Poland, no. 4907/18, 2021 წლის 7 მაისი
Khoxhaj v. Albania, no. 15227/19, 2021 წლის 9 თებერვალი

—Y—

Yagtzilar and Others v. Greece, no. 41727/98, ECHR 2001-XII
Yakovlev v. Russia, no. 72701/01, 2005 წლის 15 მარტი
Yankov v. Bulgaria (dec.), no. 44768/10, 2019 წლის 18 ივნისი
Yavorivskaya v. Russia, no. 34687/02, 2005 წლის 21 ივლისი
Yevdokimov and Others v. Russia, nos. 27236/05 და 10 სხვა, 2016 წლის 16 თებერვალი
Yvon v. France, no. 44962/98, ECHR 2003-V

—Z—

Z and Others v. the United Kingdom [GC], no. 29392/95, ECHR 2001-V
Zagorodnikov v. Russia, no. 66941/01, 2007 წლის 7 ივნისი
Zalli v. Albania (dec.), no. 52531/07, 2011 წლის 8 თებერვალი
Zander v. Sweden, 1993 წლის 25 ნოემბერი, Series A no. 279-B
Zapletal v. the Czech Republic (dec.), no. 12720/06, 2010 წლის 30 ნოემბერი
Zappia v. Italy, 1996 წლის 26 სექტემბერი, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიშები 1996-IV
Zavodnik v. Slovenia, no. 53723/13, 2015 წლის 21 მაისი
Ziegler v. Switzerland, no. 33499/96, 2002 წლის 21 თებერვალი
Zielinski, Pradal, Gonzalez and Others v. France [GC], nos. 24846/94 და 9 სხვა, ECHR 1999-VII
Zimmermann and Steiner v. Switzerland, 1983 წლის 13 ივლისი, Series A no. 66
Zollmann v. the United Kingdom (dec.), no. 62902/00, ECHR 2003-XII
Zolotas v. Greece, no. 38240/02, 2005 წლის 2 ივნისი
Zubac v. Croatia [GC], no. 40160/12, 2018 წლის 5 აპრილი
Zumtobel v. Austria, 1993 წლის 21 სექტემბერი, Series A no. 268-A
Žurek v. Poland, no. 39650/18, 2022 წლის 16 ივნისი

Zustović v. Croatia, no. 27903/15, 2021 წლის 22 აპრილი

Zvolský and Zvolská v. the Czech Republic, no. 46129/99, ECHR 2002-IX